

სქესობრივი განათლება: მოსახლეობის
ინფორმირებულობის, განწყობებისა და
დამოკიდებულებების კვლევა

2022

პროექტი განხორციელდა საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა“ დაკვეთით და შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციის (RFSU) დაფინანსებით. პროექტის განმახორციელებელია საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის (EPRA).

დიდი მადლობა სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმს და ბიოლოგიის პედაგოგთა ასოციაცია „ბიოს“ მონაცემთა შეგროვების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

შინაარსი

აკრონიმები	6
კვლევის შეჯამება	7
1. შესავალი	8
2. კვლევის დიზაინი	11
3. კვლევის მიგნებები და ძირითადი დასკვნები	14
ეროვნული სასწავლო გეგმა	15
„სქესობრივი განათლება“ სკოლაში	20
სასწავლო რესურსი და პედაგოგთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა	24
მშობლების ინფორმირებულობა, განწყობები და ჩართულობა	25
ახალგაზრდები: ინფორმირებულობა და განწყობები	28
კომუნიკაცია	29
სქესობრივი განათლება ეთნიკური უმცირესობების პერსპექტივიდან	33
შემდეგული შესაძლებლობების მოსწავლეები და სქესობრივი განათლება	35
ეკლესიის წარმომადგენელთა დამოკიდებულება სქესობრივი განათლებისადმი	35
სქესობრივი განათლების ადვოკატირება და წინააღმდეგობები	39
ნაწილი I: თვისებრივი კვლევა	42
4. სქესობრივი განათლება სკოლაში: საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა	43
5. სქესობრივი განათლება – ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზი	55
შინაარსის ანალიზის მიზნები და მეთოდოლოგიური საკითხები	55
სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზი იუნესკოს ჩარჩოს თემების მიხედვით	58
ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა: კურიკულუმის ექსპერტთა და პედაგოგთა შეფასებები	81
6. მასწავლებლები: სასკოლო თემის დამოკიდებულებები და გამოწვევები	91
სასკოლო თემის დამოკიდებულება სქესობრივი განათლების სწავლებასთან დაკავშირებით	91
ეროვნული სასწავლო გეგმა: მიღწევები და გამოწვევები	97
სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე რესურსები	98
მხარდაჭერის სისტემა	100
7. სკოლის დირექტორთა განწყობები და დამოკიდებულებები	101
ინფორმირებულობა	101
დამოკიდებულებები	102
გამოწვევები	103
რეკომენდაციები	104
8. ახალგაზრდების ინფორმირებულობა და განწყობები	107
ინფორმირებულობა	107

სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულება.....	111
მიღწევები და გამოწვევები	113
რეკომენდაციები.....	116
9. მშობელთა ინფორმირებულობა, ჩართულობა და განწყობები	118
ინფორმირებულობა	118
განწყობები და დამოკიდებულებები.....	122
გამოწვევები	126
რეკომენდაციები.....	129
10. ეკლესიის წარმომადგენლები: სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულება.....	133
ინფორმირებულობა	133
დამოკიდებულებები და განწყობები.....	136
გამოწვევები	140
რეკომენდაციები.....	146
11. სქესობრივი განათლება ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის პერსპექტივიდან	153
ინფორმირებულობა	153
დამოკიდებულებები	154
გამოწვევები	155
რეკომენდაციები.....	156
12. სამოქალაქო სექტორი: ადვოკატირება და წინააღმდეგობები	158
ინფორმირებულობა	158
დამოკიდებულება.....	163
გამოწვევები	172
რეკომენდაციები.....	184
ნაწილი II: რაოდენობრივი კვლევა.....	194
13. კვლევის დიზაინი	195
კვლევის მიზნები	195
საკვლევი ინსტრუმენტის შექმნა.....	196
საკვლევი ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლები	199
შერჩევა	201
მონაცემთა შეგროვება	202
14. ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების შესახებ.....	204
მოსახლეობის ინფორმირებულობა: საერთო სურათი.....	204
ინფორმირებულობა სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორების მიხედვით	215
ინფორმირებულობა დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში	221
15. დამოკიდებულებები: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება.....	225
მოსახლეობის დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ: ზოგადი სურათი	225

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორების ჭრილში	226
სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება დემოგრაფიული ფაქტორების ჭრილში.....	231
16. სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მიმართება კვლევის სხვა სამიზნე ცვლადებთან: პირდაპირი და ირიბი კავშირების ანალიზი.....	236
სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების კორელატები.....	237
დასკვნითი სტატისტიკა (რეგრესიული და მედიაციური ანალიზის შედეგები).....	240
17. ახალგაზრდების ინფორმირებულობა და დამოკიდებულებები	246
ახალგაზრდების ინფორმირებულობა.....	246
ახალგაზრდები და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	250
18. სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ განწყობები	252
სქესობრივი განათლება სკოლაში - არსებული ვითარების შეფასება	253
სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის რისკები და უპირატესობები	253
სკოლა, როგორც ინფორმაციის წყარო	255
სწავლების ფორმატი	256
19. მშობელთა ინფორმირებულობა, დამოკიდებულებები და ჩართულობა	257
მშობელთა ინფორმირებულობა	257
მშობელთა დამოკიდებულებები	260
20. კულტურული კონტექსტი	269
კითხვარის შევსების ენა	269
აღმსარებლობა და რელიგიურ მსახურებებზე დასწრების სიხშირე.....	271
შეჯამება	284
გამოყენებული ლიტერატურა:	285

აკრონიმები

ესგ – ეროვნული სასწავლო გეგმა

სგგდ – სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები

CSE – Comprehensive Sexuality Education

UNFPA – United Nations Population Fund

UNESCO – United Nations Educational, Scientific and Cultural Organization

SRH – Sexual and Reproductive Health

SRE – Sex and Relationship Education

WHO – World Health Organization

JAMA – Journal of the American Medical Association

კვლევის შეჯამება

1. შესავალი

ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების მიზნები

ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლება (Comprehensive sexuality education - CSE) განიმარტება როგორც: „... სექსისა და ურთიერთობების შესახებ ასაკის შესაბამისი, კულტურულად რელევანტური სწავლების მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერულად ზუსტი, რეალისტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის გადაცემას“ (UNESCO, 2016b). სქესობრივი განათლება სქესობრივი განვითარების პროცესის შესახებ ადამიანის სანდო ინფორმაციით აღჭურვას ემსახურება, რაც ჯანსაღი სექსუალური ცხოვრებისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სქესობრივი ურთიერთობების სფეროში გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობაა. ახალგაზრდებისთვის მეცნიერულად ზუსტი, ავთენტური ინფორმაციის მიწოდება სქესობრივი განვითარების პროცესის ჯანმრთელი და უსაფრთხო მიმდინარეობის განმაპირობებელი ცენტრალური ფაქტორია, განსაკუთრებით ისეთ გარემოში, სადაც ინდივიდების კეთილდღეობას ჯერ კიდევ საფრთხეს უქმნის აივ ინფექციის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, არასასურველი ფეხმძიმობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და გენდერული უთანასწორობის შემთხვევები (United Nations Educational Scientific and Cultural Organization, 2018).

ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლება მოიცავს ინფორმაციის, უნარებისა და ღირებულებების სრულ სპექტრს, რაც ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ საკუთარი სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები და მიიღონ საკუთარ ჯანმრთელობასა და სექსუალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (UNESCO, 2016b).

ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ორგანიზაცია (IPPF), რომელიც რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე დიდი არასამთავრობო ორგანიზაციაა, ბავშვთა პოზიტიური განვითარების შესახებ ხედვისა და გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე აცხადებს, რომ სქესობრივი განათლება უზრუნველყოფს მოზარდებს და ახალგაზრდებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ზუსტი ინფორმაციით, კრიტიკული აზროვნებისა და თვითშემეცნების უნარით და ეხმარება მათ საკუთარი თავისა და გარშემომყოფთა მიმართ პოზიტიური, ჯანსაღი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში (IPPF, 2006).

იმისათვის, რომ ახალგაზრდებს თავიანთი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (SRH – Sexual and Reproductive Health) დაცვა შეეძლოთ, გლობალურმა საზოგადოებამ სქესობრივი განათლების პოლიტიკური ჩარჩო შეიმუშავა. ბოლო წლებში საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), ასევე, მრავალმა

მკვლევარმა და პრაქტიკოსმა ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების (CSE) მხარდაჭერის პროგრამებში სოციალურ კონტექსტს, განსაკუთრებით გენდერსა და უფლებებს გაუსვეს ხაზი. ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების განმსაზღვრელი ყველა ელემენტის ცხადი დეფინიციის შემუშავების მიზნით, CSE-ის ოპერაციულ სახელმძღვანელოში UNFPA კონკრეტულ მახასიათებლებს გამოყოფს (UNFPA, 2014). მათ შორისაა სრული და მეცნიერულად ზუსტი ინფორმაციის მიწოდება შემდეგ საკითხებზე: *ადამიანის უფლებები, გენდერული ნორმები და ურთიერთობები; სხეულის მომწიფება და რეპროდუქცია; ურთიერთობები, კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღება; სექსუალური ჯანმრთელობა, გენდერული თანასწორობა*; CSE-ის საკვანძო კომპონენტია კულტურული შესაბამისობა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს მორგებული მიდგომები. ოპერაციულ სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნაზე, თანამონაწილეობითი ხასიათის ეფექტიანი სწავლების მიდგომების განვითარებაზე, რაც ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის პერსონალიზაციაში და კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაში.

სქესობრივი განათლება საქართველოში

ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ სწავლება, რომელიც ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ნაწილს წარმოადგენს, საქართველოს განათლების სისტემაში რამდენიმე წელია წინააღმდეგობების ფონზე ინერგება. ამ პროცესს თან სდევს მძაფრი დებატები – საზოგადოების გარკვეული ნაწილი რეზისტენტულია, ნაწილისთვის კი თემა სრულად ტაბუირებულია, რაც სქესობრივი განათლების მიზნებისა და შინაარსის შესახებ საკითხებზე საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობის ერთ-ერთი შედეგია. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე ჩატარებულ ეროვნულ კვლევაში აღნიშნულია საქართველოში რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის სფეროში არსებული სისტემური პრობლემები, რომლებიც, ძირითადად, სოციალურ ბარიერებს და ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება. როგორც კვლევაშია აღნიშნული, მოზარდებს არ აქვთ კომპლექსური განათლება, არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას მათ სხეულსა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რაც ზრდის საფრთხის შემცველი ქცევების ალბათობას და განაპირობებს არასრულწლოვანთა ქორწინების და აბორტის მაღალ მაჩვენებელს. ეს ვითარება განსაკუთრებული სიმწვავეთ აისახება ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების უფლებრივ მდგომარეობაზე. როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია (2018) მითითებული, საქართველოში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინება, მაღალია არასრულწლოვანი მშობლობის მაჩვენებელი, ადრეულ ასაკში ფაქტობრივი თანაცხოვრების,

ქორწინების იძულების, მოტაცებისა და, ასევე, არასასურველი ორსულობისა და აბორტების რაოდენობა. ამ ფონზე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების, განათლების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის მიუხედავად, საქართველოში დღემდე გრძელდება დისკუსია სქესობრივი განათლების საჭიროების და შესაძლო უკუშედეგის შესახებ. ჩვენს საზოგადოებაში სქესობრივი განათლების შესახებ უამრავი მითი თუ დამახინჯებული წარმოდგენა არსებობს. არაინფორმირებულობა და ცოდნის ნაკლებობა კარგ ნიადაგს ქმნის საზოგადოებაში სქესობრივი განათლების შესახებ უარყოფითი განწყობების ფორმირებისათვის. ამას ხელს უწყობს კულტურული გარემოც, რომელიც, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს აკრძალვას, ტაბუს და ნორმას საზოგადოებაში.

საქართველოში სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანი, უფრო ზუსტად, პოლარიზებულია. საზოგადოების ფართო ფენებს გაცნობიერებული არ აქვთ, რომ სქესობრივი განათლება, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასთან ერთად, იძლევა პოზიტიურ და ხანგრძლივ ეფექტს ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

2. კვლევის დიზაინი

წინამდებარე კვლევის მიზანია სქესობრივი განათლების საკითხებში საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულების შესწავლა, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებებსა და განწყობებს. ამ კვლევით გვსურდა, მიგვეღო განახლებული, კომპლექსური, სანდო და ვალიდური ინფორმაცია სქესობრივი განათლების საკითხებში მოსახლეობის ინფორმირებულობისა და აფექტურ-ქცევითი განზომილების (განწყობები, დამოკიდებულებები, ჩართულობა) და მასზე ზემოქმედი ფაქტორების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს სქესობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციებს, დასახონ ქმედითი სისტემური ღონისძიებები არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.

კვლევის ფარგლებში შეფასდა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის ინფორმირებულობა, სქესობრივი განათლების პროცესში ჩართულობა (ინფორმაციის მიღება/სწავლა და/ან ინფორმაციის გაცემა/სწავლება), სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებები და განწყობები; სქესობრივი განათლების საკითხებზე კომუნიკაციის სტრატეგიები და კომუნიკაციის ბარიერები; თითოეული სეგმენტის თვითფექტიანობა ისეთ საკითხებზე მსჯელობისას, როგორებიცაა სქესობრივი განვითარება, სქესთა შორის ურთიერთობები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (მაგალითად, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, არასასურველი ფეხმძიმობა) და სხვა.

კვლევაში ყურადღება გამახვილდა იმ მიკრო და მაკრო სოციალური გარემოს (ოჯახი, სკოლა, განათლების სისტემა...) მახასიათებლების შესწავლაზე, რომელშიც ყალიბდება მოსწავლის (და მთლიანად საზოგადოების) ღირებულებები, დამოკიდებულებები და კომპეტენციები. შეგროვდა მრავალფეროვანი კონტექსტუალური მონაცემები სქესობრივი განათლების შესახებ, მოხდა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც აყალიბებს სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებას საზოგადოებაში.

სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების განწყობებისა და კონტექსტუალური ფაქტორების ანალიზისთვის გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია.

თვისებრივი კვლევა

სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ოჯახი, მედია, სამოქალაქო სექტორი, რელიგიური და სხვა ინსტიტუტები თამაშობს. შესაბამისად, თვისებრივ კვლევაში ჩართულები იყვნენ მშობლები, რომლებიც საზოგადოებრივი განწყობების კარგ რეპრეზენტატორებად შეიძლება მივიჩნიოთ, ასევე, რელიგიური

ინსტიტუციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. მომავალი თაობის ინფორმირებულობასა და საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებაში სასკოლო განათლების კრიტიკული მნიშვნელობის გამო, კვლევის სამიზნეს ასევე წარმოადგენს სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი „აქტორები“: პედაგოგები, სკოლის დირექტორები, მოსწავლეები... კვლევის ერთ-ერთი საკვანძო ნაწილია ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზი, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება. ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზი წარმოდგენილია იუნესკოს ჩარჩოს თემების მიხედვით. სრული სურათის მისაღებად, კურიკულუმის ექსპერტებთან ინტერვიუებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, გაანალიზებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. სქესობრივი განათლების საკითხები შესწავლილია ეთნიკური უმცირესობების პერსპექტივიდანაც.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 25 ინტერვიუ და 7 ფოკუსჯგუფი (ნაწილი პირისპირ, ნაწილი კი ზუმის აპლიკაციის გამოყენებით):

- კურიკულუმის ექსპერტები: 2 ინტერვიუ
- მასწავლებლები: 3 ფოკუსჯგუფი (მათ შორის ერთი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან)
- სკოლის დირექტორები: 4 ინტერვიუ
- სტუდენტები: 1 ფოკუსჯგუფი
- მოსწავლეები: 4 ინტერვიუ; 1 ფოკუსჯგუფი (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან);
- მშობლები: 1 ფოკუსჯგუფი, 9 ინტერვიუ (მათ შორის სამი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან)
- არასამთავრობო ორგანიზაციები: 1 ფოკუსჯგუფი, 3 ინტერვიუ
- ეკლესიის წარმომადგენლები: 3 ინტერვიუ მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებთან.

რაოდენობრივი კვლევა

ვინაიდან თვისებრივი კვლევის მიგნებების განზოგადება ფართო პოპულაციაზე არ არის გამართლებული, მიზანშეწონილად ჩაითვალა კვლევის შედეგად გამოვლენილი მკაფიო ტენდენციების შესწავლა/შეფასება ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე.

კვლევა ჩატარდა დედაქალაქსა და საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1798 რესპონდენტმა.

რაოდენობრივი კვლევისთვის შეიქმნა კითხვარი, რომელიც ორიენტირებულია საკვლევი კონსტრუქტის კოგნიტური, აფექტური და ქცევითი კომპონენტების შეფასებაზე.

რაოდენობრივ კვლევაში ნაცადია შემდეგ საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- რამდენად არის ინფორმირებული საზოგადოების ესა თუ ის ნაწილი სქესობრივი განათლების მიზნებისა და დანიშნულების შესახებ
- რამდენად არის გაცნობიერებული საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის მიერ სქესობრივი განათლების მნიშვნელობა
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების ფორმირებაზე
- რა გავლენას ახდენს სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულება სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვასთან დაკავშირებულ აღქმებსა და ქცევებზე
- როგორია საზოგადოების მზაობა, მიიღოს ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ და ჩაერთოს მის ხელშეწყობ აქტივობებში.

კვლევის ამგვარი დიზაინი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მან მოგვცეს სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებებისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის შესახებ არა მხოლოდ აღწერითი, დესკრიპტული ინფორმაცია, არამედ ანალიზისა (გარემოს ეფექტების, გავლენების შეფასების) და შედეგების ინტერპრეტაციის საშუალებაც.

აქვე განვმარტავთ, რომ ლაკონურობისთვის კვლევის ანგარიშში ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ჩამნაცვლებელ ტერმინად გამოყენებულია საქართველოში უფრო დამკვიდრებული ტერმინი „სქესობრივი განათლება“.

3. კვლევის მიგნებები და ძირითადი დასკვნები

თვისებრივი კვლევის ძირითადი დაკვნები ასეთია: *პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია; განწყობები პოლარიზებულია; საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების დანერგვა რთული გამოწვევების წინაშეა.*

ეს დასკვნები ეყრდნობა სამიზნე ჯგუფებისგან მოპოვებულ კომპლექსურ ინფორმაციასა და ფორმალური განათლების მარეგულირებელი საკვანძო დოკუმენტის ანალიზს. კვლევის რაოდენობრივი ნაწილის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი ამდიდრებს ამ მიგნებებს სანდო დასკვნებით, რომლებიც ეხება სქესობრივი განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობისა და მის მიმართ დამოკიდებულებების შესახებ, ასევე, იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ჩამოყალიბებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევის მიგნებები და ძირითადი ტენდენციები სამიზნე ჯგუფებისა და საკვანძო თემების მიხედვით.

ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების შესახებ

მოსახლეობის ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ დაბალია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილის აზრით, სქესობრივი განათლება ადამიანის სხეულის ანატომიისა და გარდატეხის ასაკის თავისუბურებების შესწავლით შემოიფარგლება.

სქესობრივი განათლების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი განსხვავებულია დემოგრაფიული ფაქტორების მიხედვით: ქალები მეტად ინფორმირებულნი არიან, ვიდრე კაცები; ასევე, ახალგაზრდებს მეტად აქვთ ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტებს. ახალგაზრდები (19-35 წლის ასაკის ადამიანები), რომლებიც არიან მშობლები, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი, ვიდრე ისინი, ვისაც არ ჰყავთ შვილი.

ფაქტორები, რომლებიც შეიძლება სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორებად მივიჩნიოთ - დასაქმების სტატუსი, საცხოვრებელი ადგილი (დედაქალაქი/რეგიონი), განათლება, სკოლის სტატუსი (საჯარო/კერძო), რომელშიც დადის რესპონდენტის შვილი - გავლენას ახდენს ინფორმირებულობაზე. რესპონდენტები, რომლებიც დედაქალაქში ცხოვრობენ, ან აქვთ დასრულებული განათლების მაღალი საფეხური, დასაქმებული რესპონდენტები, ან რესპონდენტები, რომლებსაც შვილები კერძო სკოლაში დაჰყავთ, უკეთესად არიან ინფორმირებულები.

დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ

კვლევის ფარგლებში, სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებით შეფასდა. სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების კვლევის შედეგები, დემოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების ჭრილში, სრულად იმეორებს იმ ტენდენციებს, რაც ინფორმირებულობის კვლევისას გამოვლინდა. კერძოდ: სქესობრივი განათლების მნიშვნელობასა და სიკეთეს უკეთ აცნობიერებენ ახალგაზრდები, ქალები, დედაქალაქის მაცხოვრებლები, მაღალი განათლების საფეხურის მქონენი, დასაქმებულები, კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლები (აქ უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, მშობლები ნაკლებად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, ვიდრე ის ადამიანები, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები).

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას მის შესახებ ინფორმირებულობა განაპირობებს. სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება, თავის მხრივ, განაპირობებს ჩართულობას სქესობრივი განათლების ხელშეწყობ აქტივობებში (ანუ ინდივიდის მზაობას, მოიძიოს ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ, ასევე, გაუზიაროს ის სხვას).

ეროვნული სასწავლო გეგმა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შეფასდა ეროვნული სასწავლო გეგმა. კვლევის ფოკუსი ეროვნულ სასწავლო გეგმაზე იმითაა განპირობებული, რომ ის სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების სპეციფიკის განმსაზღვრელ ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს. ამ დოკუმენტით განისაზღვრება, როდის და რას ისწავლიან მოსწავლეები; ასევე, რა არის სწავლა-სწავლების პროცესის მისაღწევი ძირითადი შედეგები. ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზისას ყურადღება გამახვილებულია იმ საგნებზე, რომლებშიც სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე მეტად არის კონცენტრირებული. ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზის ჩარჩოდ გამოყენებულია იუნესკოს სახელმძღვანელო სქესობრივი განათლების შესახებ¹.

ეროვნული სასწავლო გეგმა: შინაარსის შესაბამისობა იუნესკოს ჩარჩოსთან

ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ დოკუმენტში მეტ-ნაკლები სიღრმით არის განხილული იუნესკოს ჩარჩოს ფარგლებში შემავალი თითქმის ყველა საკითხი,

¹ Women, U. N., & UNICEF. (2018). *International technical guidance on sexuality education: an evidence-informed approach*. UNESCO Publishing.

თუმცა არის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც კურიკულუმის თანმხლები სახელმძღვანელოებისა და მასწავლებლების გადამზადების პროგრამებში უნდა იქნას გათვალისწინებული. სასწავლო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ მასში საერთოდ არ არის აღნიშნული რამდენიმე საკვანძო ცნება, რომელიც მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლების კუთხით საჭირო ცოდნის კონსტრუირებისათვის. ეს ცნებებია გენდერი, სქესობრივი ძალადობა, სექსუალური ქცევა, სტიგმა და ა.შ. შესაბამისად, კანონმომიერია რაოდენობრივი კვლევის მიგნება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ნახევარიც კი არ არის ინფორმირებული, რომ გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია, სექსუალური ძალადობის პრევენცია სქესობრივი განათლების საკითხებია².

ამასთან, კურიკულუმში ნაკლებად ჩანს ინტერდისციპლინური მიდგომა, ბმები საბუნებისმეტყველო საგნების ფარგლებში შესწავლილ ფიზიოლოგიურ პროცესებსა და სამოქალაქო განათლების ფარგლებში განხილულ ქცევით ასპექტებს შორის, რაც, სავარაუდოდ, სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ახალგაზრდების დაბალი ინფორმირებულობის ერთ-ერთი მიზეზია.

ეროვნული სასწავლო გეგმა: კონცეპტუალური შესაბამისობა იუნესკოს ჩარჩოსთან

კონცეპტუალური თვალსაზრისით, ეროვნული სასწავლო გეგმის რეფერენციულ ჩარჩოსთან შედარებისას ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება. იუნესკოს ჩარჩოში, მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად, ფოკუსი თანდათანობით ზოგადი საკითხებიდან პიროვნული განვითარების ასპექტებზე გადაინაცვლებს. ამ ლოგიკის საპირისპიროდ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად აქცენტი პიროვნული ასპექტებიდან უფრო ზოგად პროცესებზე - სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებსა და გლობალურ პროცესებზე გადადის. შედეგად, პიროვნული ასპექტის გაშლისას კურიკულუმში ერთგვარი წყვეტაა, რაც მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად (მაღალ კლასებში) პიროვნული განვითარების უფრო კომპლექსური საკითხების თანმიმდევრულად განხილვას აფერხებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური გამოწვევა, რომელიც იუნესკოს ჩარჩოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებისას იკვეთება, არის ის, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში (ესგ) გენდერული და სქესობრივი ძალადობის, კონფლიქტების თემები, ძირითადად, ნორმატიულ ჭრილშია განხილული. ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება ზოგადად ადამიანის ქცევის კავშირზე ფიზიოლოგიურ პროცესებთან. ნაკლებადაა ბმები სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის, რათა მოსწავლემ უკეთ შეძლოს მიუღებელი სოციალური ქცევის გამომწვევი ობიექტური (მათ შორის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური)

² მართალია, ტრადიციულად ეს საკითხები არ იყო ინტეგრირებული ანატომიის სასწავლო პროგრამაში (და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, უცხოა უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის), მაგრამ ახალგაზრდების - 16-18 წლის მოზარდების ინფორმირებულობაც ამ საკითხების შესახებ დაბალია.

მიზნების გააზრება. ეს მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლემ შეძლოს პრობლემების გააზრება და საკუთარი ქცევის მართვისა და კორექტირების სტრატეგიების უკეთესად დაგეგმვა.

ეროვნული სასწავლო გეგმა: სხვა გამოწვევები

სამოქალაქო განათლების შინაარსი იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ პიროვნული განვითარებისა და მიკრო სოციალური ჯგუფების ინტერაქციის თემებს სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გლობალური პოლიტიკის საკითხები ანაცვლებს. შესაბამისად, პიროვნული განვითარების ასპექტები დაწყებით საფეხურზე და VII კლასში უფრო მეტი სიღრმით არის განხილული, ვიდრე VIII-IX კლასებში. ამ მოცემულობის პირობებში, სასწავლო გეგმაში ნაკლებად არის შესაძლებელი კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფებისათვის აქტუალური საკითხების აქცენტირება (მაგალითად, გარდატეხის ასაკი, მშობლობა, სექსუალური ქცევა მეცხრე კლასში).

სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების თანმიმდევრულად განხილვისთვის გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის საგნის „ბიოლოგია“ სტრუქტურაც. ადამიანის ანატომიას და ფიზიოლოგიას მოსწავლეები, ძირითადად, მერვე კლასის ფარგლებში ეცნობიან. მეშვიდე კლასში პუბერტატზე საუბარი ამ საბაზო ცოდნის არარსებობის პირობებში მიმდინარეობს, ხოლო მეცხრე კლასის პროგრამა კონცენტრირებულია ციტოლოგიისა და გენეტიკის საკითხებზე. შესაბამისად, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, ისევე, როგორც სექსუალური ქცევის ასპექტებსა და გარდატეხის ასაკის თავისებურებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა სწორედ იმ ასაკში, როდესაც ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია მოსწავლეებისთვის. ამასთან, სამოქალაქო განათლების ფარგლებში, მერვე და მეცხრე კლასში სწავლების შინაარსი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გლობალური პროცესების შესწავლაზეა ფოკუსირებული; იკვეთება ბიოლოგიასა და სამოქალაქო განათლებას შორის ინტერდისციპლინური ბმების და სინქრონულობის პრობლემა.

სექსუალური ქცევის, სხეულის ხელშეუხებლობის, სხეულის პოზიტიური იმიჯის თემები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველაზე ნაკლებად განხილული საკითხების კატეგორიას მიეკუთვნება.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები ეხმიანება ამ მიგნებას იმ თვალსაზრისით, რომ კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი მხოლოდ ანატომიის საგნის ფარგლებში ტრადიციულად განხილული საკითხების შესახებ არის ინფორმირებული (ადამიანის სხეულის აგებულება და გარდატეხის ასაკის თავისებურებები). ამასთან, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი, დაახლოებით 65% ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ სქესობრივი ჯანმრთელობის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და არასასურველი ორსულობისგან თავის დაცვის საკითხები სქესობრივი განათლების ნაწილია. ეს, საგარაუდოდ, შეიძლება განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჰიგიენის, ასევე, არასასურველი ორსულობის პრევენციის საკითხები მეტად არის აქცენტირებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ის, რომ ესგ-ში არ არის წარმოდგენილი სექსუალური ქცევის, პარტნიორთა უფლებებისა და ა.შ. საკითხები,

სავარაუდოდ, აისახება საზოგადოების ინფორმირებულობაზეც: როგორც ახალგაზრდები, ასევე, უფროსი ასაკის ადამიანები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა პარტნიორთა უფლებები, ღირებულებები და ემოციები, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკითხები, რომლებიც ისწავლება სკოლაში, არ არის „ჩაკეტილი“ სასკოლო სივრცეში. ინფორმაცია მათი სწავლების შესახებ (და არა ცოდნა) გარკვეულწილად ვრცელდება საზოგადოებაში. შესაბამისად, სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას სქესობრივი განათლების მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. აქ, სავარაუდოდ, რეციპროკული მიმართება უნდა დავინახოთ: ერთი მხრივ, საზოგადოება ინფორმირებულია სქესობრივი განათლების იმ საკითხების შესახებ, რომლებიც სკოლაში ისწავლება, და, მეორე მხრივ, იმისათვის, რომ საზოგადოება მზად იყოს სქესობრივი განათლების სკოლაში დასანერგად, საჭიროა მისი მაღალი ინფორმირებულობა (ამას ქვემოთ მოყვანილი ანალიზი დაადასტურებს).

კურიკულუმის ექსპერტთა შეფასებები: ახალი ინიციატივები და კომპრომისები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა 2018 წლიდან დაიწყო. ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საბოლოო რედაქცია დარგის ექსპერტებთან, აკადემიური წრეების, სკოლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად შემუშავდა. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები (WHO, UNESCO, Joint United Nations Programme on HIV/AIDS, International Conference on Population and Development) აღნიშნავენ, სქესობრივი განათლება უნდა იყოს ფაქტებზე დაფუძნებული, არ უნდა იყოს მიკერძოებული, იდეოლოგიურად მოტივირებული ან ცენზურას დაქვემდებარებული (Center For Reproductive Rights, 2010). თუმცა ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაც არ არის ასეთი გავლენებისაგან თავისუფალი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოწვევების ნაწილი, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში გვხვდება (რომელთაც ზემოთ შევხებით), საზოგადოების დაკვეთისა და სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის განწყობებთან კომპრომისის შედეგია; კომპრომისის შედეგია ის ფაქტიც, რომ გეგმაში საერთოდ არ აისახა ისეთი „მწვავე“ და სენსიტიური თემები, როგორებიცაა გენდერული იდენტობა და სქესობრივი განათლება. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ საზოგადოების რეზისტენტულობა ამ თემების მიმართ უარყოფით გავლენას ახდენს იმ ინსტიტუციებზე, რომლებიც, წესით, არსებული ტაბუების დარღვევას და არა მათ გამყარებას უნდა ემსახურობდეს.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში საკითხები, რომლებიც სქესობრივ განათლებას ეხება, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ნაადრევი ქორწინების და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თემებში არის ინტეგრირებული; ზოგადად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში სქესობრივი განათლების აქტუალური საკითხები ფრაგმენტულადაა ასახული. თუმცა ეს არ არის

მხოლოდ ჩვენი სასკოლო განათლების პრობლემა. 2016 წლის გლობალური განათლების მონიტორინგის ანგარიშში დადგინდა, რომ მრავალ ქვეყანაში საბაზისო სასწავლო პროგრამები და განათლების სტანდარტები იშვიათად მოიცავს ჰოლისტურ სქესობრივ განათლებას (UNESCO, 2016a). კვლევების ანგარიშები მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო პროგრამები, ძირითადად, ფოკუსირებულია რეპროდუქციულ ფიზიოლოგიაზე, ხაზს უსვამს თავშეკავებას ან სექსუალური ცხოვრების გადავადებას, ნაკლებად ან არაადეკვატურად იძლევა ინფორმაციას კონტრაცეფციისა და სექსუალური ჯანმრთელობის სხვა საკითხებზე (Lopez, L. M., Bernholc, A., Chen, M., & Tolley, E., 2016; UNESCO and UNFPA, 2012). თვისებრივი კვლევა ცხადყოფს, რომ მსგავსია ეკლესიის წარმომადგენელთა დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ - ისინიც არ არიან ახალგაზრდებისთვის ცოდნის მიწოდების წინააღმდეგნი, თუმცა სწორედ თავშეკავების, მონოგამიის და სქესობრივი ცხოვრების გადავადების აქცენტირებით.

ერთი შეხედვით, ესგ-ის ახალი კონცეფცია, რომელიც სამიზნე ცნებების გარშემო მოიაზრებს სასწავლო თემების ორგანიზებას, მეტ თავისუფლებასა და ყველა იმ საკითხის სწავლების საშუალებას აძლევს მასწავლებელს, რომლებიც გენდერული იდენტობისა და სქესობრივი განათლების საკითხებს უკავშირდება. თუმცა საზოგადოებაში, მათ შორის, მშობელთა ნაწილში არსებული რეზისტენტული განწყობების გამო (რაც კვლევის რაოდენობრივ ნაწილშიც დადასტურდა), პედაგოგები ნაკლებად იჩენენ ინიციატივას და ცდილობენ შესაძლო პრობლემებისა და დაპირისპირების პრევენციას. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს ავტორებსაც ჰქონდათ თავისუფლება, შესაბამისი თემების ფარგლებში განეგრძოთ გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული თემები, თუმცა ამის პრეცედენტი არცერთ სახელმძღვანელოში არ გამოვლენილა.

სამოქალაქო განათლების მიმართულება, წინა თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებით, ყველაზე მეტად გაფართოვდა და განიცდო, თუმცა საზოგადოებრივი განწყობების გავლენით ვერ მოხერხდა ესგ-ში ჰომოფობიის თემის ინტეგრირებაც. ექსპერტთა შეფასებით, ეს შესაძლებელი გახდება, თუ ამ თემასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმება მიიღწევა. ამასთან, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უმნიშვნელოვანესია, ესგ-ში საშუალო საფეხურზე გაჩნდეს სექსუალობასთან და სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული თემატიკა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში სქესობრივი განათლების საკითხების უკეთ ასახვისათვის ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს, შემდეგ ეტაპზე გარკვეული თემების დაწყებით საფეხურზე ინტეგრირების შესაძლებლობასაც. მსგავსი რეკომენდაცია UNESCO-ს დოკუმენტშიცაა აღიშნული, იმ დათქმით, რომ სწავლება მორგებული უნდა იყოს მოზარდის ასაკსა და განვითარების დონეზე. მაგალითად, 4-6 წლის მოზარდი სწავლობს ისეთ თემებს, როგორიცაა მეგობრობა, ემოციები ... მომდევნო საფეხურზე, დამატებით, თანდათანობით შემოდის ისეთი თემები, როგორიცაა სქესობრივი მომწიფება, ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეფცია და სხვა. ბავშვებმა იციან და აღიარებენ ამ ურთიერთობებს გაცილებით ადრე, ვიდრე დაიწყებენ სექსუალურ ურთიერთობებს და ამიტომაც მათ ადრეული ასაკიდანვე

სჭირდებათ უნარები, გააცნობიერონ საკუთარი სხეულებრივი ცვლილებები, შეგრძნებები, ურთიერთობები (UNESCO, 2009).

კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების მიზნების ლეგიტიმაცია ეროვნული სასწავლო გეგმით სქესობრივი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი კომპონენტია. როგორც ცალკეული კვლევები, ასევე, საერთაშორისო სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტები ყურადღებას ამახვილებს კურიკულუმის დანერგვის კომპლექსური მიდგომის საჭიროებაზე, რომელიც მოიცავს მასწავლებლების გადამზადებას, სწავლების მიდგომების და სასწავლო რესურსების განვითარებას, სწავლის შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას და სკოლის დონეზე ხელმწიფი პირობების შექმნას.³

„სქესობრივი განათლება“ სკოლაში

სკოლაში არსებული სოციალური ნორმები და კულტურული მოლოდინები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერებაზე, და პირიქით, საზოგადოებრივი განწყობები აისახება სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ სასკოლო სწავლა-სწავლების პროცესსა და პრაქტიკაზე. კვლევამ ცხადყო, რომ სკოლა საჭიროებს ინსტიტუციურ მხარდაჭერას. საზოგადოებაში არსებული ტაბუ და სტერეოტიპები მნიშვნელოვანი ბარიერია სკოლის დონეზე სქესობრივ განათლებასთან ასოცირებული სენსიტიური თემების სწავლებისას. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ახალგაზრდების სქესობრივ განათლებას, მეტ ბარიერს ხედავს სკოლაში მისი დანერგვის გზაზე, როგორებიცაა რელიგიისა და კულტურულ ტრადიციებთან შეუთავსებლობა, მოსწავლეთა ასაკი, სწავლების ფორმატი და ა.შ.

მოზარდებს ბევრი მითი აქვთ მოსმენილი მათი ფიზიკური განვითარების, სხეულის ცვლილებების, რეპროდუქციულ სისტემაზე ჰორმონალური ეფექტების, ქრონოლოგიური სიმწიფისა და მისი ფსიქოლოგიური გამოვლინებების შესახებ; სკოლამ ეს მითები უნდა ჩაანაცვლოს ასაკისთვის რელევანტური ინფორმაციითა და სამეცნიერო ცოდნით. მიუხედავად ოჯახის როლისა, უპირატესი პასუხისმგებლობა სასკოლო განათლების სისტემას აკისრია. საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა უნდა უხელმძღვანელონ და ჩამოაყალიბონ მოზარდებში სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული სწორი დამოკიდებულებები, განავითარონ შესაბამისი უნარები და კომპეტენციები.

³ International Sexuality and HIV Curriculum Working Group 2011; Haberland 2015; Haberland and Rogow 2015; UNESCO 2015

ახალგაზრდების შეფასებით, დღეს სკოლის როლი ახალგაზრდების ინფორმირებულობაში უმნიშვნელოა. სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოზარდებისთვის იმ მინიმალური ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც აუცილებელია მათი ჯანსაღი სქესობრივი განვითარებისთვის, საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებისათვის.

მოსწავლეთა და სტუდენტთა შეფასებები: სკოლაში სქესობრივი განათლების თემატიკაზე მიღებული ინფორმაციითა და ცოდნით კვლევაში ჩართული მოსწავლეებისა და სტუდენტების კმაყოფილების დონე უკიდურესად დაბალია. მონაწილეთა უმეტესობა ადასტურებს, რომ სკოლაში მასწავლებელმა სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ან უბრალოდ გამოტოვა (აუხსენელი დატოვა), ან მხოლოდ ახსნა და მისი გამოკითხვა აღარ ჩათვალა საჭიროდ. ამასთან, ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია საშუალო განათლების საფეხურზე მოსწავლეების ინფორმირებულობის დონის ამაღლება და ამ პროცესში წამყვანი როლი სკოლას უნდა ჰქონდეს. იმისათვის, რომ, არსებული ტექნოლოგიური პროგრესის და ციფრული განვითარების პირობებში, მოზარდმა თავიდან აიცილოს სხვადასხვა წყაროთი მოპოვებული არასწორი და შეუსაბამო ინფორმაციის გავლენა, უკიდურესად მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ მისთვის საინტერესო თემებზე შეუძლია მიმართოს სკოლაში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს.

მშობელთა შეფასებები: სკოლის ცენტრალურ როლს მომავალი თაობის ინფორმირებაში აღიარებს კვლევაში ჩართულ მშობელთა დიდი ნაწილი. ისინი მიიჩნევენ, რომ სკოლა საკმარისს არ აკეთებს მათი შვილების ინფორმირებისთვის და საჭიროა სასწავლო პროცესებში მეტი სპეციალისტის, მათ შორის სკოლის ფსიქოლოგების ჩართვა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების სპეციალისტებთან უშუალო კომუნიკაციის პროცესში განხილვა.

მასწავლებელთა შეფასებები: პედაგოგთა შეფასებით, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში სქესობრივი განათლების საკითხების სწავლების მიმართულებით არსებითად არაფერი შეცვლილა. თუმცა გაიზარდა იმ მასწავლებლების რიცხვი, რომლებიც საკუთარი მოტივაციით და მონდომებით ახერხებს ამ თემების სწავლებას.

ინფორმირებულობის დაბალი ხარისხის და სქესობრივი განათლების საკითხებისადმი საზოგადოების, მშობლების ნაწილის აგრესიული დამოკიდებულება სასწავლო პროცესისათვის მნიშვნელოვანი ბარიერია. გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების აქტიური გამავრცელებლები ხშირად პედაგოგებიც არიან. როგორც კვლევაში ჩართული პედაგოგები აღნიშნავენ, ამ პროცესში ყველაზე მაღალი მიმდებლობა მოსწავლეებს აქვთ.

ინიციატივიანი მასწავლებელი, რომელიც იწყებს სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებასა და იმ ტაბუირებული თემების განხილვას სკოლაში, რომლებიც მოსწავლეების ფიზიკური, მენტალური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის აუცილებელია, უმეტესად მარტო რჩება მოწინააღმდეგეების პირისპირ. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ

მშობლებისა და კოლეგების კრიტიკის საპირწონედ, სკოლის ადმინისტრაციისგან მეტი მხარდაჭერაა საჭირო, განსაკუთრებით თემთან და მშობლებთან ურთიერთობისას.

სკოლის დირექტორთა შეფასებები: სკოლის დირექტორები აცნობიერებენ ამ სირთულეებს და თვლიან, რომ პედაგოგები საჭიროებენ „ინსტიტუციურად განმტკიცებულ დაცვას“, რათა სქესობრივი განათლების სწავლება ღიად და დაუბრკოლებლად გახდეს შესაძლებელი. მათი შეფასებით, სქესობრივი განათლების მხრივ ვითარების გაუმჯობესება პირდაპირაა დამოკიდებული ამ საკითხებისადმი საზოგადოებაში ზოგადად თუ სხვადასხვა ჯგუფში არსებული რადიკალური დამოკიდებულებების შეცვლაზე. აუცილებელია სქესობრივი განათლების მიზნების, მისი მნიშვნელობის, აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ინტენსიური სამუშაოების, კომპლექსური კამპანიების ჩატარება. რიგ შემთხვევებში თვალსაჩინოა ინფორმაციის ნაკლებობა პედაგოგებშიც. დირექტორთა შეფასებით, რეალობა, როდესაც საკმაოდ გავლენიანი რელიგიური თუ საზოგადოებრივი ჯგუფები უკიდურესად აგრესიულ დამოკიდებულებას ავლენენ სკოლაში სქესობრივი განათლების სწავლებისადმი, სკოლისთვის პირველი ხელისშემშლელი ფაქტორია სწავლების რელევანტური ფორმატით წარსამართად. ხშირად ეს დამოკიდებულებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშობლის პოზიციაზეც. დამოკიდებულებების შეცვლა კი მხოლოდ ხანგრძლივი, წლების განმავლობაში წარმოებული კომპლექსური, ინტენსიური ცნობიერების ამაღლების კამპანიებით, სწავლებით, ტრენინგებით არის შესაძლებელი, რასაც სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დონორების მეტი ჩართულობა და ძალისხმევა სჭირდება.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები განამტკიცებს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს: სკოლაში სქესობრივი განათლების თვალსაზრისით ამჟამად არსებული ვითარების შეფასებისას რესპოდენტები სკეპტიკურები არიან. მათი თითქმის 70% თვლის, რომ „*სქესობრივი განათლების საკითხები, რომლებსაც სკოლაში ასწავლიან, მწირი და არასაკმარისია*“, ის ვერ ეხმარება ახალგაზრდებს სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული უსაფრთხო და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებაში. საზოგადოების უდიდესი ნაწილი აცნობიერებს, რომ სკოლა ვერ უმკლავდება გამოწვევას, რომელიც მოზარდების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფას გულისხმობს. ამის მიზეზად, ერთი მხრივ, საკითხისადმი არასერიოზული დამოკიდებულება ან უხერხულობა სახელდება (როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან), ან მოზარდებისთვის ხარისხიანი განათლების მისაცემად საჭირო ადამიანური თუ მატერიალური (სასწავლო) რესურსების დეფიციტი.

მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი განათლების დანერგვა სკოლაში სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან, საზოგადოების დიდი ნაწილი (67%) აცნობიერებს ამ პროცესის მნიშვნელობას და ეთანხმება მოსაზრებას, რომ „*სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა აუცილებელია*“. კიდევ უფრო მეტი ადამიანი (რესპოდენტთა 76.7%) ხედავს ამ თვალსაზრისით არსებულ გამოწვევას და მნიშვნელოვნად მიიჩნევს საზოგადოების მიერ იმის გაცნობიერებას, რომ სქესობრივი განათლების დანერგვა

აუცილებელია. საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილი (გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მეათედი) ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება და ფიქრობს, რომ „სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვა უფრო მეტი ზიანის მომტანი იქნება, ვიდრე სარგებლის“.

სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის მიმართ ნეგატიურ განწყობებს კვლევის რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა არაინფორმირებულობით, სქესობრივი განათლების თემატიკის და, ზოგადად, ადამიანის სექსუალობის შესახებ არასწორი/დამახინჯებული წარმოდგენებითა და ცრურწმენებით ხსნის.

საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის (15-20%, რაც არც თუ მცირეა) სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა ასოცირდება სქესობრივი ურთიერთობების ნაადრევად დაწყების, არასასურველი ქცევებისა და „ექსპერიმენტების“ წახალისების რისკებთან და მის მაგნე ზეგავლენასთან, ასევე, სქესობრივი განათლების საკითხების კულტურასა და ტრადიციებთან, რელიგიურ წარმოდგენებთან შეუთავსებლობასთან.

საზოგადოების იმ ნაწილის მიერ, რომელიც აცნობიერებს სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, ძირითად უპირატესობად, რაც სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვას აქვს, ყველა მოზარდისთვის მისი თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელდება⁴. მიუხედავად იმისა, როგორია მოზარდების მშობელთა თუ თანატოლების ინფორმირებულობა და დამოკიდებულებები, ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსი თუ კულტურილი კონტექსტი, სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვით ყველა მოზარდს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს მინიმალური ცოდნა მაინც ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროს შესახებ, განივითაროს საჭირო უნარები და ღირებულებები ჰარმონიული სქესობრივი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

როგორც უფროსი ასაკის ადამიანები, ისე ახალგაზრდები ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროდ სკოლას განიხილავენ. რესპონდენტთა დაახლოებით 50% ფიქრობს, რომ ადამიანმა ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ მასწავლებლისგან, ან ფსიქოლოგისგან (ან ექიმისგან) უნდა მიიღოს. „ვისურვებდი, სკოლაში მქონოდა/მქონდეს სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა“, ადასტურებს ჩვენი რესპონდენტების დაახლოებით 70%. თუმცა, ამის მნიშვნელოვან წინაპირობად სასწავლო რესურსების და კომპეტენტური პერსონალის არსებობა სახელდება. ამ მიმართულებით სკოლის გაძლიერების თვალსაზრისით, საზოგადოება მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს სახელმწიფო ინსტიტუტებს. მათი ჩართულობის გაზრდას სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში სკოლის ხელშეწყობის მიმართულებით აუცილებლად მიიჩნევენ რესპონდენტთა თითქმის 80%.

⁴ რესპონდენტთა ნაწილისთვის კვალიფიკური პერსონალისგან ცოდნის მიღების თანაბარი შესაძლებლობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, 26.2% მიიჩნევს, რომ მშობელს უნდა ჰქონდეს უფლება, გადანწყვიტოს, დაესწროს თუ არა მისი შვილი სქესობრივი განათლების გაკვეთილებს.

სასწავლო რესურსი და პედაგოგთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა

სქესობრივი განათლების ეფექტიანად დანერგვა დიდწილადამოკიდებული მასწავლებლების კომპეტენციებზე. კვლევის რაოდენობრივი ნაწილი აჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლების მიღება ახალგაზრდებისთვის, აცნობიერებენ იმასაც, რომ სკოლაში სქესობრივი განათლების დასანერგად საჭირო ადამიანური თუ სასწავლო რესურსების დეფიციტია. სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტები სქესობრივი განათლების დანერგვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მასწავლებლების პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, სწავლების ეფექტიანი მიდგომების გამოყენების ხელშეწყობასა და ხარისხიან სასწავლო რესურსებზე წვდომას განიხილავს. ამ თვალსაზრისით ჩვენი პედაგოგები სერიოზული გამოწვევების წინაშე არიან.

კურიკულუმის ექსპერტთა მხრიდან არსებობს მოლოდინი, რომ იმ თემებს, რომლებიც პირდაპირ არ არის ასახული ეროვნულ სასწავლო გეგმაში (სქესობრივ განათლებასთან და სექსუალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკვანძო საკითხი), მასწავლებლები თავად განაგრცობენ, მაშინ, როდესაც სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული თემები გრიფირებულ სახელმძღვანელოებშიც არასაკმარისად არის ან საერთოდ არ არის განხილული. ასეთ პირობებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია პედაგოგების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა.

მასწავლებლები და დირექტორები სასწავლო რესურსების სიმწირესა და არასაკმარის პროფესიულ მხარდაჭერაზე საუბრისას ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება საჭიროა როგორც შინაარსის, ასევე მეთოდოლოგიურ ნაწილში. მნიშვნელოვანია, ასევე, თავად მასწავლებლების დამოკიდებულებების ცვლილება სქესობრივი განათლების მიმართ. მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხარისხიანი დამატებითი სასწავლო რესურსების შექმნა და მათი ხელმისაწვდომობა. როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შინაარსობრივად და კულტურულად რელევანტური სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, ასევე, მასწავლებლების გადამზადების პროგრამებში, დამატებით, სახელმძღვანელოებსა თუ ინსტრუქციებში ტაბუირებული საკითხების ხაზგასმა და მათი სწავლების სტრატეგიების ათვისების ხელშეწყობა შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო სახელმძღვანელო მითითებებით (განსაკუთრებით ამ საკითხებზე მოსწავლეებთან კომუნიკაციისა და კონფიდენციალობის დაცვის შესახებ).

მასწავლებლების კომპეტენცია და მზაობა განსხვავებულია, ამიტომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ აპრობირებულ, შეჯერებულ, გამოცდილ რესურსებს, რომელთა გამოყენებაც პირდაპირ შეეძლებათ გაკვეთილზე. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ მათ სჭირდებათ უფრო

გრძელვადიანი ტრენინგები, ასევე ფსიქოლოგებისა და სექსოლოგების კონსულტირება რათა დაძლიონ ამ თემაზე კომუნიკაციის ბარიერები. აქვე აღვნიშნავთ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლების ინტერპერსონალური უნარები, ღიაობა ნებისმიერ იმ კითხვაზე პასუხის გაცემისას, რომელიც შესაძლოა მოსწავლეებს გაუჩნდეთ. როგორც ამ სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, ამ საკითხების სწავლების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია ახალი ინფორმაციის მიღების სურვილი, შემოქმედებითობა, ემპათია და კარგი საკომუნიკაციო უნარები, მარტივი და გასაგები ენის გამოყენება (Alexander, Salas, 2017), ასევე, კულტურულად რელევანტური მიდგომები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პედაგოგთა პროფესიული მხარდაჭერის პროგრამებში.

სასკოლო თემის ყველა წარმომადგენელი ერთხმად აღნიშნავს, რომ სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვადასხვა შემთხვევის ეფექტიანი მართვისთვის მნიშვნელოვანია, სკოლა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო განათლებისა და კომპეტენციების მქონე პერსონალით, რომელიც კვალიფიციურ მხარდაჭერას გაუწევს მოსწავლეს. სტუდენტები, პედაგოგები, ეკლესიის წარმომადგენლებიც კი ხაზს უსვამენ ამ პროცესში ფსიქოლოგების, მედიკოსებისა და სექსოლოგების ჩართვის მნიშვნელობას, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვნად გაზრდის მიწოდებული ინფორმაციის სანდოობასა და ვალიდურობას, შესაბამისად, მოსწავლის ნდობის ხარისხს სკოლის მიმართ. ფსიქოლოგები, ექიმები - დარგის სპეციალისტები - ინფორმაციის სასურველ წყაროებად გვევლინება რაოდენობრივი კვლევის შედეგადაც. რესპონდენტთა 50%-ს სექსობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება სწორედ ფსიქოლოგებისგან/ექიმებისგან მიაჩნია რეკომენდებულად.

ცხადია, სირთულეები, რომლებსაც პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუცია და სკოლა ეჭახება სექსობრივი განათლების დანერგვის პროცესში, ზღუდავს მოზარდების ხარისხიან სექსობრივ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. მესამე თაობის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, ეს სფერო კვლავ არსებითი გამოწვევების წინაშეა. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ სექსობრივი განათლება, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასთან ერთად, იძლევა პოზიტიურ და ხანგრძლივ ეფექტს ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და მათ კეთილდღეობაზე. ამ საკითხს სერიოზული ადვოკატირება, ხოლო განათლების სისტემას სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება.

მშობლების ინფორმირებულობა, განწყობები და ჩართულობა

იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობა დაბნეულობისგან, საეჭვო ტაბუებისგან და ცრურწმენებისგან იქნას დაცული, პასუხისმგებლობები სექსობრივ განათლებაზე უნდა გადანაწილდეს მშობლებსა და სკოლაზე. ახალგაზრდების სექსობრივი ჯანმრთელობა დიდად

არის დამოკიდებული იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც მშობლები უნდა თამაშობდნენ შვილების სექსუალური სოციალიზაციის საქმეში.

კვლევა ცხადყოფს, რომ მშობელთა ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია. ამ ფაქტისა და სქესობრივ საკითხებზე საუბრისას საკომუნიკაციო ბარიერების არსებობის გამო, დაბალია შვილის ინფორმირების პროცესში მათი ჩართულობაც.

კვლევის მონაწილე მშობელთა დიდი ნაწილი შვილების სქესობრივი განათლების პროცესზე ძირითად პასუხისმგებლობას სკოლას აკისრებს. პასუხისმგებლობისაგან „გაქცევის“ წინაპირობა უმეტეს შემთხვევაში მშობელთა დაბალი ინფორმირებულობაა - მათ არ იციან, როდის დაიწყონ ამ თემებზე საუბარი, რა ინფორმაცია მიაწოდონ სხვადასხვა ასაკის მოზარდებს და როგორ... ამ საკითხებზე კომუნიკაციის ადეკვატური გზების შერჩევა მათთვის დიდი გამოწვევაა. მშობელთა ნაწილს აშფოთებს დამახინჯებული ინფორმაციისა და არასანდო წყაროების გავლენა თავიანთ შვილებზე. ამიტომ ამჯობინებენ, სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმაცია ბავშვებმა რეგულირებული და სისტემური სახით ფორმალური განათლების ფარგლებში მიიღონ. დაბალი ინფორმირებულობის შედეგია ხშირად მშობლის მიერ ამ საკითხებზე მსჯელობის გადავადება. ამ პერიოდში კი მოზარდები ინფორმაციას სხვა წყაროებიდან იღებენ... არაეფექტიანია იმის მოლოდინში ყოფნაც, თუ როდის წამოჭრიან შვილები ამ თემას.

მშობლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ შვილების ინფორმირებულობას ორგანული სისტემების განვითარებაზე, სხეულის ცვლილებებზე, რეპროდუქციულ სისტემაზე ჰორმონალური ცვლილებების ეფექტებზე, ქრონოლოგიურ სიმწიფესა და მის ფსიქოლოგიურ გამოვლინებებზე, სქესობრივ ჯანმრთელობასთან ასოცირებულ სხვადასხვა საკითხზე. თუმცა ისინი დარწმუნებულები არ არიან, რომ თავად კვალიფიციურად შეასრულებენ შვილების ინფორმირების ფუნქციას. ამის მიზეზი, ცოდნის სიმწირესთან ერთად, შეიძლება სხვა ფაქტორებიც იყოს. ეს მიზეზები შეიძლება ვარიერებდეს ინდივიდუალური ფაქტორებიდან, ოჯახურ, საზოგადოებრივ და სოციალურ ფაქტორებამდე.

კვლევა ცხადყოფს, რომ სქესობრივი განათლების მიმართ მშობელთა დამოკიდებულებები ნაკლებად პოზიტიურია, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომლებიც მშობლები არ არიან. დემოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური ფაქტორები გავლენას ახდენს მშობელთა მიერ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებაზე. მაგალითად, რეგიონში მცხოვრები მშობლების შეხედულებები უფრო თავშეკავებულია. შეიმჩნევა დამოკიდებულებებში სხვაობები მშობლის სქესის და განათლების საფეხურის მიხედვითაც. დედები უფრო მეტად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას თავიანთი შვილებისთვის, ვიდრე მამები. მშობლები, რომლებსაც განათლების მაღალი საფეხური აქვთ დასრულებული, სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით, არ განსხვავდებიან მათგან, ვინც მშობელი არ არის - უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებებს ავლენენ, ვიდრე ისინი, ვინც განათლების დაბალი საფეხური დაასრულა.

კვლევაში ჩართული მოზარდები და სტუდენტები ხაზს უსვამენ მშობლებთან ღია და დროული კომუნიკაციის მნიშვნელობას. მშობელს გარკვეული კომპეტენციები სჭირდება იმისთვის, რომ ამ საკითხებზე შვილთან მსჯელობისას შექმნას ერთმანეთის პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემით გამსჭვალული, ღია ატმოსფერო, პირად ცხოვრებაში შეჭრისა და ზედმეტი პერსონალიზაციის გარეშე. ასეთი ბალანსის მიღწევა მშობლებისაგან კომუნიკაციაში მაღალ კომპეტენტურობას და თვითფექტიანობის განცდას მოითხოვს.

არაფორმალური სქესობრივი აღზრდის მიმართულებით მშობლების მზაობა მაღალია და ამ პროცესში მათ სერიოზული მხარდაჭერა სჭირდებათ, თუნდაც ზრდასრულთა განათლების პროგრამების სახით.

კვლევა აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია ინფორმირების დონის ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა და იმპლემენტაცია ყველა სამიზნე ჯგუფისთვის. აუცილებელია როგორც სკოლის პერსონალის, ასევე მშობლების ინფორმირებაზე ზრუნვა. მშობლებისთვის განსაკუთრებით საჭიროა ცოდნა იმის თაობაზე, თუ როგორ მოიპოვონ შვილების ნდობა, როგორ მიაწოდონ მათ სქესობრივი განათლების თემატიკასთან დაკავშირებული ინფორმაცია ტრავმირებისა და სტრესის გარეშე, როდის და რა ფორმით დაიწყონ ამ თემაზე კომუნიკაცია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობელთა მზაობა, ჩაერთონ სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მოძიების ან შვილების ინფორმირების აქტივობებში, მაღალი არ არის. მშობლები სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის პროცესშიც მეტ ბარიერს ხედავენ, ვიდრე რესპონდენტები, რომლებიც მშობლები არ არიან.

როგორც ზემოთ ითქვა, მშობელთა გარკვეული ნაწილი - ახალგაზრდა დედები, რომლებსაც აქვთ საშუალო, პროფესიული ან საბაკალავრო განათლება, სკეპტიკურად არიან განწყობილნი სქესობრივი განათლების მიმართ და ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა. მაგალითად, მათი დაახლოებით 40% ნაწილობრივ მაინც ეთანხმება ამრს, რომ „სკოლაში ისეთ ინტიმურ თემაზე საუბარი, როგორიც სქესობრივი ურთიერთობებია, ეწინააღმდეგება ჩვენს კულტურას, ტრადიციებს“, ხოლო 50%-ზე მეტი ნაწილობრივ მაინც იზიარებს მოსაზრებას, რომ „სკოლაში სქესობრივი განათლების თემატიკა უნდა შეთანხმდეს რელიგიური ინსტიტუციების წარმომადგენლებთან“. ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ სქესობრივი განათლების მიღებაში მშობლები გარკვეულ რისკებს ხედავენ. მაგალითად, მათი თითქმის ნახევარი (49.2%) ნაწილობრივ მაინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხების სწავლებამ შესაძლოა ნაადრევი სქესობრივი ურთიერთობები, „ექსპერიმენტები“ ან არასასურველი ქცევები წაახდლოს“. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მშობლების 40%-სთვის ნაწილობრივ მაინც მისაღებია, რომ „სქესობრივ განათლება ადამიანმა თავისთავად მიიღოს, სქესობრივი ცხოვრების დაწყებასთან ერთად“.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მშობლები, რომლებიც სქესობრივი განათლების შესახებ მეტად ინფორმირებულნი არიან, უფრო ცხადად აღიქვამენ სქესობრივი განათლების

ხელმისაწვდომობის საჭიროებას, ხარისხიანი სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას, ვიდრე ნაკლებად ინფორმირებული მშობლები. შესაბამისად, მშობლების ინფორმირებულობის ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები, მათი გაძლიერება ამ თვალსაზრისით (რის საჭიროებასაც დანამდვილებით ხედავს კვლევაში ჩართული რესპონდენტების დაახლოებით 65% და მშობლების 60%) პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის ადვოკატირებაზე მომუშავე პროფესიონალებისთვის.

ახალგაზრდები: ინფორმირებულობა და განწყობები

მომზარდები სქესობრივი განათლების პირდაპირი სამიზნე ჯგუფია, ამიტომ რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა 16-18 წლის ახალგაზრდების მონაცემებზე. მათთან ერთად როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ კვლევაში სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

16-18 წლის ახალგაზრდები სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ მაღალი ინფორმირებულობით არ გამოირჩევიან. მათ უჭირთ სქესობრივი განათლების საკითხების სწორად იდენტიფიცირება. ვინაიდან ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების მნიშვნელოვანი პრედიქტორია, ხოლო პოზიტიური დამოკიდებულება, თავის მხრივ, სქესობრივი განათლების მიღების მაღალ მოტივაციას და ჩართულობას განაპირობებს, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა, რაც ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხიანი სქესობრივი განათლების დანერგვით მიიღწევა.

ახალგაზრდების დამოკიდებულება სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ ცალსახად პოზიტიურია (მიუხედავად ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებლისა). ახალგაზრდები უკეთესად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, ვიდრე 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები. მათი 77.3% მიიჩნევს, რომ *„სქესობრივი განათლება მნიშვნელოვანია ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისთვის“*, დაახლოებით 80% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სქესობრივი განათლება იცავს ახალგაზრდებს ისეთი საფრთხეებისგან, როგორებიცაა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, არასასურველი ორსულობა, სექსუალური დისფუნქციები და სექსუალური ძალადობა. შესაბამისად, ისინი სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის აუცილებლობასაც ხედავენ - 73.4%-ის აზრით, *„სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა აუცილებელია“*.

ახალგაზრდების შეფასებით, მნიშვნელოვანია საშუალო განათლების საფეხურზე მოსწავლეების ინფორმირებულობის ღონის ამაღლება და ამ პროცესში წამყვანი როლი

სკოლას უნდა ჰქონდეს. იმისათვის, რომ არსებული ტექნოლოგიური პროგრესისა და ციფრული სამყაროს ინტენსიური განვითარების პირობებში მოზარდმა თავიდან აიცილოს ინტერნეტით, ნაკლებად სანდო მედიასაშუალებებით არასწორი და შეუსაბამო ინფორმაციის გავლენა, უკიდურესად მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ მისთვის საინტერესო თემებზე შეუძლია მიმართოს სკოლაში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს. რეალობა კი ასეთია: სკოლაში სქესობრივი განათლების თემატიკაზე მიღებული ინფორმაციითა და ცოდნით კვლევაში ჩართული ახალგაზრდების კმაყოფილების დონე უკიდურესად დაბალია. 16-18 წლის ახალგაზრდების 75.3% მიიჩნევს, რომ „*სქესობრივი განათლების საკითხები, რომლებსაც სკოლაში ასწავლიან, მწირი და არასაკმარისია*“. ახალგაზრდები მწვავედ აღიქვამენ სკოლაში სქესობრივი განათლებისთვის საჭირო ადამიანური თუ სასწავლო მასალების დეფიციტს, ისინი შეფასებებისას თავიანთ აქტუალურ გამოცდილებას ეყრდნობიან და, შესაბამისად, რეალურად ხედავენ, რომ სკოლებს დღეს არ ჰყავთ სქესობრივი განათლების მიმართულებით კომპეტენტური კადრები და არ აქვთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ მომზადებული სასწავლო მასალა.

კანონმომიერია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც მწვავედ განიცდიან ხარისხიანი სქესობრივი განათლების მისაღებად საჭირო რესურსების დეფიციტს, გამოთქვამენ მზაობას, აქტიურები იყვნენ სქესობრივი განათლების მიღების პროცესში, ჩაერთონ მის ხელშეწყობ აქტივობებში, ანუ პოზიტიური დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ, მისი მნიშვნელობის გაცნობიერება აისახება ახალგაზრდების ქცევაზე.

ახალგაზრდები წუხილს გამოთქვამენ საზოგადოებაში გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერულად უთანასწორო შეზღუდვების თაობაზე (მაგ., ბიჭებისთვის დაშვებული და მეტიც, წახალისებულია ადრეული ასაკიდან სექსუალური ურთიერთობები, ხოლო გოგონებისთვის - არა). ამის საფუძვლად ისინი ინფორმირებულობის დაბალ დონეს ასახელებენ.

ახალგაზრდები მშობლებთან კომუნიკაციის სირთულეებზე, უხერხულობასა და სხვა ბარიერებზე საუბრობენ, რის ერთ-ერთ მიზეზადაც მშობლების ფსიქოლოგიური მზაობის სიმცირეს ასახელებენ. თუმცა იდეალურ შემთხვევაში, მშობელს სქესობრივი განათლების გამტარ საკვანძო აგენტად მიიჩნევენ და ხაზს უსვამენ მშობელთან ღია და დროული კომუნიკაციის მნიშვნელობას.

კომუნიკაცია

ინფორმაციის წყაროები

მოსწავლეები სქესობრივი განათლების მიღების რამდენიმე წყაროს გამოყოფენ, ესენია: მეგობრები, ინტერნეტი, სოციალური მედია, მშობლები. ისინი არ უარყოფენ, რომ მეგობრების

მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლოა შორს იყოს რეალობისგან, თუმცა ყველაზე კომფორტულად ამ საკითხებზე კომუნიკაციისას თავს მათთან გრძნობენ. შემდეგი ყველაზე გავრცელებული წყარო ინტერნეტი და სოციალური მედიაა (სხვადასხვა თემატური ჯგუფები, საინფორმაციო ვებგვერდები). იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე, ციფრულ სამყაროში ტექნოლოგიებთან წვდომას მოზარდები ზედმეტი გამოწვევების გარეშე ახერხებენ, ციფრული მედია სქესობრივი განათლების ერთ-ერთი წამყვანი წყაროა. ახალგაზრდები აღნიშნავენ ამ საშუალებით ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმრავლეს და მისი სათანადოდ გაფილტვრის აუცილებლობას, თუმცა ის, რაც ციფრული მედიის კომფორტულობას განაპირობებს, ინფორმაციის მიღებისას ანონიმურად დარჩენის შესაძლებლობაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი შეფასებით, სკოლის როლი ახალგაზრდების ინფორმირებულობაში უმნიშვნელოა. მშობლები, მიმართვიანობის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ბოლო ადგილზე არიან. მაშინ, როცა მშობლები სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმირების წყაროებს შორის დომინანტურ ფუნქციას უნდა ასრულებდნენ. რაოდენობრივი კვლევის შედეგები სწორად ამას მოწმობს. ინფორმაციის სასურველ წყაროებს შორის მშობლებს ახალგაზრდების დაახლოებით 45% ასახელებს, რაც, სხვა წყაროებთან შედარებით, მაღალი მაჩვენებელია. პრიორიტეტულ წყაროებად (დაახლოებით 50%-ის მიერ) სახელდება ან ასევე მასწავლებლები, ფსიქოლოგები, ექიმები - „ფორმალური“ უფროსები, რომლებიც მაღალი კომპეტენციის მატარებელი არიან და შეუძლიათ სწორად მიაწოდონ ახალგაზრდებს ზუსტი ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ.

კომუნიკაციის ბარიერები

სქესობრივი განათლების საკითხებზე კომუნიკაციის პროცესზე გავლენას ახდენს გარკვეული ფაქტორები, მათ შორისაა მშობლისა და ბავშვის სქესი, განსახილველი საკითხების სპეციფიკურობა, უხერხულობა, მშობლების კომუნიკაციის სტილი და სხვა.

სქესი, სქესობრივი დინამიკა

თვისებრივი კვლევის საფუძველზე კომუნიკაციის პროცესში ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორად მოზარდის სქესი გამოიკვეთა. გოგონები, ჩვეულებრივ, უფრო ხშირად ისმენენ სქესობრივ საკითხებთან დაკავშირებულ საუბარს დედების მხრიდან, ვიდრე ბიჭები. გოგონებთან დედები მეტად ახერხებენ საერთო ენის გამოწახვას, გოგონებისთვისაც დედა უფრო „კომფორტული“ მოსაუბრეა.

კვლევაში ჩართულ მამებს არ აქვთ შვილებთან სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრის გამოცდილება (თუმცა, მამებიც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ სახელდება რაოდენობრივ კვლევაში). გარდატეხის ასაკის სანყის ეტაპზე ბავშვები შეკითხვებით დედებს მიმართავდნენ. მოგვიანებით კი მათი „განმანათლებლები“ მეგობრები აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, მამები მიიჩნევენ, რომ სქესობრივი განათლება იცავს ახალგაზრდას მატრავმირებელი გამოცდილებებისგან, რისკები კი არაკომპეტენტური

წყაროებით ინფორმაციის მიღებისას ჩნდება. შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში სქესობრივ თემატიკაზე კომუნიკატორის წამყვანი როლი, ჩვეულებრივ, დედას აქვს, მამის ფუნქცია კი ამ თვალსაზრისით გამოკვეთილი არ არის. ეს შედეგები სხვა კვლევითი მონაცემების კონსისტენტურია (Tobby, Hillman, Anagurthi, & Somers, 2011).

ინფორმირებულობა და კომუნიკაციის სტილი

მშობლებისა და შვილების კომუნიკაციაში მნიშვნელოვანი ბარიერი შეიძლება იყოს მშობლის დაბალი ინფორმირებულობა ან ამ საკითხებზე საუბრისას შეუსაბამო სტრატეგიისა და ტონის შერჩევა. რაც მთავარია, გავლენა, რომელსაც მშობლები შვილების სქესობრივ ქცევებზე ახდენენ, დიდწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ კომუნიკაციის სიხშირეზე, არამედ ამ კომუნიკაციის ხარისხზე – რამდენად ღიად საუბრობენ ისინი შვილებთან, რამდენად აწვდიან მათ რელევანტურ და საჭირო ინფორმაციას.

ახალგაზრდების შეფასებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მშობელმა არ გადაავადოს ბავშვის შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ამასთან, თავს არ მოახვიოს მას ეს თემა მანამ, სანამ ბავშვისგან არ წამოვა ინტერესი.

კომუნიკაციის შინაარსი

თვისებრივი კვლევა ცხადყოფს, რომ მშობლებისა და შვილების კომუნიკაციის შინაარსი, ძირითადად, ფოკუსირებულია არა შვილის ინფორმირებულობაზე, არამედ იმ საფრთხეების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც დაკავშირებულია მათ მომავალთან. მშობლები შვილებს ესაუბრებიან ნაადრევი სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავებაზე, როგორც მათი მომავალი წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაზე. მშობლები ხშირად საკუთარი თუ სხვისი გამოცდილების გაზიარებით, ამ გამოცდილების დადებით, უფრო მეტად კი უარყოფით მხარეებზე ხაზგასმით ცდილობენ საკუთარი შვილების დაცვას წინდაუხედავი ნაბიჯებისაგან. ამგვარი შედეგები გვხვდება სხვა კვლევებშიც, რომლებიც ცხადყოფს, რომ ოჯახებში სქესობრივი ურთიერთობების საკითხებზე კომუნიკაციისას ხშირად ხაზგასმულია მომავლის გეგმები, სადაც პრიორიტეტული განათლებაა (McKee & Karasz, 2006); მშობლების მხრიდან, სექსუალური ქცევა განიხილება დაბრკოლებად ოცნების მიღწევის (განათლების, დასაქმების, წარმატების) გზაზე (Jaccard et al., 2003 Akers et al., 2010; Meschke & Peter, 2014; Murray et al., 2014).

ნაკლებ სავარაუდოა, რომ მშობლების მიერ ინფორმირებულობის მიზნებიდან აქცენტის გადატანა მხოლოდ შეგონებებზე ისეთივე ეფექტური იყოს, როგორც ასაკისთვის შესაბამისი, ავთენტური ინფორმაციის მიწოდება. როგორც არაერთი კვლევა აჩვენებს, ინფორმირებული მოზარდი უფრო მეტად არის დაცული სექსუალური ხასიათის ძალადობისა და სხვა მატერავშირებული გამოცდილებისაგან. ინფორმაციის ნაკლებობა კი წარმოშობს ისეთ მწვავე პრობლემებს, როგორებიცაა ადრეული ქორწინება, ნაადრევი ორსულობა და სხვა.

უხერხულობა

სქესობრივი განათლების საკითხებზე კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დამაბრკოლებელი ფაქტორი უხერხულობის განცდაა. ჩვენს სამოგადოებაში სქესობრივი საკითხები ერთგვარი ტაბუირებული თემაა, კვლევა ცხადყოფს, რომ მასზე მსჯელობა უხერხულობას ქმნის ყველა დონეზე.

თვალსაჩინოა მშობლების მხრიდან შვილთან ამ საკითხებზე საუბრის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება. მშობლები არაკომფორტულად გრძნობენ თავს შვილთან ამ საკითხებზე საუბრისას, აქვთ უხერხულობის განცდა და ამიტომ ხშირად თავს არიდებენ პირდაპირ კომუნიკაციას. მშობელთა ამრიტ, სქესობრივი განვითარების საკითხებზე საუბარი უხერხულობას უქმნის ბავშვებსაც - ამ საკითხებზე საუბარი არაკომფორტულია ორივე მხარისათვის. მშობლები უხერხულობას სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის ბარიერადაც განიხილავენ. მათი დაახლოებით 60% რაოდენობრივ კვლევაში აღნიშნავს, რომ „*სქესობრივი განათლების საკითხებზე სკოლაში საუბარი მხოლოდ უხერხული და საღლაპუცოა*“. მასწავლებლებსაც უჭირთ დაძლიონ ეს უხერხულობა და ურჩევნიათ ნაკლებად ან საერთოდ არ ისაუბრონ სენსიტიურ თემებზე.

იმ პედაგოგებსაც კი, რომლებსაც აქვთ მოტივაცია, ღიად ისაუბრონ სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არა აქვთ სრული მზაობა, უჭირთ უხერხულობის გარეშე საუბარი. მასწავლებლებს, სავარაუდოდ, იმის გამო უჩნდებათ გარკვეული შიში, უხერხულობა ადამიანის სექსუალობის შესახებ საუბრისას, რომ ისინიც სოციალური კონსტრუქტების მატარებლები არიან, რომლებიც გაჭერებულია სექსუალობის თემასთან დაკავშირებული ცენზურით, შიშით და „სიჩუმით“. ეს კი ხელს უშლის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულად და სწორად მიწოდებას. სქესობრივი განათლების სწავლა-სწავლების პროცესში მსგავსი ტენდენციები აღწერილია სხვა კვლევებშიც (Aguilar, 2015; Bejarano and Mateos, 2016; Díaz and Anguita, 2017; Montero et al., 2017; Cordero and Dumrauf, 2017; Navarro et al., 2018; Manzano and Jerves, 2018).

ნაკლებად პრობლემურია თავად მოსწავლეებისათვის სქესობრივი და რეპროდუქციული განათლების საკითხებზე საუბარი გაკვეთილზე თუ არაფორმალურ ფორმატში. პედაგოგების შეფასებით, მიუხედავად კომუნიკაციის საწყის ეტაპზე არსებული ბუნებრივი უხერხულობებისა, რომელიც სწორი სტრატეგიის შერჩევისას მალევე ქრება, მოსწავლეები უშუალონი და გულწრფელები არიან. ისინი საგნის მნიშვნელობასაც სწორად აფასებენ და ინტერესსაც იჩენენ, რასაც ადასტურებს კვლევის ფარგლებში თავად მოსწავლეების შეფასებები, მათი მოტივაცია და ინტერესი.

სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი ამცირებს უხერხულობის განცდას. ამის მაგალითია ფონდ „თანადგომასთან“ თანამშრომლობით ესგ-ის ბიოლოგიის ჯგუფის მიერ გარდატეხის ასაკის შესახებ (მე-7 კლასისათვის) მომზადებული მზა გაკვეთილების სცენარები. პილოტირებამ ცხადყო, რომ შესაბამისი მომზადების პირობებში არც მასწავლებლებს და არც მოსწავლეებს არ

ჰქონდათ უხერხულობის განცდა გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული საკითხების სწავლებისას.

სქესობრივი განათლება ეთნიკური უმცირესობების პერსპექტივიდან

ეთნიკურ უმცირესობებთან იდენტიფიცირდება ყველა ის ტენდენცია, რომელიც ზემოთ აღვწერეთ. იმ განსხვავებით, რომ აქ პრობლემები გაცილებით უფრო მწვავედაა გამოვლენილი.

ეთნიკური, კულტურული თავისებურებები, რელიგიური ასპექტები თუ, ზოგადად, ტრადიციები დღეისათვის დაუძლეველი ბარიერია სკოლებში თუ სხვა საინფორმაციო და საგანმანათლებლო ფორმატში სქესობრივი განათლებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სწავლების თვალსაზრისით. თვისებრივი კვლევა ეთნიკური ამერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ თემში ჩატარდა, ხოლო რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 100 (შერჩევის 5.6%) ამერბაიჯანულენოვანი და 99 (5.5%) სომხურენოვანი რესპონდენტი. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ინფორმირებულობის, ისე სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ფაქტორების მიხედვით, ქართულენოვან მონაწილეებს გაცილებით მაღალი საშუალო მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე ამერბაიჯანულ- და სომხურენოვან მონაწილეებს⁵.

ეთნიკური ამერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ თემში მასწავლებლების, მშობლების და ახალგაზრდების დამოკიდებულებების კვლევისას განსხვავებული რაკურსით, თუმცა თვალსაჩინოდ წარმოჩინდა სქესობრივი განათლების დანერგვის ბარიერები. ოჯახებში არა მხოლოდ სქესობრივი განათლების, არამედ გარდაუვალ ფიზიოლოგიურ ცვლილებებზე საუბრის ტრადიციაც კი არ არსებობს. საზოგადოებაში, სკოლაში ამ საკითხებზე საუბარი თემის წარმომადგენელთა უმეტესობისათვის მიუღებელია. მიუხედავად ბოლო დროს ჩატარებული ცნობიერების ამაღლების სამუშაოებისა, რომლებიც უშუალოდ ნაადრევ ქორწინებას შეეხებოდა, ნაადრევი ქორწინებების სიხშირე მაინც მაღალია და ასეთი ფაქტები დღესაც ნორმად მიიჩნევა.

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ტრადიციებისა და გავრცელებული დამოკიდებულებების ერთგვარ ტყვეობაში იმყოფებიან პედაგოგებიც – რესურსების ნაკლებობა აშკარა პრობლემაა, თუმცა მეორეხარისხოვანი - პედაგოგები საგნის სრული და საჭირო ფორმატით სწავლებას უკიდურესი სიფრთხილით ეკიდებიან, ხშირად მხოლოდ აუცილებელი განმარტებებით შემოიფარგლებიან. მიუხედავად იმისა, რომ საუბრობენ მხარდაჭერის, ტრენინგების,

⁵ თუმცა აღნიშნული განსხვავება შეიძლება განპირობებული იყოს საცხოვრებელი ადგილის კონტექსტით - დასახლების ტიპით. სქესობრივი განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ინტერვენციები სწორად ამ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს.

რესურსების არსებობის საჭიროებაზე, ცხადად ჩანს, რომ მთავარი პრობლემა ის გამეფებული დამოკიდებულებები და უხერხულობაა, რომელიც მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სასწავლო პროცესის წარმართვას.

საგნის სწავლება არსებულ ვითარებაში, თუნდაც გამოკვეთილად სენსიტიური თემების გარეშე, მხოლოდ გენდერული ნიშნით განცალკევებულ კლასებში იქნება შესაძლებელი – ამ აზრს ეთანხმება და ერთადერთ შესაძლებლობად მიიჩნევს თვისებრივი კვლევის ყველა ამერბაიჯანულენოვანი მონაწილე, რომელიც მომხრე ან ნაკლებად რადიკალურად წინააღმდეგია სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არსებული რადიკალური თუ პასიურად ნეგატიური დამოკიდებულებების, ინფორმაციის მიღებისა და მიწოდების მიმართ რეზისტენტულობის დაძლევა, დიდი ალბათობით, თაობის ცვლილებასთან ერთად თუ იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, ასევე სქესობრივი განათლების ხელშეწყობას სკოლასა თუ მის გარეთ, ასეთი ინიციატივების ფუნქცია და მნიშვნელობა სწორედ ზემოთ აღნიშნული ცვლილების ინტენსიფიკაცია შეიძლება იყოს.

სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის მხარდამჭერები, საგარეოდ, მოსწავლეები, ახალგაზრდები იქნებიან – ისინი გაცილებით პროგრესულად უდგებიან ამ საკითხის შეფასებას და სრულად აცნობიერებენ სქესობრივი, რეპროდუქციული განათლების, ჯანმრთელობის შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიღების საჭიროებას, მით უმეტეს, არსებული რეალობის გათვალისწინებით (ტაბუდადებული თემები, ნაადრევი ქორწინებები, ინფორმაციული ვაკუუმი). ისინი საკმაოდ კრიტიკულად უდგებიან როგორც პედაგოგების დამოკიდებულებას, რომლებიც, მათი აზრით, პრაქტიკულად არ ასწავლიან ესგ-ით გათვალისწინებულ სქესობრივი განათლების საკითხებს და, პირიქით, გარკვეულწილად თემის მეტ ტაბუირებასაც კი ახდენენ, ასევე მშობლების, საზოგადოების მხრიდან საკითხების მიმართ არსებულ კატეგორიულად ნეგატიურ დამოკიდებულებას.

სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობისა და მის მიმართ დამოკიდებულების ეთნიკურ ჭრილში გაანალიზებისას გასათვალისწინებელია, რა ტიპის დასახლებაში ცხოვრობენ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ დედაქალაქში მცხოვრებთა დამოკიდებულებები სტატისტიკურად არსებითად უფრო პოზიტიურია, ვიდრე სოფლის მოსახლეობისა. როგორც ჩანს, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რაც გავლენას ახდენს დამოკიდებულებების ფორმირებაზე, სოფლის ტიპის დასახლებებში დაბალია. შესაბამისად, როდესაც ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებული რეგიონების წარმომადგენელთა ინფორმირებულობასა და დამოკიდებულებებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ მათი გარემოს კონტექსტიც.

შემზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეები და სქესობრივი განათლება

თვისებრივი კვლევის ფარგლებში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისა და სკოლის დირექტორთა მონათხრობიდან ჩანს, რომ მენტალური დარღვევებისა და სხვა შემზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, თანატოლებთან შედარებით, უფრო მეტ სირთულეებს აწყდებიან ჯანსაღი სქესობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. კვლევებიც აჩვენებს, რომ ისინი 3-ჯერ უფრო მეტად ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლები. მკვლევრები აღიარებენ საზოგადოების ნაკლებ მზაობას, გადაჭრან მათი სქესობრივი ხასიათის პრობლემები, განსაკუთრებით მენტალური პრობლემების მქონე ახალგაზრდების შემთხვევაში „უფრო მეტიც, ისინი ხშირად განიცდიან სექსუალურ მიუღებლობას, ან ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი თავისი თანატოლების, ან მომვლელების მხრიდან“ (Elissa M. Howard-Barr, Barbara A. Rienzo, R. Morgan Pigg, Jr, Delores James; 2005). ამ სფეროში გამოწვევებისა და სირთულეების გათვალისწინებით, შესაბამისმა ინსტიტუციებმა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგან შუშ პირთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად⁶. სქესობრივი განათლების საკითხებში ავთენტური ინფორმაციის ფლობა და სერვისების ხელმისაწვდომობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მათგანმა სრულფასოვანი, ღირსეული ცხოვრებით იცხოვროს.

ეკლესიის წარმომადგენელთა დამოკიდებულება სქესობრივი განათლებისადმი

ნებისმიერ ქვეყანაში სქესობრივი განათლების წარმატებით დანერგვის მნიშვნელოვანი წინაპირობა ქვეყნის კულტურული კონტექსტის გათვალისწინებაა. სქესობრივი განათლება მჭიდრო კავშირშია კულტურულ ღირებულებებთან, სოციალურ კონტექსტსა და ეთიკის გაბატონებულ კოდექსთან, რომლის შემუშავებისას რელიგია დომინანტური ფაქტორია. სქესობრივ განათლებაზე რელიგიური და სოციალური ფასეულობების გავლენის შემცირებისა და სამეცნიერო ცოდნის მზარდი გავლენის მიუხედავად, ეკლესიის გავლენა სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებების ფორმირებაზე დღესაც თვალსაჩინოა.

ამას ჩვენი კვლევის რაოდენობრივი ნაწილის შედეგების ანალიზიც ადასტურებს. რესპონდენტთა დაახლოებით 80% ნაწილობრივ მაინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ჩვენს

⁶ იმისთვის, რომ საკანონმდებლო ბაზა და პროგრამები შესაბამისობაში მოვიდეს შუშ პირთა უფლებების კონვენციასთან, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისმა 2020 წელს მოამზადა „შემზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკანონმდებლო ანალიზი, სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა და რეკომენდაციები გაეროს შემზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან მიმართებაში“ (<https://georgia.unfpa.org>).

საზოგადოებაში სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებებს განსაზღვრავს რელიგიური შეხედულებები (სექსუალური ორიენტაციის, ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის და ა.შ. შესახებ)“, რესპონდენტების უმრავლესობა საზოგადოებაში დამკვიდრებულ ცრურწმენებს, რომლებსაც უმეტესად სწორედ რელიგიური შეხედულებები უდევს საფუძვლად, სქესობრივი განათლების დანერგვის ხელშემშლელ ფაქტორებად განიხილავს. შედარებით ნაკლებია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა რელიგიურ, კულტურულ თუ ტრადიციული შეხედულებებს ეწინააღმდეგება. რესპონდენტთა ნაწილის პოზიცია კიდევ უფრო რადიკალურია. მათი აზრით, „სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხებზე საუბარი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა“ (ასე რესპონდენტთა დაახლოებით 10% ფიქრობს).

თვისებრივი კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ეკლესიის წარმომადგენელთა პოზიციის დეტალური ანალიზი. ეკლესია პატივს სცემს საერო სკოლას და აღიარებს საერო განათლების თავისუფლებას, თუმცა არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო ნარატივში. რელიგიის წარმომადგენელთა ინტერესი სქესობრივი განათლების საკითხებისადმი ბუნებრივია, რადგან სექსუალური ქცევა დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების არა მხოლოდ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ქცევით, არამედ რელიგიურ და მორალურ განზომილებებთან. კვლევაში ჩართულ ეკლესიის წარმომადგენლებს აწუხებთ აბორტების, განქორწინებების და სხვა საზიანო პრაქტიკის რაოდენობის ზრდა ახალგაზრდებში. ცოდნის ნაკლებობა მათ ამ პრობლემების მნიშვნელოვან წინაპირობად მიაჩნიათ. შესაბამისად, თვლიან, რომ ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ სამეცნიერო ცოდნა ადამიანის რეპროდუქციული სისტემის და ჯანმრთელობის საკითხების შესახებ. თუმცა უმრავლესობა ფორმალური განათლების ფარგლებში ამ საკითხებზე ღიად მსჯელობაში მეტ საფრთხეს ხედავს, ვიდრე სარგებელს. ერთ-ერთი ასეთი საფრთხე არაჯანსაღი ინტერესის გაღვივებაა, რაც შესაძლოა საზიანო იყოს ახალგაზრდებისთვის. კვლევაში ჩართული საეკლესიო პირები ბიბლიურ სწავლებაზე დაყრდნობით სწავლებას უჭერენ მხარს, სადაც აქცენტირებული იქნება სიყვარული, როგორც ღირებულება, ერთგულება, პასუხისმგებლობა, ნებელობა, თავშეკავება, სხვისი გრძნობების პატივისცემა. ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში სქესობრივი განათლების დანერგვის შესახებ არაერთგვაროვანი პოზიციები იჩენს თავს ეკლესიის წარმომადგენელთა შორის – ერთი თვალსაზრისის მიხედვით, სკოლის პრეროგატივა არ არის ბავშვის სქესობრივი აღზრდა (მშობელს ეკისრება პასუხისმგებლობა), მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ახალგაზრდების ინფორმირების პროცესი უფრო კონსულტირების ფორმატში უნდა წარიმართოს (ინდივიდუალური შეხვედრები, ინდივიდის კონტექსტიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე). ამასთან, გამოიკვეთა სკეპტიკური დამოკიდებულება სქესობრივი განათლების ადეკვატურად დანერგვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, პროფესიული კომპეტენციების დეფიციტის გამო. ეკლესიის წარმომადგენლები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ სქესობრივი განათლების

საკითხების შინაარსსა და ფორმაზე (სახელმძღვანელოებსა თუ სხვა რესურსებზე, მასწავლებელთა მომზადებაზე, ფორმალურ თუ არაფორმალურ ფორმატზე და ა. შ.) იმუშავონ ბავშვზე ორიენტირებულმა, მაღალი მორალის და, ამასთანავე, მენტალურად ამისათვის მზაობის მქონე პროფესიონალებმა (ფსიქოლოგებმა, მედიკოსებმა, პედაგოგების სპეციალისტებმა...). მათი შეფასებით, არსებულ გამოწვევასთან გამკლავება შესაძლებელია სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში პროფესიონალთა ჩართვით და ამ პროცესის გამჭვირვალობით.

კვლევებით არის დადასტურებული ტენდენცია, რომ ევროპის ქვეყნებშიც ძლიერი რელიგიური ინსტიტუტები, რელიგიური შეხედულებების გავლენა მოსახლეობაზე გარკვეულ ბარიერებს ქმნის სქესობრივი განათლების დანერგვისა და, შესაბამისად, სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის. კვლევის რაოდენობრივი ნაწილის შედეგების ანალიზის დროსაც გამოვლინდა, რომ სქესობრივი განათლების შესახებ ყველაზე უკეთ ინფორმირებული ადამიანები ან არც ერთი რელიგიის აღმსარებლები არ არიან, ან თითქმის არასდროს ან იშვიათად ესწრებიან რელიგიურ მსახურებს.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა ტენდენცია რომ რელიგიურ მსახურებაზე აქტიურად დამსწრე საზოგადოების 30% კრიტიკულადაა განწყობილი სქესობრივი განათლების მიმართ და არ თვლის მას მნიშვნელოვნად მოზარდების სრულფასოვანი განვითარებისთვის. თუმცა ხაზგასასმელია ისიც, რომ ამავე ჯგუფის გარკვეული ნაწილი (6%) არათუ კრიტიკულად, პირიქით, უკიდურესად დადებითად არის განწყობილი სქესობრივი განათლების მიმართ, აცნობიერებს იმ სიკეთეებს, რაც სქესობრივ განათლებას მოზარდების ჯანსაღი ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური განვითარების პროცესისთვის მოაქვს.

თვისებრივმა კვლევამ გამოკვეთა რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფის წარმომადგენლების არასწორი წარმოდგენები სქესობრივი განათლების შესახებ, რომ ის ზედმეტად ლიბერალური მიდგომებით ხასიათდება და წაახალისებს სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყებას, მოიცავს რეკომენდაციებს სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნების მიღების შესახებ და ა.შ. ამით შესაძლებელია აიხსნას მათი ნეგატიური დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ. ამ კონტექსტში ერთგვარად პარადოქსულია რაოდენობრივი კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყებისა და თავისუფალი სქესობრივი ცხოვრების ხელშეწყობას, სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებსა და გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრების პროპაგანდას სქესობრივი განათლების ნაწილად, ძირითადად, „არაეკლესიური“, ამასთან, ახალგაზრდა და განათლების მაღალი საფეხურის მქონე ადამიანები უფრო მიიჩნევენ, ვიდრე „ეკლესიურები“. ტაბუ და აკრძალვები ახალგაზრდებში, როგორც ჩანს, ჰიპერბოლიზებული, ულტრალიბერალური შეფასებების ფორმირებას უწყობს ხელს. ამასთან, მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი და ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების შესახებ ქმნის საფუძველს მკვეთრად პოზიტიური დამოკიდებულებისთვის სქესობრივი განათლების მიმართ. ეს შედეგი კიდევ უფრო ცხადყოფს

სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების ტაბუირებისა და სხვადასხვა აკრძალვის დაწესების გაუმართლებლობასა და ინფორმირების დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ინტერვენციების საჭიროებას.

რაც შეეხება ე. წ. რელიგიურ ადამიანებს, მათთვის არაარსებითია, გულისხმობს თუ არა სქესობრივი განათლება სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყების, თავისუფალი სქესობრივი ცხოვრებისა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდასა თუ სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემას. მათი დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ მაინც უფრო კრიტიკულია.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი კავშირები სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობას, მის მიმართ დამოკიდებულებას, მისი დანერგვის სანაღმდეგო მოსაზრებებს - კონტრარგუმენტებს შორის⁷. ანალიზმა აჩვენა, რომ რაც უფრო იზრდება ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ, მით უფრო დადებითი დამოკიდებულება უჩნდებათ რესპონდენტებს მის მიმართ, იმის მიუხედავად, რამდენად ხშირად დადიან ისინი ეკლესიაში. რესპონდენტთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი მოდერატორი ფაქტორია მათ მიერ რელიგიურ ღონისძიებებზე დასწრების სიხშირესა და სქესობრივი განათლების დანერგვის წინააღმდეგ კონტრარგუმენტების არსებობას შორისაც. თუმცა ინფორმირებულობის მაღალი ხარისხის შემთხვევაშიც კი, ადამიანებს, რომლებიც თითქმის ყოველთვის ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს, სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვასთან დაკავშირებით ბევრი კონტრარგუმენტი აქვთ და მაინც ეწინააღმდეგებიან მას. საინტერესოა, რომ კონტრარგუმენტების წინააღმდეგ უფრო ძლიერი ცვლადი აღმოჩნდა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება. ეკლესიაში სიარულის სიხშირის მიუხედავად, სქესობრივი განათლების მნიშვნელობის უკეთ გაცნობიერებასთან ერთად მისი დანერგვის კონტრარგუმენტების მაჩვენებელი მცირდება.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლებაზე მიმართული აქტივობები შესაძლოა შედეგის თვალსაზრისით არაარსებითი აღმოჩნდეს იმ პირთათვის, რომლებიც ძალზე „რელიგიურები არიან“ (თითქმის ყოველთვის ესწრებიან მსახურებებს). მაგრამ თუ ინტერვენციები დადებითი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე იქნება მიმართული, კონტრარგუმენტების მაჩვენებელიც შესაძლოა დადებითი მიმართულებით შეიცვალოს. დადებითი დამოკიდებულება ჩართულობის მზაობაზეც პოზიტიურად აისახება. ის პირები, რომლებიც აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, ასევე გამოთქვამენ მზაობას ჩაერთონ სქესობრივი განათლების აქტივობებში, მიუხედავად იმისა, თუ რა სიხშირით

⁷ სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების კვლევისას ფაქტორული ანალიზის საფუძველზე გამოიყო ფაქტორი, რომელიც აერთიანებს სქესობრივი განათლების წინააღმდეგ გამოთქმულ იდეებს. ფაქტორში შემავალი დებულებების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის შედეგად ფაქტორს კონტრარგუმენტები ეწოდა.

დადიან ეკლესიაში. შესაბამისად, პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბებაზე მიმართული აქტივობების შემუშავება შესაძლოა ღირებული ინსტრუმენტი იყოს იმ პირების შემთხვევაშიც კი, ვინც ეკლესიაში ხშირად ან თითქმის ყოველთვის დადის.

კვლევაში ჩართული ყველა სამიზნე ჯგუფს ჰქონდა რეკომენდაციები სქესობრივი განათლების ამა თუ იმ ფორმით მხარდასაჭერად, რაც სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებების თვალსაზრისით გარკვეულ პოზიტიურ დინამიკაზე მიუთითებს. რელიგიური და სეკულარული ტრადიციების ფარგლებში, სქესთან და გენდერთან, სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული შეხედულებები ძალზე განსხვავებულია არა მხოლოდ საქართველოში – ამ საკითხებზე დაპირისპირება არსებობს თითქმის მთელს მსოფლიოში. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, პრობლემა არსებობს სეკულარულ თავისუფლებაშიც და რელიგიურ რეგულირებაშიც (Jakobsen, 2005). ამიტომ უნდა „დავუშვათ კონფლიქტების არსებობა ათასობით ინტერპრეტაციის გარშემო და ფართო გზა მივცეთ დებატებს — გამოსავალია შეკითხვების დასმა, ხმამაღლა და მკაფიოდ საუბარი“ (Butler, 2006: 289).

სქესობრივი განათლების ადვოკატირება და წინააღმდეგობები

სამოქალაქო საზოგადოება კვლევითი საქმიანობით, ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული საქმიანობით, ტრენინგების ჩატარებით, მონიტორინგით ხელს უწყობს სქესობრივი განათლების დანერგვას საქართველოში. არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა ეს კვლევა, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების დანერგვის თვალსაზრისით არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების იდენტიფიცირებაზე.

სქესობრივი განათლების საკითხებზე საზოგადოების დამოკიდებულებებისა და არსებული გამოწვევების შესახებ სრული სურათის მისაღებად, კვლევის თვისებრივ ნაწილში ჩართულნი იყვნენ როგორც სქესობრივი განათლების ადვოკატირების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები⁸, ასევე ე. წ. რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფების წარმომადგენლები⁹. ისევე, როგორც მთელს საზოგადოებაში, სამოქალაქო საზოგადოების ამ ორ სეგმენტშიც განწყობები პოლარიზებულია.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა უმრავლესობა საზოგადოებაში სქესობრივი განათლებისადმი ნეგატიური განწყობების ფორმირების მთავარ მიზეზად საზოგადოების არაინფორმირებულობას და სტერეოტიპულ წარმოდგენებს ასახელებს. მათი შეფასებით, სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოებაში არსებული არაერთგვაროვანი განწყობები

⁸ UNFPA, GYDEA, GrizWave, RPRV, ჰერა XXI, სახალხო დამცველის აპარატი

⁹ საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, „ქართული იდეა“

ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში მისი დანერგვის გზაზე. მნიშვნელოვანი ფაქტორია, ასევე, სანდო და ვალიდურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წარმომადგენლები აცნობიერებენ სქესობრივი განათლების საკითხებში მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდის აუცილებლობას, ე. წ. რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფების წარმომადგენლები უფრო რადიკალურ პოზიციას აფიქსირებენ და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვას. მასში რელიგიური თუ ეროვნული ღირებულებების გაუფასურების სერიოზულ საფრთხეს ხედავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებები განსხვავებულია (პოზიციის რადიკალურობის თვალსაზრისით) თავად იმ ორგანიზაციათა შორისაც, რომლებიც მისი ადვოკატირების მიმართულებით მუშაობენ.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სქესობრივი ურთიერთობების, ჰიგიენის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და სქესობრივ განათლებასთან ასოცირებულ სხვა საკითხებზე ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს საშიშრო პრაქტიკების გამოყენების რისკების ინტენსიურ ზრდას ახალგაზრდებში. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ულტრამემარჯვენედ ორიენტირებული ორგანიზაცია (ე. წ. რელიგიურ კონსერვატიული ჯგუფი), რომელიც ახალგაზრდათა ინფორმირებულობის ზრდას მათ მიერ სქესობრივი ცხოვრების ნაადრევად დაწყების მაპროვოცირებელ და საშიშრო პრაქტიკების გახშირების განმაპირობებელ ფაქტორებად მიიჩნევენ. რეალურად, კვლევითი მონაცემები საპირისპიროს ადასტურებს: CSE მოსწავლეებში ზრდის ნდობას, თვითშეფასებას და თვითფექტიანობას. ახალგაზრდები, რომლებიც იღებენ ამგვარ განათლებას, როგორც წესი, თავს იკავებენ ადრეული სქესობრივი აქტისგან, თავს არიდებენ ადრეულ ორსულობას, ნებაყოფლობით გადიან ტესტირებას აივ ინფექციაზე, მიდრეკილნი არიან უსაფრთხო სექსუალური ქცევებისადმი და უჩნდებათ სურვილი, კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი გარემოცვა, რაც გენდერულ თანასწორობას უწყობს ხელს (UNESCO, 2015; Rojas et al., 2017).

როგორც სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე მომუშავე, ასევე, ულტრამემარჯვენე ორიენტაციის ორგანიზაციების წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სამოგადოებაში არსებული პოლარიზებული განწყობების შემცირებაში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით: ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძალადობრივი ქმედებების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება – შიში და უმოქმედობა – შემაშფოთებელია სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე მომუშავე რესპონდენტებისთვის. ხოლო თავად ულტრამემარჯვენე ორიენტაციის ორგანიზაციები თავს „თამაშვარე“ მდგომარეობაში ხედავენ და თვლიან, რომ სახელმწიფოზე ძლიერი გავლენა საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათთან ასოცირებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ, რომლებიც ლიბერალური იდეოლოგიის გატარებას აიძულებენ სახელმწიფოს.

შეჯამების სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი და სქესობრივი განათლებისადმი არსებული პოლარიზებული განწყობები მნიშვნელოვანი ბარიერია სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში. კვლევამ უზრუნველყო ვალიდური, ეპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული მტკიცებულებების მოპოვება იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტსა თუ ინსტიტუციაში არსებობს და ხელს უშლის სქესობრივი განათლების ეფექტიან დანერგვას სასკოლო განათლების სისტემაში. კვლევით გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებზე ორიენტირებული ქმედითი პროგრამები და ღონისძიებები ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდას, ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოებრივი განწყობების პოზიტიური მიმართულებით შეცვლას, მეორე მხრივ, ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ეფექტიან დანერგვას სასკოლო განათლებაში.

კვლევის შედეგები ანგარიშში ორ ნაწილადაა წარმოდგენილი (1) *თვისებრივი კვლევა*, რომელიც მოიცავს საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვას, ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზს, ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისგან (ახალგაზრდები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, არასამთავრობო სექტორი, ეკლესია) მიღებული ინფორმაციის ანალიზს; (2) *რაოდენობრივი კვლევა*, რომელშიც წარმოდგენილია საკვლევ ცვლადებს შორის პირდაპირი და ირიბი კავშირების შეფასებით მიღებული ძირითადი დასკვნები. კვლევის თეორიული ჩარჩოს შესაბამისად, აქცენტი ორივე ნაწილში კეთდება სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობაზე, არაფორმალურ და ფორმალურ განათლებაში ჩართულობასა და სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებებზე.

ნაწილი I

თვისებრივი კვლევა

4. სქესობრივი განათლება სკოლაში: საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

სკოლაში სქესობრივი განათლების შემოღების თვალსაზრისით ევროპისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში მრავალფეროვანი სურათია. ევროპის ქვეყნების უდიდეს ნაწილში სქესობრივი განათლება სასკოლო და, რიგ შემთხვევებში, სკოლამდელი განათლების კურიკულუმის ნაწილია. თუმცა ქვეყნები განსხვავდებიან ეროვნული მარეგულირებელი ინსტრუმენტების მიხედვით. ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სქესობრივი განათლება ფორმალური განათლების სავალდებულო ნაწილია. ამ თვალსაზრისით პიონერია შვედეთი, სადაც 1955 წლიდან შემოიღეს სავალდებულო სქესობრივი განათლება. ქვეყანაში მინიმალურ სტანდარტს, რომელიც ანატომიის, გენდერულ და ურთიერთობების მართვის სფეროებს მოიცავს, განათლების ეროვნული სააგენტო აწესებს. სქესობრივი განათლება ასევე სავალდებულოა ფინეთში, დანიაში, ესტონეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ისლანდიაში, ირლანდიაში, ლუქსემბურგში, ბელგიის ფლანდრიულ ნაწილში, პოლანდიაში, ნორვეგიაში, ალბანეთსა და უკრაინაში.

თუ ზოგიერთ ქვეყანაში სქესობრივი განათლება წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან ეტაპობრივად იკიდებდა ფეხს სასწავლო გეგმის სავალდებულო კომპონენტის სახით, სამხრეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, რელიგიური და, ასევე, სკოლების ან ტერიტორიული ერთეულების მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხი საყოველთაო სქესობრივი განათლების დანერგვის წინააღმდეგობად იქცა. მსგავსი ვითარებაა აშშ-სა და კანადაში. შესაბამისად, სქესობრივ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლებსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის. თუმცა ევროპის ქვეყნებში საზოგადოების პოზიცია და სახელმწიფოების პოზიცია სქესობრივი განათლების მხარეს იხრება. დღეისთვის სქესობრივი განათლება ფართოდ გავრცელდა სამხრეთ ევროპის ქვეყნებში (მაგალითად, ესპანეთი და პორტუგალია) და ირლანდიაშიც კი, სადაც რელიგიური ნიშნით წინააღმდეგობა ტრადიციულად ძლიერი იყო. ირლანდიაში 2003 წელს სქესობრივი განათლება სავალდებულო გახდა როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის, ესტონეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც სავალდებულო სქესობრივი განათლება შემოიღეს, ხოლო კომუნისტურ ბლოკში – ჩეხეთის რესპუბლიკა. ევროპის ქვეყნებში საკანონმდებლო დონეზე რეგულაციების სისუსტეს, როგორც წესი, რელიგიურ საფუძველზე საზოგადოებაში კონსენსუსის ნაკლებობით ხსნიან (მაგ., იტალია, საბერძნეთი, კვიპროსი). ყოფილი საბჭოთა და კომუნისტური ქვეყნების დიდ ნაწილში სქესობრივი განათლება არასავალდებულო ხასიათს ატარებს (იხ. დანართი, ცხრილი 1).

სწავლა-სწავლების მიზნები

ქვეყნები ასევე განსხვავდებიან სქესობრივი განათლების მიზნების თვალსაზრისით. ზოგიერთ ქვეყანაში სქესობრივი განათლება მოიცავს როგორც ანატომიურ, ასევე გენდერსა და ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია)¹⁰. მაგრამ რიგ ქვეყნებში სქესობრივი განათლება ბიოლოგიის გაკვეთილებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხებით შემოიფარგლება (მაგალითად, იტალია, პორტუგალია, ლატვია, ინგლისი)¹¹. საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში.¹² ამიტომ სქესობრივი განათლების როლის აღიარების პარალელურად, დროთა განმავლობაში გაძლიერდა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი სქესობრივი განათლების მიზნების კონცეპტუალიზაციის მიმართულებით.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთვნენ სქესობრივი განათლების განვითარების მხარდაჭერაში. 2006 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისისა და გერმანიის ჯანდაცვის განათლების ფედერალური ცენტრის თაოსნობით გაიმართა ახალგაზრდების სქესობრივი განათლების კონფერენცია, რასაც 2010 წელს მოჰყვა „სქესობრივი განათლების ევროპული სტანდარტების“ შემუშავება. პარალელურად, „დაგეგმილი მშობლობის საერთაშორისო ფონდმა (IPPF) 2005 წელს წარმოიწყო ამ მიმართულებით მუშაობა და 2010 წელს შეიქმნა კომპლექსური სქესობრივი განათლების ჩარჩო. 2009 წელს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სქესობრივი განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო: მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები სკოლებისა და მასწავლებლებისთვის. ეს დოკუმენტი მოიცავდა 5-18 წლის ასაკობრივი ჯგუფებისთვის კურიკულუმს.

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სქესობრივი განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო, სადაც სქესობრივი განათლების ამოცანებმა მოიცვა „მოზარდთა კეთილდღეობის ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობა, პასუხისმგებლიანი სექსუალური ქცევა, ადრეული არასასურველი ფეხმძიმობის არიდება, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, სექსუალური ძალადობა, ინცესტი და ძალადობა.“¹³ 2018 წელს იუნესკომ კვლავ განაახლა ტექნიკური სახელმძღვანელო. განახლებული ვერსია სქესობრივი განათლების დროთა განმავლობაში დახვეწილ კონცეფციას ეფუძნება და ითვალისწინებს „ადამიანის უფლებებსა და ადამიანის უფლებების გაფართოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანების უფლებას, მიიღოს განათლება სხეულის,

¹⁰ Parker et al. 2009

¹¹ Milburn 1995; Ogden & Harden 1999; Macdowall et al. 2006

¹² Keogh et al, 2020

¹³ United Nations Population Fund, 2000.

ურთიერთობის და სექსუალობის საკითხებთან დაკავშირებით". „სქესობრივი განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო“ შემუშავდა „განათლების, ჯანდაცვისა და სხვა რელევანტური მხარეებისთვის სქესობრივი განათლების სასკოლო და არაფორმალური პროგრამებისა და რესურსების განვითარების მხარდასაჭერად“ (UNESCO, 2018).

გაეროს სქესობრივი განათლების ტექნიკური სახელმძღვანელოს ეს პოლისტური კონცეფცია მოიცავს საკუთარი და სხვათა უფლებებისა და პერსონალური კეთილდღეობის სფეროებში ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს. დოკუმენტის თანახმად, კომპლექსური სქესობრივი განათლება წარმოადგენს „სექსუალობის კოგნიტური, ემოციური, ფიზიკური და სოციალური ასპექტების შესახებ კურიკულუმზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლების პროცესს. მისი მიზანია ბავშვებისა და ახალგაზრდების შეიარაღება ისეთი ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებითა და ღირებულებებით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს: დაიცვან საკუთარი ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ღირსება; განავითარონ პატივისცემაზე დაფუძნებული სოციალური და სექსუალური ურთიერთობები; გაითვალისწინონ საკუთარი არჩევანის გავლენა საკუთარ და სხვათა კეთილდღეობაზე; და გაიაზრონ და დაიცვან საკუთარი უფლებები მთელი სიცოცხლის განმავლობაში.“ სქესობრივი განათლების ამ კონცეფციის გათვალისწინებით, სწავლა-სწავლების მიზნები ჩამოყალიბდა რვა ცნების სახით. ეს ცნებებია:

1. ურთიერთობები
2. ღირებულებები, უფლებები, კულტურა და სექსუალობა
3. გენდერის გააზრება
4. ძალადობა და უსაფრთხოება
5. ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის უნარები
6. ადამიანის სხეული და მისი განვითარება
7. სექსუალობა და სექსუალური ქცევა
8. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

დოკუმენტში სქესობრივი განათლების ეს 8 სამიზნე ცნება ჩაშლილია **საკითხებად და მკვიდრ წარმოდგენებად**. მკვიდრი წარმოდგენები მოცემულია **ცოდნით, დამოკიდებულებითი და უნარების** სახით. სქესობრივი განათლების ამ კონცეფციაში ცოდნა წარმოადგენს სწავლის ფუნდამენტს, დამოკიდებულებები წარმოადგენს საკუთარი თავის, სექსუალობისა და გარემოს გააზრების საშუალებას. უნარებში მოიაზრება კომუნიკაცია, მოსმენა, უარყოფა, გადაწყვეტილების მიღება და მოლაპარაკება; ინტერპერსონალური უნარები; კრიტიკული აზროვნება; თვითშემეცნება; ემპათია; სანდო ინფორმაციისა და სერვისების მოპოვება; სტიგმისა და დისკრიმინაციის კრიტიკულად შეფასება; უფლებებისთვის ადვოკატირება და ქმედება. მაგალითად, ცნება „ურთიერთობები“ ერთ-ერთი თემაა. სწავლა-სწავლების **მიზნები ასაკობრივი**

ჯგუფის მიხედვითაა დიფერენცირებული. ეს ასაკობრივი ჯგუფებია: 5-8 წელი, 9-12 წელი, 12-15 წელი, 15-18+ წელი (UNESCO, 2018).

ცხრილი 1: სამიზნე ცნებების, საკითხებისა და სწავლის მიზნების ანოტაცია

სამიზნე ცნება 1: ურთიერთობები	სამიზნე ცნება 2: ღირებულებები, უფლებები, კულტურა და სექსუალობა	სამიზნე ცნება 3: გენდერის გააზრება
საკითხები: 1.1 ოჯახები 1.2 მეგობრობა, სიყვარული და რომანტიული ურთიერთობები 1.3 ტოლერანტობა, ინკლუზია და პატივისცემა 1.4 გრძელვადიანი ურთიერთობები და მშობლობა	საკითხები: 2.1 ღირებულებები და სექსუალობა 2.2 ადამიანთა უფლებები და სექსუალობა 2.3 კულტურა, საზოგადოება და სექსუალობა	საკითხები: 3.1 გენდერის სოციალურად კონსტრუირება და გენდერული ნორმები 3.2 გენდერული თანასწორობა, სტერეოტიპები და მიკერძოებები 3.3 გენდერული ძალადობა
სამიზნე ცნება 4: ძალადობა და უსაფრთხოება	სამიზნე ცნება 5: ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის უნარები	სამიზნე ცნება 6: ადამიანის სხეული და მისი განვითარება
საკითხები: 4.1 ძალადობა 4.2 თანხმობა, პრივატულობა და სხეულის ხელშეუხებლობა 4.3 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება	საკითხები: 5.1 ნორმები და თანატოლთა გავლენა სექსუალურ ქცევაზე 5.2 გადაწყვეტილების მიღება 5.3 კომუნიკაცია, უარყოფა და მოლაპარაკების უნარები 5.4 მედია წიგნიერება და სექსუალობა 5.5 დახმარებისა და მხარდაჭერის ძიება	საკითხები: 6.1 სქესობრივი და რეპროდუქციული ანატომია და ფიზიოლოგია 6.2 რეპროდუქცია 6.3 პუბერტატი 6.4 სხეულის ხატი
სამიზნე ცნება 7: სექსუალობა და სექსუალური ქცევა	სამიზნე ცნება 8: სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	
საკითხები: 7.1. სქესი, სექსუალობა და სქესობრივი ცხოვრების ციკლი 7.2. სექსუალური ქცევა და პასუხი	საკითხები: 8.1 ორსულობა და ორსულობის პრევენცია 8.2 აივ / შიდსის სტიგმა, ზრუნვა, მკურნალობა, მხარდაჭრა 8.3 სქესობრივად გადამდები ინფექციების, მათ შორის, აივ-ის გააზრება, აღიარება და რისკის შემცირება	

წყარო: UNESCO, 2018

მაგალითად, 5-8 წლის ასაკში ცნების – „ურთიერთობები“ ერთ-ერთი საკითხია „ოჯახები“. ეს საკითხი ჩაშლილია ოთხ მკვიდრ წარმოდგენად:

1. მსოფლიოში სხვადასხვა სახის ოჯახი არსებობს;
2. ოჯახის წევრებს სხვადასხვა საჭიროება და როლი აქვთ;
3. გენდერული უთანასწორობა ხშირად გამოიხატება ოჯახის წევრების როლებსა და პასუხისმგებლობებში;
4. ოჯახის წევრებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ბავშვების ღირებულებების ჩამოყალიბებაში.

თითოეული მკვიდრი წარმოდგენა ჩაშლილია კომპეტენციების კატეგორიებად. მაგალითად, მეოთხე მკვიდრი წარმოდგენის ჩამოყალიბება ითვალისწინებს, რომ ბავშვს შეუძლია ა) ახსნას, რა არის ღირებულება (ცოდნა); ბ) ჩამოთვალოს თავისთვის და თავისი ოჯახის წევრებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებები (ცოდნა); გ) გააცნობიეროს, რომ ოჯახის წევრების ღირებულებები გავლენას ახდენს ბავშვის ღირებულებებზე (დამოკიდებულება); დ) გამოხატოს საკუთარი ღირებულება (უნარი).

სწავლა-სწავლების მიზნები ფართოვდება და ღრმავდება ასაკთან ერთად. მაგალითად, ოჯახის საკითხი, როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში ვაჩვენებთ, ეტაპობრივად ვითარდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ცხრილი 2: ოჯახებზე მკვიდრი წარმოდგენები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

5-8 წლის	9-12 წლის	12-15 წლის	15-18+ წლის
მსოფლიოში სხვადასხვა სახის ოჯახი არსებობს; ოჯახის წევრებს სხვადასხვა საჭიროება და როლი აქვთ; გენდერული უთანასწორობა ხშირად გამოიხატება ოჯახის წევრების როლებსა და პასუხისმგებლობებში; ოჯახის წევრებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ბავშვების ღირებულებების ჩამოყალიბებაში.	მშობლები/მეურვეები და ოჯახის სხვა წევრები ეხმარებიან ბავშვებს ღირებულებების ჩამოყალიბებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში; ოჯახებს, როლებსა და პასუხისმგებლობების განაწილებით შეუძლიათ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა; ჯანმრთელობა და ავადმყოფობა გავლენას ახდენს ოჯახის სტრუქტურაზე, შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებზე.	ზრდასთან ერთად იზრდება საკუთარ თავზე და სხვაზე პასუხისმგებლობა; მშობლებს/მეურვეებსა და ბავშვებს შორის კონფლიქტი და გაუგებრობები გავრცელებული მოვლენაა, განსაკუთრებით, მოზარდობის პერიოდში და, ჩვეულებრივ, გადაჭრადია; სიყვარული, თანამშრომლობა, გენდერული თანასწორობა, ურთიერთზრუნვა და ურთიერთპატივისცემა მნიშვნელოვანია ჯანსაღი ოჯახის ფუნქციონირებისა და ურთიერთობებისთვის.	სქესობრივი ურთიერთობები და ჯანმრთელობის საკითხები გავლენას ახდენს ოჯახურ ურთიერთობებზე; სექსუალურ ურთიერთობებსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში, ახალგაზრდებსა და ოჯახის წევრებს შეუძლიათ მიმართონ არსებულ მხარდაჭერის სისტემებს.

გარდა გაეროს „სქესობრივი განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოსა“, სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი შეიქმნა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისისა და გერმანიის ფედერალური მთავრობის ჯანდაცვის განათლების ფედერალური ცენტრის თაოსნობით.

სქესობრივი განათლების ევროპული სტანდარტიც, მსგავსად გაეროს დოკუმენტისა, დეტალურად და ვრცლად განიხილავს სქესობრივი განათლების სასწავლო მიზნებს. თუმცა, განსხვავებით გაეროს რეკომენდაციისგან, ევროპული სტანდარტი რეკომენდაციას უწევს სქესობრივი განათლების 4 წლამდე ასაკში დაწყებას. სტანდარტის თანახმად, ამ ასაკში ბავშვი უნდა დაეუფლოს ასაკისათვის შესაბამის ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ადამიანის სხეული და ადამიანის განვითარება, რეპროდუქცია, სექსუალობა, ემოციები, ურთიერთობები და ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, უფლებები და სხვა. მაგალითისთვის, რეპროდუქციასთან დაკავშირებით, ბავშვმა უნდა იცოდეს ფეხმძიმობის და ბავშვის გაჩენის, ასევე ადამიანის რეპროდუქციული სისტემის შესახებ („საიდან მოდიან ბავშვები“), უნდა იცოდეს, რომ ბავშვი ოჯახში შეიძლება გაჩნდეს შვილად აყვანის შედეგად და უნდა იცოდეს, რომ ზოგს ჰყავს ბავშვი და ზოგს – არა. რეპროდუქციის საკითხზე უნარების ქონა ნიშნავს, რომ ამ თემაზე საუბარი შეუძლია შესაბამისი სიტყვების გამოყენებით; დამოკიდებულების განვითარება კი ნიშნავს, რომ, მაგალითად, ბავშვისთვის მისაღებია, რომ ბავშვი ოჯახის წევრი სხვადასხვა გზით შეიძლება გახდეს.

ევროპის ქვეყნებში მესამე მნიშვნელოვანი სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტი შექმნა „დაგეგმილი მშობლობის საერთაშორისო ფონდმა“.¹⁴ ეს ჩარჩო დოკუმენტი გამოყოფს სქესობრივი განათლების შვიდ ძირითად კომპონენტს. ესენია:

1. **გენდერი:** განსხვავება სქესსა და გენდერს შორის; გენდერული როლები და ატრიბუტები; მასკულიზაციისა და ფემინიზაციის პერსპექტივების გააზრება ოჯახისა და ცხოვრების ციკლის პერსპექტივიდან; ნორმებისა და ღირებულებების ცვლილება საზოგადოებაში; გენდერული მიკერძოებულობის გამოხატულებები და შედეგები; სტერეოტიპები და უთანასწორობა.
2. **სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და აივ-ი:** სექსუალობა და ცხოვრების ციკლი (პუბერტატი, მენოპაუზა...); ანატომია, რეპროდუქციული პროცესი, კონდომის გამოყენება; კონტრაცეფციის სხვა ფორმები, ფეხმძიმობა; ლეგალური, უსაფრთხო და საფრთხის შემცველი აბორტი; სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და აივ-ი: სიმპტომები, პრევენცია, მკურნალობა, მხარდაჭერა და ბრუნვა; ანტირეტროვირალური თერაპია და აივ-ით ცხოვრება; დედისგან შვილზე გადადების პრევენცია; ვენერიული ინფექცია და აივ-ი; ქალწულობა, აბსტინენცია, ერთგულება;

¹⁴ IPPF, 2010

სექსუალური რეაგირება, სოციალური მოლოდინები; თვითშეფასება და თვითგანვითარება, სხეულის პათივისცემა; მითები და სტერეოტიპები.

3. **სექსუალური უფლებები და სექსუალური მოქალაქეობა:** ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული ადამიანთა უფლებების საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკა, კანონმდებლობა და სტრუქტურები; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებითი მიდგომა; უფლებითი მიდგომის სოციალური, კულტურული და ეთიკური ბარიერები; სექსუალობისა და კულტურის მრავალფეროვნება და დინამიურობა; სერვისები და რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა; მონაწილეობა; პრაქტიკები და ნორმები; სხვადასხვა სექსუალური იდენტობა; ადვოკატირება; არჩევანი; დაცვა; მოლაპარაკების უნარები; თანხმობა და მზაობის უფლება; სექსუალობის გამოხატვისა და შესწავლის უფლება.
4. **სიამოვნება:** ახალგაზრდებში სექსუალობასთან პოზიტიური დამოკიდებულება; გააზრება იმისა, რომ სექსი უნდა იყოს სასიამოვნო და არ უნდა ჰქონდეს დაძალების ხასიათი, რომ ის უფრო მეტია, ვიდრე სექსუალური კონტაქტი და რომ ის ცხოვრების ნაწილია; სექსუალური რეაგირების ბიოლოგიური და ემოციური მექანიზმი; გენდერი და სიამოვნება; სექსუალური კეთილდღეობა; უსაფრთხო სექსი და სიამოვნება; მასტურბაცია; სიყვარული, ვნება და ურთიერთობები; ინტერპერსონალური კომუნიკაცია; სექსუალობის მრავალფეროვნება; პირველი სექსუალური გამოცდილება; თანხმობა; ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შესაძლო შედეგები; სიამოვნებასთან დაკავშირებული სტიგმა.
5. **ძალადობა:** კაცებისა და ქალების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა და მათი გენდერული ნიშნით მანიფესტაცია; სექსი თანხმობის გარეშე და მიუღებლობის გააზრება; უფლებები და კანონები; მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობები და დახმარების ძიება; საზოგადოებრივი ნორმები და მითები; პრევენცია; თავდაცვის ტექნიკები; მსხვერპლისა და მოძალადის დინამიკის გააზრება; მსხვერპლის მოძალადედ ქცევის პრევენცია.
6. **მრავალფეროვნება:** მრავალფეროვნების გააზრება (მაგ., რწმენა, კულტურა, ეთნოსი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, შემლუდული შესაძლებლობები, აივ სტატუსი და სექსუალური ორიენტაცია); მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება; დისკრიმინაცია, მისი ზიანი და მასთან გამკლავება; ტოლერანტობის განვითარება მრავალფეროვნების დაფასების მიმართულებით.
7. **ურთიერთობები:** სხვადასხვა სახის ურთიერთობები; ურთიერთობების ცვალებადობა; ემოცია და ინტიმურობა; უფლებები და პასუხისმგებლობები; ძალაუფლების დინამიკა; ჯანსაღი და არაჯანსაღი ურთიერთობების გარჩევა;

კომუნიკაცია, ნდობა და კეთილსინდისიერება ურთიერთობებში; თანატოლთა ზეწოლა და სოციალური ნორმა; სიყვარულის სექსისგან გარჩევა.

ამ ძირითადი ჩარჩო დოკუმენტების მიმოხილვა აჩვენებს, რომ:

- სკოლაში სქესობრივი განათლების მიზნები და შინაარსი უნდა სცდებოდეს სქესისა და რეპროდუქციის ანატომიურ ასპექტებს. თანამედროვე გაგებით, კომპლექსური სქესობრივი განათლება მოიცავს გენდერს, ურთიერთობებს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების და პირადი თავისუფლებისა და არჩევანის თანამედროვე ღირებულებებსა და კეთილდღეობის ასპექტებს. გამომდინარე სქესობრივი განათლების მულტიდისციპლინარული ხასიათიდან, იგი უნდა წარმოადგენდეს რამდენიმე საგნის კურიკულუმის ნაწილს.
- კომპლექსური სქესობრივი განათლება მოიცავს როგორც ცოდნით, ასევე კომპეტენციის ღირებულებით და უნარების ასპექტებს.
- სქესობრივი განათლება ადრეული ასაკიდან უნდა იწყებოდეს ისე, რომ ბავშვს უვითარებდეს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს სქესობრივი განათლების ყველა მიმართულებით, იქნება ეს სექსუალობა, ურთიერთობები თუ ადამიანის უფლებები. ბუნებრივია, სწავლის მიზნები და შინაარსი ყოველ საფეხურზე მორგებული უნდა იყოს ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებსა და საჭიროებებზე.

ზემოთ განხილული ჩარჩო დოკუმენტები სასარგებლო რესურსს წარმოადგენს კომპლექსური სქესობრივი განათლების ეროვნული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისთვის. ამასთან, კვლევებსა და სარეკომენდაციო დოკუმენტებში ხაზს უსვამენ შინაარსის კონტექსტუალიზაციის მნიშვნელობას. მაგალითად, გაეროს მიერ 2015 წელს გამოცემულ კვლევაში ვკითხულობთ: „სქესობრივი განათლების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ახალგაზრდების კონტექსტსა და საჭიროებებს. ასეთი ადაპტირება კულტურულად რელევანტური დაგეგმვის კრიტიკული ნაწილია და ითვალისწინებს იმ მესიჯების გააზრებას (პოზიტიური თუ ნეგატიური), რასაც კულტურა გვკარნახობს გენდერზე, სექსზე და სექსუალობაზე. ეს შეიძლება გულისხმობდეს შეთანხმებულად ფოკუსირებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გენდერული დისკრიმინაცია, სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობა, აივი და შიდსი, ბავშვების ქორწინება და ზიანის მომტანი ტრადიციები.“¹⁵

ამასთანავე, ადაპტირების პროცესი არ უნდა გახდეს სქესობრივი განათლების მიღების ფუნდამენტური პრინციპების დარღვევის საბაბი. გაეროს „სქესობრივი განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს“¹⁶ მიხედვით ეს პრინციპებია:

¹⁵ UNESCO, 2015. გვ 20.

¹⁶ UNESCO, 2018. გვ 16-17

- **მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული:** სქესობრივი განათლების შინაარსი ეფუძნება სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, სექსუალობასა და ქცევაზე არსებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს.
- **ასაკისა და განვითარების თავისებურებების შესაფერისი:** თემატიკის მისადაგება ასაკობრივ თავისებურებებზე; კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაში ჩამორჩენის თავისებურებების გათვალისწინება.
- **კურიკულუმზე დაფუძნებული:** განვირგნო კურიკულუმი, რომელიც სწავლების მიზნებს, სწავლის ამოცანების განვითარებას და ცნებებს წარმოადგენს მკაფიოდ და სტრუქტურირებულად.
- **კომპლექსური:** მოიცავს კომპლექსური სქესობრივი განათლების საკითხებსა და კომპეტენციებს.
- **ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული:** ადამიანის უნივერსალურ უფლებებზე და ადამიანის, მათ შორის, ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებებზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე ინფორმაციული თანასწორობისა და არადისკრიმინაციის უფლებების გააზრებაზე ორიენტირებული.
- **გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული**
- **ტრანსფორმაციული:** ადამიანებისა და საზოგადოების გაძლიერებაზე, კრიტიკული აზროვნების უნარების და მოქალაქეობის განვითარებაზე ორიენტირებული.
- **ჯანსაღი არჩევანისთვის საჭირო ყოფითი უნარების განვითარების უზრუნველყოფი:** რეფლექსიისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების, კომუნიკაციისა და მოლაპარაკების, ასერტიულობის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული.

სქესობრივი განათლების ეფექტიანად დანერგვა სკოლაში

კვლევები აჩვენებს, რომ ჰოლისტიკური სქესობრივი განათლების მიზნების ლეგიტიმაცია და კურიკულუმის სავალდებულო კომპონენტად აღიარება სქესობრივი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი კომპონენტია. როგორც ცალკეული კვლევები, ასევე, საერთაშორისო სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტები, ყურადღებას ამახვილებენ კურიკულუმის დანერგვის კომპლექსური მიდგომის საჭიროებაზე, რომელიც მოიცავს მასწავლებლების გადამზადებას, სწავლების მიდგომების და სასწავლო რესურსების განვითარებას, სწავლის შედეგების მონიტორინგსა და შეფასებას და სკოლის დონეზე

ხელმწიფო პირობების შექმნას.¹⁷ განათლების სისტემაში სქესობრივი განათლების დანერგვის შეფასების ინსტრუმენტი (SERAT), რომელიც გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ შეიმუშავა, გარდა ზემოთ განხილული მიზნების ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და სხვადასხვა საგანში ინტეგრირებისა, გვთავაზობს შემდეგ კრიტერიუმებს:

სწავლა-სწავლება

სქესობრივი განათლების სკოლებში დანერგვის ეს კრიტერიუმი ეხება სწავლების პრინციპებს, მეთოდებსა და სქესობრივი განათლების სწავლების მხარდაჭერ მექანიზმებს. როგორც კვლევებში, ასევე, საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებში ხაზს უსვამენ მონაწილეობითი და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების უპირატესობაზე¹⁸. კვლევები უშუალოდ სქესობრივი განათლების მეთოდოლოგიაზე ნაკლებად გვხვდება. მაგალითად, ფინეთში სასკოლო სქესობრივი განათლების ეფექტიანობაზე ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ მოსწავლეებში ცონდასა და დამოკიდებულებებზე პოზიტიური ეფექტი დიდწილად მასწავლებლის მოტივაციას, დამოკიდებულებებსა და უნარებს, ასევე მონაწილეობითი სწავლების მეთოდების გამოყენებას უკავშირდებოდა¹⁹. კირბი და კოლეგები, სქესობრივი განათლების რამდენიმე პროგრამის ეფექტიანობის შეფასების შედეგადაც ამავე დასკვნას აკეთებენ. გარდა ამისა, ზოგადად, ჯანდაცვის საკითხებზე ჩატარებული კვლევები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების ეფექტიანობაზე მიანიშნებს. ამიტომ ზემოთ განხილული სამივე ჩარჩო დოკუმენტი სქესობრივი განათლების სწავლებისას რეკომენდაციას უწევს თანამშრომლობითი და ინტერაქტიული სწავლების მიდგომების გამოყენებას. SERAT-ის თანახმად, სწავლა-სწავლების კრიტერიუმში შედის შემდეგი ასპექტები:

- *სწავლების ეფექტიანი მიდგომების გამოყენების ხელშეწყობა.* კერძოდ, სექსუალობის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს დეტალურ მითითებებს ისეთ პედაგოგიკურ პრინციპებზე, როგორებიცაა „თანასწორ პატივისცემასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნა; მოსწავლეების ჩართვის მიზნით, სტრატეგიების ფართო სპექტრის გამოყენება; თითოეული მოსწავლის უნიკალურობის (სოციალური, კულტურული, ემოციური და სექსუალური) გათვალისწინება, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ტექნიკების გამოყენება (მონაწილეობითი საკლასო სწავლება, თანატოლთა განათლება, თვითსწავლის აქტივობები, კომპიუტერზე დაფუძნებული ან ონლაინ

¹⁷ Kirby 2007; UNESCO 2010; International Sexuality and HIV Curriculum Working Group 2011; Haberland 2015; Haberland and Rogow 2015; UNESCO 2015

¹⁸ Milburn 1995; Ogden and Harden 1999; Macdowall et al. 2006; UNESCO, 2018; IPPF, 2010.

¹⁹ Kontula, 2010

სწავლა); კოლეგებისა და სხვა მხარეების (მაგ., ჯანდაცვის პროვაიდერების) ჩართვა სწავლებაში.

- *მასწავლებლის უზრუნველყოფა სასწავლო რესურსებით.* მასწავლებელს სთავაზობენ სწავლის ამოცანებს თითოეული გაკვეთილისთვის, თითოეული გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგებს, გაკვეთილის განრიგს, შეფასების მეთოდებს, გაკვეთილის ჩასატარებლად საჭირო მასალებს და სხვა. სქესობრივი განათლების დანერგვის შეფასების ინსტრუმენტის თანახმად, მასწავლებლისთვის მომზადებული ასეთი რესურსები წინასწარ უნდა იყოს პილოტირებული და იძლეოდეს სპეციფიურ ლოკალურ კონტექსტზე ადაპტირების საშუალებას.
- *სასწავლო რესურსებით მოსწავლეების უზრუნველყოფა,* რაც გულისხმობს ყველა საკლასო აქტივობისთვის საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობას, საკლასო მასალების მარტივად და ეკონომიურად რეპროდუცირებას, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობას, სახელმძღვანელოების კულტურულ რელევანტურობას. სახელმძღვანელოები ასევე უნდა ასახავდეს ქვეყანის ახალგაზრდების მრავალფეროვნებას.
- *შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო სახელმძღვანელო მითითები, მოსწავლეების კონფიდენციალობის დაცვის ხერხებზე;* მოსწავლეების თავისუფალი მონაწილეობის უზრუნველყოფა დაუცველობისა და გარიყულობის გრძნობის არიდებით; მოსწავლეების მიერ სექსუალური ძალადობის გაზიარებაზე რეაგირება.
- *შესაბამის სერვისებთან კავშირის უზრუნველყოფა,* რაც მოიცავს კონტრაცეპტივებზე წვდომას და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სკოლის სამედიცინო პერსონალის საშუალებით.

მასწავლებლების მომზადება

სქესობრივი განათლების ეფექტიანად დანერგვა დიდწილად დაამოკიდებული მასწავლებლების კომპეტენციებზე. თუმცა გაეროს შეფასების თანახმად, მასწავლებლებს ამ თვალსაზრისით ნაკლებ შესაძლებლობებს სთავაზობენ. როგორც წესი, სქესობრივი განათლების მიმართულებით მასწავლებლების მომზადება მხოლოდ პროფესიული განვითარების ფარგლებში ხდება. შესაბამისად, მასწავლებლები ხშირად არაკომფორტულად გრძნობენ თავს და თავს არიდებენ ისეთი სენსიტიური საკითხების განხილვას, როგორებიცაა სექსუალური ქცევა, სექსუალობა, კონტრაცეპტივებზე წვდომა²⁰. სარეკომენდაციო ჩარჩო დოკუმენტები და, შესაბამისად, SERAT ინსტრუმენტი მასწავლებლების მომზადებასაც

²⁰ UNESCO, 2015

განიხილავს სქესობრივი განათლების დანერგვის ერთ-ერთ კრიტერიუმად. კრიტერიუმი მოიცავს მასწავლებლის მოსამზადებელი და გადამამზადებელი პროგრამების კურიკულუმს და მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და მხარდაჭერას. აქ შედის ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა პროგრამების ხელმისაწვდომობა, სქესობრივი განათლების საკითხების დაფარვა მასწავლებლების მომზადების პროგრამებში, სამინისტროს მიერ პროგრამების აღიარება, სქესობრივი განათლების სწავლების სპეციფიკის დაუფლების შესაძლებლობები და სხვა.

მონიტორინგი და შეფასება

როგორც „სქესობრივი განათლების ევროპული სტანდარტების“, ასევე ევროპის კომპლექსური სქესობრივი განათლების ჩარჩო და გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის სქესობრივი განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო გამოყოფს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანი სისტემის საჭიროებას. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება SERAT-ის შეფასების სისტემაში შედის და მოიცავს ეროვნულ დონეზე ახალგაზრდებში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საჭიროებებს; შედის თუ არა სქესობრივი განათლების ელემენტები ინტეგრირებულ ეროვნულ საინფორმაციო სისტემებში (მაგ., განათლების მართვის ინფორმაციულ სისტემაში, დემოგრაფიული და ჯანმრთელობის ეროვნულ გამოკითხვებში, სკოლების შეფასების ინსტრუმენტებში და სხვა) ეროვნულ დონეზე მონაცემები სქესობრივ განათლებაში მონაწილეობაზე, მოსწავლეების დამოკიდებულებები სწავლის გამოცდილებასთან დაკავშირებით, სკოლებში ფიზიკურ უსაფრთხოებასთან, სტიგმასა და დისკრიმინაციასთან და სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობასთან დაკავშირებული რეგულაციების სტატისტიკა, სკოლებში მასწავლებლების კვალიფიკაციისა და პროფესიულ განვითარების სტატისტიკა და სხვა.

სქესობრივ განათლებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერვენციებისა და თანამშრომლობის შედეგად, არსებითად გაფართოვდა სქესობრივი განათლების მიზნები და განისაზღვრა კომპლექსური განათლების ეროვნული მასშტაბით დანერგვის ეფექტიანი თანხმობები პირობები სწავლების მიდგომების გავრცელების, სწავლებისა და სწავლის რესურსების განვითარებისა და ხელმისაწვდომობის, დამატებით სერვისებზე წვდომის, მასწავლებლების კომპეტენციის გაზრდისა და სქესობრივი განათლების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სახით. შექმნილი სახელმძღვანელო ჩარჩო დოკუმენტები და შეფასების ინსტრუმენტები სასარგებლო რესურსს წარმოადგენს ქვეყანაში სქესობრივი განათლების დანერგვის შეფასებისთვის.

5. სქესობრივი განათლება – ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზი

შინაარსის ანალიზის მიზნები და მეთოდოლოგიური საკითხები

ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფცია და შინაარსის ანალიზის მიზნები

ეროვნული სასწავლო გეგმა სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების საქართველოს სკოლებში სწავლების სპეციფიკის განმსაზღვრელი ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია. ამ დოკუმენტით განისაზღვრება საფეხურების (დანწყებითი, საბაზო, საშუალო), ისევე როგორც კლასების დონეზე მისაღწევი ძირითადი შედეგები. სასწავლო გეგმაში, აგრეთვე, მოცემულია რეკომენდებული შინაარსი, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირება.

თავის მხრივ, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მუდმივად შედის ცვლილებები, ამ ცვლილებების დინამიკაში სამი ძირითადი ფაზა შეიძლება გამოვყოთ. 2018-2024 წლის სასწავლო გეგმა ბოლო, მესამე ტალღის ცვლილებებს ასახავს და კურიკულუმის აგების თვისებრივად ახალ მიდგომაზეა დამყარებული.

სასწავლო გეგმის ამ ახალ ვერსიაში ცოდნის სტრუქტურის მთავარი შემადგენელი ელემენტებია ცნებები და ე.წ. მკვიდრი წარმოდგენები.

კონკრეტული მიმართულების ფარგლებში (მაგალითად, სქესობრივი განათლება) ცნებათა სისტემის არსებობა გააზრებული ცოდნის საფუძველია. ცნების სწავლა-სწავლება მოიცავს სამ სტრუქტურულ ელემენტს: ტერმინს (ცნების აღმნიშვნელი სიტყვა), ცნების შინაარსს (ცნების განმსაზღვრელი, არსებითი ნიშან-თვისებები) და ცნების მოცულობას (მაგალითების / შემთხვევების სიმრავლე, რომლებსაც ეს ნიშან-თვისებები მიესადაგება);

მკვიდრი წარმოდგენები ზოგადი წარმოდგენებია, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით. სასწავლო გეგმის თანახმად, მკვიდრი წარმოდგენები ამროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები შესაძლებელია გამჭოლიც იყოს რამდენიმე საგნისათვის.

სწავლა-სწავლების პროცესის გაადვილებისთვის სასწავლო გეგმაში მოცემულია თემები და თემატური ბლოკები, ისევე როგორც თემატური საკვანძო შეკითხვები, რომლებიც თემებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან აერთიანებს.

ისევე როგორც წინა თაობის სასწავლო გეგმებში, ახალ ვესიაშიც სწავლა-სწავლების პროცესის არსს წარმოადგენს ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულისა და პირობისეულის) გაერთიანება – მოსწავლემ უნდა იცოდეს საკითხი და შეძლოს ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.

სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზის ფარგლებში ძირითად კითხვას წარმოადგენდა ის, თუ როგორ არის გაშლილი სქესობრივი განათლების საკითხები ცნებების, საკვანძო კითხვების, კომპეტენციებისა და მკვიდრი წარმოდგენების სახით.

მეთოდოლოგიური საკითხები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018-2024 წლის სასწავლო გეგმები მხოლოდ დაწყებითი და საბაზო საფეხურისათვის არსებობს. შესაბამისად, კურიკულუმის შინაარსის ანალიზიც ამ საფეხურებით შემოიფარგლება.

ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსობრივი ანალიზისას საგნობრივი მიმართულებების შერჩევისას გამოყენებულია ე.წ. კრიტიკული ქეისების შერჩევის სტრატეგია – კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია იმ საგნებზე, სადაც სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე მეტად არის კონცენტრირებული. ეს საგნებია სამოქალაქო განათლება და ბიოლოგია.

სამოქალაქო განათლება დაწყებით საფეხურებზე სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან ინტეგრირებულად ისწავლება. მესამე და მეოთხე კლასში იგი წარმოდგენილია საგანში „მე და საზოგადოება“, ხოლო მეხუთე და მეექვსე კლასში – საგანში „ჩემი საქართველო“. საბაზო საფეხურზე სამოქალაქო განათლება ისწავლება ცალკე, როგორც საგანი „მოქალაქეობა“.

შინაარსის ანალიზისათვის, აგრეთვე, შეირჩა ბუნებისმეტყველება დაწყებით საფეხურზე და ბიოლოგია – საბაზო საფეხურზე (მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასებში).

შინაარსის ანალიზის ჩარჩოდ გამოყენებულია იუნესკოს სახელმძღვანელო სქესობრივი განათლების შესახებ²¹. არჩევანი ამ ჩარჩოს სასარგებლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ იგი ავლენს გარკვეულ მსგავსებას ცოდნის სტრუქტურის მოდელთან, რომელიც ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის გამოყენებული.

²¹ Women, U. N., & UNICEF. (2018). *International technical guidance on sexuality education: an evidence-informed approach*. UNESCO Publishing.

კერძოდ, იუნესკოს ჩარჩოში სქესობრივი განათლების ფარგლებში რეკომენდებული შინაარსი გაშლილია თემებად, ხოლო თემების ფარგლებში მოცემული საკვანძო იდეები, ფორმულირების თვალსაზრისით, მოგვაგონებს ეროვნული სასწავლო გეგმის საკვანძო კითხვებსა და მკვიდრ წარმოდგენებს.

იუნესკოს ჩარჩოში საკვანძო იდეები და ქვესაკითხები ჩაშლილია ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში: 5-8 წელი, 9-12 წელი, 12-15 წელი და 15-18+ წელი, რაც ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით თემების დამუშავების დინამიკას გვიჩვენებს. იუნესკოს ჩარჩოს ამგვარი სტრუქტურა აადვილებს შედარებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რადგან კონკრეტული საფეხურებისთვის განკუთვნილი სტანდარტის ჩარჩოს კონკრეტულ ასაკობრივ განზომილებასთან შედარების შესაძლებლობას ქმნის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა პილოტირების პროცესშია. გეგმის შემუშავების პარალელურად მიმდინარეობს მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები და მათთან თანამშრომლობით უფრო დეტალური გზამკვლელების შემუშავება. შესაბამისად, მოცემული ანალიზი ვერ ასახავს იმ ქვესაკითხებს და დამატებით განმარტებებს, რომელთა შეტანა გათვალისწინებულია დამატებით გზამკვლელებში.

ამასთანავე, ახალი სასწავლო გეგმის კონცეფცია სწავლების შინაარსის და სტრატეგიების განსაზღვრაში მასწავლებლის აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. სასწავლო გეგმის ექსპერტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს ჩვენს ვარაუდს, რომ სასწავლო გეგმაში გარკვეული საკითხები უფრო ზოგადი ფორმით სწორედ იმიტომაა წარმოდგენილი, რომ უფრო მოქნილი მოდელი შესთავაზოს მასწავლებელს კურიკულუმის კონკრეტულ სასკოლო კონტექსტსა და მოსწავლეების სპეციფიურ საჭიროებებზე მოსარგებად.

სასწავლო გეგმის ამ დამატებით მასალებთან ერთად კომპლექსურად განხილვის შეუძლებლობა კვლევის ერთ-ერთ შემლუდვას წარმოადგენს, თუმცა, კვლევის შედეგად გამოტანილი ძირითადი მიგნებები საერთო წარმოდგენას გვიქმნის იმ განზომილებებზე, რომლებიც ამ დამატებით მასალებში უფრო დეტალურ განმარტებას ან დაზუსტებას საჭიროებს.

შინაარსობრივი ანალიზის ანგარიშის პირველი ნაწილი დეტალურად მიმოიხილავს ეროვნულ სასწავლო გეგმას იუნესკოს ჩარჩოს რვა მთავარი თემის მიხედვით. ეს თემებია: (1) ურთიერთობები, (2) ღირებულებები, დამოკიდებულებები და უნარ-ჩვევები, (3) გენდერის გააზრება, (4) ძალადობა და უსაფრთხოება, (5) ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უნარ-ჩვევები, (6) ადამიანის სხეული და განვითარება, (7) სექსუალობა და სექსუალური ქცევა, (8) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

მეორე ნაწილში შეჯამებულია კურიკულუმის შინაარსის ანალიზის ძირითადი დასკვნები.

სასწავლო გეგმის შინაარსის ანალიზი იუნესკოს ჩარჩოს თემების მიხედვით

ურთიერთობები

ურთიერთობების თემა იუნესკოს ჩარჩოში პირველი თემაა და ოთხ ქვესაკითხს აერთიანებს. ეს ქვესაკითხებია: (1.1) ოჯახი, (1.2) მეგობრობა, სიყვარული და რომანტიული ურთიერთობები, (1.3) მიმღებლობა, ინკლუზია და პატივისცემა, (1.4) გრძელვადიანი ურთიერთობა და მშობლობა.

ოჯახი

თემა „ოჯახი“ საკმაოდ ფართოდ არის გაშლილი სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმაში. ეროვნული სასწავლო გეგმით ამ საგნისთვის რეკომენდებული შინაარსი მოიცავს იუნესკო-ს ტექნიკური სახელმძღვანელოს ჩარჩოთი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის გათვალისწინებულ თითქმის ყველა ქვესაკითხსა და საილუსტრაციო მიზანს:

ცხრილი 3: იუნესკოს თემები და სასწავლო გეგმა

ძირითადი კონცეფცია 1: ურთიერთობები		მე და სამოგადოება (III-IV კლასი)	ჩემი საქართოველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)
1.1. ოჯახი		5-8 წელი	9-12 წელი	12-15 წელი		
ძირითადი იდეები						
5-8 წელი	ოჯახის ბევრი განსხვავებული ფორმა არსებობს ოჯახის წევრებს აქვთ განსხვავებული საჭიროებები და როლები გენდერული უთანასწორობა ხშირად ასახვას კპოვებს ოჯახის წევრების როლებსა და პასუხისმგებლობებში ოჯახის წევრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვების ღირებულებების ჩამოყალიბებაში	*** ** ***	 ** ***			
9-12 წელი	მშობლები/მეურვეები და ოჯახის სხვა წევრები ეხმარებიან ბავშვებს ღირებულებების ფორმირებაში და მხარს უჭერენ გადაწყვეტილების მიღებისას. ოჯახს შეუძლია გენდერული თანასწორობის იდეის პოპულარიზაცია როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებით. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა გავლენას ახდენს ოჯახის სტრუქტურაზე, შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობების განაწილებაზე.		*** ** ***	*** ** ***	* * *	* * *
12-15 წელი	ასაკის მატება ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავსა და სხვებზე ოჯახში ჩვეულებრივი მოვლენაა უთანხმოება და კონფლიქტი მშობლებს/ალმზრდელებსა და ბავშვებს შორის, განსაკუთრებით უფროს ასაკში, უთანხმოება და კონფლიქტი მოგვარებადია. სიყვარული, თანამშრომლობა, გენდერული თანასწორობა, ურთიერთმზრუნვა და ურთიერთპატივისცემა მნიშვნელოვანია ოჯახის ფუნქციონირებისა და ურთიერთობებისათვის.		*** ** ***	*** ** ***	* * *	* * *

15-18+ წელი	სექსუალურმა ურთიერთობებმა და ჯანმრთელობის საკითხებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ურთიერთობებზე ოჯახში. არსებობს სპეციალური დახმარების სისტემები, რომლებსაც ახალგაზრდებმა და ოჯახის სხვა წევრებმა შეიძლება მიმართონ სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარებასთან ან გამოაშკარავებასთან დაკავშირებული სირთულეებისას				*	*
					*	*

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული.

კურიკულუმში გაშლილია ოჯახში როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილების, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის, ისევე როგორც ღია კომუნიკაციის მნიშვნელობა. ასევე, ოჯახის წევრების როლი ბავშვების ღირებულებათა სისტემის ფორმირებაში.

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ქვესაკითხი „ოჯახის მრავალფეროვანი ფორმები“. იუნესკოს რეფერენციული ჩარჩოს თანახმად, ამ ქვესაკითხზე მუშაობა ყველაზე დაბალ ასაკობრივ ჯგუფში (5-8 წელი) უნდა დაიწყოს – მოსწავლეს ამ ასაკშიც კი უნდა შეეძლოს: (1) სხვადასხვა ტიპის ოჯახის აღწერა (მაგ.; ორი მშობელი; ერთი მშობელი; მეურვე, როგორც ოჯახის უფროსი; ბავშვი, როგორც ოჯახის უფროსი; გაფართოებული, ნუკლეარული არატრადიციული) (ცოდნა); (2) განსხვავებული ტიპის ოჯახებისადმი პატივისცემის გამოხატვა (დამოკიდებულებები, უნარ-ჩვევები); ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სტანდარტსა და რეკომენდებული შინაარსის ჩამონათვალში ეს ქვესაკითხი საერთოდ არ არის ნახსენები არც დაწყებით და არც საბაზო საფეხურზე.

შინაარსისა და ქვეთემების დაფარვის სიღრმის კუთხით ეროვნულ სასწავლო გეგმაში ორი საინტერესო ტენდენცია გამოჩნდა:

- სამოქალაქო განათლების სტანდარტსა და კონკრეტული კლასებისათვის განკუთვნილ გეგმებში საერთოდ არ არის გამოყენებული ტერმინი „გენდერი“. კურიკულუმში მხოლოდ ზოგადად არის ნახსენები ოჯახში თანასწორუფლებიანობის საკითხი. შესაბამისად, გენდერული უთანასწორობის ასპექტი ცხადად და მკაფიოდ არ არის გაშლილი სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმაში. ის ფაქტი, რომ კურიკულუმში არსად არის ნახსენები გენდერი, როგორც სოციალური კონსტრუქტი, ართულებს გენდერული უთანასწორობის საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.
- ოჯახზე საუბრისას მეტად არის აქცენტირებული ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის დადებითი ასპექტები – მხარდაჭერა, ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა და ნაკლებად არის განხილული შესაძლო კონფლიქტების, უთანხმოების და მათი გადაჭრის საკითხები. ინტერპერსონალური კონფლიქტების საკითხი კურიკულუმში მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც თემას „ოჯახი“, თანატოლებისა და სკოლის საკითხები ჩაანაცვლებს.

კონცეპტუალური თვალსაზრისით, ეროვნული სასწავლო გეგმის რეფერენციულ ჩარჩოსთან შედარებისას ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება. იუნესკოს ჩარჩოში, მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად ფოკუსი თანდათანობით გარედან შიგნით, ანუ ზოგადი საკითხებიდან პიროვნული განვითარების ასპექტებზე გადაინაცვლებს – თუკი თავდაპირველად მოსწავლე აღიქვამს მოვლენებისა და პროცესების ზოგად მრავალფეროვნებას, მაღალ კლასებში ის უფრო მეტად უღრმავდება ამ პროცესების დინამიკას და მათ საკუთარ პიროვნებას უკავშირებს – აანალიზებს საკუთარ როლს ამ პროცესებში. ამ ლოგიკის საპირისპიროდ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად აქცენტი შიგნიდან გარეთ, ანუ პიროვნული ასპექტებიდან უფრო ზოგად პროცესებზე გადაინაცვლებს:

- სამოქალაქო განათლების შინაარსი იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ თითოეული საფეხურის ფარგლებში (დანწყებით, საბაზო) პიროვნული განვითარებისა და მიკრო სოციალური ჯგუფების ინტერაქციის თემებს სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გლობალური პოლიტიკის საკითხები ჩაანაცვლებს. შესაბამისად, ოჯახის თემაც დანწყებით საფეხურზე უფრო მეტი სიღრმით არის განხილული III-IV და არა V-VI კლასებში, ხოლო საბაზო საფეხურზე – მეტად არის გაშლილი VII კლასში, VIII-IX კლასებთან შედარებით.
- მაღალ კლასებში სამოქალაქო განათლების შინაარსი ძირითადად სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებსა და გლობალურ პროცესებს ეხება. შესაბამისად, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობების პროცესში პიროვნული ასპექტის გაშლისას კურიკულუმში ერთგვარი წყვეტაა, რაც მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად (მაღალ კლასებში) პიროვნული განვითარების უფრო კომპლექსური საკითხების თანმიმდევრულად განხილვას აფერხებს.

მეგობრობა, სიყვარული და რომანტიული ურთიერთობები

რეფერენციული ჩარჩოს მიხედვით, ურთიერთობების ბლოკში მეორე ქვეთემას წარმოადგენს „მეგობრობა, სიყვარული და რომანტიული ურთიერთობები“. როგორც სათაური მიგვანიშნებს, ამ ქვეთემის მთავარი მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ურთიერთობების სხვადასხვა ფორმას შორის განსხვავებების იდენტიფიცირება და ურთიერთობების დინამიკის ამ განსხვავებული ფორმების ჭრილში ანალიზი.

ქვესაკითხის ფარგლებში მოცემული ძირითადი იდეები სამ მსხვილ კატეგორიად შეიძლება გაგავრთიანოთ. პირველი კატეგორია ურთიერთობების ფორმების ტიპოლოგიას ეხება, მეორე – ამ ურთიერთობების ღირებულებით ასპექტებს, ხოლო მესამე – ურთიერთობების გავლენას ადამიანზე.

ძირითადი კონცეფცია 1: ურთიერთობები		მე და სამოგადიდოებ (III-IV კლასი)	ჩემი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)
1.2. მეგობრობა, სიყვარული და რომანტიული ურთიერთობები		5-8 წელი	9-12 წელი	12-15 წელი		
ძირითადი იდეები						
5-8 წელი	არსებობს მეგობრობის სხვადასხვა სახე მეგობრობა ემყარება ნდობას, გამიარებას, ურთიერთპატივისცემას, თანადგომას და სოლიდარობას ურთიერთობა სიყვარულის სხვადასხვა სახეს მოიცავს (მაგ. სიყვარული მეგობრებს შორის, სიყვარული მშობლებს შორის, სიყვარული რომანტიულ პარტნიორებს შორის და ა.შ.) არსებობს ჯანსაღი და არაჯანსაღი ურთიერთობები	*** ***	*** ***	*** ***	* *	* *
9-12 წელი	მეგობრობა და სიყვარული ეხმარება ადამიანებს თავი პოზიტიურად იგრძნონ ბავშვის ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბებასთან ერთად, მეგობრობა და სიყვარული შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოიხატოს ურთიერთობაში უთანასწორობა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს პირად ურთიერთობებზე	*** ***	*** ***	*** ***	* *	* *
12-15 წელი	მეგობრებს შეიძლება ჰქონდეთ როგორც პოზიტიური, ასევე - ნეგატიური ურთიერთმეგავლენა არსებობს ურთიერთობის სხვადასხვა სახე უთანასწორობამ და განსხვავებებმა ძალაუფლების განაწილებაში (მაგ. გენდერის, ასაკის, ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით) შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს რომანტიულ ურთიერთობებზე			*** ** *		
15-18+ წელი	არსებობს ჯანსაღი და არაჯანსაღი სექსუალური ურთიერთობები მომწიფებასთან და ზრდასთან ერთად, სიყვარული და მიჯაჭვულობა შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოიხატოს					

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული.

სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმის ფარგლებში თანატოლებს შორის ურთიერთობის საკითხს შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს ვერსიაში საერთოდ არ არის გაშლილი პირველი კატეგორია – ურთიერთობების ტიპოლოგია. კურიკულუმში ცალკე კატეგორიად არ არის გამოყოფილი რომანტიული ურთიერთობები, შესაბამისად, ურთიერთობების დინამიკაზე მსჯელობისას ეს განზომილება თითქოს ყურადღების მიღმა რჩება. მაგალითად, სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია თანატოლებთან ურთიერთობების შედეგებზე, ისევე როგორც თანატოლებს შორის კონფლიქტების გადაჭრისა და მედიაციის შესაძლებლობებზე მსჯელობის წამახალისებელი სტრატეგიები. თუმცა, რადგან რომანტიული ურთიერთობები, როგორც ურთიერთობების ქვეკატეგორია, სასწავლო გეგმაში მკაფიოდ და ცხადად არ არის

დიფერენცირებული, კურიკულუმი ნაკლებად უწყობს ხელს ურთიერთობების მართვის განხილვას რომანტიული ურთიერთობების კონტექსტში.

ტოლერანტობა, ინკლუზია და პატივისცემა

ურთიერთობების ბლოკში მესამე მნიშვნელოვანი თემა მიმოიხილავს ტოლერანტობის, ინკლუზიისა და პატივისცემის საკითხებს. ამ თემის ფარგლებში მნიშვნელოვანი ასპექტებია სტიგმა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ეს საკითხები კარგად არის გაშლილი. ერთადერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ კურიკულუმში (სტანდარტსა და რეკომენდებულ შინაარსში) არ არის აღნიშნული ტერმინი „სტიგმა“. სასწავლო გეგმაში ზოგადად არის საუბარი სხვადასხვა ნიშნით ჩაგვრის, უთანასწორობის თემებზე, სოლიდარობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

III-IV კლასში საგანში „მე და საზოგადოება“ ეს საკითხები მიმოიხილულია ოჯახის, თანატოლთა ჯგუფების, სკოლის, თემისა და სახელმწიფოს კონტექსტში. იგივე საკითხები მეორდება VII, VIII და IX კლასის საგანში „მოქალაქეობა“.

ცხრილი 5: იუნესკოს თემები და სასწავლო გეგმა

ძირითადი კონცეფცია 1: ურთიერთობები		მე და საზოგადოება (III-IV კლასი)	ჩემი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)
1.3. ტოლერანტობა ინკლუზია და პატივისცემა						
ძირითადი იდეები						
5-8 წელი	ყველა ადამიანი უნიკალური არსებაა, შეუძლია წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში და იმსახუროს პატივისცემას	***				
9-12 წელი	სტიგმა და დისკრიმინაცია ზიანის მომტანია ნებისმიერი ადამიანის დამცირება (ბულინგი) და შევიწროვება მისი სოციალური, ეკონომიკური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეთნიკურობის, რასის, წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან სხვა ნიშნით, უპატივისცემლობის გამოხატულებაა და საშიშროა		*** ***	*** ***		
12-15 წელი	სტიგმა და დისკრიმინაცია, რომელიც ემყარება განსხვავებულობას რაიმე ნიშნით (მაგ. აივ, ორსულობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეკონომიკური სტატუსი, ეთნიკურობა, რასა, გენდერი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა ან სხვა განსხვავებულობა) გამოხატავს უპატივისცემლობას, ზიანის მომტანია კეთილდღეობისთვის და არღვევს ადამიანის უფლებებს.				***	***
15-18+ წელი	მნიშვნელოვანია წინააღმდეგობა გავეწიოთ სტიგმას და დისკრიმინაციას და ხელი შევუწყოთ ინკლუზიას, არა-დისკრიმინაციას და მრავალფეროვნებას				***	***

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული.

გრძელვადიანი ურთიერთობა და მშობლობა

ურთიერთობების ბლოკში შემავალი სხვა თემებისაგან განსხვავებით, გრძელვადიანი ურთიერთობებისა და მშობლობის საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნაკლები სიღრმით არის დაფარული.

ცხრილი 6: იუნესკოს თემები და სასწავლო გეგმა

ძირითადი კონცეფცია 1: ურთიერთობები		მე და საზოგადოება (III-IV კლასი)	ჩემი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)	ბუნებისმეტყველება (I-VI კლასი)	ბიოლოგია (VII კლასი)	ბიოლოგია (VIII კლასი)	ბიოლოგია (IX კლასი)
1.4. გრძელვადიანი ურთიერთობა და მშობლობა										
ძირითადი იდეები										
5-8 წელი	ოჯახის და ქორწინების სხვადასხვა კონცეფტი და სტრუქტურა არსებობს									
9-12 წელი	ბავშვის ქორწინება, ნაადრევი და იძულებითი ქორწინება (CEFM) საშიშროა და ქვეყნების უმრავლესობაში უკანონოაა მიჩნეული გრძელვადიანი ურთიერთობების, ქორწინების და მშობლობის ფორმები განსხვავდება და საზოგადოების, რელიგიის, კულტურის და კანონმდებლობის ზეგავლენით ფორმირდება კულტურა და გენდერული როლები ზეგავლენას ახდენს მშობლობაზე		***	***	*	*				
			**	**	*	*				
			*	*						
12-15 წელი	გრძელვადიანი ურთიერთობებს და ქორწინებას ბევრი პასუხისმგებლობა მოყვება ადამიანები სხვადასხვა გზით ხდებიან მშობლები და მშობლობა ბევრ სხვადასხვა პასუხისმგებლობას მოიპოვებს ბავშვმა, ნაადრევმა და იძულებითმა ქორწინებამ (CEFM) და განუზრახავმა მშობლობამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური სოციალური შედეგები და ჯანმრთელობის დაზიანება								**	
				***						***
15-18+ წელი	გრძელვადიანი ურთიერთობები და ქორწინება შეიძლება დამატებით მოიცავდეს იყოს და ბევრი სირთულის მომტანიც									
15-18+ წელი	ადამიანების გადაწყვეტილებაზე, იყოლიონ თუ არა, როდის და რატომ იყოლიონ შვილები ბევრი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას									

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული

დანყებიითი კლასების, ისევე როგორც მაღალი კლასების სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმაში ყურადღება არ არის გამახვილებული ოჯახისა და ქორწინების განსხვავებულ კონცეპტებზე.

ამ თემაში შემავალი საკითხებიდან ეროვნულ სასწავლო გეგმაში შედარებით მკაფიოდ არის აღნიშნული ნაადრევი ქორწინების თემა. VII კლასის საგანში „მოქალაქეობა“, მიმართულების „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ ფარგლებში, განიხილება ნაადრევი ქორწინების გავლენა ჯანმრთელობაზე. ეს საკითხი, ასევე, გვხვდება IX კლასის საგანში „მოქალაქეობა“.

თუმცა, იუნესკოს რეფერენციული ჩარჩოსაგან განსხვავებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის გაშლილი გრძელვადიანი ურთიერთობებისა და მშობლობის თანმდევი პასუხისმგებლობა, ასევე, კანონმდებლობის, კულტურის, რელიგიისა და საზოგადოების გავლენა გრძელვადიანი ურთიერთობების, მშობლობისა და ქორწინების ფორმებზე.

ღირებულებები, დამოკიდებულებები და უნარ-ჩვევები

იუნესკოს ჩარჩოს კიდევ ერთ თემას წარმოადგენს სექსუალობასთან დაკავშირებული ღირებულებები, დამოკიდებულებები და უნარ-ჩვევები. ამ თემის ფარგლებში ჩარჩო სამ ქვეთემას განიხილავს: (2.1) ღირებულებები და სექსუალობა, (2.2) ადამიანის უფლებები და სექსუალობა, (2.3) კულტურა, საზოგადოება და სექსუალობა.

ღირებულებები და სექსუალობა

რეფერენციული ჩარჩოს ეს თემა საკმაოდ ფართოდ არის გაშლილი ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კერძოდ, ღირებულებების ასპექტი აღნიშნულია ყველა კლასის სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მიმოხილულია ღირებულებების მნიშვნელობა, აქცენტი კეთდება თანამშრომლობის, ურთიერთმხარდაჭერის, თანასწორობის, სამართლიანობის, ინკლუზიის თემებზე.

ღირებულებებზე საუბარი ძალიან ადრე, სამოქალაქო განათლების კომპონენტის შემოტანასთან ერთად, მესამე კლასში იწყება. ეს საკითხები გაშლილია ოჯახთან, თანატოლებთან, სკოლასთან, თემთან ურთიერთობის ჭრილში. ასევე, ღირებულებების ასპექტი ჩანს იმ კლასების კურიკულუმშიც, რომლებიც სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებს ეხება („მე და საქართველო“ – V-VI კლასი, მოქალაქეობა - VIII და IX კლასები).

თუმცა, სასწავლო გეგმაში ღირებულებით ასპექტებზე ასეთი აქცენტის ფონზე, თვალსაჩინოა ორი მნიშვნელოვანი განსხვავება იუნესკოს რეფერენციულ ჩარჩოსთან.

- (1) კურიკულუმში არ ხდება ყურადღების გამახვილება ღირებულებების ფორმირების პროცესზე – სოციალური ინსტიტუტების და სოციალური ინტერაქციის როლზე მათ ფორმირებაში.
- (2) კურიკულუმში საერთოდ არ არის ნახსენები ტერმინი „სექსუალობა“, შესაბამისად, რთულდება ღირებულებათა სისტემისა და სექსუალობის ურთიერთმიმართების ანალიზი.

ძირითადი კონცეფცია 2: ღირებულებები, დამოკიდებულებები და უნარ-ჩვევები		მე და სამოგადოება (III-IV კლასი)	ჩემი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)
2.1. ღირებულებები და სექსუალობა						
ძირითადი იდეები:						
5-8 წელი	ღირებულებები, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინდივიდებში, ოჯახებსა და სამოგადოებაში დამკვიდრებული ძლიერი რწმენები და შეხედულებები	**				
9-12 წელი	ღირებულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც ოჯახისა და სამოგადოებისგან გადმოგვცემა, სქესისა და სექსუალობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და შემეცნების წყაროს წარმოადგენს და ჩვენს ქცევასა და გადაწყვეტილებებზე ახდენს ზეგავლენას		**	**	**	**
12-15 წელი	მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ პიროვნების ღირებულებებს, რწმენებს და დამოკიდებულებებს, ვაცნობიერებდეთ, როგორ ზეგავლენას ახდენენ ისინი სხვათა უფლებებზე და როგორ დავიცვათ ეს უფლებები		**	***	***	***
15-18+ წელი	მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ პიროვნების ღირებულებებს, რწმენებს და დამოკიდებულებებს, რათა სექსუალური ქცევა მათთან თავსებადი გავხადოთ ბავშვი, მრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბების პროცესში შეიმუშავებს საკუთარ ღირებულებებს, რომლებიც შეიძლება გასხვავდებოდეს მისი მშობლების/მეურვეების ღირებულებებისგან			**	**	**

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული

ადამიანის უფლებები და სექსუალობა; კულტურა, სამოგადოება და სექსუალობა

იუნესკოს ჩარჩოს მეორე კონცეპტუალურ ბლოკში – ღირებულებები, დამოკიდებულებები და უნარ-ჩვევები – „სექსუალობის“ საკითხი კიდევ ორ მნიშვნელოვან თემას – ადამიანის უფლებებსა და სოციო-კულტურულ კონტექსტს უკავშირდება.

როგორც წინა თავში აღინიშნა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში საერთოდ არ არის ნახსენები ტერმინები „სექსუალობა“, „სექსუალური ქცევა“. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების თემა, ისევე როგორც სოციო-კულტურული კონტექსტის მნიშვნელობა ფართოდ არის გაშლილი სასწავლო გეგმაში, მათი დაკავშირება სექსუალობის საკითხთან ძირითადად მასწავლებლისა და მოსწავლის ინიციატივაზეა დამოკიდებული.

ძირითადი კონცეფცია 2: ღირებულებები, დამოკიდებულებები და უნარ-ჩვევები		მე და სამოგადოება (III-IV კლასი)	ჩემი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)
2.2. ადამიანის უფლებები და სექსუალობა						
ძირითადი იდეები:						
5-8 წელი	ადამიანის უფლებები ყველას საკუთრებაა	***	***	***	***	***
9-12 წელი	მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ საკუთარ უფლებებს და გვახსოვდეს, რომ ადამიანის უფლებები დაცულია ეროვნული კანონდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით		***	**	**	**
12-15 წელი	ადამიანის საყოველთაო უფლებები მოიცავს უფლებებს, რომელიც სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ახდენს ზეგავლენას					
15-18+ წელი	არსებობს ადამიანის იმ უფლებების დაცვაზე მიმართული ადგილობრივი ან/და ეროვნული კანონდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები, რომელიც ზეგავლენას ახდენს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ და მხარს ვუჭერდეთ ადამიანის იმ უფლებების რეალიზაციას, რომელიც ზეგავლენას ახდენს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე					
2.3. კულტურა, სამოგადოება და სექსუალობა						
ძირითადი იდეები:						
5-8 წელი	არსებობს ინფორმაციის არაერთი წყარო, რომელიც გვცხმარება საკუთარი თავის, გრძნობების და სხეულის შემეცნებაში			*	*	*
9-12 წელი	კულტურა, რელიგია და სამოგადოება საკუთარი სექსუალობის შემეცნებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს					
12-15 წელი	სოციალური, კულტურული და რელიგიური ფაქტორები განსაზღვრავს სამოგადოებაში მისაღებ და მიუღებელ სექსუალურ ქცევას და ეს ფაქტორები დროთა განმავლობაში იცვლება / ვითარდება					
15-18+ წელი	საკუთარი ამრის და შეხედულების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, როგორ ახდენს ზეგავლენას სხვადასხვა კულტურული ნრომა სექსუალურ ქცევაზე					

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული.

გენდერის გააზრება

იუნესკოს ჩარჩოს სექცია გენდერის შესახებ სამი ძირითადი საკითხის გარშემო აგებული: (3.1) გენდერისა და გენდერული ნორმების სოციალური კონსტრუქცია, (3.2) გენდერული თანასწორობა, სტერეოტიპები და აღქმის შეზღუდვები (მიკერძოებები) და (3.3) გენდერული ძალადობა.

თემაში გაერთიანებული საკითხების ერთობლიობა მკაფიოდ აჩვენებს საკითხის სწავლების რეკომენდებულ ლოგიკას – მოსწავლემ კომპლექსურად უნდა გაიაზროს გენდერის, როგორც სოციალური კონსტრუქტის მნიშვნელობა, კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი და სხვათა აღქმები, წარმოდგენები და გენდერული სტერეოტიპები და შეძლოს გააანალიზოს ამ წარმოდგენების გავლენა ქცევაზე.

გენდერული უთანასწორობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ფორმირების გარდა რეფერენციულ ჩარჩოში, სასწავლო შედეგის სახით, მკაფიოდ არის ხაზგასმული გენდერული წარმოდგენების ფორმირების პროცესის გააზრების მნიშვნელობა.

იუნესკოს ჩარჩოსგან განსხვავებით ეროვნულ სასწავლო გეგმაში ეს ლოგიკა დარღვეულია.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სქესთა შორის თანასწორობის საკითხებზე საუბარი სამოქალაქო განათლების ელემენტების შემოღებისთანავე, მესამე კლასში იწყება, ტერმინი „გენდერი“ კურიკულუმში არსად არის ნახსენები. დოკუმენტის შინაარსის ანალიზისას ჩანს, რომ ამ ტერმინის ნაცვლად გამოყენებულია სიტყვები „გოგონები და ბიჭები“. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია მაღალ კლასებშიც.

შესაბამისად, სასწავლო გეგმაში არსად არის საუბარი გენდერზე, როგორც სოციალურ კონსტრუქტზე, ასევე, არ არის გამახვილებული ყურადღება განსხვავებებზე ბიოლოგიურ სქესსა და გენდერს შორის.

ამ მკვიდრი წარმოდგენის გააზრების გარეშე, მოსწავლისთვის რთულია ისეთი საკითხების ანალიზი, როგორიცაა სოციალური და კულტურული ნორმებისა და რელიგიური რწმენების გავლენა გენდერულ როლებზე, საკუთარი და სხვათა გენდერული რწმენებისა და სტერეოტიპების კრიტიკული შეფასება.

საგულისხმოა, რომ სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმაში ვრცლად არის მიმოხილული ინკლუზიურობისა და ტოლერანტობის იდეები, თუმცა გენდერული იდენტობის მრავალფეროვნება არსადაა მითითებული, როგორც სოციუმში არსებული მრავალფეროვნების მაგალითი.

ზოგადად, სასწავლო გეგმის გაუმჯობესების კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა იმ იდეის წინ წამოწევა, რომ ადამიანთა წარმოდგენები სოციალური კონსტრუქციების შედეგია. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ იკითხება მიზანი – სტერეოტიპების, საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შესახებ მოსწავლეებში უარყოფითი დამოკიდებულებების

ფორმირება, თუმცა ამ მიზნის მიღწევა რთულია სტერეოტიპების ფორმირების პროცესის სიღრმისეული გააზრების გარეშე.

ძალადობა და უსაფრთხოება

ძალადობისა და უსაფრთხოების თემა იუნესკოს ჩარჩოში სამ ქვესაკითხს მოიცავს: (4.1) ძალადობა, (4.2) თანხმობა, კონფიდენციალურობა და სხეულის ხელშეუხებლობა, (4.3) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება.

ძალადობა

ძალადობის თემის გაშლისას ეროვნულ სასწავლო გეგმაში იგივე სპეციფიკას ვხედავთ, რასაც სხვა თემების ანალიზისას ვაკვირდებოდით. კერძოდ, სამოქალაქო განათლების ფარგლებში ძალადობის თემა ფართოდ არის განხილული, თუმცა კურიკულუმში მკაფიოდ არ იკითხება ინფორმაცია გენდერული და სქესობრივი ნიშნით ძალადობის შესახებ.

მაგალითად, ძალადობის, ბულინგის საკითხების განხილვა სამოქალაქო განათლების ფარგლებში დაწყებითი საფეხურიდან იწყება. რეკომენდებული თემები გულისხმობს მოსწავლის მსჯელობის წახალისებას ბულინგის და ძალადობის ფორმებსა და გამოვლინებაზე სხვადასხვა კონტექსტში (თანატოლებს შორის ურთიერთობა, სკოლა, თემი). საინტერესოა, რომ დაწყებითი კლასების კურიკულუმში ერთ-ერთ ქვესაკითხად აღნიშნულია „ძალადობა რელიგიის სახელით“.

ძალადობისა და ბულინგის თემები მეორდება საბაზო საფეხურზეც. მეშვიდე კლასში, საგნის „მოქალაქეობა“ ფარგლებში მოსწავლე განიხილავს ბულინგისა და ძალადობის პრობლემებს მათი გადაჭრის კუთხით და სწავლობს სხვებთან თანამშრომლობას ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

მერვე და მეცხრე კლასებში სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმა არაძალადობრივ ქმედებას დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ პრინციპად განიხილავს (თანასწორობასთან, კანონის უზენაესობასთან, გამჭვირვალობასთან, პასუხისმგებლობასა და ინკლუზიურობასთან ერთად). გეგმის თანახმად, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ამ პრინციპების გამოყენება: ა) პირადი და სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას; ბ) ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას; გ) სამშვიდობო და პოლიტიკური პროცესების შეფასებისას.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის საკითხი ფართოდ და თანმიმდევრულად არის გაშლილი სასწავლო გეგმაში, საკითხის გაშლას გარკვეულწილად აკლია სიღრმე.

ერთ-ერთ საინტერესო დაკვირვებას წარმოადგენს ის, რომ, ზოგადად, კურიკულუმში ნაკლებად არის აქცენტირებული ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები. ნაკლები ყურადღება ექცევა ქცევის განმაპირობებელი მიზეზების ანალიზს. სუსტია კავშირები ბიოლოგიის ფარგლებში

ფიზიოლოგიის სწავლებასა და ქცევის თავისებურებებს შორის. მოსწავლე ვერ უკავშირებს ერთმანეთს ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონალურ ცვლილებებს და შესაბამის ცვლილებებს ქცევაში. ამ კუთხით მკაფიო ბმების არარსებობისა და კურიკულუმში ქცევის ანალიზზე ნაკლები აქცენტის პირობებში მოსწავლეს, სავარაუდოდ, ნაკლები ცოდნა ექნება საკუთარი ქცევის კრიტიკული ანალიზისა და კორექტირებისთვის.

ცხრილი 9: იუნესკოს თემები და სასწავლო გეგმა

ძირითადი კონცეფცია 4: ძალადობა და უსაფრთხოება		მე და საზოგადოება (III-IV კლასი)	ჩემი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)
ძირითადი იდეები						
5-8 წელი	მნიშვნელოვანია შეძლო ბულინგისა და ძალადობის ამოცნობა და იმის გააზრება, რომ ეს არასწორია მნიშვნელოვანია შეძლო ბავშვზე ძალადობის ამოცნობა და იმის გაგება, რომ ეს არასწორია მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ მშობლებსა და რომანტიკულ პარტნიორებს შორის ძალადობა არასწორია	*** ** **	*** ** **	*** ** **	*** ** **	*** ** **
9-12 წელი	სექსუალური ძალადობა, სექსუალური შევიწროება და ბულინგი (მათ შორის კიბერბულინგი) საშიშროა და მსგავსი გამოცდილებისას, მნიშვნელოვანია მხარდაჭერის ძიება და მიღება. ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა არასწორია და მსგავსი გამოცდილებისას, მნიშვნელოვანია მხარდაჭერის ძიება და მიღება.	* *	* *	* *	* *	* *
12-15 წელი	სექსუალური ძალადობა, სექსუალური თავდასხმა, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა და ბულინგი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევას	*	*	*	*	*
15-18+ წელი	ყველას აქვს პასუხისმგებლობა ხელი შეუწყოს ადამიანების ჯანმრთელობას და ძალადობისგან თავისუფალ კეთილდღეობას	***	***	***	***	***

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული.

თანხმობა, კონფიდენციალურობა და სხეულის ხელშეუხებლობა

ეს საკითხები ეროვნულ სასწავლო გეგმაში საერთოდ არ არის გაშლილი, მაშინ როდესაც რეფერენციულ ჩარჩოში სხეულის ხელშეუხებლობის საკითხების სწავლება დაწყებითი საფეხურიდან იწყება.

კერძოდ, დაწყებითი კლასის მოსწავლეს უკვე უნდა ესმოდეს, რა არის ე.წ. „ცუდი და კარგი შეხება“. შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს, სწორად მოახდინოს საფრთხის იდენტიფიცირება და დახმარებისთვის მიმართოს უფროსებს.

იუნესკოს ჩარჩოში ჩამოთვლილი საკითხებიდან ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის აღნიშნული შემდეგი თემები:

- ყველას აქვს უფლება გადაწყვიტოს, ვის, სად და რა გზით შეუძლია შეეხოს მის სხეულს (დანაწესი საფეხური)
- მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის არასასურველი სექსუალური ყურადღება და რას გულისხმობს პირადი სივრცის საჭიროება (საბაზო საფეხური)
- ყველას აქვს პირადი ცხოვრების და სხეულის ხელშეუხებლობის უფლება (საბაზო საფეხური)
- მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის არასასურველი სექსუალური ყურადღება და რას გულისხმობს პირადი სივრცის საჭიროება (საშუალო საფეხური)
- ყველას აქვს უფლება თავად აკონტროლოს, რომელი სექსუალური ქცევის განხორციელება სურს ან არ სურს, აუხსნას და მიიღოს შესაბამისი თანხმობა პარტნიორებისგან (საშუალო საფეხური).

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება სამოქალაქო განათლების ფარგლებში დანაწესი საფეხურიდან იწყება. მოსწავლეები სწავლობენ, თუ რატომ შეიძლება გახდეს შეუმოწმებელი ინფორმაცია კონფლიქტის მიზეზი, რა ინფორმაციის მიღება შეიძლება საინფორმაციო საშუალებებიდან, როგორ გამოიყენონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებისთვის, არამედ გავრცელებისთვის. თუმცა, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, სასწავლო გეგმაში არ ჩანს მკაფიო მინიშნება თემის კავშირზე სქესობრივ განათლებასთან. ამ შემთხვევაშიც, საკითხის ამ რაკურსით განხილვა მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე არის დამოკიდებული.

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უნარ-ჩვევები

რეფერენციული ჩარჩოს ამ ქვეთავში საუბარია ხუთ საკითხზე: (5.1) ნორმები და თანატოლთა ზეგავლენა სექსუალურ ქცევაზე; (5.2) გადაწყვეტილების მიღება, (5.3) კომუნიკაცია, უარყოფა და მოლაპარაკების უნარ-ჩვევები, (5.4) მედია წიგნიერება და სექსუალობა, (5.5) დახმარებისა და მხარდაჭერის ძიება.

როგორც სხვა კომპონენტების შინაარსის ანალიზისას გამოჩნდა (იხ. ზემოთ), ეს საკითხები სამოქალაქო განათლების კურიკულუმში საკმაოდ კარგად არის დაფარული. დანაწესი საფეხურიდანვე მოსწავლე სწავლობს ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობას. მსჯელობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოიძიოს დახმარება საფრთხის შემთხვევაში. სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმის შინაარსში დანაწესი საფეხურზევე მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ თანატოლთა გავლენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მოსწავლე

სწავლობს მოლაპარაკებების წარმოებისა და მედიაციის ტექნიკებს და იყენებს მათ სხვადასხვა პროექტში.

საბაზო საფეხურზე უფრო მეტი ყურადღება ექცევა გადაწყვეტილების მიღებისა და თანამშრომლობის პროცესებს. კურიკულუმში აღნიშნულია, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს „სკოლის, თემის, სახელმწიფოს დონეზე მნიშვნელოვანი პრობლემატიკის ამოცნობა და ანალიზი და მათ გადაჭრაზე ზრუნვა დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, არაძალადობრივი ქცევა და ინკლუზია)“.

საგულისხმოა, რომ სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმაში, სხვადასხვა კლასში გამჭოლი მიმართულების სახით არის წარმოდგენილი მოქალაქეობა და უსაფრთხოება, ჯანსაღი ცხოვრების წესი.

სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმა რეფერენციული ჩარჩოს ამ ბლოკის ფართო და სიღრმისეული დაფარვის შესაძლებლობას ქმნის, თუმცა ამ შემთხვევაშიც საკითხების განხილვის კონკრეტული ფოკუსის შერჩევაში მნიშვნელოვანი როლი თავად მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ენიჭებათ.

ადამიანის სხეული და განვითარება

იუნესკოს რეფერენციული ჩარჩოს მეექვსე თემა „ადამიანის სხეული და განვითარება“ აერთიანებს ოთხ ქვეთემას: (6.1) სექსუალური და რეპროდუქციული ანატომია და ფიზიოლოგია, (6.2) რეპროდუქცია, (6.3) პუბერტატი, (6.4) სხეულის ხატი.

სექსუალური და რეპროდუქციული ანატომია და ფიზიოლოგია, რეპროდუქცია

სექსუალური და რეპროდუქციული ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხები იუნესკოს რეფერენციულ ჩარჩოში სამი მიმართულებით არის გაშლილი. პირველ რიგში, მოსწავლე უნდა ფლობდეს სექსუალურ ჯანმრთელობასა და რეპროდუქციასთან დაკავშირებულ ცოდნას ანატომიის სფეროში. მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ მოსწავლეს შეეძლოს ფიზიოლოგიური პროცესების დაკავშირება სექსუალურ ქცევასთან. ამასთანავე, მოსწავლეს უნდა შეეძლოს სქესის, გენდერისა და სექსუალური ქცევის სოციო-კულტურული გავლენების ჭრილში გააზრება.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხები ვრცლად არის გაშლილი. ადამიანის ანატომიის გაცნობას მოსწავლეები დაწყებით საფეხურზევე იწყებენ. ცოდნის შემდგომი გაღრმავება გათვალისწინებულია საგანში „ბიოლოგია“.

მეშვიდე კლასის ფარგლებში, სასიცოცხლო ციკლის ზოგადი კანონზომიერების შესწავლისას, მოსწავლეები ეცნობიან ორგანიზმის განვითარების სტადიების მონაცვლეობას, გარდატეხის

ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს და ამ ცვლილებებთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებს.

მერვე კლასის ფარგლებში მოსწავლეები უფრო დეტალურად ეცნობიან ადამიანის ნერვული, ენდოკრინული და რეპროდუქციული სისტემების ანატომიასა და ფიზიოლოგიას.

მერვე კლასის სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლემ, აგრეთვე, უნდა შეძლოს ადამიანის რეპროდუქციული სისტემის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება „ჯანმრთელობის დაცვის, უშიშროების დაძლევის, დაავადებების პრევენციის, ხელოვნური განაყოფიერების, იმუნოლოგიის საკითხებთან“.

მეცხრე კლასი ეთმობა უჯრედის დონეზე მიმდინარე პროცესების დეტალურ შესწავლასა და გენეტიკას. მოსწავლეები სწავლობენ მითოზისა და მეიოზის პროცესებს, შეჯვარების გენეტიკური სქემის შედგენას. სასწავლო გეგმის თანახმად, მათ, ასევე, უნდა შეეძლოთ ციტოლოგიისა და გენეტიკის შესახებ მიღებული ცოდნის დაკავშირება ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან.

საერთო ჯამში სექსუალური და რეპროდუქციული ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო გეგმაში კარგად არის გაშლილი, თუმცა უფრო მეტ გამოწვევებს გხვდავთ ეროვნული სასწავლო გეგმის იუნესკოს რეფერენციული ჩარჩოს ორ სხვა განზომილებასთან შედარებისას. კერძოდ:

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე სიღრმისეულად სწავლობს ადამიანის ფიზიოლოგიას, სასწავლო გეგმაში ნაკლებად გვხვდება ისეთი კითხვები, რომლებიც წაახალისებდა მოსწავლის ფიქრს ფიზიოლოგიური პროცესების სექსუალურ ქცევასთან და, ზოგადად, ქცევასთან დაკავშირების მიმართულებით.

ზოგადად, კურიკულუმში ნაკლებად ჩანს ბმები საბუნებისმეტყველო საგნების ფარგლებში შესწავლილ ფიზიოლოგიურ პროცესებსა და სამოქალაქო განათლების ფარგლებში განხილულ ქცევით ასპექტებს შორის. როგორც უკვე აღინიშნა, ამგვარი ინტერდისციპლინარული მიდგომა მნიშვნელოვნად გაუმარტივებდა მოსწავლეს საკუთარი ქცევის კრიტიკულად გააზრებასა და კორექციას.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, კურიკულუმში ნაკლები ყურადღება ექცევა გენდერულ წარმოდგენებზე კულტურის ზეგავლენის სიღრმისეულ ანალიზს.

კიდევ ერთი საგულისხმო გამოწვევა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის იუნესკოს რეფერენციულ ჩარჩოსთან შედარებისას ჩანს, არის ის, რომ ეროვნულ კურიკულუმში საერთოდ არ არის აქცენტირებული, რომ მომწიფებასთან, ისევე როგორც რეპროდუქციასთან და სქესთა შორის ურთიერთობებთან დაკავშირებული ანატომიური და ფიზიოლოგიური პროცესებისადმი ინტერესი ბავშვებში სრულიად ბუნებრივია და მათ არ უნდა ერიდებოდეთ ამ საკითხებზე კითხვების დასმა და ღია საუბარი.

ძირითადი კონცეფცია 6: ადამიანის სხეული და განვითარება		მე და სამოგადოება (III-IV კლასი)	მეტი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)	ბუნებისმეტყველება (I-VI კლასი)	ბიოლოგია (VII კლასი)	ბიოლოგია (VIII კლასი)	ბიოლოგია (IX კლასი)
6.1. სექსუალური და რეპროდუქციული ანატომია და ფიზიოლოგია										
ძირითადი იდეები										
5-8 წელი	მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ საკუთარი სხეულის ნაწილების დასახელებასა და ფუნქციებს. საკუთარი სხეულის ნაწილების, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ორგანოების მიმართ ცნობისმოყვარეობა ბუნებრივია. ყველას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, აქვს უნიკალური სხეული, რომელიც პატივისცემას იმსახურებს	***	***	***	***	***	*			
9-12 წელი	ყველას სხეულს აქვს ნაწილები, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანის სექსუალურ ჯანმრთელობასა და გამრავლებაში და მათ შესახებ, ბავშვებს ხშირად შეკითხვები უჩნდებათ მენსტრუალური ციკლის დროს, ქალის სხეულს შეუძლია კვერცხუჯრედების გამოთავისუფლება, ხოლო მამაკაცის სხეული წარმოქმნის და ათავისუფლებს სპერმატოციტებს, გამრავლებისთვის საჭიროა ორივე							***	***	***
12-15 წელი	სქესობრივი მომწიფების და ორსულობის პერიოდში ჰორმონები გავლენას ახდენს მომწიფებასთან და გამრავლებასთან დაკავშირებულ მრავალ პროცესზე სქესის, გენდერის და რეპროდუქციის გააზრებისათვის ყველა კულტურას განსხვავებული მიდგომა აქვს. ასევე, განსხვავდება შეხედულებები იმის შესახებ, თუ როდის არის მიზანშეწონილი სექსუალური აქტივობის დაწყება	*	*	*	*	*		***	*	*
15-18+ წელი	მამაკაცთა და ქაღთა სხეულები, მათ შორის, მათი რეპროდუქციული და სექსუალური შესაძლებლობები და ფუნქციები, დროთა განმავლობაში იცვლება							***	**	**

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული.

პუბერტატი

პუბერტატის თემა განხილულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეშვიდე კლასის პროგრამის ფარგლებში. სასწავლო გეგმის თანახმად, „მოსწავლეს უნდა შეეძლოს კვლევის (გამოკითხვა, ან ინტერვიუ ფსიქოლოგთან) საფუძველზე გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელ ცვლილებებსა და შესაძლო რისკებზე მსჯელობა“.

ძირითადი კონცეფცია 6: ადამიანის სხეული და განვითარება		მე და სამოგადოებო (III-IV კლასი)	ჩემი საქართველო (V-VI კლასი)	მოქალაქეობა (VII კლასი)	მოქალაქეობა (VIII კლასი)	მოქალაქეობა (IX კლასი)	ბუნებისმეტყველება (I-VI კლასი)	ბიოლოგია (VII კლასი)	ბიოლოგია (VIII კლასი)	ბიოლოგია (IX კლასი)
6.3. პუბერტატი										
ძირითადი იდეები										
5-8 წელი	პუბერტატი არის ფიზიკური და ემოციური ცვლილებების პერიოდი, რომელიც ბავშვების ზრდასთან და მომწიფებასთან ერთად მიმდინარეობს							***	***	*
9-12 წელი	სქესობრივი მომწიფება ნიშნავს ცვლილებებს ადამიანის რეპროდუქციულ შესაძლებლობებში							***	***	*
	სქესობრივი მომწიფების პერიოდში აუცილებელია ჰიგიენის დაცვა, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ანატომია სუფთა და ჯანსაღი იყოს							***	***	*
	მენსტრუაცია არის გოგონების ფიზიკური განვითარების ნორმალური და ბუნებრივი ნაწილი და არ უნდა გასაიდუმლოებული ან სტიგმატიზებული.							**	**	
	სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდებმა შეიძლება განიცადონ სხვადასხვა სახის ფიზიკური რეაქცია (მაგალითად, ერექცია და სველი სიზმრები)							**	**	
12-15 წელი	სქესობრივი მომწიფება არის სქესობრივი მომწიფების პერიოდი, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და კოგნიტურ ცვლილებებს, რაც მოზარდობის პროცესში შეიძლება როგორც საინტერესო, ასევე სტრესულიც იყოს							***	**	
15-18+ წელი	მთელი ცხოვრების განმავლობაში, ადამიანის ემოციურ და ფიზიკურ ცვლილებებში პორმონები ძალიან დიდ როლს ასრულებენ							***	***	*

*** საკითხი სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული, ** საკითხი სასწავლო გეგმაში ნაკლებად მკაფიოდ არის აღნიშნული, * საკითხი სასწავლო გეგმაში არ არის მკაფიოდ აღნიშნული

სასწავლო გეგმაში მეტ-ნაკლები სიღრმით დაფარულია ყველა ის საკითხი, რომელიც გარდატეხის ასაკს ეხება. თუმცა, ისევე როგორც ბევრი სხვა საკითხის შემთხვევაში, პუბერტატის თემის კლასების მიხედვით გაშლის მიმართულებით ერთგვარ წყვეტას ვხედავთ, რასაც საგნის „ბიოლოგია“ შინაარსის სწავლების ზოგადი სპეციფიკა განაპირობებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის ანატომიას და ფიზიოლოგიას მოსწავლეები, ძირითადად, მერვე კლასის ფარგლებში ეცნობიან, მეშვიდე კლასში პუბერტატზე საუბარი ამ საბაზო ცოდნის

არარსებობის პირობებში მიმდინარეობს, ხოლო მეცხრე კლასის პროგრამა კონცენტრირებულია ციტოლოგიისა და გენეტიკის საკითხებზე. შესაბამისად, ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, ისევე როგორც სექსუალური ქცევის ასპექტებსა და გარდატეხის ასაკის თავისებურებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა სწორედ იმ ასაკში, როდესაც ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია მოსწავლეებისთვის (მეცხრე კლასი). ამ თემებზე მსჯელობის წახალისება, აგრეთვე, რთულია სამოქალაქო განათლების ფარგლებში, რადგან მერვე და მეცხრე კლასში სწავლების შინაარსი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გლობალური პროცესების შესწავლაზე გადაინაცვლებს. მიუხედავად იმისა, რომ მერვე და მეცხრე კლასების სამოქალაქო განათლების პროგრამა შეიცავს პიროვნულ განზომილებას და არ ზღუდავს მასწავლებლებს პირადი განზომილების აქტუალიზაციის მიმართულებით, ის თუ რა სიღრმით მიმოიხილავს მასწავლებელი ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის აქტუალურ საკითხებს გარდატეხის ასაკთან და სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით, ძირითადად, თავად მასწავლებლის არჩევანზეა დამოკიდებული.

სხეულის ხატი

სხეულის პოზიტიური ხატის თემა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად აქცენტირებული საკითხების კატეგორიას მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმაში ძალიან მკაფიოდ არის ხაზგასმული ბუღინგის, ადამიანების რაიმე ნიშნით ჩაგვრის ან დაცინვის უარყოფითი მხარეები, კურიკულუმში არ არის საუბარი (ან ირიბად იგულისხმება) რეფერენციული ჩარჩოს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- ყველა სხეული განსაკუთრებული და უნიკალურია. ადამიანებმა თავიანთ სხეულში თავი კარგად უნდა იგრძნონ (დანყვებითი საფეხური);
- ადამიანის ფიზიკური გარეგნობა არ განსაზღვრავს მისი, როგორც ადამიანის ღირსებას (საბაზო საფეხური);
- როდესაც ადამიანის ფიზიკურ იერსახესა და გარეგნობაზე ვსაურობთ, ადამიანების შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა არის ან არ არის მიმზიდველი, უამრავ სხვადასხვა ვარიაციას მოიცავს (საბაზო საფეხური);
- საკუთარი სხეულის მიმართ დამოკიდებულების შედეგად წარმოქმნილმა განცდებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს პიროვნების ჯანმრთელობაზე, თვითაღქმასა და ქცევაზე (საშუალო საფეხური);
- სხეულისა და გარეგნობის შესახებ არარეალური სტანდარტები შეიძლება შევცვალოთ და წინააღმდეგობა გავუწიოთ (საშუალო საფეხური).

სექსუალობა და სექსუალური ქცევა

იუნესკოს რეფერენციული ჩარჩოს ეს ბლოკი ორი თემისგან შედგება: (7.1) სექსი, სექსუალობა და სექსუალური სქესობრივი ცხოვრების ციკლი; (7.2) სექსუალური ქცევა და პასუხი.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში რეფერენციული ჩარჩოს ეს ბლოკი ყველაზე ნაკლებად არის ასახული. როგორც უკვე აღინიშნა, ტერმინები „სექსუალობა“ და „სექსუალური ქცევა“ ეროვნულ სასწავლო გეგმაში საერთოდ არ გვხვდება. შესაბამისად, კურიკულუმში არ არის აღნიშნული ის თემები, რომლებიც ამ კონცეპტებზე დაყრდნობით მოსწავლის რეფლექსიას წაახალისებს.

კერძოდ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ ვხვდებით რეფერენციული ჩარჩოს შემდეგ თემებს:

- ადამიანისთვის ბუნებრივია, სიამოვნება მიიღოს საკუთარი სხეულით და ახლოს იყოს სხვებთან მთელი ცხოვრების განმავლობაში (დანყებიტი საფეხური);
- ადამიანები იბადებიან ცხოვრების განმავლობაში თავიანთი სექსუალურობით სიამოვნების მიღების შესაძლებლობით (საბაზო საფეხური);
- ბუნებრივია დაინტერესებული იყოთ სექსუალურობით და მნიშვნელოვანია დაუსვათ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები უფროსებს, რომლებსაც ენდობით (საბაზო საფეხური);
- სექსუალური გრძნობები, ფანტაზიები და სურვილები ბუნებრივია და გვხვდება მთელი ცხოვრების განმავლობაში, თუმცა ადამიანები ყოველთვის არ ირჩევენ მოქმედებას (საბაზო საფეხური);
- სექსუალობა მოიცავს ბიოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, სულიერ, ეთიკურ და კულტურულ განზომილებებს, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდება (საშუალო საფეხური).

ეროვნული სასწავლო გეგმა, ასევე, არ განიხილავს სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს. იუნესკოს ჩარჩოს ამ თემაში გაერთიანებული საკითხები, პირობითად სამ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ. არცერთი ეს ჯგუფი ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის აღნიშნული.

პირველი ჯგუფი აერთიანებს საკითხებს სექსუალური რეაგირების ციკლისა და, ზოგადად, სექსუალური ქცევის თავისებურებების შესახებ. მოსწავლე დანყებით საფეხურზევე სწავლობს, რომ: ადამიანებს შეუძლიათ გამოხატონ სიყვარული სხვა ადამიანებისადმი შეხებით და ინტიმური ურთიერთობით და არსებობს მისაღები და მიუღებელი შეხება. შემდგომ საფეხურებზე მოსწავლეები ეცნობიან სექსუალური რეაგირების ციკლს და აცნობიერებენ, რომ სქესობრივმა სტიმულაციამ (ფიზიკურმა ან ფსიქიკურმა) შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური პასუხი.

საკითხების მეორე ჯგუფი ეხება სექსუალური ქცევის მართვის საკითხებს. რეფერენციული ჩარჩოს თანახმად, მოსწავლეს უნდა შეეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება

სექსუალური ქცევის შესახებ (მაგალითად როდის გადაავადოს, ან პირიქით, გამოიჩინოს სექსუალური აქტიურობა). მას უნდა ესმოდეს, რომ სექსუალურმა ქცევამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. არსებობს სექსუალური ქცევით გამოწვეული რისკების თავიდან აცილების ან შემცირების გზები. სექსუალური გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს რისკის შემცირების ამ სტრატეგიების ცოდნას არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის აივ ინფექციის თავიდან ასაცილებლად.

საკითხების მესამე ჯგუფი ეხება სექსუალურ ქცევაზე სოციალური გავლენების ანალიზს. მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რომ ყველა საზოგადოებას, კულტურას და თაობას აქვს საკუთარი წარმოდგენები სექსუალური ქცევის შესახებ და მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს ინფორმაციის მენეჯმენტი, მითებისა და ფაქტების ერთმანეთისგან გარჩევა.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა

ეს ბლოკი იუნესკოს რეფერენციულ ჩარჩოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კატეგორიას წარმოადგენს. იგი სამი ძირითადი თემისგან შედგება. პირველი თემა მიმოიხილავს ორსულობისა და ორსულობის პრევენციის საკითხებს. მეორე და მესამე თემები კი შიდსისა და აივ ინფექციის, ისევე როგორც სქესობრივი გზით გადამდები სხვადასხვა დაავადების ამოცნობას, პრევენციასა და მართვას ეხება.

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხილულია ორსულობასთან, მშობლობასთან დაკავშირებული საკითხები ფიზიოლოგიის და ანატომიის ბლოკებში (საბუნებისმეტყველო საგნების ფარგლებში). ასევე, ამ საკითხებს ეძღვნება ცალკე მიმართულება – ჯანსაღი ცხოვრების წესი სამოქალაქო განათლების სასწავლო გეგმის ფარგლებში. თუმცა, სასწავლო გეგმაში (რეფერენციულ ჩარჩოსთან შედარებით) ნაკლები დეტალიზაციით არის განხილული კონტრაცეფციის საშუალებების გამოყენების ასპექტები. კერძოდ ის, რომ კონტრაცეფციის სხვადასხვა ფორმას აქვს სხვადასხვა ეფექტურობის მაჩვენებელი, ეფექტიანობა, სარგებელი და გვერდითი მოვლენები. ასევე, კურიკულუმში ნაკლებად არის გაშლილი შესაბამის მომსახურებებსა და დაცვის საშუალებებთან წვდომის საკითხები.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღნიშნულია შიდსისა და აივ ინფექციის, ისევე როგორც სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების საკითხები. თუმცა, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია პრევენციის და არა მკურნალობისა და მართვის საკითხებზე. ეს თავისებურება ეროვნული სასწავლო გეგმის რეფერენციულ ჩარჩოსთან მთავარი განმასხვავებელი ნიშანია.

ძირითადი დასკვნები

ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ დოკუმენტში მეტ-ნაკლები სიღრმით არის დაფარული თითქმის ყველა საკითხი და ქვესაკითხი, რომელიც იუნესკოს ჩარჩოს ფარგლებში არის მოაზრებული.

თუმცა, ანალიზის შედეგად იკვეთება რამდენიმე ასპექტი, რომლებიც კურიკულუმის თანხლები სახელმძღვანელოებისა და მასწავლებლების გადამზადების სტრატეგიებში უნდა იქნას გათვალისწინებული. კერძოდ:

- სასწავლო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ მასში საერთოდ არ არის აღნიშნული რამდენიმე საკვანძო ცნება, რომელიც მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლების კუთხით საჭირო ცოდნის კონსტრუირებისათვის. ერთ-ერთ ასეთ საკვანძო ცნებას წარმოადგენს გენდერი. თავად ტერმინის და ცნების „გენდერი“ განმსაზღვრელი საკვანძო ნიშნების განმარტების არცოდნის პირობებში მოსწავლეს ვერ უყალიბდება მკვიდრი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ გენდერი სოციალური კონსტრუქტია. შესაბამისად, მას უჭირს, გენდერული სტერეოტიპების წარმოქმნის დინამიკის გააზრება და საკუთარი გენდერული წარმოდგენების კრიტიკული გააზრება და კორექცია. სასწავლო გეგმაში, ასევე, არ არის აღნიშნული ისეთი ცნებები, როგორებიცაა სქესობრივი ძალადობა, სექსუალური ქცევა, სტიგმა და ა.შ.
- სასწავლო გეგმაში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ცნებების არარსებობა, ასევე, წარმოქმნის პრობლემებს სქესობრივი განათლების კუთხით სხვა მნიშვნელოვანი თემების ამ ცნებებთან დაკავშირების კუთხითაც. მაგალითად, მოსწავლე ეცნობა ბულინგისა და ძალადობის საკითხებს, თუმცა ცალკე კატეგორიად ვერ გამოყოფილს ძალადობის ფორმებს, რომლებიც გენდერს, სქესს ან სტიგმას უკავშირდება.
- ზოგადად, კურიკულუმში ნაკლებად ჩანს ბმები საბუნებისმეტყველო საგნების ფარგლებში შესწავლილ ფიზიოლოგიურ პროცესებსა და სამოქალაქო განათლების ფარგლებში განხილულ ქცევით ასპექტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე სიღრმისეულად სწავლობს ადამიანის ფიზიოლოგიას, სასწავლო გეგმაში ნაკლებად გვხვდება ისეთი კითხვები, რომლებიც წაახალისებდა მოსწავლის ფიქრს ფიზიოლოგიური პროცესების სექსუალურ ქცევასთან და, ზოგადად, ქცევასთან დაკავშირების მიმართულებით. როგორც უკვე აღინიშნა, ამგვარი ინტერდისციპლინარული მიდგომა მნიშვნელოვნად გაუმარტივებდა მოსწავლეს საკუთარი ქცევის კრიტიკულად გააზრებასა და კორექციას.
- კონცეპტუალური თვალსაზრისით, ეროვნული სასწავლო გეგმის რეფერენციულ ჩარჩოსთან შედარებისას ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება.

იუნესკოს ჩარჩოში, მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად ფოკუსი თანდათანობით გარედან შიგნით, ანუ ზოგადი საკითხებიდან პიროვნული განვითარების ასპექტებზე გადაინაცვლებს – თუკი თავდაპირველად მოსწავლე აღიქვამს მოვლენებისა და პროცესების ზოგად მრავალფეროვნებას, მაღალ კლასებში ის უფრო მეტად უღრმავდება ამ პროცესების დინამიკას და მათ საკუთარ პიროვნებას უკავშირებს, აანალიზებს საკუთარ როლს ამ პროცესებში. ამ ლოგიკის საპირისპიროდ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად აქცენტი შიგნიდან გარეთ, ანუ პიროვნული ასპექტებიდან უფრო ზოგად პროცესებზე – სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებსა და გლობალურ პროცესებზე გადაინაცვლებს. შედეგად, პიროვნული ასპექტის გაშლისას კურიკულუმში ერთგვარი წყვეტაა, რაც მოსწავლის ასაკის ზრდასთან ერთად (მაღალ კლასებში) პიროვნული განვითარების უფრო კომპლექსური საკითხების თანმიმდევრულად განხილვას აფერხებს.

- სამოქალაქო განათლების შინაარსი იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ თითოეული საფეხურის ფარგლებში (დანწყებითი, საბაზო) პიროვნული განვითარებისა და მიკრო სოციალური ჯგუფების ინტერაქციის თემებს სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გლობალური პოლიტიკის საკითხები ჩაანაცვლებს. შესაბამისად, პიროვნული განვითარების ასპექტები დანწყებით საფეხურზე უფრო მეტი სიღრმით არის განხილული III-IV და არა V-VI კლასებში, ხოლო საბაზო საფეხურზე – მეტად არის გაშლილი VII კლასში, VIII-IX კლასებთან შედარებით. ამ მოცემულობის პირობებში სასწავლო გეგმაში ნაკლებად არის შესაძლებელი კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფებისათვის აქტუალური საკითხების აქცენტირება (მაგალითად, გარდატეხის ასაკი, მშობლობა, სექსუალური ქცევა მეცხრე კლასში).
- სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების თანმიმდევრულად განხილვისთვის გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის საგნის „ბიოლოგია“ გადმოცემის სტრუქტურაც კლასების მიხედვით. ადამიანის ანატომიას და ფიზიოლოგიას მოსწავლეები, ძირითადად, მერვე კლასის ფარგლებში ეცნობიან, მეშვიდე კლასში პუბერტატზე საუბარი ამ საბაზო ცოდნის არარსებობის პირობებში მიმდინარეობს, ხოლო მეცხრე კლასის პროგრამა კონცენტრირებულია ციტოლოგიისა და გენეტიკის საკითხებზე, შესაბამისად ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, ისევე როგორც სექსუალური ქცევის ასპექტებსა და გარდატეხის ასაკის თავისებურებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა სწორედ იმ ასაკში, როდესაც ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია მოსწავლეებისთვის (მეცხრე კლასი). ამ თემებზე მსჯელობის წახალისება, აგრეთვე, რთულია სამოქალაქო განათლების ფარგლებში, რადგან მერვე და მეცხრე კლასში სწავლების შინაარსი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გლობალური პროცესების შესწავლაზე

გადანაცვლებს. ამ სტრუქტურული შეზღუდვის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია ბიოლოგიასა და სამოქალაქო განათლებას შორის ინტერდისციპლინარული ბმების გაძლიერება.

- ეროვნულ სასწავლო გეგმაში საერთოდ არ არის საუბარი იმაზე, რომ მომწიფებასთან, ისევე როგორც რეპროდუქციასთან და სქესთა შორის ურთიერთობებთან დაკავშირებული ანატომიური და ფიზიოლოგიური პროცესებისადმი ინტერესი ბავშვებში სრულიად ბუნებრივია და მათ არ უნდა ერიდებოდეთ ამ საკითხებზე კითხვების დასმა და ღია საუბარი.
- სექსუალური ქცევის, სხეულის ხელშეუხებლობის, სხეულის პოზიტიური იმიჯის თემები ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველაზე ნაკლებად გაშლილი საკითხების კატეგორიას მიეკუთვნება. იგულისხმება, რომ ამ საკითხების გაშლაში წვლილს შეიტანს მასწავლებელი, რომელიც, სასწავლო გეგმის მოქნილობის პირობებში, უკეთესად შეარჩევს მიდგომას საკუთარი მოსწავლეებისთვის. ამ მოცემულობის გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლების გადამზადების პროგრამებში და დამატებით სახელმძღვანელოებსა და ინსტრუქციებში ტაბუირებული საკითხების ხაზგასმა და მათი სწავლების სტრატეგიების ათვისებაში მასწავლებლებისათვის დახმარების გაწევა.
- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური გამოწვევა, რომელიც იუნესკოს ჩარჩოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებისას იკვეთება არის ის, რომ გენდერული და სქესობრივი ძალადობის, კონფლიქტების თემები ძირითადად ნორმატიულ ჭრილშია განხილული. მოსწავლე ითვისებს, რომ ძალადობა „მიუღებელია საზოგადოებისათვის“, თუმცა კურიკულუმში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება აგრესიული ქცევის, ისევე როგორც ზოგადად ადამიანის ქცევის კავშირზე ფიზიოლოგიურ პროცესებთან. მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ბმები სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის, რათა მოსწავლემ უკეთ შეძლოს მიუღებელი სოციალური ქცევის გამომწვევი ობიექტური (მათ შორის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური) მიზეზების გააზრება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ უფრო სიღრმისეულად გაიაზროს საზოგადოების, სოციალური ჯგუფების როლი ნორმების, შეხედულებების ფორმირებაში. ეს წინაპირობები ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეს დანაშაულის განცდის ნაცვლად ჩამოუყალიბდეს კონსტრუქტიული მიდგომა – შეძლოს პრობლემების გააზრება და საკუთარი ქცევის მართვისა და კორექტირების სტრატეგიების უკეთესად დაგეგმვა.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა: კურიკულუმის ექსპერტთა და პედაგოგთა შეფასებები

სექსუალური განათლების ძირითადი მიზანი, როგორც ეს აღწერილია პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტში, როგორც საერთაშორისო, ასევე ნაციონალურ დონეზე, გაფართოვდა და უფრო მკაფიოდ მოიცავს ადამიანის უფლებებს, ცხოვრებისეულ უნარებს და მათ გაძლიერებას (UNESCO, UNFPA, 2012; UNFPA, 2014). ამ დოკუმენტში ხაზგასმულია ისეთი სასწავლო გეგმის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც არა მხოლოდ გაზრდის ახალგაზრდებში სიღრმისეულ ცოდნას, არამედ გამოუმუშავებს მათ დამცავ ქცევებს (UNESCO and UNFPA, 2012); სასწავლო გეგმა ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდებს, რათა მათ საკუთარი თავი და სხვები აღიქვან თანაბარ წევრებად ურთიერთობებში, დაიცვან საკუთარი ჯანმრთელობა და იყვნენ აქტიური მონაწილეები საზოგადოებრივ ცხოვრებაში (Haberland, N. & Rogow, 2015, pS16).

მიუხედავად სქესობრივ განათლებაში „უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების მიდგომისა“, კვლევები ადასტურებს, რომ სქესობრივი განათლების გაძლიერება ფართო მასშტაბით ნაკლებად ხორციელდება. 2016 წლის გლობალური განათლების მონიტორინგის ანგარიშში დადგინდა, რომ მრავალ ქვეყანაში საბაზისო სასწავლო პროგრამები და განათლების სტანდარტები იშვიათად მოიცავს ყოვლისმომცველ სქესობრივ განათლებას (UNESCO, 2016a). Haberland and Rogow (2015)-ს მიერ ჩატარებულმა კვლევის ანგარიშმა, სადაც მიმოხილული იყო არაერთი ქვეყნის მაგალითი სქესობრივი განათლების დანერგვასთან დაკავშირებით, ცხადყო, რომ სქესობრივი განათლების ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიების, ან მაღალი ხარისხის მასშტაბური პროგრამების შემუშავებაში, პროგრესი არცთუ ისე თვალსაჩინოა (UNFPA, 2016).

ამჯერად, განვიხილავთ კურიკულუმის ექსპერტებისა და პედაგოგების მოსაზრებებს საქართველოში მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მის დანერგვასთან დაკავშირებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე. ცხადია, დისკუსიის თემა ახალი თაობის კურიკულუმში სქესობრივი განათლების კომპონენტია.

კურიკულუმის ექსპერტები: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, წინა ვერსიებისგან განსხვავებით, არსებითი ცვლილებები აისახა. გარდა იმისა, რომ შეიცვალა სასწავლო მასალის მიწოდებისა და სწავლების ორგანიზების სისტემა, დაწყებითი საფეხურიდან დაიწყო საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების სწავლება ახალი საგნის – „მე და საზოგადოების“ სახით. აღნიშნული საგანი ისტორიისა და გეოგრაფიის საფუძვლებთან ერთად სამოქალაქო განათლების საკითხებსაც მოიცავს. შესაბამისად, ამ საგნის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად გადაწყდა, ძირითადი თემატური ერთეულები ყოფილიყო სოციალიზაციის

აგენტები. შესაბამისად, სწორედ ამ საგნის ფარგლებში იყო გათვალისწინებული იმ თემების განხილვაც, რაც გენდერული თანასწორობისა და იდენტობის საკითხებს უკავშირდება.

„მოგესხენებათ, სოციალიზაციის აგენტები არის ის ფენომენები, რომლებიც განაპირობებს ადამიანის საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებას. ეს არის ოჯახი, ეს არის სკოლა, ემო, ქუჩა და ა.შ. ამას დავეყრდენით ძირითადად, როდესაც ვმუშაობდით ამ საგნის თემატიკაზე.“ (ესგ ჯგუფის სამოქალაქო განათლების ექსპერტი).

აღნიშნული საგნის ეროვნულ სასწავლო გეგმაში დამატებას საზოგადოების ნაწილის არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ეროვნული სასწავლო გეგმის საბოლოო რედაქციის შემუშავებასა და დამტკიცებამდე დარგის ექსპერტებთან, აკადემიური წრეების, სკოლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და განსჯის შედეგად ეროვნული სასწავლო გეგმის პირველად ვერსიაში გარკვეული ცვლილებები აისახა.

კურიკულუმის ექსპერტების შეფასებით, ახალი საგნის შემოღებას ძირითადად საზოგადოების ერთი, რადიკალურად განწყობილი ჯგუფი ეწინააღმდეგებოდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს პროტესტი არ იყო მიმართული რამე კონკრეტული თემის ამოღებისკენ, თუმცა, კურიკულუმის ჯგუფს გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მაინც დასჭირდა, მაგალითად რელიგიური მრავალფეროვნების თემის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახვასთან დაკავშირებით. საქართველოს საპატრიარქო და მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ასოცირებული პირები/ექსპერტები (ფსიქოლოგები, იურისტები) მიიჩნევდნენ, რომ ამ თემის სწავლება საეკლესიო დოგმატიკის მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო, კურიკულუმის ჯგუფის მცდელობა კი სწორედ რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის თემის ასახვა იყო.

რამდენადაც აღნიშნულ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, ეს თემა ეროვნულ სასწავლო გეგმაში საერთოდ არ აისახა. მსგავსად, განხილვის შედეგად გადაწყდა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ ყოფილიყო გამოყენებული ტერმინი გენდერი. ამ ტიპის შეთანხმებლობების ფონზე გასაკვირი არ არის, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში უფრო „მწვავე“ და სენსიტიური თემები, რაც ეხება გენდერულ იდენტობას და სქესობრივ განათლებას, ნახსენები არ არის. თუმცა, როგორც დარგის ექსპერტი აღნიშნავს, ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მიზანი იყო, რომ ამ ასაკის მოსწავლეებს გაეაზრებინათ, რომ ბიჭი და გოგო, არიან თანასწორები სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებაში. ამიტომ სიტყვა გენდერი შეიცვალა ეკვივალენტური სიტყვებით – ბიჭი და გოგო, ქალი და კაცი – რითაც ესგ მიერ დასახული მიზნის მიღწევა ვერ შეფერხდებოდა.

„ესგ არის საზოგადოებრივი შეთანხმება რაღაც მნიშვნელოვან საკითხებზე: რა უნდა გასწავლოთ, როგორ უნდა გასწავლოთ. ბოლო ორი თაობის ესგ ნამდვილად აცხადებს პრეტენზიას იმაზე, რომ წარმოადგენს საზოგადოებრივ შეთანხმებას. გამომდინარე იქიდან, რომ ცხოვრება სწრაფად იცვლება და ხდება ცვლილებები, ბევრი, სხვადასხვა დაინტერესებული მხარე ერთვება ესგ შემუშავების პროცესში. შესაბამისად მხოლოდ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ ჩამოყალიბდა ეს ტექსტი.“ (ესგ ჯგუფის სამოქალაქო განათლების ექსპერტი).

კურიკულუმის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ესგ ახალი კონცეფცია, რომელიც სამიზნე ცნებების გარშემო მოიაზრებს სასწავლო თემების ორგანიზებას, ყველა იმ საკითხის სწავლების საშუალებას აძლევს მასწავლებელს, რაც გენდერული იდენტობისა და სქესობრივი განათლების საკითხებს უკავშირდება. კერძოდ, სამოქალაქო განათლების ფარგლებში გამოყოფილია 5 სამიზნე ცნება: დემოკრატია, მდგრადი განვითარება, სოციალიზაცია, ინიციატივა და მენარმეობა, სამოქალაქო მონაწილეობა. ეს ცნებები იშლება ქვეცნებებად, სადაც, მაგალითად, დემოკრატიის ქვეშ ერთიანდება თანასწორობა და პლურალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ეს თემები ასე დეტალურად არ არის ჩაშლილი ესგ-ში. შესაბამისად, მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების ავტორების გადასაწყვეტია, რა საკითხებს შეარჩევს იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში მთავარ საფეხურებრივ მიზნებზე და ამ შემთხვევაში დემოკრატიის ცნების გააზრებამდე გავიდეს მოსწავლე. სწორედ ამ მიზნით ეროვნული სასწავლო გეგმის ბოლო ვერსიაში არ არის მოცემული ტერმინების ჩამონათვალი.

ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებით, ქვეცნებების სწავლებასთან დაკავშირებული ტერმინები შეიძლება აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევაში, რომელიც არ წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს და რომელსაც მასწავლებლები თავად განავითარებენ და განავრცობენ. გარდა გზამკვლევისა, თემატური დეტალიზება უნდა მოხდეს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რამდენადაც ახალი სკოლის მოდელის კონცეფცია სწორედ ის არის, რომ სკოლებმა ესგ-ზე დაფუძნებით შეიმუშაონ საკუთარი კურიკულუმი და ამისთვის მთავარი დამხმარე დოკუმენტი სწორედ გზამკვლევია.

გარდა სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებული თემებისა, ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ცვლილებები ბიოლოგიის სწავლების მიმართულებითაც აისახა. ის საკითხები, რაც სქესობრივ განათლებას ეხება, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ნაადრევი ქორწინების და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების თემებში არის ინტეგრირებული. როგორც ბიოლოგიის ექსპერტი აღნიშნავს, კურიკულუმის ჯგუფი ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყოველი ახალი ვერსიის შემუშავებისას ეტაპობრივად ამატებდა ახალ თემებს. ბიოლოგიის სასწავლო გეგმას ჯერ შიდსის თემა დაემატა, შემდეგ – ნაადრევი ქორწინება, ხოლო საბოლოოდ –

სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებები. კურიკულუმის ექსპერტის შეფასებით, ასეთმა ეტაპობრივმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ ახალი სასწავლო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ ცვლილებებს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მეტიც, საქართველოს საპატრიარქოდან მათ ის რეკომენდაციაც კი მიიღეს, რომ ტერმინი „ნაადრევი ქორწინება“ ქართული საზოგადოებისათვის ხშირ და მწვავე პრობლემას არ წარმოადგენდა, მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფში იყო პრობლემური, ამიტომ სჯობდა „ნაადრევი ქორწინება“ ჩანაცვლებულიყო ფრაზით „ნაადრევი სქესობრივი კავშირი“ (შენიშვნა: ესგ-ში მაინც გამოიყენება ტერმინი „ნაადრევი ქორწინება“).

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფცია ეფუძნებოდა პრინციპს, რომ საბაზო განათლება ყოფილიყო ათწლიანი. შესაბამისად, თავდაპირველი ინიციატივის მიხედვით, რეპროდუქციული ჯანმრთელობა უნდა განხილულიყო მე-8 კლასში, რაც იქნებოდა ლოგიკური, რადგან მე-8 კლასში ძირითადად 13 წლის მოსწავლეები არიან და პუბერტატის საკითხებზე სწორედ ამ ასაკშია სასურველი ინფორმაციის მიღება. თუმცა, რადგანაც ესგ შეთავაზებულ კონცეფციას კანონის სახე არ მიეცა, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან ერთად, აიგ და სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებების შესახებ საკითხებმა მე-9 კლასში გადაინაცვლა.

როგორც ბიოლოგიის ჯგუფის კურიკულუმის ექსპერტი აღნიშნავს, ისინი ფონდ „თანადგომასთან“ მრავალი წელია თანამშრომლობდნენ, რომ რეპროდუქციასა და სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ჯეროვნად ყოფილიყო წარმოჩენილი ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ბიოლოგიის კურიკულუმში წარმოდგენილია ადამიანის ორგანიზმის ყველა სისტემა და ყველა სისტემის ჰიგიენა. მიუხედავად ამისა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში საერთოდ არ არის ასახული ქცევასთან, კერძოდ სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული შინაარსი. შესაბამისად, ესგ-ს არსებული ვერსია საერთოდ არ ახსენებს ტერმინებს „სექსუალური“ ან „სექსუალობა“.

სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები

სამოქალაქო განათლება

საგანში „მე და საზოგადოება“ დაწყებით საფეხურზე მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოა გრიფირებული. სამი გრიფირებული სახელმძღვანელოა მე-7 კლასში, ხოლო 2 სახელმძღვანელო – მე-8 კლასში.

მე-9 კლასის სახელმძღვანელოს შესამუშავებლად გამოცხადებულია კონკურსი და 2021 წლის ბაფხულში იქნება დასრულებული წიგნი. მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოს პოტენციურმა ავტორებმა სამუშაო შეხვედრები გამართონ როგორც ესგ კურიკულუმის ჯგუფის ექსპერტებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის „თანადგომის“ წარმომადგენლებთან.

როგორც სამოქალაქო განათლების ექსპერტი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს მეტი თავისუფლება ჰქონდათ, შესაბამისი თემების ფარგლებში განეგრძოთ გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული თემები, ამის პრეცედენტი არცერთ სახელმძღვანელოში არ გამოვლენილა. ექსპერტის ვარაუდით, ეს გამოწვეულია შეზღუდული საათობრივი დატვირთვითაც (სამოქალაქო განათლებას მე-7 კლასში კვირაში 2 საათი, ხოლო მე-8 კლასში მხოლოდ 1 საათი ეთმობა), რის გამოც ვერ ხერხდება ყველა საკითხის დაფარვა და ფოკუსირება ხდება შედარებით არსებით თემებზე.

იმ მიზეზის გამო, რომ სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული თემები არ არის საკმარისად განხილული გრიფირებულ სახელმძღვანელოებში, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ის დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც ამ საგნის მასწავლებლებს კონკრეტული თემების სწავლებაში დაეხმარება. სამოქალაქო განათლების მიმართულებით გენდერულ თანასწორობაზე სასწავლო რესურსები (კომპლექსური დავალებების სახით) პორტალ el.ge-ზეც არის განთავსებული.

რაც შეეხება გენდერულ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემატიკას, ეს საკითხები ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელოებში (კომპასი და კომპასიტო) არის ასახული. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნულ პუბლიკაციებში აკადემიურად და სწორი პედაგოგიური მიდგომების გამოყენებითაა ახსნილი, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ თემების სწავლება. გარდა ამისა, ეს წიგნები ცნობილი რესურსია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა წრეებში და მარტივად ხელმისაწვდომია თითოეული პედაგოგისთვის.

დამატებით, გარკვეული ტიპის რესურსები შემუშვებულია PH International-ის მიერ და ხელმისაწვდომია პორტალზე Civics.ge.

ბიოლოგია

ბიოლოგიის მიმართულებით მე-8 კლასში სახელმძღვანელო მოამზადა ორმა ჯგუფმა. ერთ-ერთმა უფრო თამამად გაშალა გარკვეული თემები (მაგ., პრეზერვატივის გამოყენების აუცილებლობაზე, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე), მეორე წიგნში მსგავსი თემების შესახებ საუბარი უფრო შეზღუდულია.

მნიშვნელოვანია, რომ ფონდ „თანადგომასთან“ თანამშრომლობით ესგ-ს ბიოლოგიის ჯგუფმა მასწავლებლების რესურსებით აღჭურვის მიზნით, პუბერტატსა და გარდატეხის ასაკზე (მე-7 კლასისათვის), ასევე რამდენიმე თემაზე მოამზადა მზა გაკვეთილების სცენარები. აღნიშნული გაკვეთილების პილოტირება განხორციელდა ჯერ სამ, ხოლო მოგვიანებით ათ სკოლაში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონის სკოლებში. პილოტირებამ ცხადყო, რომ შესაბამისი მომზადების პირობებში არც მასწავლებლებს და არც მოსწავლეებს არ ჰქონდათ უხერხულობის განცდა გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული საკითხების სწავლებისას.

„მასწავლებლები კიდევ უფრო მყარად არიან. რასაც
დავაკვირდით, ის მასწავლებლები, რომლებიც

თავდაჯერებულად და უხერხულობის გარეშე ხსნიან ამ თემებს, უფრო ახერხებენ მოსწავლეებშიც უხერხულობის განმუხტვას ნებისმიერ კლასში (მე-7 და მე-8 კლასები). მე-8 კლასში უკვე ემატება თემები: სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ნაადრევი ქორწინება. ამ თემებზე იყო სცენარებიც, მოსწავლეები ჩართულები იყვნენ ძალიან." (ესგ ბიოლოგიის ექსპერტი).

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მზა საგაკვეთილო სცენარების მასალაზე დაყრდნობით შესაბამისად მომზადდა 24 ტრენერი, რომლებიც 365 სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლებთან მუშაობენ და მათ ეხმარებიან ახალი სასწავლო გეგმის დანერგვაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული სცენარები ესგ ექსპერტებმა „თანადგომის“ წარმომადგენლებთან ერთად გააცნეს მე-9 კლასის სახელმძღვანელოების პოტენციურ ავტორებსაც იმ რეკომენდაციით, რომ შესაბამისი თემები სახელმძღვანელოშიც აისახოს.

სქესობრივ განათლებასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ახალი თემები – განვითარების პერსპექტივა

ეროვნულ სასწავლო გეგმაში სქესობრივი განათლების საკითხების უკეთ ასახვისათვის ბიოლოგიის ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს, შემდეგ ეტაპზე გარკვეული თემების დაწყებით საფეხურზე ინტეგრირების შესაძლებლობასაც. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, რომ ესგ-ში საშუალო საფეხურზე გაჩნდეს სექსუალობასთან და სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული თემატიკა.

ექსპერტის შეფასებით, სასურველია სქესობრივი განათლების საკითხების პერსპექტივაში დაწყებით საფეხურზე ინტეგრირებაც. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე ისწავლება, როგორ წარმოიშვება ნაყოფი და როგორ ხდება გამრავლება მცენარეებში. შესაძლებელია, პარალელი გაკეთდეს, თუ როგორ წარმოიშვება ჩანასახი მცენარეებში, ცხოველებში და ადამიანში და მოსწავლისთვის გასაგებად და დელიკატურად რეპროდუქციის თემის მიმოხილვა.

სამოქალაქო განათლების ექსპერტის შეფასებით, შემდეგ ეტაპზე, საშუალო საფეხურზე რეალისტურია დისკრიმინაციის თემის, მაგალითად, ჰომოფობიის თემის ესგ-ში ინტეგრირებაც იმ შემთხვევაში, თუ ამ თემასთან დაკავშირებით მიიღწევა დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმება. დარგის ექსპერტის შეფასებით, რთულია ინიციატივის გამოჩენა და ისეთი თემების ესგ-ში ასახვა, რაზეც ფართო საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდება. სამოქალაქო განათლების მიმართულება, წინა თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებით ყველაზე მეტად გაფართოვდა და განივრცო. მანამდე მხოლოდ მე-9 კლასში ისწავლებოდა სავალდებულო საგნის სახით, ხოლო საშუალო საფეხურზე – არჩევითი საგნის სახით. ახლა მე-3 კლასიდან იწყება სამოქალაქო განათლებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების სწავლება. ამ მეცნიერებების სწავლება მნიშვნელოვანწილად გაძლიერდა მე-5 და მე-6 კლასებში – ამ საფეხურებზეა გაშლილია ღირებულებებისა და

თანასწორობის იდეები და ადამიანის უფლებები. მე-7 კლასიდან არის დამოუკიდებელი საგანი „მოქალაქეობა“. საგნის მასშტაბის ასეთი გაზრდა საკითხების დივერსიფიცირების საშუალებასაც იძლევა და თუ ყველა თემის ასახვა ვერ მოხერხდა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცებულ ვერსიაში, შესაძლებელია ამ თემების გზამკვლევებში დეტალიზება.

ესგ ექსპერტებთან UNESCO-ს სექსობრივი განათლების სწავლების ჩარჩოში მოცემული ცოდნისა და კომპეტენციების განხილვის შემდეგ აღვწერეთ, აღნიშნული ჩარჩოს რა ნაწილია ასახული დღევანდელ ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

ცხრილი 12: სამოქალაქო განათლება

მთავარი კონცეფცია	თემები	რამდენადაა ასახული ესგ-ში მოცემული თემები
1. ურთიერთობები	- ოჯახები - მეგობრობა, სიყვარული და რომანტიკული ურთიერთობები - ტოლერანტობა, ინკლუზია და პატივისცემა - გრძელვადიანი ურთიერთობები და მშობლობა	ყველა საკითხია განხილული, გარდა არატრადიციული ოჯახებისა. დიდი ყურადღება ეთმობა ოჯახში თანასწორობის, მათ შორის გენდერული თანასწორობის საკითხს. ნაადრევი ორსულობის შემთხვევაში ოჯახის დახმარებით პრობლემის გადაჭრის, ადრეული სექსუალური ურთიერთობების ოჯახის წევრებთან განხილვის საჭიროებებზე ესგ-ში ან დამხმარე რესურსებში საუბარი არაა.
2. ღირებულებები, უფლებები, კულტურა და სექსუალობა	- ღირებულებები და სექსუალობა - ადამიანთა უფლებები და სექსუალობა - კულტურა, საზოგადოება და სექსუალობა	- სექსუალობა არ არის განხილული არც სამოქალაქო განათლებისა და არც ბიოლოგიის ესგ-ში. მიუხედავად ამისა, სექსუალური ქცევის მართვა შესაძლოა განიხილოს მასწავლებლებმა ძირითადად მე-7 კლასში, ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში. - სექსუალური შევიწროებისგან თავის არიდება ან საჭირო დახმარების მოძიება. ამ თემაზე არსებობს ერთერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული დამხმარე რესურსი.
3. გენდერის გააზრება	- გენდერის სოციალურად კონსტრუირება და გენდერული ნორმები - გენდერული თანასწორობა, სტერეოტიპები და მიკერძოებები - გენდერული ძალადობა	მასწავლებლები განიხილავენ სოციალურ, სამსახურებრივ, ეთნიკურ სტიგმებს. შესაძლოა, განიხილოს გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები და სტიგმაც, თუმცა, ეს ესგ-ში ასახული არ არის.
4. ძალადობა და უსაფრთხოება	- ძალადობა - თანხმობა, პრივატულობა და საკუთარი სხეულის მართვა - ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოდ გამოყენება	ამ თემებთან დაკავშირებით შესაძლოა, მასწავლებელმა შეიმუშაოს გარკვეული აქტივობები (მაგ. კიბერბულინგის თავიდან აცილება), თუმცა, ესგ-ში ცალსახად ასახული არაა
5. უნარები ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის	- ნორმები და თანატოლთა გავლენა სექსუალურ ქცევაზე - გადაწყვეტილების მიღება - კომუნიკაციის, უარის თქმისა და მოლაპარაკების უნარები - მედია წიგნიერება და სექსუალობა - დახმარებისა და მხარდაჭერის პოვნა	ეს თემა ნაკლებადაა წარმოდგენილი როგორც ესგ, ასევე სასწავლო რესურსებში

მთავარი კონცეფცია	თემები	რამდენადაა ასახული ესგ-ში მოცემული თემები
6. ადამიანის სხეული და მისი განვითარება	• სექსუალური და რეპროდუქციული ანატომია და ფიზიოლოგია • რეპროდუქცია • სქესობრივი მომწიფება • სხეულის იმიჯი	ეს საკითხები განიხილება მხოლოდ რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტექსტში, თუმცა, ხშირად მასწავლებლები თავს არიდებენ ამ თემებზე საუბარს და მოსწავლეს ავალდებუნ სახლში გაეცნონ საკითხავ მასალას. სექსუალური ქცევა, დამოკიდებულებები და დამოკიდებულებების კორექციის ნაწილი საერთოდ არ არის განხილული. დაწყებით საფეხურზე ამ თემებთან დაკავშირებით არავითარი აქტივობა არ ტარდება.
7. სექსუალობა და სექსუალური ქცევა	• სქესი, სექსუალობა და სქესობრივი ცხოვრების ციკლი • სექსუალური ქცევა და სექსუალური რეაგირება	სექსუალობა და სექსუალური ქცევა ესგ-ში წარმოდგენილი საერთოდ არ არის. თუმცა, შესაძლებლობაა, რომ არაფორმალური განათლების ფარგლებში (მაგ. დამრიგებლის საათი) ან სკოლის ფსიქოლოგთან კონსულტაციის ფარგლებში მოხდეს აღნიშნული თემების მოსწავლეებთან განხილვა
8. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	• ფეხმძიმობა და ფეხმძიმობის პრევენცია • აივ და შიდსის სტიგმა, ზრუნვა, მკურნალობა, მხარდაჭერა • სქესობრივად გადამდები ინფექციების, მათ შორის, აივ-ის გაზრდა, აღიარება და რისკის შემცირება	არსებული საკითხები ესგ-ში ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი. თუმცა, რიგ შემთხვევაში, მასწავლებლის გარკვეული ნაწილი ან არ ასწავლის აღნიშნულ მასალას, ან დავალების სახით აძლევს მოსწავლეებს, არ პასუხობს შეკითხვებს და არ ესაუბრება დაკავშირებულ თემებზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც გოგონებსა და ვაჟებს ცალ-ცალკე უტარდებათ გაკვეთილი რეპროდუქციასთან დაკავშირებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხური

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა საშუალო საფეხურისათვის ჯერ არ არის საბოლოოდ შემუშავებული. როგორც ადრე ვახსენეთ, თავდაპირველად ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა ათწლიანი საბაზო საფეხურის შემოღებას. შესაბამისად, მე-11 და მე-12 კლასებში შესაძლებელი იქნებოდა სასწავლო კურსების, მათ შორის არჩევითი და მოკლევადიანი კურსების შემოღებაც. როგორც ესგ-ს ექსპერტები აღნიშნავენ, ამ ეტაპზე არაა გადამწყვეტილი, როგორი იქნება კურიკულუმის სტრუქტურა საშუალო საფეხურისთვის.

„ეროვნული სასწავლო გეგმის მისიას რაც ეხება, ბიოლოგიასთან კავშირში ორი მთავარი მიზანია ასახული: ჯანსაღი ცხოვრების წესი და გარემოს დაცვა. სულ არ არის აუცილებელი, ბავშვს ახსოვდეს უჭრედში რიბოსომა არსებობს თუ არ არსებობს, მაგრამ მან ისე უნდა დაამთავროს სკოლა, რომ კარგად იცოდეს ყველა ის თემა, რომელიც ამ ორ მიზანს ეხება. ამიტომ საშუალო

საფეხურზე, მე ვფიქრობ, ამ მიმართულებებით გავაგრძელებთ მუშაობას.“ (ესგ ბიოლოგიის ექსპერტი)

ბიოლოგიის მსგავსად, სამოქალაქო განათლების მიმართულებითაც არ არის საბოლოოდ გარკვეული, როგორი იქნება საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსი. თუმცა, კურიკულუმის ექსპერტის თქმით, მზად არიან ყველა აქტუალური და რელევანტური თემა, მათ შორის სქესობრივ განათლებასთან, გენდერულ იდენტობასთან და ჰომოფობიასთან დაკავშირებული თემები აისახოს კურიკულუმში, თუ იქნება მზაობა აკადემიური წრეებიდან და დაინტერესებული ორგანიზაციებიდან.

მასწავლებელთა მზაობა, კომპეტენცია და სწავლების პრაქტიკა

ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტები სქესობრივი განათლების საკითხების სწავლების ასპექტებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ მასწავლებლების დამოკიდებულებების ცვლილება და შესაბამისად პრაქტიკის გაუმჯობესება ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია, თუმცა, გარკვეული პროგრესი მაინც შესამჩნევია.

„არანაირი კვლევა არ ჩამიტარებია და ზუსტად არ ვიცი, როგორ შეიცვალა მასწავლებლების მენტალიტეტი და მიდგომები ამ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ დაკვირვებით ვხედავ, რომ წლიდან წლამდე მასწავლებლები უკეთ უყურებენ ამ საკითხებს. რამდენიმე წლის წინ, მაგალითად, მთიან აჭარაში ამ თემაზე [რეპროდუქციული ჯანმრთელობა] ძალიან აგრესიული რეაქცია ჰქონდათ მასწავლებლებს. დღეს მასწავლებლები ამბობენ, რომ, რა თქმა უნდა, უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა ყველაფერი.“ (ესგ ბიოლოგიის ექსპერტი)

„ესეც გარკვეული ევოლუციაა: [რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების სწავლებისას] ჯერ აკეთებდნენ ასე: გადაფურცლავდნენ საერთოდ, გამოტოვებდნენ, არც ბავშვებს აძლევდნენ დავალებად და არც თვითონ უხსნიდნენ, პირდაპირ გადადიოდნენ შემდეგ თემაზე. შემდეგი ნაბიჯი იყო ასეთი: მასწავლებლები აძლევდნენ ამ თემას, წაიკითხეთ სახლში, და გაეცანით – არანაირი კითხვები. მესამე ნაბიჯი იყო: თუ რამე კითხვები გექნათ, დამიწერეთ, მომიტანეთ და წერილობით გაცემთ პასუხს და ახლა გაცილებით მეტი მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს ვიდრე ეს იყო ცოტა ხნის წინ.“ (ესგ ბიოლოგიის ექსპერტი)

მსგავსად, სამოქალაქო განათლების მიმართულებით, კურიკულუმის ექსპერტი აღნიშნავს, რომ იმ თემებს, რომლებიც პირდაპირ არ არის ასახული ეროვნულ სასწავლო გეგმაში (მათ შორის

სქესობრივ განათლებასთან და სექსუალობასთან დაკავშირებელ საკითხებს) მასწავლებლები თავად განავრცობენ.

ცხადია, სირთულეები, რომლებსაც პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუცია ეჭახება სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში, ზღუდავს მოზარდების ხარისხიან სქესობრივ განათლებაზე ხელმისაწვდომობას. მესამე თაობის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, ეს სფერო კვლავ არსებითი გამოწვევების წინაშეა. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ სქესობრივი განათლება ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასთან ერთად, იძლევა პოზიტიურ და ხანგრძლივ ეფექტს ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და მათ კეთილდღეობაზე. ამ საკითხს სერიოზული ადვოკატირება და განათლების სისტემას კი სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება.

6. მასწავლებლები: სასკოლო თემის დამოკიდებულებები და გამოწვევები

მასწავლებლების საჭიროებების, მოტივაციისა და მზაობის შეფასების მიზნით კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუსჯგუფი ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებთან როგორც თბილისის, ასევე რეგიონების სკოლებიდან. თითოეულ ფოკუსჯგუფში მონაწილეობას იღებდა 10 პედაგოგი. მნიშვნელოვანია, რომ ფოკუსჯგუფებში მონაწილე პედაგოგების ნაწილი მუშაობს ახალი სკოლის დანერგვის საპილოტე პროგრამაში ჩართულ სკოლებში, შესაბამისად, კარგად იცნობს ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის დანერგვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ დისკუსიაში ჩართულ პედაგოგებს ჰქონოდათ მაღალი კომპეტენცია, საგნისა და ეროვნული სასწავლო გეგმის სიღრმისეული ცოდნა, საკითხზე რეფლექციის მაღალი მოტივაცია და გაცნობიერებული ჰქონოდათ პროფესიული პასუხისმგებლობის გააზრების მნიშვნელობა, ფოკუსჯგუფში მონაწილე მასწავლებლების მოწვევა მოხდა პროფესიული ასოციაციების – ბიოლოგიის პედაგოგთა ასოციაცია “ბიოს” და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმის დახმარებით.

სასკოლო თემის დამოკიდებულება სქესობრივი განათლების სწავლებასთან დაკავშირებით

სამოქალაქო განათლება

სამოქალაქო განათლების მასწავლებლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული თემების სწავლებისას მთავარი დაბრკოლება მშობლების დაბალი განათლების დონე და დამოკიდებულებებია. ეს შეხედულება კოლეგების მხრიდან კრიტიკის მიზეზიც ხდება. მშობლებს და სამწუხაროდ, სხვა საგნების მასწავლებლების დიდ ნაწილს სქესობრივ განათლებასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება მიუღებლად მიაჩნიათ. სამოქალაქო განათლების მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ პედაგოგები გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ყველაზე აქტიური გამავრცელებლები არიან, უფრო მეტიც, მათი შეფასებით სავალალოა, რომ სწორედ ქალი მასწავლებლები, ვინც ზოგად განათლებაში უმრავლესობას წარმოადგენს, უფრო მეტად უწყობენ ხელს ასეთი სტერეოტიპების ფორმირებას: *„ხშირად გამიგია კოლეგის მინიშნება, რომ პროფესიულ სფეროში მისი კომპეტენცია მხოლოდ იმიტომ დაიწუნეს, რომ ქალია. მაგრამ სხვა კონტექსტში,*

მსჯელობისას, თავად იწუნებს სხვას სქესის გამო.“ დამატებით, მასწავლებლების ნაწილი ხშირად მოუწოდებს ბიჭებს ისწავლონ, რათა წარმატებულ პროფესიულ კარიერას მიაღწიონ, თუმცა, გოგოებისათვის იგივე მიზანს არ სახავენ, მათთვის სწავლა არაა აუცილებელი პირობა, რადგან ქალისათვის საუკეთესო მომავალი კარგი ოჯახის შექმნაა.

როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, ამ პროცესში ყველაზე მაღალი მიმდებლობა მოსწავლეებს აქვთ. გენდერთან და სექსუალობასთან დაკავშირებით ყველა მოსწავლე ერთნაირად თავისუფლად ვერ მსჯელობს, თუმცა ამ საკითხების სწორად, დელიკატურად მიწოდების შემთხვევაში პირველადი შფოთვა საკლასო გარემოში მალე ქრება. რიგ შემთხვევაში მოსწავლეების უხერხულობა ოჯახში ჩამოყალიბებული სტერეოტიპებითაა გამყარებული. ამასთან, დროთა განმავლობაში მოსწავლეებს უფრო ნაკლებად უჭირთ მსგავს თემებზე დისკუსიებში ჩართვა.

„სექსუალობასთან დაკავშირებით ძირითადად [მასწავლებლებს უჭირთ მსჯელობა]. გენდერი ნაკლებად, რადგან უფრო სოციალური ტერმინია და მეტნაკლებად ლაღად განიხილავენ, მაგრამ სექსუალობასთან, უფრო ფიზიოლოგიასთან და პიროვნულ სფეროსთან დაკავშირებული თემები არ რის შესაბამისად გააზრებული. ერთი ორჯერ-ვცაღე ეს ტერმინი შემომეტანა და შევამჩნიე უკიდურესი დისკომფორტი, მიუხედავად იმისა, რომ არც ინტონაცია შემიცვლია და ჩვეულებრივი თემის სახით განვიხილე“. [სამოქალაქო განათლების პედაგოგი, მამაკაცი].

პედაგოგები ასევე აღნიშნავენ, რომ სოციალური მოწყობის ცვლილებებმა და იმ ფაქტმა, რომ მოსწავლის მამაც და დედაც ეკონომიკურ საქმიანობაში არიან ჩართულები, სკოლას უფრო მეტად გადააბარა აღმზრდელობითი ფუნქცია. შესაბამისად, გაიზარდა კლასის დამრიგებლის როლი. თუმცა, შესაბამისი კომპეტენციის არარსებობის გამო, გარკვეულ თემებთან დაკავშირებით დამრიგებელს, შესაძლოა, არც ცოდნა ჰქონდეს და ვერც ინფორმაციის მიწოდების სწორი ფორმა მოძებნოს. ამ დროს მნიშვნელოვანია სკოლის ფსიქოლოგის როლი, რომელსაც შეუძლია შეესაბამისი რჩევაც მისცეს მოსწავლეს და კეთილსაიმედო გარემოც შეუქმნას გულწრფელი საუბრისათვის. დისკუსიაში მონაწილე ერთ-ერთი პედაგოგი სკოლის ფსიქოლოგიცაა და აღნიშნავს:

„არაფორმალური შეხვედრებიც თუ მაქვს, გამჩნევ, რომ თუ ამ საკითხების განხილვაზე ჯგუფში როცა ვმუშაობ, რაღაცნაირად უკან გადადგმული ნაბიჯია, რადგან ამ საკითხების განხილვა ჯგუფში ძალიან უჭირთ. ასაკთან დაკავშირებული ცვლილებები... გადაჭარბებულ ყურადღებას უთმობენ თავის გარეგნობას,

ვიზუალურ მესთან შეგუება ხდება – ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. ჩემმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოსწავლეები მზად არიან ინდივიდუალურად ყველაფერი განიხილონ, კითხვები აქვთ, დამაზუსტებელ შეკითხვებსაც ბევრს სვამენ, მაგრამ ურჩევნიათ ეს ინდივიდუალურად გააკეთონ. რატომ? რადგან თანატოლებს აქვთ იგივე შეკითხვები, ერიდებად, მშობლებთან ტაბუირებულია ამაზე საუბარი, ინტერნეტში ზღვა ინფორმაციაა და ვერ ახარისხებს, რა არის სანდო და რა არა. და მას სჭირდება ისეთი ადამიანი და ასევე გარემო, სადაც მშვიდად, შფოთვის გარეშე დასვამს ამ შეკითხვებს.” [სამოქალაქო განათლების პედაგოგი/სკოლის ფსიქოლოგი].

რეგიონის სკოლის ერთერთი მასწავლებელიც ადასტურებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მაგალითზე, სადაც მისი სადამრიგებლო კლასის მე-8 კლასელ მოსწავლეებს პროფესიონალი ფსიქოლოგები ესაუბრებოდნენ სქესობრივ განათლებაზე, გაცილებით გაუადვილდათ რეპროდუქციასთან დაკავშირებული თემების სწავლაც და ამ თემების ბიოლოგიის გაკვეთილზე თავისუფლად განიხილავს.

ზოგადად, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები მეტად არიან მზად პირადი ინიციატივით დაიწყო სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება, მიუხედავად არა მარტო მშობლებისა და ფართო საზოგადოების, არამედ კოლეგების მიუღებლობისა. ისინი აცნობიერებენ, რომ ასეთი ინიციატივების გარეშე შეუძლებელი იქნება იმ ტაბუირებული თემების განხილვა სკოლაში, რაც მოსწავლეებისთვის, მათი ჰარმონიული ფიზიკური, მენტალური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის აუცილებელია, მით უფრო, როდესაც მოსწავლეებისგან დიდი ინტერესი იგრძნობა ამ თემებთან დაკავშირებით.

თუმცა, პედაგოგები აქვე აღნიშნავენ, რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლების მხარდაჭერა სისტემის მხრიდან და არსებობდეს სახელმწიფო ნება, რომ ეს საკითხები იყოს ჯეროვნად გაშლილი და განხილული.

„ყველას გვახსოვს, რა წინააღმდეგობა იყო საგანი „მე და საზოგადოების“ შემოღების დროს, სკოლებშიც პრობლემა იყო, მაგრამ ნელა გადავლახეთ და მივედით იქამდე და ვასწავლით. “რესურსები არაა, ეს ძალიან პრობლემურია. აქ ადამიანურ რესურსებსაც ვგულისხმობ. სამოქალაქო განათლება ღირებულებითი სწავლებაა და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ ასწავლის ამ საგანს და სქესობრივ განათლებასაც ვინ შეეხება. ამ მიმართულებით ბევრი მასწავლებელი მზად არაა. მაგრამ მუშაობა უნდა დავიწყოთ, არასამთავრობოების,

არაფორმალური განათლების დახმარებით, საბოლოო ჯამში ნება თუ იქნება, რესურსიც შეიქმნება და მასწავლებლებიც მოემზადებიან. ეს საკითხი სწორად უნდა იყოს ინტეგრირებული სხვადასხვა საგნებში. როცა რეპროდუქციულ ჯანმრთელობას მასწავლებელი არ ასწავლის მოსწავლეებს და კლასში ამას ვერ განიხილავს, რთულია ამ რეალობაში სექსუალობის სწავლებაზე ვიფიქროთ.” [სამოქალაქო განათლების მასწავლებელი].

მნიშვნელოვანია, რომ მშობლებისა და კოლეგების კრიტიკის საპირწონედ მასწავლებლებს მხარს სკოლის ხელმძღვანელობა მაინც უწევდეს, თუმცა, რიგ შემთხვევებში ამ მიმართულებითაც არ არის მაღალი მზაობა:

„გენდერთან დაკავშირებით ტრენინგებს ვატარებდი სკოლის დირექტორებთან და საგულისხმოა, რომ ბავშვებთან უფრო ადვილი იყო ამ საკითხებზე საუბარი, ვიდრე დირექტორებთან“. [სამოქალაქო განათლების მასწავლებელი/ტრენერი]

„სკოლებში არის ტაბუები, მე ვფიქრობ უნდა გავთამამდეო და ეს ტაბუები მოვხსნათ. წინააღმდეგ შემთხვევაში სულ გვექნება რეალობა, რომ იქნებიან მოსწავლეები, ვისაც აქვს უამრავი კითხვა და მასწავლებლები, რომლებიც თავს ვარიდებთ ამ კითხვებს და მათ განხილვას.“ [სამოქალაქო განათლების მასწავლებელი].

„ზოგადად, სექსუალობა, ეს ტერმინი იწვევს უკვე უხერხულობას. ეს სიტყვა ერთადერთხელ გვხვდება მე-10 კლასში, როდესაც გავდივართ ტრეფიკინგს. და აქ რომ წერია, რომ ტრეფიკინგის მიზანი ექსპლოატაციაა და ჩამონათვალიცაა, იძულებითი შრომა, ორგანოებით ვაჭრობა და სექსუალური ექსპლუატაცია, მოსწავლეები ამ ჩამონათვალში ამ უკანასკნელს ყოველთვის ტოვებდნენ. რაც შემოვიდა ეს საგანი, არასდროს, არცერთი მოსწავლე არ ახსენებდა. წელს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ერთმა მოსწავლემ ამ ჩამონათვალიდან ყველა ახსენა.“ [სამოქალაქო განათლების მასწავლებელი].

ბიოლოგია

ბიოლოგიის მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, რომ მშობლებისა და კოლეგების ზეწოლა მათზე კიდევ უფრო დიდია.

„როდესაც მომიწია რეპროდუქციული სისტემების ახსნა, დამრიგებელმა მომაკითხა და მკითხა, რამდენად გამართლებულია და რამდენად სწორია, რომ მე ამ საკითხებს ვეხები. რათქმაუნდა, დავინტერესდი, საიდან წამოვიდა ეს ყველაფერი და აღმოჩნდა, რომ მშობლების ბარი იყო დამრიგებელთან. ანუ ბავშვებიდან ეს ინფორმაცია წავიდა, მოხდა ისე, რომ გარკვეულ სიტყვებს ბავშვები ერთმანეთში იყენებდნენ, მშობლების ყურამდე მივიდა, დამრიგებელთან განხორციელდა ბარი და მასწავლებელმა გააკეთა გადამოწმება, რამდენად ეროვნული სასწავლო გეგმით სწორად ვმუშაობდი და სწორი მიმართულებით მივდიოდი. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, არა მარტო მშობლები, მასწავლებლებიც არ არიან ამ საკითხების სწავლებაზე ინფორმირებული.“ [ბიოლოგიის მასწავლებელი].

მშობლების უარყოფითი დამოკიდებულება მათი განათლების დაბალი დონითაა გამოწვეული. რამდენიმე მასწავლებელმა მოიყვანა მაგალითი, სადაც გოგო მოსწავლეების ჰორმონალური ან სხვა ტიპის პრობლემების გამო დედებს ურჩიეს, მოსწავლე გინეკოლოგთან კონსულტაციაზე მიეყვანათ, რაც მშობლებისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა.

„მყავდა მე-12 კლასის მოსწავლე, 17 წლის გოგოს არ ჰქონდა ციკლი, დედა დავიბარე და შეშფოთებული იყო, რომ მამამთილი და ქმარი საშინლად მიიღებდა იმას, 17 წლის დაუქორწინებელი შვილი რომ გინეკოლოგთან მიეყვანა, რადგან გინეკოლოგთან მხოლოდ ორსულობის შემთხვევაში უნდა მივიდეს ქალი. ასეთი დაბალია საზოგადოების ცოდნა ამ თემებთან დაკავშირებით. ჩვენ თუ ხმას არ ამოვიღებთ, ასე არ გამოვა არაფერი!..“ [ბიოლოგიის მასწავლებელი]

პრობლემურია საზოგადოების ცოდნა და დამოკიდებულებები სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებითაც:

„საზოგადოებაში ძალიან დაბალი ცოდნაა ამ თემაზე, ეს გლობალური და მწვავე საკითხია. ერთია ის პრობლემა, რომ ცოდნა ამ დაავადებაზე ძალიან დაბალია და მეორეა დამოკიდებულებების პრობლემა, რომ უნდა ჩაქოლო შიდსით დაავადებული ადამიანი. არ იციან, რომ დაავადებას უნდა ებრძოლონ და არა დაავადებულს.“ [ბიოლოგიის მასწავლებელი]

გამოწვევები

პედაგოგების უმრავლესობა აღიარებს, რომ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში სქესობრივი განათლების სწავლების მიმართულებით არსებითად არაფერი შეცვლილა. ცხადია, გაიზარდა მასწავლებლების რიცხვი, ვინც თავისი მოტივაციით და მონდომებით ახერხებს ამ თემების სწავლებას. თუმცა, ახალი სასწავლო გეგმის ცვლილებამ ის გამოიწვია, რომ სამიზნე ცნებებში გადავიდა საკითხების გადატანით სრულიად მასწავლებელზე და მოკიდებული, როგორ მიაწოდებს მოსწავლეს კონკრეტულ თემებს. მაშინ, როცა ამ თემების შინაარსი საზოგადოებისთვის მიუღებელია, მასწავლებელი მართო რჩება მოწინააღმდეგეების პირისპირ და თავისი პოზიციის დაცვა სჭირდება. ასეთ პირობებში არ არის მოულოდნელი, როდესაც პედაგოგები თავიდანვე არიდებენ თავს შესაძლო პრობლემებს. მაგალითად, ერთ-ერთი პედაგოგი აღნიშნავს, რომ პარალელურ კლასში მისმა კოლეგამ საერთოდ გამოტოვა რეპროდუქციის ნაწილი, რადგან ჩათვალა, რომ მოსწავლეები ტელევიზიით, სოციალური ქსელიდან და ინტერნეტიდან თავისითაც მოახერხებდნენ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საზოგადოების რეზისტენტულობა ამ თემების მიმართ უარყოფით გავლენას ახდენს იმ ინსტიტუციებზე, რომლებიც, წესით, არსებული ტაბუების დარღვევას და არა მათ გამყარებას უნდა ემსახურობდეს. მაგალითად ერთ-ერთი პედაგოგი და ტრენერი იხსენებს:

„ერთ-ერთი გამომცემლობა დამიკავშირდა - უნდოდათ გაგვეკეთებინა სხეულის აგებულება, ასაწყობი ორგანოებით, ეს ბალშიც უნდა შეეტანათ და სკოლებშიც. მთავარი არსი ის იყო, რომ მშობელსა და ბავშვს შორის ადრეული ასაკიდან მომხდარიყო ცოდნის გაცვლა. მაგრამ სასქესო ორგანოებზე უარი მითხრეს. ჩვენი თანამშრომლობა, ცხადია, არ შედგა რადგან ადამიანის ამ მაკეტს ყველა ორგანო უნდა ჰქონოდა სასქესო ორგანოების გარდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოება არ არის მზად!“ [ბიოლოგიის მასწავლებელი/ტრენერი]

„რა თქმა უნდა, პრობლემა არის ყველა სკოლაში. მე ბიოლოგიის მასწავლებელივარ და უნდა ვასწავლო საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა, სისხლის მიმოქცევას, სუნთქვის სისტემა და როცა ამის ჯერი მოვა, რასაკვირველია, უნდა ვასწავლო რეპროდუქციული სისტემაც. რატომ უნდა შევიკავო თავი? რატომ უნდა იქმნებოდეს ჩემში უხერხულება აღნიშნული საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით?“

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებიც კი აღიარებენ, რომ ბიოლოგიის მასწავლებლებს უფრო მეტი დახმარება სჭირდებათ:

„ჩემს მოსწავლეებს როდესაც ვესაუბრებოდი და გავიხსენე ჩემი მოსწავლეობის პერიოდი, როცა მასწავლებელი გვეუბნებოდა, რეპროდუქციასთან დაკავშირებული საკითხები სახლში წაგვეკითხა, ან საერთოდ გამოტოვებდა, მითხრეს, რომ თვითონაც ასე გაიარეს ეს ნაწილი ბიოლოგიაში. ჩემთვის ეს იყო კულტურული შოკი და ნამდვილად არ მეგონა რომ ახლაც კი ბიოლოგიის გაკვეთილები ასე ტარდება!“ [სამოქალაქო განათლების მასწავლებელი].

ეროვნული სასწავლო გეგმა: მიღწევები და გამოწვევები

სამოქალაქო განათლების პედაგოგები იცნობენ ახალ სასწავლო გეგმას და მოსწონთ ის რომ მასწავლებლებს მეტი თავისუფლება აქვთ საგნის სწავლებისას. თუმცა, უჭირთ იმ სივრცის დანახვა, სადაც სექსუალობის განხილვის შესაძლებლობა ექნებოდათ. როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, მე-8 კლასში სამოქალაქო განათლების მიმართულებით ახალი ესგ 5 სამიზნე ცნების გარშემოა აგებული. მოცემული სავალდებულო თემები თვითმმართველობას და სამოქალაქო სამოგადოებას უკავშირდება და იმდენად კონკრეტული და სპეციფიკურია, რომ სექსუალობასთან დაკავშირებული თემების სწავლების შესაძლებლობას ამცირებს. მაგალითად, შესაძლოა განიხილონ, როგორ აშუქებს მედია ამ კონტენტს. თუმცა, აქამდე მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მიღებული შესაბამისი წინარე ცოდნა ამ საკითხებთან დაკავშირებით. კიდევ უფრო რთულია აღნიშნული თემების მე-9 კლასში სწავლება, სადაც მთავარი თემა ცენტრალური ხელისუფლება და საერთაშორისო ურთიერთობები და ეკონომიკა. მართალია, მე-7 კლასში ჯანსაღი ცხოვრების წესის განხილვისას შესაძლებელია ამ თემების სწავლა, თუმცა, მასწავლებლების შეფასებით, ეს ძალიან პრობლემური ასაკობრივი ჯგუფია და მასწავლებლის განსაკუთრებულ მზაობას მოითხოვს.

ბიოლოგიის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ძველ სასწავლო გეგმაში იყო შეტანილი გარკვეული საკითხები, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც ახალში. მასწავლებლების დიდ ნაწილს მოსწონს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმაც და ახალი სკოლის მოდელიც. ბიოლოგიის ახალ სასწავლო გეგმაში სამიზნე ცნებები გადის შემდეგ საკითხებზე: სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ნაადრევი ქორწინება, ანატომია და რეგენერაცია. შესაბამისად, სწავლების ორგანიზება ისე შეიძლება, რომ უხერხულობა არ შეექმნას მასწავლებელს. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი ცვლილებების

განხილვა მე-9 კლასში პედაგოგების ნაწილს დაგვიანებულად მიაჩნია, რადგანაც ამ ასაკში, ძირითადად მოსწავლეს გავლილი აქვს ეს ეტაპი.

სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე რესურსები

სამოქალაქო განათლება

მასწავლებლების შეფასებით, სამოქალაქო განათლების გრიფირებულ სახელმძღვანელოებში გენდერულ იდენტობასთან და სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებით საკმარისი ინფორმაცია მოწოდებული არაა. გარდა ამისა, მათივე შეფასებით, არსებობს სასარგებლო დამატებითი რესურსები. კერძოდ, ონლაინ რესურსი „სამოქალაქო განათლება ყველასათვის“ (www.civicseducation.ge), რომლის მე-4 თავში ეს თემები დეტალურადაა გაშლილი.

გარდა ამისა, პედაგოგების ინფორმაციით, საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ შექმნა არა დამხმარე მასალა მასწავლებლებისთვის, არამედ საკითხავი მასალა სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის. აღნიშნული მასალა ჯერ არ გავრცელებულა, რადგან ორგანიზაციის პოზიციაა, რომ მასწავლებელი შესაბამისად მოამზადონ (ტრენინგ მოდული) და ამის შემდეგ მიაწოდონ საკითხავი მასალა. პედაგოგების შეფასებით, ეს ინიციატივა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ პედაგოგმა დაძლიოს საკუთარი სტერეოტიპები სექსუალობასთან დაკავშირებით, რადგან თუ მასწავლებელს არა აქვს მზაობა, ისაუბროს ამ საკითხებზე ჯანსაღად, სჯობია საერთოდ არ ისაუბროს მოსწავლესთან სექსუალობაზე.

როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებლების საუბრიდან ირკვევა, რესურსების მრავალფეროვნება არ არის განსაკუთრებით მწვავე პრობლემა, თუმცა, მასწავლებლებს მუდმივად უწევთ საკუთარი პოზიციების დაცვა:

„მე-7 კლასში ტოლერანტობას რომ გავდივართ, civicseducation.ge-ს რესურსებიდან ერთ-ერთი ვიდეო რგოლი გამოვიყენე, სადაც გამოყენებულია სიტყვა “გეი”. მშობელმა მაშინვე მომწერა აღშფოთებულმა, რომ ეს საკითხები მან პირადად მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურზე გაიგო და მის შვილს მე-7 კლასში რატომ უნდა გაეგო. მე მშვიდად და განონასწორებულად ავუხსენი, რომ ბავშვები ამ ასაკში მზად არიან ამ საკითხებზე იმსჯელონ და საუბრობენ კიდევ.“
[სამოქალაქო განათლების პედაგოგი].

სასწავლო რესურსის გარდა პედაგოგები საუბრობენ ამ მიმართულებით პროფესიული მომზადების აუცილებლობაზეც. სამოქალაქო განათლების მასწავლებლების მცირე ნაწილი აღიარებს, რომ ჰქონია პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, თუმცა სჭირდებათ უფრო

გრძელვადიანი კონსულტირება მაგალითად, ფსიქოლოგებისგან, სექსოლოგებისგან, რამდენადაც იმ პედაგოგებსაც კი, ვისაც აქვს მოტივაცია, ღიად ისაუბროს სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არა აქვთ სრული მზაობა, უჭირთ უხერხულობის გარეშე საუბარი, რაც პირდაპირ აისახება მოსწავლეების უხერხულობასა და დაბნეულობაზე.

ბიოლოგიის პედაგოგების უმრავლესობაც, ცხადია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების განხილვისას, სახელმძღვანელოთი სარგებლობს. თუმცა, სურვილი აქვთ, არსებობდეს მზა გაკვეთილების კრებული, სადაც ეს საკითხები შესაბამისი და საინტერესო ფორმით იქნება მოცემული. კერძოდ, ბიოლოგიის მასწავლებლები საუბრობენ, რომ იმდენად განსხვავებულია მასწავლებლების კომპეტენცია და მზაობა, ჯობია აპრობირებული, შეჯერებული, გამოცდილი რესურსი არსებობდეს, რომელსაც პედაგოგი პირდაპირ გამოიყენებს გაკვეთილზე²².

„ძირითადად სახელმძღვანელოს ვიყენებ, მაგრამ ვცდილობ რესურსები ვიპოვო. დოკუმენტური ფილმი მოვძებნე აჭარის მაღალმთიან სოფელში გათხოვილ მე-11 კლასელ გოგოზე. რეალობას ასე რომ აჩვენებ მოსწავლეს, მგონია, უფრო მეტად იაზრებს საკითხის სიმწვავეს, თუმცა, არა მგონია ასეთი რესურსები მასწავლებლებს საკმარისად გვექონდეს“. [ბიოლოგიის მასწავლებელი].

რამდენადაც სექსუალობასთან, ამ ქცევასთან დამოკიდებულ შინაგან ცვლილებებზე, ღირებულებების სისტემასა და პროცესებზე ახლანდელ ეროვნულ სასწავლო გეგმაში არაფერია ასახული, ბუნებრივია, რომ სქესობრივი განათლების შესახებ არსებულ საერთაშორისო ჩარჩოებში (მათ შორის UNESCO-ს ჩარჩოში) ასახული თემები იშვიათად არის განხილული სამოქალაქო განათლების ან ბიოლოგიის გაკვეთილებზე. მასწავლებლები, შესაძლოა, საუბრობდნენ გარკვეულ თემებზე, რომლებიც ნაწილობრივ მაინც უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულ სამიზნე ცნებებს, თუმცა, როგორც წესი, აღნიშნული საკითხები მოსწავლეებისგან გამოხატული ინტერესის საფუძველზე განიხილება. მასწავლებლები აღიარებენ, რომ საკუთარი ინიციატივით ერიდებიან საუბარს ჰომოსექსუალობაზე, ლგბტ თემზე, ჰომოფობიაზე და თუ საუბრობენ, კონტექსტი განზოგადებულია. მაგალითად საუბრობენ იმ სახელმწიფოებზე, სადაც ჰომოსექსუალობა კანონით ისჯება და როგორია სასჯელის ფორმები. ან იხსენებენ მუსიკოსებს, მსახიობებს, მოცეკვავეებს, მეცნიერებს, რომლებიც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად დიდ წარმატებას მიაღწიეს. მასწავლებლების

²² ბიოლოგიის კურიკულუმის ექსპერტი ინტერვიუში ახსენებს გაკვეთილების სცენარების კრებულს, რომელიც ფონდ “თანადგომასთან” ერთად მომზადდა და რომლის გამოყენების შესახებ ინფორმაცია იმ 24 ტრენერ-მასწავლებელს მიეწოდა, ვინც ახალი სკოლის მოდელში ჩართულ 365 სკოლაში იმუშავებს. შესაბამისად, აღნიშნული მასალის შესახებ ფოკუსჯგუფში მონაწილე მასწავლებლებს ჯერ არ ჰქონდათ ინფორმაცია.

მოყვანილი მაგალითები არ ემსახურება პრობლემის სიღრმისეულ გააზრებას, არამედ ფაქტების ზედაპირულ შეჯამებას წარმოადგენს.

მასწავლებლების ასეთი თავშეკავება, არ განიხილოს დამატებითი საკითხები, სავარაუდოდ, ორი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. პირველი საზოგადოების (კოლეგები, მშობლები, მოსწავლე) არაპროგნოზირებადი რეაქციაა, რომლის გამოვლენის შემთხვევაში მასწავლებელს არ ეგულება მოკავშირე, თანამოაზრე, კოლეგის ან სკოლის ლიდერობის სახით, რომელიც მასწავლებლის პოზიციას დაიცავს. მეორე მიზეზი, შესაძლოა, მასწავლებლის დაბალ მზაობაზე მიუთითებდეს. როგორც ადრე ვახსენეთ, მასწავლებლები თავად აღიარებენ, რომ აკლიათ თავდაჯერება, რადგან არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და მტკიცე წარმოდგენები .

მხარდაჭერის სისტემა

მხარდაჭერა სისტემისგან

გარდა იმისა, რომ პედაგოგები საუბრობენ პროფესიული განვითარებისა და სასწავლო რესურსების მრავალფეროვნების აუცილებლობაზე, ისინი მიუთითებენ იმაზეც, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებელია საზოგადოების ფართო სპექტრის აზრის გათვალისწინება. მათი შეფასებით, ეს ჩართულობა არა მხოლოდ დისკუსიაში, არამედ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვასაც გულისხმობს. შედეგად, საზოგადოებამ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა გაიზაროს პასუხისმგებლობა, რომ სამომავლოდ გაიზარდოს მიღებლობა.

მხარდაჭერა საზოგადოებისგან

მასწავლებლების შეფასებით, სასარგებლო იქნება არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ფსიქოლოგების, ექიმების და სხვა სპეციალისტების ჩართვა არა მხოლოდ მასწავლებლების მომზადების პროცესში, არამედ მოსწავლეებთან კომუნიკაციის მიზნითაც, რამდენადაც მოსწავლეებს ხშირად უფრო უადვილდებათ გარკვეულ თემებზე უცხო პირებთან (ექიმებთან, ფსიქოლოგებთან საუბარი), ვიდრე საკუთარ პედაგოგთან საუბარი.

მხარდაჭერა სკოლისგან

მასწავლებლების შეფასებით, სკოლის ადმინისტრაციისგანაცაა მეტი მხარდაჭერა საჭირო, განსაკუთრებით თემთან და მშობლებთან ურთიერთობისას.

7. სკოლის დირექტორთა განწყობები და დამოკიდებულებები

ინფორმირებულობა

სქესობრივი განათლებისა თუ რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმირებულობის სურათი სკოლის დირექტორებმა საზოგადოების რამდენიმე სეგმენტის მიხედვით წარმოადგინეს:

მშობლები – დირექტორების შეფასებით, მშობლები საზოგადოების მინიმოდელს წარმოადგენენ და, შესაბამისად, ინფორმირებულობის ხარისხიც განსხვავებულია – დედაქალაქის სკოლებში მშობლების უმეტესობა მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია, თუმცა პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეს ინფორმაცია ხშირად ზედაპირულია და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მშობლები ამ ინფორმაციის შესაბამისად გამოყენებას ვერ ახერხებენ ან არ იჩენენ ამის სურვილს.

დედაქალაქშიც აშკარად სახეზეა დეზინფორმაციის გავლენა, კონკრეტული პოლიტიკური, რელიგიური ჯგუფების, თემის და ა.შ. მიერ გავრცელებული ინფორმაციის ერთადერთ წყაროდ მიღება, შესაბამისად, საგნის სწავლების მიმართ სწორედ არაინფორმირებულობით განპირობებული პროტესტი.

მოსწავლეებში ინფორმაციის ნაკლებობაზე საუბარი რეპონდენტებმა საფუძველს მოკლებულად მიიჩნიეს – აღინიშნა, რომ ახალგაზრდებს რეპროდუქციულ თუ სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია არაერთი არხით გააჩნიათ: ინტერნეტი (პრიორიტეტული არხი), თანატოლებს შორის ინფორმაციის გაზიარება, მედია და ა.შ. (პრაქტიკულად არ დასახელებულა ოჯახში, მშობლების მხრიდან ამ საკითხებზე საუბარი, როგორც ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი საშუალება). რესპონდენტებმა უფრო მნიშვნელოვნად ამ ინფორმაციის ხარისხზე ყურადღების გამახვილება მიიჩნიეს, რადგან სკოლაში მიღებული ინფორმაციის წილი მცირეა, ხოლო ჩამოთვლილი არხებით მიღებული ინფორმაცია შეიძლება მცდარი ან ასაკისათვის შეუსაბამო იყოს.

„მოსწავლეებს, მათ დიდ ნაწილს რეალურად აქვთ საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია იმ საკითხებზე, რასაც სქესობრივი განათლება გულისხმობს და თაობა გაცილებით ღია და გახსნილია ნებისმიერი საუბრებისთვის.“

შესაბამისად, რესპონდენტების აზრით, ინფორმაციის ნაკლებობა ვერ იქნება მთავარი ან ერთადერთი მიზეზი იმ სამწუხარო სტატისტიკისა, რომელიც გვაქვს დღეს ქვეყანაში

(არასასურველი ფეხმძიმობები, აბორტები, ნაადრევი ქორწინება, ვენერიული დაავადებები და სხვ.), თუმცა ინფორმაციის აქტუალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

პედაგოგები – დირექტორების შეფასებით, ახალგაზრდათა ინფორმირების პროცესში პედაგოგი ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა უნდა იყოს, თუმცა კვალიფიციური, განახლებული ინფორმაციის პრობლემა ამ სეგმენტშიც კი იჩენს თავს. „რეალურად ჯერ კიდევ სხვა საგნების პედაგოგები ასწავლიან სქესობრივ განათლებას“. ხშირად პედაგოგის თვალსაწიერიც იმ მწირი ინფორმაციით შემოიფარგლება, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული – ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში პედაგოგს უჭირს ახალგაზრდების ავთენტური, ასაკისათვის შესაბამისი სამეცნიერო ცოდნით აღჭურვა.

საგნის სწავლების მხრივ არსებული პოლიტიკის, თუ სასწავლო გეგმის კრიტიკას დირექტორები ყველანაირად თავს არიდებენ, თუმცა სასწავლო რესურსების სიმწირეს მნიშვნელოვან სირთულედ და ხარვეზად ასახელებენ, ხაზს უსვამენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსების არსებობის საჭიროებას, ხელმისაწვდომობის აუცილებლობას (გაიდლაინები, დამხმარე მასალები).

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით დირექტორებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებს, უფრო კვალიფიციური, დამატებითი მასალების სიმწირე აღელვებთ და არა ზოგადად არაინფორმირებულობა, თუმცა რიგ შემთხვევებში ინფორმაციის ნაკლებობა პედაგოგებშიც შეიძლება იყოს სახეზე. რაც შეეხება მშობლებს, რიგ შემთხვევაში გამოკვეთილია არაინფორმირებულობით, არასწორი ინფორმაციით შექმნილი პრობლემა, რაც მშობლის ქცევაზე და დამოკიდებულებაზეც აისახება.

ხაზი გაესვა ზოგადად საზოგადოების ყველა ფენასა თუ სეგმენტში სქესობრივი განათლების მიზნებსა და მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის, საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარების საჭიროებას, რადგან რესპონდენტთა აზრით, ინფორმირებულობის პრობლემა საზოგადოებაშიც გამოკვეთილია.

დამოკიდებულებები

დირექტორთა შეფასებით, სქესობრივი განათლების ეფექტიანი დანერგვა და არსებული ვითარების გაუმჯობესება პირდაპირაა დამოკიდებული ამ საკითხებისადმი საზოგადოებაში ზოგადად თუ სხვადასხვა ჯგუფებში არსებული რადიკალური დამოკიდებულებების შეცვლაზე.

რესპონდენტებმა ძირითადად სქესობრივი განათლების მიმართ არსებული უარყოფითი და აგრესიული დამოკიდებულებების ხაზგასმა მიიჩნიეს მნიშვნელოვნად – დაძაბულობა, რელიგიური ნიშნით შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აგრესია, ეკლესიის, სასულიერო პირების განცხადებები, ე.წ. აქტიური მრევლის მიერ მკვეთრად გამოხატული

უარყოფითი პოზიცია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სკოლაში სასწავლო გარემოსა და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. თავად სკოლის დირექტორები ამ ზეგავლენას სისტემატიურად გრძნობენ კონკრეტული შემთხვევების, პრობლემების მოგვარებისას თუ სასწავლო პროცესის წარმართვისას.

არსებული დამოკიდებულებები მშობლებზეც ახდენს გავლენას, სქესობრივი განათლება კი მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს. იმის მიზეზად, რომ სკოლა უფრო მეტს ვერ აკეთებს (თუნდაც არსებული მწირი რესურსების პირობებში) სქესობრივი განათლების კუთხით, მათ სწორედ არსებული დამოკიდებულებები დაასახელეს – თუნდაც დამატებითი, კლასგარეშე პროექტების განხორციელება რეპროდუქციული განათლების კუთხით ზოგიერთი მშობლის აშკარა უკმაყოფილებას იწვევს. სკოლაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო საქმიანობაც საკმაოდ აგრესიულ დამოკიდებულებას აწყდება ზოგიერთი მშობლის მხრიდან.

საკითხისადმი გამოკვეთილად აგრესიული დამოკიდებულება პედაგოგსაც უქმნის პრობლემას, მით უმეტეს, როდესაც პედაგოგებისა და მშობლების ნაწილი სოლიდარულია საზოგადოების რადიკალური ჯგუფების პოზიციისა.

მოსწავლეები ამ შემთხვევაშიც ამ დამოკიდებულებებისგან შედარებით თავისუფალ სეგმენტად დაახასიათეს. საგნის სპეციფიკით განპირობებულ გარკვეულ უხერხულობას ხაზი გაესვა, თუმცა აღინიშნა, რომ გამოცდილი პედაგოგისათვის კონკრეტული მიდგომისა თუ ფრაზების ასაკის შესაბამისად შერჩევა რთული არ არის და ასეთი ტიპის უხერხულობები ფრაგმენტულია ხოლმე. ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვებთან ამ თემაზე საუბარი არ წარმოადგენს პრობლემას გაკვეთილზე თუ არაფორმალურ გარემოში. მასწავლებლის, სკოლის ხელოვნებაზეა დამოკიდებული უხერხულობით განპირობებული ბარიერების დაძლევა.

„გარკვეული უხერხულობა შეიძლება არსებობდეს მოსწავლეების თუ პედაგოგის მხრიდან, თუმცა ეს მალე გვარდება ხოლმე.“

გამოწვევები

რესპონდენტებს რეალურ სირთულედ მიაჩნიათ წინააღდეგობრივი დამოკიდებულებები საზოგადოებაში. ამ რეალობაში სკოლა პრაქტიკულად მოკლებულია შესაძლებლობას, კურიკულუმითა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ფორმატში წარმართოს სასწავლო პროცესი.

ასევე სირთულედ გამოიკვეთა საგნის პედაგოგების კვალიფიკაცია – აღინიშნა, რომ პედაგოგთა უმეტესობა, ასე ვთქვათ, „ითავსებს“ ამ საგანს, თანაც, მეორე მხრივ, სენსიტიურ საკითხებზე მოზარდებთან საუბარს განსაკუთრებული ყურადღება, შესაბამისი მიდგომების ცოდნა

სჭირდება. ხაზი გაესვა დამატებითი რესურსების სიმწირესაც, რაც ასევე ხარვეზი და შემაფერხებელი ფაქტორია საგნის ეფექტიანად სწავლების პროცესში.

რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანია ასევე „ნდობის“ საკითხი. მოსწავლეები სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული შეკითხვებით მხოლოდ იმ მასწავლებელს მიმართავენ, რომლებსაც ენდობიან. მაგრამ ყველა მასწავლებელი როდია მზად კომპეტენტური, ამომწურავი და მართებული პასუხის გასაცემად. პრაქტიკულად არ არსებობს სასწავლო რესურსები – დამატებითი ლიტერატურა, მულტიმედია და ა.შ. მხოლოდ წიგნში მოცემული მცირე ინფორმაციაა პედაგოგის დასაყრდენი. შესაბამისად, პედაგოგებს კომპლექსური მხარდაჭერა ესაჭიროებათ.

კონკრეტული შემთხვევების მართვა – მშობლებთან და მოსწავლეებთან ურთიერთობის წარმართვა: სკოლის დირექციისა და პედაგოგებისათვის საკმაოდ რთულია კონკრეტული შემთხვევების მართვა შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე (ინტერვიუებისას მოყვანილი მაგალითები ეხებოდა ნაადრევი ქორწილების იძულებას, გათხოვების შემდეგ სწავლის შეწყვეტის პრობლემას, შშმ მოსწავლის მიერ კლასში მასტურბაციის შემთხვევებს, მშობლების მიერ შვილის სქესობრივი განათლების გაკვეთილზე დასწრების მკვეთრს გაპროტესტებას). ასეთი შემთხვევები, ერთი მხრივ, მშობელთან და ბავშვთან სწორი კომუნიკაციის წარმართვას, მეორე მხრივ კი ინფორმაციის შესაბამის ფორმატში მიწოდებას მოითხოვს, რაც კონკრეტული მდგომარეობის ცოდნის შემთხვევაში გაცილებით წარმატებით იქნება მიღწეული.

მნიშვნელოვანია კვალიფიციური ფსიქოლოგის ჩართულობა, სკოლებს კი ხშირად არ აქვთ ამის ფუფუნება.

რეკომენდაციები

დირექტორების აზრით, სკოლის მხარდაჭერა მდგომარეობს სქესობრივი განათლების მიმართულებით უკეთესი რესურსების შექმნაში, ადეკვატური მეთოდოლოგიის პედაგოგებისათვის გაცნობაში, მათ პროფესიონალიზმზე ზრუნვაში და, რაც მთავარია, საზოგადოებაში აღნიშნული საკითხებისადმი სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში (ეს უკანასკნელი, მათი თქმით, სკოლის კომპეტენციას ცდება). მხარდაჭერისა თუ არსებული რესურსების შესახებ საუბრისას შემდეგი დამოკიდებულებები გამოიკვეთა: დირექტორები ერიდებიან განათლების არსებული პოლიტიკის, ასევე სასწავლო გეგმის კრიტიკას და ცდილობენ სხვა საკითხებზე გადაიტანონ აქცენტი.

„პოლიტიკა კარგია, მაგრამ პოლიტიკის რეალიზებაში მეტი ძალისხმევაა საჭირო“.

„სასწავლო გეგმის პრობლემა ნაკლებად არსებული ვითარება
– მხოლოდ გეგმა არ არის საკმარისი შედეგის მისაღებად“.

დირექტორთა შეფასებით, აუცილებელია:

- **ხარისხიანი სასწავლო რესურსები**, რაც სკოლას და მასწავლებელს გაუმარტივებს შედეგის მიღწევას სქესობრივი განათლების კუთხით;
- **გაიდლაინი – გზამკვლევი**, რომელიც პედაგოგს გაუმარტივებს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა წარმართონ ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობა;
- **პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა** – ყველა პედაგოგი ვერ ართმევს თავს საგნით გათვალისწინებული ინფორმაციის ბავშვებისათვის რელევანტურად მიწოდებას. საჭიროა მეტი რესურსი – კვალიფიციური ინფორმაცია, დამხმარე მასალა, განსაკუთრებით კი ამ ინფორმაციის მიწოდების მეთოდების, მიდგომების გაცნობა პედაგოგებისათვის, რომელიც საგნის სპეციფიკას, თემატიკას და მოსწავლეთა ასაკს გაითვალისწინებს (თუმცა აქვე აღინიშნა, რომ ასეთ დახმარებას – ტრენინგებს – მაშინ აქვს აზრი, როდესაც ტრენინგი თავად კვალიფიციურია);
- **კვალიფიციური ფსიქოლოგი** – ხაზი გაესვა, რომ კვალიფიციური ფსიქოლოგი სკოლისთვის ფუფუნებაა, არადა, კონკრეტული შემთხვევების მართვისას თუ სქესობრივი განათლების პროცესის სწორად დაგეგმვისა თუ წარმართვისას ფსიქოლოგის ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საკითხის გარშემო არსებული აზრთა სხვადასხვაობის, რადიკალური დამოკიდებულებების დაბალანსებისათვის დირექტორები აუცილებლად მიიჩნევენ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით პერმანენტულ მუშაობას (მათ შორის მშობლებზე აქცენტირებულს). მშობლისა და სკოლის თანამშრომლობა უადრესად მნიშვნელოვანია საგნის სწავლებისათვის, სხვადასხვა სასკოლო პროექტების მომზადებისა და მათში მოსწავლეთა ჩართულობისთვის. ამ მიმართულებით სახელმწიფოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ღროთა განმავლობაში საღი და რაციონალური დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს და სკოლას ამ საგნის სწავლების პროცესის ადეკვატურ ფორმატში წარმართვის შესაძლებლობა მიეცეს.

საინფორმაციო თუ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, გარდა სახელმწიფოს მეტი ჩართულობისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას, ასევე ისეთი პლატფორმის შექმნას მიიჩნევენ საჭიროდ, სადაც შესაძლებელი იქნება პრობლემური საკითხის გარშემო მუდმივი კომუნიკაცია.

მიუხედავად ცნობიერების ამაღლებისა და მუდმივი მუშაობის საჭიროების ხაზგასმისა, ერთ-ერთი დირექტორის მხრიდან აღინიშნა, რომ საკითხი იმდენად სენსიტიურია ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ სავარაუდოდ მომდევნო თაობები თუ შეცვლიან ამ დამოკიდებულებას, უფრო სწორად, არ გაითვალისწინებენ იმ რადიკალურ განწყობებს, რაც არის ზოგიერთ ჯგუფში, რელიგიური თუ სხვა ფაქტორების გამო. ნიმუშად ინკლუზიური განათლების პროექტი იქნა მოყვანილი

„10-15 წლის წინ მშობლების ნაწილს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა იმის მიმართ, რომ შშმ ბავშვებს მათ შვილებთან ერთად ესწავლათ. მეტიც, არაინფორმირებულობის გამო ხშირად აღნიშნული დაავადებები გადამდებიც კი ეგონათ. წლების განმავლობაში განუღმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და დღეს ეს პრობლემა თითქმის მოგვარებულია. ასევე სჭირდება დრო და ძალისხმევა სქესობრივი განათლების მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასაც“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მენტალური დარღვევებისა და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეები აწყდებიან უფრო მეტ სირთულეს თანატოლებთან შედარებით, კვლევები ცხადყოფს რომ ისინი მეტად ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლები. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მეტი მზაობა გადაჭრან მათი პრობლემები, შშმ პირთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად.

8. ახალგაზრდების ინფორმირებულობა და განწყობები


ინფორმირებულობა

ინფორმაციის საკანდო აგენტები

სქესობრივი განათლების თემატიკაზე მოსწავლეების ინფორმირების რამდენიმე ძირითადი წყარო შეგვიძლია გამოვყოთ. მეგობრები, ინტერნეტსივრცე, სოციალური მედია, მშობლები და სკოლა.

ფოკუსგუფის ფარგლებში „დაგხატეთ“ ჰიპოთეტური²³ დიაგრამა, სადაც სქესობრივი განათლების წყაროები იმის მიხედვით გავანაწილეთ, თუ რომელი მათგანია არსებულ რეალობაში ინფორმირების ძირითადი სივრცე. წარმოსახვითი დიაგრამა წყაროების განაწილების იდეალური სურათის შესაქმნელად შევიმუშავეთ. რეალური და იდეალური ვერსიები ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებულია. როგორც პირველ ილუსტრაციაზე ასახული, რეალურად, მონაწილეები ინფორმაციას უმეტესწილად მეგობრებისა და ინტერნეტის საშუალებით იღებენ. უკიდურესად მცირეა სკოლისა და მშობლების ჩართულობის შემთხვევები. იდეალურ რეალობაში კი, რესპონდენტების მიხედვით, სწორედ სკოლა და მშობლები უნდა იყოს წამყვან პოზიციებზე. დეტალურად წყაროების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ილუსტრაცია 1: ინფორმაციის მიღების წყაროების იდეალური მოდელი და რეალობა



სკოლაში სქესობრივი თემატიკა ძირითადად ბიოლოგიის კურსის ფარგლებშია ინტეგრირებული, სადაც მოსწავლეები უნდა იღებდნენ ინფორმაციას ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიური თავისებურებების, ჰორმონების, რეპროდუქციული სისტემის, სქესობრივი გზით

²³ აქ: ჰიპოთეტური აღნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ რაოდენობრივი კვლევა არ ჩატარებულა. დიაგრამაზე პროცენტები განაწილებულია პირობითად, რესპონდენტების მონათხრობის შესაბამისად.

გადამდები დაავადებების შესახებ. სკოლაში ამ სფეროში მიღებული ინფორმაციით რესპონდენტების კმაყოფილების ხარისხი უკიდურესად დაბალია.

ფოკუსგუფის მონაწილეთა უმეტესობის გამოცდილებით ბიოლოგიის სასწავლო კურსის ფარგლებში ინტეგრირებული მასალა ზედაპირულად, არასერიოზული დამოკიდებულებებისა და შეძახილების ფონზე გაიარეს, რაც სავსებით არასაკმარისი იყო და იმ კითხვებს, რაც სქესობრივი თემატიკის შესახებ უჩნდებოდათ, ვერ პასუხობდა. ეს მათთვის იყო ბიძგი იმისა, რომ თვითგანათლებისთვის მიემართათ და ინფორმაცია დამოუკიდებლად მოეძიებინათ სხვადასხვა წყაროს საშუალებით. ძირითადად, ყველაზე პოპულარული და კომფორტული ალტერნატივა ინტერნეტსივრცე და სოციალური მედია აღმოჩნდა, რომელიც სქესობრივი ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი წამყვანი წყაროა არსებულ რეალობაში.

„იყო შემთხვევა, როდესაც მჭირდებოდა ინფორმაცია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების (სგგდ)-ის შესახებ, არ მქონდა ნასწავლი, არ ვიცოდი ვისთვის მეკითხა და ამიტომ დავგუგლე“.

ზოგიერთი მათგანი ინტერნეტით სხვადასხვა ტიპის კვლევების შედეგებს ეცნობა, სხვები კი ინსტაგრამზე ცნობილი აქტივისტების „მიმდევრები“ ხდებიან და ასე იღებენ იმ ინფორმაციას, რის დანაკლისსაც ყველაზე მეტად გრძნობენ.

„ინტერნეტი და ფილმები ეხმარება ჩემს თაობას, თუმცა არიან გამონაკლისებიც, ვისაც ან მშობლები უშლიან, ან თვითონ ერიდებიან ასეთი შინაარსის ინფორმაციის მოძიებას...“.

„მეგობრებიც, ინტერნეტიც, სოციალური მედიაც, ყველა საშუალებას მივმართავ ხოლმე ჩემთვის საინტერესო საკითხზე ინფორმაციის მისაღებად“.

ფოკუსგუფის მონაწილეთა უმეტესობასთან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები ზედაპირულად დაიფარა, მასწავლებლების ნაწილმა თემა საერთოდ გამოტოვა, ან მხოლოდ ერთ გაკვეთილზე ისაუბრა მის შესახებ და გამოკითხვა აღარ ჩაუტარებია.

„საერთოდ არანაირ ინფორმაციას როდესაც არ გაწვდიან, არანაირ შესაძლებლობას არ გაძლევენ, რომ ოდნავ მაინც იყო კმაყოფილი. ეს შეიძლება ბიოლოგიის მასწავლებელი ყოფილიყო, ან დამრიგებელი, ე.წ. კლასის საათის ფარგლებში შეეძლო შემოეტანა ეს თემა.“

სასკოლო კონტექსტში ერთ-ერთი გამონკვევია მოსწავლეთა დაბალი მზაობა მოისმინონ სექსუალურ თემატიკასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ისაუბრონ მასზე. მზაობის თვალსაზრისით გენდერულ განსხვავებულობას უსვამენ ხაზს რესპონდენტები. ბიჭები მეტად

არასერიოზულად ეკიდებიან მსგავს თემებს, რაც კლასის მართვის პროცესს ართულებს და შესაძლებელია აღნიშნული თემის განხილვის პროცესში ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორადაც ყალიბდება.

„როდესაც უმეტესად ბიჭებს არ აქვთ მზაობა, რომ ამ თემაზე ინფორმაცია მოისმინონ, მასწავლებლისთვის ძალიან რთულია მართოს ჯგუფი და მაინც ისაუბროს სქესობრივ საკითხებზე.“

„13-14 წლის გოგონები უფრო მზად არიან ხოლმე და ნაკლები კომპლექსების ფონზე საუბრობენ ამ თემაზე. გოგონებს უფრო უხსნიან მშობლები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი. კარგი მასწავლებელი კარგად და ეფექტურად უნდა გადმოსცემდეს ბიჭებისთვის, რომ არ არის ეს სახუმარო თემა და ჩვეულებრივი ისეთი საკითხია, რისი ცოდნაც შემდგომი ჯანსაღი ურთიერთობების წინაპირობაა.“

როგორც ახალგაზრდები აღნიშნავენ, ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებლის კვალიფიკაციაზე. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელმა თემა ჩვეულ რეჟიმში, სხვა საკითხების მსგავსად სიღრმისეულად ახსნა, მოსწავლეთა ინტერესი გამოიწვია.

„ჩვენ ბიოლოგიის მასწავლებელი გვყავდა ისეთი, რომელმაც სრულიად მეცნიერულად აგვიხსნა საკითხი და არ გამოუტოვებია. თუმცა, პარალელურ კლასში ვიცი, რომ გამოტოვებს ეს თემა, რადგან უხერხული ასახსნელი იყო.“

„ვისაუბრეთ რა არის საჭირო ჯანსაღი ურთიერთობებისთვის, თავი როგორ უნდა დავიცვათ, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე მოგვანოდა ინფორმაცია და ეს ინფორმაცია ძალიან სასარგებლო იყო.“

„მე-10 კლასში, როდესაც ვაციხს და ქალის ჰორმონებზე გვქონდა გაკვეთილი, მასწავლებელმა მოაყოლა უფრო დეტალური ინფორმაცია რეპროდუქციული სისტემის შესახებ. ახალგაზრდა იყო და შედარებით ევროპულად მიუდგა. არ იყო ეს თემა ტაბუდადებული.“

სკოლაში სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებების ქართული და უცხოური (საერთაშორისო სკოლა ღუბაიში) გამოცდილების შედარების შესაძლებლობაც მოგვეცა. საერთაშორისო სკოლის მოსწავლემ აღნიშნა, რომ სკოლაში სქესობრივი საკითხების შესახებ საუბარი მე-8 კლასში დაიწყო. კულტურულად და ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში მოსწავლეების მხრიდან გარკვეული რეზისტენტულობა და/ან არასერიოზული დამოკიდებულება გამოვლინდა, თუმცა მასწავლებელმა ძალიან დროულად აღმოფხვრა ის. მან

ძალიან ცხადად გაუსვა ხაზი, რომ ეს თემა სასწავლო გეგმის შემადგენელი ერთი ისეთივე ჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც სხვა უკვე ნასწავლი მასალა. მასწავლებლის დამოკიდებულებამ და რეაქციამ კლასში შექმნილი კლიმატი შეცვალა და სქესობრივ თემატიკაზე საუბარი უკვე აღარ იწვევდა არასერიოზულ და არაადეკვატურ უკუკავშირს.

რომ შევაჯამოთ, ახალგაზრდები ინფორმაციის ძირითად ნაწილს სტიქიურად, მოგვიანებით კი, საკუთარი ძალისხმევის შედეგად, მედიის საშუალებით, გარკვეულწილად კი მშობლების დახმარებით იღებენ. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ უხერხულობა მუდმივად თან სდევს სქესობრივი განათლების სხვადასხვა ასპექტზე საუბარს, როგორც სკოლაში, ასევე, მშობლებთან კომუნიკაციის პროცესში. მოზარდები მშობლებთან საუბრისგან უმეტესად თავს იკავებენ, ან ზედმეტი დეტალიზების გარეშე, მხოლოდ მიზნობრივად განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ამის მიზეზად უხერხულობას ასახელებენ.

„მიუხედავად იმისა, რომ დედასთან სულ ღია კომუნიკაცია მაქვს, მე თვითონ მეუხერხულებოდა ხოლმე ამ თემაზე საუბარი.“

„ჩემს მშობლებს არ მოუციათ იმის საფუძველი, რომ ეს ტაბუდადებული თემაა და საუბარი არ შეიძლება, თუმცა მე მეუხერხულებოდა ამ თემის განხილვა და არც განგვიხილავს. უფრო მეგობრები იყვნენ ინფორმაციის ძირითადი წყარო.“

„მამასთან არ მისაუბრია და არც მინდა ჩავეკითხო დეტალები“.

სკოლაში მხოლოდ ბიოლოგიის საგანთან ინტეგრირებულ ნაწილში იღებენ სქესობრივი მომწიფების, რეპროდუქციის და ნაწილობრივ სგდ-ის შესახებ ინფორმაციას. ზოგიერთი მასწავლებელი კლასგარეშე საკითხავ მასალას აწვდის მოსწავლეებს; ზოგ სკოლაში ე.წ. ტუტორი ესაუბრება სხვადასხვა თემასთან ერთად სქესობრივი განათლების ზოგ კომპონენტზე, მაგალითად ადრეულ ქორწინებასა და ოჯახის დაგეგმვის გზებზე. „ჩვენს სკოლაში ეს ჩვეულებრივი თემაა და უხერხული მომენტები თითქმის არ იყო“, თუმცა კითხვები მაინც რჩება („ვგრძნობ, რომ რაღაცები არ ვიცი და საკმარისად არ გვისაუბრია ამაზე“); ასეთ საკითხებზე პასუხის საპოვნელად მოზარდები ინტერნეტსივრცეს მიმართავენ. რესპონდენტი ამბობს, რომ არიან ისეთი ადამიანებიც მის ნაცნობებში, რომლებიც, გარკვეული ტიპის ავტორიტეტული ინსტიტუტების ზეგავლენით, თვლიან, რომ სექსთან დაკავშირებული თემები „გარყვნილებას“ უკავშირდება. მოზარდები და სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ინტერნეტით არაფორმალური ცოდნის მიღებას ახლავს საფრთხე, მოზარდებმა მიიღონ არასანდო და მცდარი ცნობები ამა თუ იმ თემაზე.

„ჩვენს თაობას სწორის და დემინფორმაციის გარჩევა იმდენად არ უჭირს; ერთი შეხედვით ხვდები რა ტიპის წყაროა, სწორი ინფორმაცია იღება თუ არა.“

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სანდოობის გადასამოწმებლად ისინი სხვადასხვა გზას მიმართავენ და სწორედ ასე ცდილობენ მცდარი ინფორმაციისგან თავდაცვას.

„რაც გავიზარდე, უფრო მივხვდი, რომ რაღაცას იტყუებიან აქ... ამიტომ უფრო ფრთხილად ვარ, ვამოწმებ სერტიფიცირებულია თუ არა ვებგვერდი“.

„ვეძებ ინტერნეტშიც ასეთი პრინციპით: რამდენიმე ვებგვერდზე ვამოწმებ და თუ ემთხვევა პასუხი, ე.ი. სანდოა.“

ზოგჯერ ინფორმაციას სანდო პირებთან ამოწმებენ, მათ შორის სამედიცინო განათლების მქონე პირები სჭარბობენ. როგორც ჩანს, მოსაუბრის სამედიცინო განათლება მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნიათ მოზარდებსა და სტუდენტებს. ამ გზით არასანდო ინფორმაციის მიღებასა და ინტერნეტში ხელმისაწვდომი დიდი რაოდენობით არარელევანტური მასალის დახარისხებისა და ანალიზის პროცესს არიდებენ თავს.

„ჩემი და ყველაზე სანდო წყაროა. სამედიცინო სფეროშია და მისგან ვთვლი, რომ ყველაზე ვალიდურ ინფორმაციას მივიღებ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი განუსაზღვრელ შესაძლებლობებს გვთავაზობს, მე ჯერ იმდენი კომპეტენცია არ მაქვს, რომ გავარჩიო, რა წერია სწორად და რისი ნდობა შეიძლება იმ უთვალავი ინფორმაციიდან, რაც ხელმისაწვდომია, ამიტომ ჩემს დას მივმართავ ხოლმე მზა, სანდო პასუხებისთვის.“

სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულება

ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფის მონაწილეები თანხმდებიან, რომ სქესობრივი განათლება უკიდურესად მნიშვნელოვანი და საჭიროა, განსაკუთრებით საშუალო განათლების საფეხურზე, და სკოლას, როგორც სავალდებულო ფორმალური განათლების ინსტიტუციას, წამყვანი როლი უნდა ჰქონდეს ამ პროცესში.

სქესობრივი განათლების მიზანსა და დანიშნულებაზე საუბრისას მონაწილეები თანხმდებიან, რომ მთავარი მიზანი ტაბუდადებული თემებისადმი მეტი მიმდებლობის მიღწევაა, რაც მომავალში ჯანსაღი საზოგადოების ფორმირებას შეუწყობს ხელს.

„მთავარი მიზანია, რომ ნორმალიზირებული გახდეს ეს საკითხი, არ „ტეხავდეს“ ამაზე საუბარი, ცხოვრების მნიშვნელოვანი

ეტაპებია... უნდა შეეჩვიოს ყველა ამაზე საუბარს და მეტი გაიგონ...ნეგატიური დამოკიდებულება არ ჰქონდეთ...“.

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია მოზარდების ყველა კითხვას, რომელიც მათ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე უჩნდებათ საკუთარ მომნიშვნელობასა და პორმონალურ ცვლილებებთან დაკავშირებით, პასუხი ეტაპობრივად, მისაღები ფორმით გაეცეს. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი ბარიერი კი მშობლების მხრიდან შეკითხვებზე პასუხის გადავადებაა. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები საკითხის განხილვის თავიდან აცილებას მოზარდის ერთმანეთთან გადამისამართებით, ან უბრალოდ საუბრის გადავადებით ცდილობენ. ეს მიდგომა მოზარდს კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვან დაბრკოლებად ესახება. სკოლა არ აწვდის სათანადო ინფორმაციას, მშობელი თავს არიდებს საუბარს. ორი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი ნაკლებად ეფექტიანად ასრულებს სანდო კომუნიკატორის ფუნქციას.

შეკითხვაზე პასუხად, თუ რა აყალიბებს მოზარდების ხედვას და დამოკიდებულებებს სქესობრივი საკითხების მიმართ, ისინი ყველაზე ძლიერ ფაქტორად გარემოს ასახელებენ. გარემო ძლიერ მოქმედებს მათი დამოკიდებულებების ფორმირებაზე. სოციალური, საზოგადოების დამოკიდებულებები და განწყობები აყალიბებს ახალგაზრდების ხედვას სენსიტიურ საკითხებზე. მათ შორისაა სქესობრივი საკითხები. თუმცა, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ გარემოში ახლობლებისა და უფროსი თაობის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებები სჭარბობს, როგორც განათლების, ასევე ურთიერთობების პრაქტიკისა თუ სიმრავლის მიმართაც. გარყვნილებად ითვლება მოზარდებისთვის თუნდაც ცენტრალიზებული გზით, სავალდებულო განათლების ფარგლებში სქესობრივი ხასიათის ინფორმაციის განხილვა, ასევე მიუღებელია ქალებისთვის რამდენიმე პარტნიორის ყოლის გამოცდილება, რამდენჯერმე დაქორწინება და ა. შ.

„ბევრჯერ გამიგია, რომ ცუდად ლაპარაკობენ ქალებზე, ვინც ბევრჯერ გათხოვდა. ამის გამო არც გიჩნდება სურვილი, რომ რომელიმე უფროსს ამ თემაზე ესაუბრო. პროტესტიც გამიჩნდა, რატომ არის ეს თემა ოჯახისა და სანათესაოს გასარჩევი და კრიტიკის საგანი.“

სწორედ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებსა და დამოკიდებულებებს მიიჩნევენ იმის საფუძვლად, რომ მშობლებთან სქესობრივ საკითხებზე საუბარი უხერხულია. თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ კრიტიკული მნიშვნელობისაა სქესობრივ თემატიკასთან დაკავშირებული სწორი ინფორმაციის ცოდნა, მონაწილეები თანხმდებიან, რომ საზოგადოების ნაწილის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად აუცილებელია სქესობრივი განათლების ფორმალური განათლების საფეხურზე ინტეგრირება. ისინი თვლიან, რომ სკოლას უნდა ჰქონდეს წამყვანი როლი მოზარდების სქესობრივ განათლებაში. ეს იქნება იმის გარანტი, რომ ახალგაზრდები სანდო და ვალიდურ ინფორმაციას მიიღებენ. თუმცა სკოლის კონტექსტში,

გარდა ფიზიოლოგიური ასპექტებისა, რაც შესაძლებელია ბიოლოგიის თემებში ინტეგრირდეს, ასევე აუცილებელია სოციალური განზომილების განხილვაც. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სამოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები და ტაბუები აღარ ინარჩუნებდეს სიმყარეს ახალგაზრდა თაობებში. მთავარი ინსტრუმენტი სწორედ ინფორმირებულობის დონის ამაღლებაა, რაც სასკოლო ასაკიდან უნდა დაიწყოს, სწორედ მაშინ, როდესაც მოზარდებს ბუნებრივი ინტერესი უჩნდებათ სქესობრივი საკითხებისადმი. მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ სწორი ინფორმაციის სათანადო დროს მიღება არა მხოლოდ საკუთარი სქესობრივი განვითარების გააზრებასა და ეფექტიანად მართვაში დაეხმარებათ, არამედ სოციალურად სწორი შეხედულებების ჩამოყალიბების საფუძველია, შეხედულებების, რომლებიც+ არ არის ბულინგის შემცველი, გენდერულად დისკრიმინაციული, პირადი ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა დეტალის გამო შეურაცხყოფელი ხასიათის და დამყარებულია თანასწორობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპებზე.

ქვეყანაში ადრეული ქორწინების, არასასურველი ორსულობის, ადრეულ ასაკში ფაქტობრივი თანაცხოვრების, ადრეულ ასაკში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების, აბორტებისა და გენდერული ნიშნით სექსუალური ხასიათის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მიზეზად მონაწილეები სწორედ ინფორმირების დონის ნაკლებობას ასახელებენ. სქესობრივ საკითხებთან დაკავშირებული არასწორი, არაზუსტი და ბუნდოვანი ინფორმაციის ფლობის შედეგები იმდენად მძიმეა, უკიდურესად მნიშვნელოვანია ეს თემა პირველ რიგში, ტაბუდადებული საკითხების რიცხვში აღარ იყოს, დაიწყოს მიზანმიმართული საუბარი მოზარდებთან და მათ მშობლებთან, ასევე მასწავლებლებთან. მნიშვნელოვანია ყველა აგენტი, ვინც ჩართული იქნება სქესობრივი განათლების ნებისმიერ საფეხურზე, სათანადოდ აცნობიერებდეს სქესობრივი განათლების მიზნებს, აკადემიური და მეცნიერული გზით მიწოდებული ინფორმაციის ღირებულებას, იმას, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს ბავშვის ფსიქიკას ინფორმაციის არასწორი გზით მიწოდების შემთხვევაში და ამ პროცესში იმ გაზიარებული ღირებულებების საფუძველზე ჩაერთოს, რაც საყოველთაო სქესობრივი განათლების ფუნდამენტია.

მიღწევები და გამოწვევები

მოზარდებსა და სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დინამიკურმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ინფორმაციის ციფრულად ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყო მოზარდებს სქესობრივი საკითხების შესახებ მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიეღოთ და ამით სკოლისა და მშობლების მიერ მიწოდებული არასაკმარისი ცოდნა დაებალანსებინათ. თუმცა, ინფორმაციის სიმრავლე და ხელმისაწვდომობა თანამედროვე მოზარდებისთვის მიღწევასთან ერთად გამოწვევაცაა. ზღვა ინფორმაციაში, პირველ რიგში,

რთულია იმის გარკვევა, რომელი მათგანია სანდო და ვალიდური. მეტიც, ინფორმაციის მოძიების პროცესში მოზარდები სხვადასხვა სოციალურ სივრცეში ერთიანდებიან, სადაც შესაძლოა სხვადასხვა ტიპის გაუცნობიერებელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტით ინფორმაციის მოძიების ერთ-ერთ ძირითად ღირსებად ისინი ანონიმურობას ასახელებენ, არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სოციალურ სივრცეში საკუთარი ურთიერთობებისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ არასასურველი მანიპულირების მსხვერპლნი გახდებიან. თუ თაობებს შევადარებთ, აშკარაა პროგრესი – დღეს მოზარდები გაცილებით ინფორმირებულნი არიან, ღიად საუბრობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე მეტ-ნაკლებად მშობლებთან, უფრო მეტად აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს. ღიად და გაცნობიერებულად საუბრობენ თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, ჯანმრთელობაზე, ჯანსაღ და უსაფრთხო ურთიერთობებზე. ეს შედეგი სწორედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გავლენაა, თუმცა ისინი ასევე აცნობიერებენ მცდარი და არარელევანტური ინფორმაციის პოტენციური ნეგატიური შედეგების სიმძიმეს და ხაზს უსვამენ ინფორმაციის სანდოობის გადამოწმების აუცილებლობას. ეს ერთ-ერთი ღირებული მიღწევაა არა მხოლოდ სქესობრივ თემატიკასთან დაკავშირებით, არამედ ზოგადად – მოზარდი, რომელმაც იცის, რომ მხოლოდ რელევანტურ და სანდო წყაროს უნდა გაეცნოს და გაითვალისწინოს, დიდი ალბათობით სხვა ცხოვრებისეულ სფეროებშიც მსგავს პრინციპს მიჰყვება, რაც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ახალგაზრდების შეფასებით, სქესობრივი განათლება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას:

1. წამყვანი ინსტიტუცია არ არსებობს, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს სქესობრივი განათლების ადვოკატირებასა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ამ სფეროში.
2. საზოგადოებაში სქესობრივ საკითხებზე მსჯელობა ჯერ კიდევ ტაბუდადებული საკითხია, რაც სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.
3. სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის ზრდაა საჭირო, განსაკუთრებით განათლების პროცესში პირდაპირ ან ირიბად ჩართული პირებისთვის, ესენია მშობლები, მასწავლებლები, სკოლის პერსონალი, მოსწავლეები. მნიშვნელოვანია ყველა აგენტი, ვინც ჩართული იქნება სქესობრივი განათლების ნებისმიერ საფეხურზე, სათანადოდ აცნობიერებდეს სქესობრივი განათლების მიზნებს, აკადემიური და მეცნიერული გზით მიწოდებული ინფორმაციის ღირებულებას, იმას, თუ რა ზიანი შეიძლება მიაღწეს ბავშვის ფსიქიკას ინფორმაციის არასწორი გზით მიწოდების შემთხვევაში.

4. მნიშვნელოვანია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების არსებობა, რომლებიც სათანადოდ მიაწოდებენ ინფორმაციას სამიზნე ჯგუფებს.
5. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ინფორმირების დონის ამაღლება არა მხოლოდ სქესობრივ თემატიკასთან დაკავშირებით, არამედ ინფორმაციის ანალიზისა და გადარჩევის მეთოდებისა და მნიშვნელობის შესახებ. რადგან ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ უფრო და უფრო რთულია იმის კონტროლი, თუ რა ინფორმაციასთან აქვთ წვდომა მოზარდებს. შესაბამისად, აუცილებელია მათ იცოდნენ, რომ ყველა ინფორმაცია არ არის ჭეშმარიტი და ყველა წყარო არ ავრცელებს სანდო ინფორმაციას. აუცილებელია იცოდნენ, თუ როგორ უნდა გაარჩიონ და დაახარისხონ სანდო და არასანდო ინფორმაცია.

რომ შევაჯამოთ, მთავარი გამოწვევა საზოგადოების არასაკმარისი მზაობაა. ამასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ის უხერხულობის განცდაა, რომელიც თან ახლავს სქესობრივი განათლების სხვადასხვა საკითხებზე საუბარს და სწავლებას. ეს ფაქტორი მწვავეა როგორც სკოლაში, ისე მშობლებთან მიმართებაში.

სქესობრივი განათლების მიღების პროცესში მშობლების როლის შესახებ საერთაშორისო მასშტაბით არაერთი კვლევა ჩატარებულა. მშობლები კრიტიკულ გავლენას ახდენენ მათი შვილების სქესობრივ ჯანმრთელობაზე. 2015 წელს ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ჟურნალმა (JAMA) გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ასახავდა სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ მშობლებისა და შვილების კომუნიკაციის 30-წლიანი ანალიზის შედეგებს. კვლევის შედეგების მიხედვით, მშობლებსა და შვილებს შორის კომუნიკაცია სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხების შესახებ დადებითად აისახება უსაფრთხო სექსუალური ურთიერთობების პრაქტიკაზე ახალგაზრდებში (Widman et al., 2016). სწორედ ამიტომ ითვლება, რომ მშობლები სქესობრივი განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია (National Guidelines Task Force, 2004). ჩვეულებრივ, ამერიკელი მშობლების უმრავლესობა შვილებს ესაუბრება სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (Planned Parenthood Federation of America & Family Circle Magazine, 2014), თუმცა ხშირად ისინი არ განიხილავენ ისეთ სენსიტიურ თემებს, როგორებიცაა უსაფრთხოება და თავის დაცვა, შობადობის კონტროლი და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში სქესობრივი განათლების დანერგვის ქმედითი აქტივობები მე-20 საუკუნის 60-იან წლებშიც კი ხორციელდებოდა, კვლევის შედეგების მიხედვით, მშობლებსა და შვილებს შორის აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაცია ჯერ კიდევ არ არის კომპლექსებისა და ტაბუებისგან თავისუფალი. აღნიშნულის ფონზე, სრულიად ბუნებრივია ჩვენი კვლევის შედეგი, რაც მშობლებსა და შვილებს შორის სქესობრივი თემატიკის შესახებ კომუნიკაციის სირთულეებსა და უხერხულობის გრძნობაზე მიგვითითებს.

ზოგიერთი რესპონდენტი ფიქრობს, რომ გაკვეთილებზე სქესის მიხედვით დაყოფა შეიძლება იყოს გამოსავალი, თუმცა სხვები მიიჩნევენ, რომ ბიჭების და გოგონების საერთო გაკვეთილებზე

მეტი ინტერაქცია „სქესთაშორის გაუგებრობას და დისკომფორტს“ შეამცირებს. რესპონდენტების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ეტაპობრივად „შეეჩვევიან ამაზე საუბარს და დრო აუცილებლად გააქრობს ამ უხერხულობას“.

სქესობრივი განათლების მიღების ფაქტობრივად ძირითად წყაროდ რესპონდენტები ინტერნეტს ასახელებენ. ინტერნეტსივრცეში მოზარდები ნაწილობრივ დაცულად გრძნობენ თავს და საკუთარი მედიაწიგნიერების იმედად არიან: „ჩვენს თაობას შედარებით არ უჭირს მცდარი და სწორი ინფორმაციის გარჩევა“. თუმცა როგორც რესპონდენტებიც აღნიშნავენ, მედიას გარკვეული საფრთხეები ყოველთვის ახლავს, რადგან ამ შემთხვევაში მოზარდი „ინტერესს არაფორმალური, გედაპირული და არასწორი ფორმით იკმაყოფილებს“.

რეკომენდაციები

მოზარდების გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ მათ ბუნდოვანი წარმოდგენები აქვთ სქესობრივი განათლების საკითხებზე, მეტიც სულ რამდენიმე თემატიკაზე შეუძლიათ იმსჯელონ, როგორც სქესობრივი განათლების შემადგენელ კომპონენტზე. დანარჩენი საკითხების თუ ტერმინების ხსენებისას ცხადი იყო, რომ სჭირდებოდათ დამატებითი ახსნა და მაგალითები, კავშირების თუ შინაარსის უკეთ აღსაქმელად, რაც ბუნებრივია იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ მათ შესაბამისი ცოდნა სკოლაში არ მიუღიათ. თუმცა როგორც თვითონ გაგვიზიარეს, აქტიურად კითხულობენ და პარალელურად, მშობლებსა თუ მეგობრებს ინტენსიურად ესაუბრებიან აღნიშნულ თემებზე.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სურთ სქესობრივი განათლება ცალკე საგნად ისწავლებოდეს.

„სქესობრივი განათლება სჭობს 12-13 წელზე გვიან არ დაიწყოს, რადგან ეს ასაკი ოპტიმალურია წინარე ცოდნის და მზაობის გამო.“

მოზარდები და სტუდენტები თვლიან, რომ მნიშვნელოვანია როგორც მოზარდების, ასევე მასწავლებლებისა და მშობლების ინფორმირების დონის ამაღლება, რაც ბევრი ნეგატიური შედეგისგან დაიცავს საზოგადოებას.

„ნაადრევი ორსულობის და აბორტის შემთხვევებიც შემცირდება, თუ წინასწარ სწორი ინფორმაცია ექნებათ, თუ ასწავლიან როგორ დაიცვან თავი.“

„არ ვიცი, არავის უსწავლებია, ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ პასუხები“.

ინფორმირების დონის ამაღლებაზე მიმართული აქტივობები უნდა დაიგეგმოს არა მხოლოდ სკოლაში, არამედ აუდიტორიის მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტშიც. ასევე, სასურველია სპეციალურად მოზარდებისთვის შემუშავდეს მედიაში ნავიგაცია/ფილტრაციასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, რომ მათ გაუადვილდეთ სასურველ შეკითხვებზე სანდო პასუხების მიღება და „არასწორი ცოდნისგან“ თავდაცვა; ასევე, უნდა გამახვილდეს ყურადღება კიბერუსაფრთხოების საკითხებზე და მოზარდების „მოტყუებაზე“, ამის შესახებაც სასურველი იქნებოდა საინფორმაციო შეხვედრების თუ ბროშურების მომზადება, რომ მოზარდებმა გამოიჩინონ „მეტი სიფრთხილე ვირტუალურ სამყაროში“.

ამასთან, გასათვალისწინებელია რომ სკოლის როლთან დაკავშირებული კვლევების მიხედვით, სასკოლო კონტექსტში სქესობრივი და ურთიერთობების შესახებ განათლება (SRE – Sex and Relationship Education) და სკოლაში არსებული სექსუალური ჯანმრთელობის სერვისები ეფექტურია სექსუალური ჯანმრთელობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. პროფესიონალები თანხმდებიან, რომ კარგი პროგრამები არის ასაკთან შესაბამისი, ინტერაქტიული და ხორციელდება უსაფრთხო გარემოში. (Pound et al., 2017).

9. მშობელთა ინფორმირებულობა, ჩართულობა და განწყობები

ინფორმირებულობა

ზრდასრულების და ახალგაზრდების სქესობრივი ჯანმრთელობა დიდად არის დამოკიდებული იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც მშობლები თამაშობენ შვილების სექსუალური სოციალიზაციის საქმეში. მშობლების მიერ გადაცემული ინფორმაცია ზეგავლენას ახდენს მოზარდების მიერ სექსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე (Dilorio, Pluhar, & Belcher, 2003). მშობლები, მიჩნეულნი არიან საუკეთესო განმანათლებლებად სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე მიაწოდონ მოზარდებს მათი კითხვებისა და საჭიროებების შესაბამისი თანმიმდევრული და დროული ინფორმაცია (Krauss & Miller, 2012; Mustanski & Hunter, 2012). თუმცა აღსანიშნავია, რომ მშობლებს ამ საკითხებზე სხვადასხვა დონის ცოდნა აქვთ, უმრავლესობა კი არაადეკვატურ ბაზისურ ინფორმაციას ფლობს (Heller & Johnson, 2010; Jerman & Constantine, 2010; Martin & Torres, 2014; Meschke & Dettmer, 2012; Pluhar et al., 2006).

მშობელთა ინფორმირებულობა ჩენი კვლევის ფარგლებშიც შეფასდა. კვლევაში ჩართული ფაქტობრივად ყველა მშობლის აზრით, მოზარდთა სქესობრივი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს არ აქვთ ჩამოყალიბებული შეხედულება რა და როგორ უნდა კეთდებოდეს მოზარდთა სქესობრივი განათლებისთვის, ფოკუსგუფის არცერთ მონაწილეს სქესობრივი განათლების აუცილებლობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია – „უეჭველია, რომ რაღაც უნდა გაკეთდეს და გაკეთდეს კვალიფიციურად“. თუმცა როგორი იქნება სქესობრივი განათლების კონცეფცია, თეორიული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც წარიმართება პროცესი ეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კვლევაში ჩართული მშობელთა ნაწილის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

„ზოგადად ძალიან აუცილებლად ვთვლი, რომ დაინერგოს სკოლაში სქესობრივი განათლება. მე გარკვეული უხერხულობა მაქვს ჩემს შვილთან ამ თემაზე საუბრის დროს. სხვა კიდეც თუ ვინმე დამეხმარება, სკოლა იქნება ეს თუ არ ვიცი რა ორგანიზაცია და მისცემს გარკვეულ სქესობრივ განათლებას ჩემს შვილს, ვიქნები ძალიან კმაყოფილი.“

„აუცილებელია რაღაცები ისწავლოს კორექტულად. ეს სკოლაში უნდა მოხდეს და ბიოლოგიის მასწავლებელმა უნდა გააკეთოს თუ არა, ამაზე ზუსტი პასუხი არ მაქვს. ამ ეტაპზე მე ვფიქრობ, რომ

ჩვენი საზოგადოება მზად არ არის, არც ჩემი შვილები არიან მზად, რომ ძალიან შინაურულად, ზედმეტი ნერვიულობის გარეშე ისაუბრონ ღიად, კლასში, გოგონებთან და ბიჭებთან ერთად. მესმის, რომ რაც უფრო მეტი განათლება გვექნება, უკეთესია და მართო ამ მოსაზრების გამო ვიძახი, რომ კი, უნდა იყოს. კონცეფცია როგორი იქნება, ამაზეა დამოკიდებული, დავეთანხმები სქესობრივი განათლების დანერგვას თუ არა.“

სქესობრივი განათლების შინაარსისა და მიზნების შესახებ რესპონდენტები ფლობენ უფრო ზოგად ინფორმაციას, მათ არ აქვთ ცოდნა იმის თაობაზე, კონკრეტულად რა საკითხები ისწავლება სქესობრივი განათლების ფარგლებში და რა მიზნით. უმეტეს შემთხვევაში მშობლებს მსგავსი სასწავლო აქტივობის შესახებ არაფერი სმენიათ. გამონაკლისს წარმოადგენს მშობელი, რომელიც ბიოლოგიის პედაგოგია და პროფესიულად უფრო „ახლოსა“ სქესობრივი განვითარების საკითხებთან. მშობლები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ მათთვის ამ თემაზე შვილებთან საუბარი რთულია, რადგან ნაკლები ინფორმაცია აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ესაუბრონ შვილებს სექსუალობის საკითხებზე და როგორ მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არ გაურბის შვილთან ამ თემაზე საუბარს, პირიქით ცდილობს არ გამოეპაროს შვილების დამოკიდებულება და პირველი ნაბიჯები სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით, თუმცა, მათი თქმით, ბავშვები თავს არიდებენ ამ თემის მშობლებთან განხილვას. როგორც ფოკუსჯგუფის, ასევე ჩატრამაღებული ინტერვიუების რესპონდენტების აზრით, სქესობრივი განათლების საკითხებზე დღევანდელი მდგომარეობით ბავშვები/მოზარდები ინფორმაციას იღებენ არაფორმალური გზებით – უმეტესად სამეგობრო წრიდან, ინტერნეტში არსებული რესურსებიდან და ა. შ. მათი აზრით, მცდარია მოლოდინი, რომ შვილი ამ საკითხებზე მშობელთან დაიწყებს საუბარს, ინფორმაციის მისაღებად ის უპირატესობას ანიჭებს ხელმისაწვდომ და კომფორტულ წყაროს (ინტერნეტი, მეგობრები). რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ავთენტური ინფორმაცია და ცოდნა ისეთი თემების შესახებ, როგორებიცაა: სქესობრივი განვითარება, ინტიმური ჰიგიენა, სქესთა შორის ურთიერთობები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მოზარდმა უნდა მიიღოს პროფესიონალისგან – სპეციალურად მომზადებული პედაგოგისგან, რომელიც საფუძვლიანად იცნობს ამ თემას და შეუძლია მოზარდების გათვითცნობიერება ასაკის შესატყვისი განმარტებებით. ასეთ შემთხვევაში მშობლები მშვიდად იქნებიან, რადგან მათ შვილებს სამეცნიერო ცოდნაზე დაყრდნობით მიეწოდებათ ინფორმაცია. ოჯახები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შესაბამისად ბევრ ოჯახში შესაძლოა საერთოდ არ შეეხონ სექსუალობის თემას ან მოზარდთა ინფორმირების არამართებული ფორმა აირჩიონ. სკოლაში კი ყველა მოზარდი ასე თუ ისე ადეკვატურ ინფორმაციას მიიღებს, ამასთან, ბავშვებისთვისაც უფრო კომფორტული იქნება ამ საკითხების განხილვა სხვა ადამიანთან, ვიდრე მშობელთან. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეფექტიანი იქნება სქესობრივ განათლებაში ბიოლოგიის

მასწავლებელთან ერთად სხვა სპეციალისტების ჩართვაც – ექიმების, ფსიქოლოგების, სამოქალაქო განათლების მასწავლებლების.

„იმდენად დიდი საფრთხეა, არასწორად მოხდეს ამ ცოდნის მიღება, რომ ჭობია სკოლაში, რაღაც ერთნაირი, შემუშავებული წესით მოხდეს მოზარდების განათლება...“

„ჭობია, რომ სპეციალისტმა აუხსნას, ყველას არ ეყოლება ექიმი დედ-მამა და ნორმალურად ვერ აუხსნის. თან არ მოერიდებათ, თუ რამე შეკითხვა გაუჩნდებათ, დაუსვამენ. თან თუ სკოლაში ასწავლიან, იფიქრებს, რომ აქ დასამალი არაფერია“.

აღსანიშნავია, რომ მამებს ფაქტობრივად არ აქვთ ინფორმაცია დღესდღეობით სკოლაში სქესობრივი განათლების თვალსაზრისით არსებული ვითარების შესახებ. მათი აზრით, სქესობრივი განათლება მიზნად ისახავს სამომავლო სქესობრივი ცხოვრებისთვის ბავშვის მომზადებას, ახალგაზრდების ინფორმირებას ორი მიმართულებით: 1. რეპროდუქციული სისტემის ფიზიოლოგიური ასპექტების (აგებულების, ფუნქციის, განვითარების, მოქმედების მექანიზმის) შესახებ და 2. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და სქესობრივი ცხოვრების თანმდევი სხვა რისკების შესახებ. აუცილებელია ახალგაზრდას ესმოდეს რეპროდუქციული სისტემის მუშაობის მექანიზმი და შეეძლოს საფრთხეების პრევენცია.

მამებს არ აქვთ შვილებთან სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრის გამოცდილება. გარდატეხის ასაკის საწყის ეტაპზე ბავშვები შეკითხვებით დედებს მიმართავდნენ. მოგვიანებით კი მათი „განმანათლებლები“ მეგობრები აღმოჩნდნენ.

მშობლების როლს სქესობრივი განათლების მიღების პროცესში ხაზს უსვამს ამერიკის პედიატრთა აკადემია, რომელიც მშობლებს ურჩევს, რომ ღიად და გულწრფელად ესაუბრონ შვილებს სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და ამ საუბრებს ორმხრივი და განმეორებადი ხასიათი ჰქონდეს (Mattson & Breuner, 2016). მსგავსი ტიპის საუბრები მშობელსა და შვილს შორის ნდობის ჩამოყალიბებასა და ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებას განაპირობებს. თუმცა კვლევის მონაწილეთა უმეტესობის შეფასებით, თავად მშობელი, ჩვეულებრივ, არ არის მზად, არ იცის როგორ ისაუბროს შვილთან და თავს არიდებს ამ თემას. უმეტესად მოზარდები თვით-განათლებით შემოიფარგლებიან და საკუთარი ძალებით „უმკლავდებიან“ მათ წინაშე უკვე დამდგარ პრობლემებს (ეს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება იქნება, თუ რაიმე უკვე მოცემული პრობლემის მოგვარება). ეს მკაფიოდ მიუთითებს ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის აუცილებელობაზე.

კომუნიკაციის ბარიერები და ინიციატივის ნაკლებობა

როგორც ფოკუსჯგუფის, ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტების პასუხებიდან ცხადად გამოიკვეთა მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციის ბარიერები, როცა საქმე სქესობრივ ცხოვრებასთან ასოცირებულ საკითხებს ეხება. მიუხედავად იმისა, როგორია მშობლის განწყობა სქესობრივი განათლების მიმართ, ყველას აქვს შვილთან პირისპირ საუბრის ბარიერი და ამ ბარიერის გადალახვას, ჩეულებრივ, ურჩევნიათ სხვას (ოღონდ უპირობოდ პროფესიონალს) გადააბაროს შვილის სქესობრივი განათლება. ამ პროცესებში რესპონდენტებისთვის მთავარი ბარიერი კი საკითხის არცოდნაა, არ იციან როდის რა თქვან, როგორ თქვან, რა ასაკში რა ინფორმაცია მიაწოდონ, დაიწყონ საუბარი თავად, თუ დაელოდონ შეკითხვებს და ა.შ. ამ ინფორმაციის არქონისა და უხერხულობის გრძნობის გამო ყველა მშობელს აქვს შვილთან საუბრის ერთგვარი შიში/შფოთვა.

„გაიძულეს საკუთარ თავს, გამზადდეს საკუთარ თავს, რა უნდა ვუთხრა, როგორ უნდა ვუთხრა, რა მოეწონება, რა – არა, ხომ არ შერცხვება, უხერხულად ხომ არ იგრძნობს თავს და ა. შ.“

მშობელთა პასიურობაზე სხვა კვლევებიც მიუთითებს. დედების უმრავლესობა სექსთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავდა შვილთან, თუ ის გამოხატავდა ინიციატივას (Baier & Wampler, 2008; Elliott, 2010a). მშობლები გამოთქვამდნენ რწმენას, რომ შვილები მიაკითხავდნენ მათ, როცა მათ კითხვები გაუჩნდებოდათ, მათივე შვილები კი აღნიშნავდნენ, რომ ისინი არ მიმართავდნენ მშობლებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათ გარკვეული პრობლემები ჰქონდათ (Collins, Angera, & Latty, 2008; Fitzharris & Werner-Wilson, 2004).

კომუნიკაციის ზოგად საკითხებზე მიმართვა

მშობლების საუბარი შვილებთან მიმართულია არა იმდენად მათი ინფორმირებულობის ხელშეწყობაზე, არამედ იმ საფრთხეების იდენტიფიცირებაზე რაც დაკავშირებულია მათ მომავალთან. მშობლები შვილებს ესაუბრებიან თავშეკავებაზე, ორსულობაზე და გადაგადებულ სექსზე, როგორც მათი მომავალი წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობაზე. ამგვარ საუბრებში, მომავალი სექსი და დაუგეგმავი ორსულობა იხატება, როგორც საშიშროება, დაბრკოლება ოცნების მიღწევის გზაზე (Afifi et al., 2008; Jaccard et al., 2003).

გენდერული დინამიკა

რესპონდენტთა მონათხრობიდან ჩანს, რომ დედები უფრო ჩართულები არიან ქალიშვილების სქესობრივ განათლებაში. ვაჟები ინფორმირება კი უფრო მეტად მამებზეა მიხედობილი.

„ბიჭთან მიჭირს ამ თემებზე საუბარი, გოგო რომ იყოს, უფრო გამიმართვდებოდა“

„ამ საკითხზე ჯერ არ გვისაუბრია. დრო რომ მოვა, მამამისი აუხსნის. ჯერ არ დაინტერესებულა ბავშვი ამ საკითხებით“ [15 წლის ბიჭის დედა]

„ჩემს მეუღლეზე მაქვს გადაბარებული ყველაფერი, თუ რამეა, აუხსენი შენ თვითონ“ [16 წლის ბიჭის დედა].

კვლევები ცხადყოფს, რომ მშობლებისა და შვილების გენდერული დინამიკა არსებითად აისახება სექსთან დაკავშირებულ კომუნიკაციაზე; დისკუსიების დიდი წილი დედებსა და ქალიშვილებს შორის იმართება (ლიტერატურაში ყველაზე მეტად განიხილება ერთსქესიანთა დიადები, სადაც ქალიშვილები დედებთან გაცილებით უფრო მეტად საუბრობენ სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ვიდრე მამებთან (Kapungu et al., 2010; Marhefka, Mellins, BrackisCott, Dolezal, & Ehrhardt, 2009; Miller et al., 2009; Pluhar, Dilorio, & McCarty, 2008; Sneed, 2008; Wisnieski, Sieving, & Garwick, 2015), ვაჟები იგივე ინფორმაციას იღებენ უფრო მეტად მამებისაგან (Tobey, Hillman, Anagurthi, & Somers, 2011). აქვე აღვნიშნავთ, რომ სქესობრივ აღზრდასთან დაკავშირებული ლიტერატურის უმრავლესობაში აღნიშნულია, რომ შვილების განათლებაში დედებს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ, ვიდრე მამებს (Harris et al., 2013; Sneed, Somoza, Jones, & Alfaro, 2013; Wilson, Dalberth, & Koo, 2010).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მშობელთა ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია, ამ ფაქტისა და საკომუნიკაციო ბარიერების არსებობის გამო, დაბალია შვილის ინფორმირების პროცესშიც მათი ჩართულობაც. ერთ-ერთ მშობელს, რომელიც სკოლაში ბიოლოგიას ასწავლის, მიაჩნია, რომ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება „*ვერ დაიცავს ბავშვს არასასურველი შედეგისაგან*“ და რომ ეს პროცესი ბევრად კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

განწყობები და დამოკიდებულებები

უკლებლივ ყველა რესპონდენტს მიაჩნია, რომ სქესობრივი განათლება პოზიტიურ გავლენას იქონიებს მოზარდების, მათი ოჯახების მშვიდ და სტაბილურ ყოველდღიურობაზე. მათი აზრით, ეს ეფექტი განსაკუთრებით თვალნათელი იქნება რეგიონებში, პირველ რიგში შემცირდება არასასურველი ორსულობებისა და ადრეული ქორწინებების რიცხვი. სავარაუდოდ, ასევე შემცირდება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების მასშტაბებიც.

რესპონდენტთა აზრით სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოებაში ყველანაირი დამოკიდებულება არსებობს (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და ნეიტრალური). ფოკუსგუფის მონაწილეთა განწყობები ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურისკენ იხრება, მათ მიაჩნიათ, რომ დედაქალაქში ძირითადად ასეთი ტენდენციაა. რესპონდენტთა საუბრიდან გამომდინარე, რაიონებში განსხვავებული მოცემულობაა — განწყობა უფრო ნეგატიურია ან ნეიტრალურსა და ნეგატიურს შორის მერყეობს (სჭარბობს დამოკიდებულება: „*არაა საჭირო*“ ან

„ეს არის ცუდი საკითხები და უზრდელობა.“ „ბავშვებს არ უნდა ჰქონდეთ ამის შესახებ ინფორმაცია, იმიტომ რომ ეს გამოიწვევს გადაგვარებას.“). მშობლები ამგვარი დამოკიდებულებებით შიშობენ, რომ შვილებისთვის მიწოდებული ინფორმაცია შესაძლოა არასწორად იყოს აღქმული მათ მიერ; ასეთი ტენდენციები სხვა კვლევებშიც იკვეთება, მაგალითად, მშობლები ამ თემაზე საუბარს თავს არიდებენ, რადგან ჩნდება გარკვეული შიში იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საუბრებით ისინი ხელს შეუწყობენ შვილების სარისკო სექსუალურ ქცევას და ეს საუბრები შვილების მიერ შეიძლება აღქმულ იყოს, როგორც „მწვანე შუქი“ სექსუალური აქტისთვის (Aronowitz et al., 2007; Meschke & Dettmer, 2012; Wilson, Dalberth, Koo, & Gard, 2010). მშობლები შიშობენ, რომ სექსთან დაკავშირებულმა დისკუსიებმა შესაძლოა გააღვივონ ცნობისმოყვარეობა და ხელი შეუწყონ სექსუალურ ექსპერიმენტებს (Aronowitz et al., 2007; Elliott, 2010a; Ohalet et al., 2010).

მშობლების აზრით, სქესობრივი განათლების დანერგვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს საპირისპირო სქესთან ურთიერთობის თავისებურებაც (ყველა თემაზე საპირისპირო სქესთან არ ვსაუბრობთ). ამიტომ, დასაფიქრებელია, გოგოებსა და ბიჭებს ერთად ჩაუტარდებათ გაკვეთილები, თუ ცალ-ცალკე (მოგიერთ რესპონდენტს მიაჩნია, რომ სექსუალობის საკითხებზე მსჯელობამ და განხილვამ შეიძლება მოზარდებს უბიძგოს და მეტი ინტერესი აღუძრას თანაკლასელების მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაკვეთილების განცალკევებულად ჩატარება არ გამორიცხავს მოსწავლეებს შორის საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესის გაღვივებას/გაძლიერებას).

ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც სკოლაში მუშაობს მასწავლებლად, აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც დაინერგა საგანი „მე და საზოგადოება“, საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა:

„ძალიან კარგი საგანია, აქ არსებითი და მთავარია, როგორ მივანოდებთ. თავიდან გამოდიოდნენ ამ საგნის წინააღმდეგ, ახლა ჩუმად არიან და სწორედ იმიტომ, რომ დაინახეს, არანაირი საშიშროება არაა, პირიქით მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას ასწავლის ბავშვებს, თან ადრეული ასაკიდან. მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი ქნეს, ეს საგანი რომ დანერგეს.“

რესპონდენტთა აზრით, საზოგადოების მხრიდან მწვავე რეაქცია დაკავშირებული იყო იმასთან, რომ საზოგადოება ყოველთვის უფროხის სიახლეებს, საზოგადოების ნაწილის რეზისტენტულობის წინაპირობა არაინფორმირებულობა იყო. ფაქტობრივად ყველამ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ თავადაც არ აქვთ ამ მიმართულებით არანაირი განათლება მიღებული, „არ იციან რა და როგორ უნდა გაკეთდეს“.

მშობლები უმეტესად აღნიშნავდნენ, რომ ჩვენს საზოგადოებაში სქესობრივი განათლების ნებისმიერი საკითხი ერთგვარი ტაბუირებული თემაა. მასზე მსჯელობა უხერხულობას ქმნის

ყველა დონეზე. სწორედ ეს უხერხულობა იწვევს წინააღმდეგობას სასწავლო პროგრამაში ასეთი საგნის, ან სხვადასხვა საგნის ფარგლებში, მის სწავლებასთან დაკავშირებით. „მასწავლებლებმა არ იციან, რა შეიძლება მოუხერხონ ამ უხერხულობას“ და ურჩევნიათ საერთოდ არ შეეხონ ამ თემას, ასევეა საზოგადოებაც – თუ საკითხი უგულებელყოფილი/მიჩქმალული იქნება, ეს უხერხულობაც არ შეიქმნება. თუმცა „ახალი თაობა მაინც განსხვავებულად უდგება საკითხს და დამოკიდებულებაც ძალიან ნელა, მაგრამ მაინც იცვლება“.

„მშობლების თაობა ტაბუდადებული თაობაა, რომელიც ამ თემაზე არ საუბრობდა. ამ თემაზე არ საუბრობდნენ მათი მშობლებიც და თვლიან, რომ ამ თემაზე საუბარი არ შეიძლება“

ფორმალური, თუ არაფორმალური სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებები თაობებს შორის განსხვავებულია სხვა კვლევებშიც. თავად მშობლები თავიანთ მშობლებს აღიქვამენ, როგორც არაეფექტიან განმანათლებლებს სექსუალურ საკითხებში (Kenny & Wurtele, 2013); ამასთან, მშობლებს აქვთ სურვილი „შვილებს დაეხმარონ უკეთესად, ვიდრე ამას მათი მშობლები აკეთებდნენ“ (p. 460; Ballard & Gross, 2009; LaSala, 2015), გამართონ დისკუსია საკუთარ შვილებთან უფრო ადრეულ ასაკში, ვიდრე ამას მათი მშობლები აკეთებდნენ, ან იძულებულნი იყვნენ ებრძოლათ „სექსუალური სიჩუმის“ წინააღმდეგ (Alcalde & Quelopana, 2013; El-Shaieb & Wurtele, 2009; Kenny & Wurtele, 2013). ჩვენს კვლევაში ჩართული პირებიც აღნიშნავენ, რომ მშობლები უნდა იყვნენ უკეთესი განმანათლებლები საკუთარი შვილებისთვის, რისთვისაც მათ მეტი ინფორმირებულობა და ცოდნა სჭირდებათ, თუმცა დომინანტური როლი მაინც სკოლამ და სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებულმა ინფორმაციამ უნდა შესასრულოს. სქესობრივი განათლების დანერგვისთვისაც უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.

„სასურველი იქნება სქესობრივი განათლება დაინერგოს სკოლაში და ვვარაუდობ, რომ სასურველი იქნება ეს მოხდეს სადღაც მე-5 კლასიდან, საუბარი უნდა დაიწყოს ნელ-ნელა რაღაც გარკვეულ თემებზე, თუნდაც იმის გამო, რომ შემდგომ კლასებში, როდესაც ეს შეკითხვები რთულდება, ნაკლები უხერხულობა იყოს. ეს უხერხულობა როდის მოიხსნება და როდის მივალთ განვითარების დონით იმ ეტაპამდე, რომ ვიდაცას არ გაეცინოს, ან საერთოდ არ დატოვოს კლასი ამ თემაზე საუბრისას, ეს არ ვიცი, მაგრამ უკვე მგონია რომ უნდა დაიწყოს. რაღაცა მზაობა ვფიქრობ, რომ ამასთან დაკავშირებით უკვე არის.“

„რეალურად, ამ თემაზე ყველა ბავშვს აქვს ინფორმაცია და უმჯობესია, ეს ინფორმაცია მიიღონ პროფესიონალებისგან. ჩემი

აზრით, საზოგადოებას არანაირი საფრთხე არ დაუწახვას, უბრალოდ არ შეიძლება მათთვის ამ თემაზე საუბარი და მორჩა“.

ზოგადად რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ როდესაც საკითხი საზოგადოებისათვის ტაბუდადებულია, მის დანერგვას სერიოზული მომზადება და წინასწარი სამუშაოების ჩატარება სჭირდება. *ნებისმიერი გადანწყვეტილება, რაც არ უნდა სწორი და კარგი იყოს ის, დაინერგება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მომხმარებელს არგუმენტირებულად დავანახებთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის საჭიროებას, აუცილებლობას და მის სავარაუდო ეფექტებს.*

აღინიშნა, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს არამართო ამ საგნის სწავლების მიმართ, არამედ მოზარდებში გარდატეხის პერიოდთან დაკავშირებული ცვლილებებიც არაადეკვატურად ფასდება. სკოლებში არ არის ადეკვატური/ემპათიური დამოკიდებულება მოზარდების მიმართ. განსხვავებულობა ხშირად სტიგმის მიზეზი ხდება და ამ სტიგმის ჩამოყალიბებას ხშირ შემთხვევაში თავად მასწავლებლები უწყობენ ხელს.

„ვთქვით მიიღო რაღაც ინფორმაცია მისი მოსწავლის შესახებ. ამაზე შეიძლება დაჯდეს და ძალიან თამამად ისაუბროს სამასწავლებლოში და ამ ბავშვის შესახებ რაღაცები მოყვეს, მერე ჩამოყალიბდეს სტიგმა, რომ ეს ბავშვი ასეთია. მხოლოდ ერთ მხარეში არ არის პრობლემა, ყველა მხრიდან ეს საკითხები არის სრულიად გაუკუღმართებული. უამრავ ინფორმაციას ვიღებ ხოლმე ბავშვებზე, რაც მე არ უნდა ვიცოდე. ეს ინფორმაცია უნდა ჰქონდეს დამრიგებელს და დამრიგებელმა შეიძლება ჩუმად მითხრას, რომ გავითვალისწინო. მაგრამ ამ ყველაფერს არ უნდა ვისმენდე სამასწავლებლოში“. [მშობელი, რომელიც სკოლაში მასწავლებლად მუშაობს]

მშობლების აზრით, საზოგადოების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხების სწავლების მიმართ არის მათი დაბალი ინფორმირებულობით განპირობებული – საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, რა მიზეზი აქვს სქესობრივ განათლებას და რა პრობლემების წინაშე დგება მოზარდი არაინფორმირებულობის გამო.

მშობლები აღნიშნავენ, მოსწავლეთა არაინფორმირებულობა სხვა მოსწავლის ბულინგის მიზეზიც შეიძლება გახდეს:

„მაგალითად, ვაჟი, რომელსაც ყველაზე პირველს ეწყება გარდატეხის პერიოდი, ხმა ეცვლება, არათანაბარი ტემპრი შემოდის, ხდება წამოსვლა თმოვანი საფარველის სახეზე. დანარჩენებს ამაზე ღიმილი აქვთ ხოლმე და ეს ღიმილი მისთვის [ვაჟისთვის] დამთრგუნველია“.

კვლევაში ჩართული მამებისთვის ცალსახაა ინფორმირებულობის უპირატესობები. მათი შეფასებით, დაუშვებელია ისეთი თემის ტაბიურება, რომლის მიმართ ადამიანს ბუნებრივი ინტერესი აქვს. ახალგაზრდას უნდა მიეწოდოს სამეცნიერო თვალსაზრისით სწორი ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს ამ ინტერესს. მან უნდა იცოდეს, როდის არის მზად სქესობრივი ცხოვრებისთვის, რა არის ამის წინაპირობები, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შედეგები, პასუხისმგებლობები; უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების შესახებაც. განათლება იცავს ახალგაზრდას მატრავმირებელი გამოცდილებებისგან. ის უფრო მეტი დადებითი ეფექტის შემცველია, ვიდრე რისკის. ინფორმირებულობა ამცირებს ნაადრევი ქორწინებების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და ა.შ. რაოდენობას. რისკები კი ჩნდება არაკომპეტენტური წყაროებით ინფორმაციის მიღებისას (მაგალითად, თანატოლებისგან ან ინტერნეტიდან). ამ შემთხვევაში ახალგაზრდა დაუცველია. დამახინჯებული, არაადეკვატური ინფორმაცია შეიძლება იყოს პერვერსიული წარმოდგენების შექმნის წინაპირობა. ინფორმაციის სწორად, გააზრებულად, დაგეგმილად მიწოდება აღმოფხვრის იმის რისკს, რომ ბავშვს არაჯანსაღი ინტერესი გაუჩნდეს ამ თემის მიმართ.

კვლევაში ჩართული მამების შეფასებით, ბავშვის ინფორმირების პასუხისმგებლობა ერთად უნდა გაიზიაროს სკოლამ და ოჯახმა. თუმცა სკოლაში სქესობრივი განათლების სისტემის დანერგვას აქვს რამდენიმე უპირატესობა: მეტ-ნაკლებად გარანტირებულია ინფორმაციის სისწორე, ინფორმირების ზომა, ინფორმირების მეთოდის სისწორე, რესურსების ადეკვატურობა. არსებობს ხარისხის კონტროლის და პროცესის სტანდარტიზების მექანიზმები. ძალიან მნიშვნელოვანია ამ კონტექსტში სკოლისა და მშობლის კომუნიკაცია.

მშობლების ძალიან განსხვავდებოდნენ ამ საკითხების მნიშვნელობის გაცნობიერების დონისა და შვილის სქესობრივ განათლებაში ჩართულობის თვალსაზრისით. სქესობრივი განათლების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება მშობლის განათლების საფეხურიდან შეიძლება აიხსნას. ცხადია, ამ დასკვნის განზოგადება თვისებრივი კვლევის საფუძველზე შეუძლებელია, თუმცა ეს ტენდენცია იკვეთება.

გამოწვევები

მშობელთა თვალთახედვით, რა სირთულეები და წინააღმდეგობები იკვეთება სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში, რა კეთდება განათლების სისტემაში და როგორია მშობლების ჩართულობა ამ პროცესში, რა ინფორმაციას/ცოდნას გადასცემენ ისინი მოზარდებს და როგორ?

მშობელთა ჩართულობა: რესპონდენტები ფაქტობრივად არ არიან ინფორმირებულნი სქესობრივი განათლების რა საკითხები/სფეროები ისწავლება, რა სახის რესურსებია

ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის სასკოლო განთლების ფარგლებში, უჭირთ შეფასება მიეწოდებათ თუ არა მოსწავლეებს მათი ასაკისთვის რელევანტური ინფორმაცია, რა პრობლემები იჩენს თავს ამ მიმართულებით და რა გზები არსებობს მათ გამოსასწორებლად. ამ საკითხებზე კვალიფიციურად მხოლოდ პედაგოგიური გამოცდილების მქონე რესპონდენტი მსჯელობს. მისი აზრით, არსებულ სასწავლო გეგმაში შესული საკითხები ზოგადი ხასიათისაა და მეტი ინფორმაციაა საჭირო. ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამით განსაზღვრული საკითხები სიღრმისეულად არ განიხილება.

„ეს ძალიან მედაპირულია, რასაც ჩვენ ვაწვდით. ამ ყველაფერს მე ვუთმობ მაქსიმუმ ორ კვირას და ამ ინფორმაციას ვაწვდი მერვე კლასში, ან შეიძლება მომიწიოს მე-9 კლასში ამ ინფორმაციის მიწოდება. პირველ რიგში, დაგვიანებულია, მეორეც, არ მაქვს შესაბამისი რესურსები და მხოლოდ წიგნის დონეზე ვაწვდი (ტექნოლოგიური რესურსები არ არის კლასში, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის მსვლელობის დროს აჩვენოს ციფრობრივი მაჩვენებლები, ვიზუალური მასალა). 4 გაკვეთილი, რომელიც ამ თემების გაგლას ეთმობა, არ არის საკმარისი.“
[ბიოლოგიის მასწავლებელი]

სოციალური მედია და რისკები. მშობლები ხაზს უსვამენ, რომ დღესდღეობით, როდესაც მობილური ტელეფონი ყველას აქვს, შესაბამისად ინტერნეტზე წვდომაც, რთულია გაფილტრო და აკონტროლო ის ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა სოციალური ქსელიდან, ტელევიზიიდან, ინტერნეტ სივრცეში არსებული უამრავი არხიდან არის ხელმისაწვდომი. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ამჯობინებენ, სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ სწორად და ასაკის შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით მიიღონ ახალგაზრდებმა ინფორმაცია.

კომუნიკაციის შინაარსი და ბარიერები. მშობლები შვილის სქესობრივ განათლებაში საკუთარ როლზე საუბრისას, აღნიშნავენ რომ უმჯობესია ეს ფუნქცია კვალიფიციურმა ადამიანებმა, პედაგოგებმა იტვირთონ, ისინი საკუთარ თავში დაურწმუნებლები არიან და შვილებთან ამ საკითხებზე საუბრისას გარკვეულ უხერხულობას განიცდიან. შვილებთან კომუნიკაციის შინაარსი საუკეთესო შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდებაა სქესობრივი განვითარების/გარდატეხის, ფიზიოლოგიური ცვლილებებისა და ამ ცვლილებების პიროვნებაზე ზეგავლენის შესახებ. ზოგიერთ მშობელს ამ თემებზე ბავშვებთან დისკუსიას ერჩივნა მათთვის წიგნები მიეწოდებინა წასაკითხად ან ურჩევდა თავად მოეძიებია მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

„როდესაც ველაპარაკები ნაადრევ ქორწინებაზე, გადამდებ დაავადებებზე, ისინი უბრალოდ მისმენენ და თავს მიქნევენ, მაგრამ თუ მათ ვთხოვთ, რომ მოიძიონ სტატისტიკური

ინფორმაცია და თავად ინწყებენ დასკვნების გამოტანას ამ საკითხებთან დაკავშირებით და ხედავენ, რომ ეს მართლაც რეალური ციფრებია, რომ ეს ადამიანებს რეალურად ემართებათ და ეხებიან ამ პრობლემებს, მერე უკვე სულ სხვა ემოცია იგრძნობა მათში“.

„სულ ვცდილობდი, რომ ბავშვებს იმ საშინელი მაგალითების შესახებ არ გაეგოთ, რაც ჩვენს გარშემო ხდება. მე მგონია, უმჯობესია მოისმინონ, შესაძლოა, გარკვეულწილად დაითრგუნონ, მაგრამ ჯობია ინფორმაცია ჰქონდეთ, რა ხდება“.

საპირისპიროდ, ზოგიერთი მშობელი თვლის, რომ 15 წლის ასაკშიც კი ჯერ კიდევ ადრეა შვილთან ამ საკითხებზე საუბარი. ზოგიერთი კი განსხვავებულ ტაქტიკას არჩევს, სწორედ ბავშვისთვის მატრავშირებული ინფორმაციის თავიდან აცილების მოტივით თავად არ საუბრობს, ჩუმადაა და მუდმივად ცდილობს განსაკუთრებით ყურადღებით იყოს, დააკვირდეს შვილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და ცვლილებების მიზეზი იპოვოს. ზოგიერთი მათგანი კი შვილის ქცევასა და ხასიათში ცვლილებას მხოლოდ გარდატეხის ასაკს მიაწერს და უბრალოდ მშვიდად ელოდება ამ პერიოდის გავლას, რომ ყველაფერი ისევ დაუბრუნდეს ჩვეულ რიტმს.

„ბოლო ორი წელია, მე არ მეკითხება შვილი არაფერს. არ არის ჩემთან ახლოს, დამშორდა“

რესპონდენტების დიდი უმრავლესობის აზრით სქესობრივი განვითარების საკითხებზე საუბარი უხერხულობას უქმნის ბავშვებსაც. ამ საკითხებზე საუბარი არაკომფორტულია ორივე მხარისათვის.

„საკმაოდ მგრძნობიარე გოგო მყავს და ვერ ვიტყვი, რომ მარტივად მიიღო. როდესაც ამ თემაზე საუბარი დავიწყეთ, ჯერ გაუკვირდა. დაახლოებით 11 წლის იყო. გარდატეხა დაეწყო და ამიტომ დაგვჭირდა ამ თემაზე საუბარი. აგუსტენი ჰორმონებთან დაკავშირებით, როგორ ხდება მისი წარმოქმნა, როდის იწყება და რა ცვლილებებს იწვევს ის ორგანიზმში. ძალიან ვდეღავდი საუბრისას – რამდენად გასაგებად ვაწვდიდი ინფორმაციას, ხომ არ მოახდენდა ამ ინფორმაციის მიღება რაიმე ფსიქოლოგიურ უარყოფით გავლენას“.

სკოლის როლი: კვლევაში მონაწილე მშობელთა უმეტესობის აზრით, სკოლა არაფერს აკეთებს მოსწავლეთა ინფორმირებულობის ხელშესაწყობად. ამ თემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას მხოლოდ ბიოლოგიის რამდენიმე გაკვეთილი ეთმობა მე-8 კლასში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მე-8 კლასის ყველა მოსწავლე ბიოლოგიის

გაკვეთილზეც ვერ იღებს ერთნაირ ინფორმაციას. ამის მიზეზი კი მასწავლებლის დისკომფორტი შეიძლება იყოს.

ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სკოლა საკმარის არ აკეთებს და საჭიროა სასწავლო პროცესებში მეტი სპეციალისტის, მაგალითად სკოლის ფსიქოლოგების ჩართვა, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების მათთან უშუალო კომუნიკაციის დროს განხილვა.

საუბრების დროს ასევე აღინიშნა, რომ სქესობრივი განათლება ფაქტობრივად არ არსებობს ეკლესიურ სკოლებში. ასეთ დაწესებულებებში სქესობრივი განათლება ფაქტობრივად უგულვებელყოფილია.

„ჩვენი სკოლა ეკლესიური სკოლაა და არა მგონია უფრო მეტი გაკეთდეს.“

რესპონდენტი მშობლები სქესობრივი განათლების დანერგვის ყველაზე დიდ გამოწვევას მასწავლებლების შერჩევა-გადამზადებაში ხედავენ. მათი თქმით ისეთი პედაგოგები უნდა შეირჩენ, რომლებიც თავადაც კარგად იქნებიან მომზადებულები და ეცოდინებათ, თუ როგორ უნდა მიაწოდონ მოსწავლეებს ცოდნა სექსუალობის საკითხებზე.

„რამდენად სწორად იქნება შერჩეული ამ საკითხის მიწოდება, როგორი პედაგოგი იქნება შერჩეული, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მახსოვს, გადავახტით ამ თემას, რადგან გრძნობდა მასწავლებელი ბიჭების დამოკიდებულებას... აი ეს უნდა დარეგულირდეს, ეს იქნება უფრო რთული, ვიდრე იმის გადანყვეტა, ისწავლებოდეს თუ არ ისწავლებოდეს... შეიძლება თეორიულად დაინერგოს, მაგრამ პრაქტიკაში არ განხორციელდეს მასწავლებლების მხრიდან.“

რეკომენდაციები

რესპონდენტებთან შეხვედრების ბოლო ნაწილი, ბუნებრივია, სამომავლო ნაბიჯებს შეეხო – რა უნდა გაკეთდეს, როგორი უნდა იყოს პირველი ნაბიჯები, ამ მიმართულებით? რესპონდენტების უმეტესობის აზრით, აუცილებლად უნდა დაიწყოს პროცესი. ბევრი მათგანისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა ზრდასრულთა (მშობელთა) განათლების პროგრამები და მათში ჩართვის დიდი სურვილიც გამოხატეს. საუბარში იგრძნობოდა და თავადაც აღნიშნეს, რომ თუ თავად მიიღებდნენ მეტ ინფორმაციას, მომავალში უკეთ შეძლებენ საკუთარი შვილების დახმარებას, რაც ძალიან ძლიერი არგუმენტი მათთვის – „დედა მზადაა ყველაფერი გააკეთოს, რომ მისი

შვილი უფრო კარგად იყოს, ნებისმიერ ფასად დაეხმარება მას, რაც არ უნდა უხერხულობას გრძნობდეს ყველაფერს ისწავლის.“

მშობლებისთვის საჭირო რესურსების შექმნა და ზრდასრულთა განათლების პროგრამების დანერგვა დაეხმარება იმ მშობლებს, ვისაც აქვთ სურვილი შეარჩიოს შვილთან კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგია და მიაწოდონ შვილებს სანდო და ადეკვატური ინფორმაცია. სასურველია, ხარისხიანი რესურსების მომზადება, სოციალური მედიის გამოყენება, ტრენინგების ჩატარება სქესობრივ განათლებაზე ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ. რადგან მშობლებს აქვთ ჩართულობის სურვილი, მაგრამ აკლიათ დარწმუნებულობა, ასეთ რესურსებთან წვდომა გაზრდის მათ მოტივაციას და სქესობრივი განათლების საკითხებში ინფორმირებულობის დონეს. ცხადია, მშობლებს აქვთ სხვადასხვა მორალური, ეთიკური შეხედულებები. მნიშვნელოვანია ტრენინგები მოარგოს ამ მრავალფეროვნებას. ასეთი მხარდაჭერის პირობებში მშობლები აქტიურად ჩაერთვებიან განათლების პროცესში. ეს დაარღვევს სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებთან, მშობელსა და ბავშვს შორის სუსტი კომუნიკაციის ციკლს.

რესპოდენტთა აზრით ზრდასრულთა პროგრამების პარალელურად დადებითი შედეგების მომტანი იქნება ყველა ის აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას (მოკლე ვიდეორგოლები, სატელევიზიო გადაცემები, სოციალური ქსელები...) ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით სასურველია მთელმა საზოგადოებამ თვალნათლივ დაინახოს არსებული პრობლემები – არასრულწლოვანთა ნაადრევი ქორწინება, არასასურველი ფეხმძიმობა და აბორტების დიდი რაოდენობა. ამ პრობლემების გაცნობიერებამ, შესაძლებელია, შეცვალოს საზოგადოების ნაწილში გავრცელებული ნიჰილისტური დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ:

„ჩაერთოს ყველა საინფორმაციო საშუალება, სოციალური ქსელიც, მათ შორის. სტატისტიკების გამოქვეყნება. და ყველაზე მარტივი რაც იქნება, შეხვედრები მშობლებთან კლასების დონეზე. მაგრამ პირველივე შეხვედრაზე არ უნდა ვაჭახოთ, რომ ჩვენ ამის სწავლება უნდა დაგინწყოთ, ეგრევე აგრესია წამოვა, არც მოისმენენ. ჯერ პრობლემების განხილვა უნდა მოხდეს და შემდეგ ერთად იმსჯელებენ, როგორ მოხდეს ამ პრობლემების მოგვარება“.

აღინიშნა, რომ სპეციალისტების ჩართულობით უნდა შემუშავდეს სქესობრივი განათლების კონცეფცია. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება, თუმცა ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების პირდაპირ გადმოტანა არაეფექტიანი იქნება. დარგის სპეციალისტების ჩართულობით საგნის სწავლების

კონცეფციაში გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის კულტურული თავისებურებები.

რესპონდენტებს შორის გამოიკვეთა განსხვავებული შეხედულება სქესობრივი განათლების დაწყების ასაკთან დაკავშირებით. როდის ინტერესდება ბავშვი სქესობრივი საკითხებით და, შესაბამისად, როდის (რა ასაკში) უნდა დაიწყოს სქესობრივი განათლება. წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდნენ სხვადასხვა ასაკის მოზარდება სექსზე განსხვავებულია ან უბრალოდ, ამის თაობაზე ცოდნა მშობლებს არა აქვთ. ის მშობლები, ვისაც საკუთარი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე უშუალო შეხება აქვთ ამ თემებთან, თვლიან, რომ თანამედროვე ბავშვები გაცილებით ადრეულ ასაკში ინტერესდებიან ამ საკითხებით, ვიდრე მშობლებს ამის წარმოდგენა შეუძლიათ და ვიდრე თავად მშობლებმა დაიწყეს ფიქრი ამ საკითხებზე თავიანთ ახალგაზრდობაში.

„აუცილებელია [სქესობრივი განათლება], დაიწყოს ამ თემაზე საუბარიც, ალბათ გარკვეულწილად სახელმძღვანელოებიც [გამოიცეს და განიხილებოდეს]. ოღონდ, აუცილებლად უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. სანამ დაინერგება, სანამ ვიფიქრებთ იმაზე, როგორ გავაკეთოთ, მანამდე უნდა იყოს მსჯელობის საგანი, რომ ფართო მასებისათვის უფრო ცნობადობა იყოს ამადღებული.“

„ასაკთან მიმართებაში, როდის უნდა დაიწყოს, მე ვფიქრობ, რაც უფრო ადრე დაიწყება უკეთესია, მე-5 კლასი დაგვიანებულიც კი არის. ბალიდან უნდა დაიწყოს მე თუ მკითხავთ და ინფორმაციის ნელ-ნელა დოზირებულად მიწოდება. აქ ყველაზე დიდი პრობლემა არის კადრები და სახელმძღვანელოები. რომლებიც უნდა იყოს ძალიან ფრთხილად შერჩეული.“

„თავის მოტყუებაა, რომ ბავშვმა რამე არ იცის და არ უნდა გაიგოს, იცის და საკმაოდ ადრეული ასაკიდან იცის“.

ერთ-ერთი მშობლის აზრით, კარგი იქნება საგნისთვის სახელის შეცვლა, რომ სახელწოდების გაგონებისას პირველივე რეაქცია არ იყოს, რომ ეს არის საგანი ორ ადამიანს შორის ინტიმური ურთიერთობის შესახებ.

რესპონდენტთა შორის გამოითქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია სკოლაში ისეთ თემებზე საუბარიც, როგორიც არის განსხვავებული ორიენტაცია, იმიტომ რომ „ძალიან ძნელია მერე დამოკიდებულების შეცვლა, თუ ბავშვებს არასწორი, აგრესიული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ განსხვავებული ადამიანების მიმართ“.

„ერთხელ მე-11 კლასელმა ბიჭმა მითხრა, ჩემს შვილს ასეთი გადახრები რომ ჰქონდეს, მოგვლავო. მთელი გაკვეთილი

ვისაუბრე იმ ფიზიოლოგიურ პროცესებზე, რაც არის ამის მიზეზი, მაგრამ ლაპარაკს უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ეს ყველაფერი აბსოლუტურად უკუღმართულად აქვთ გაგებული“.

მშობლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მსგავსი თემების სწავლებაში სასურველია მხოლოდ ბიოლოგიის მასწავლებელი არ იყოს ჩართული. ძალიან კარგი იქნება, თუ ეს თემები უფრო ფართოდ იქნება გაშლილი სხვა საგნებშიც, მაგალითად, სამოქალაქო განათლებაში. აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა ამ საკითხების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მიიღონ. ასევე ისიც აღინიშნა, რომ კარგად უნდა დაგეგმიერდეთ ამ საკითხებზე საუბრის სიხშირეზე, უნდა შეირჩეს ოპტიმალური ვარიანტი არც ძალიან იშვიათად და არც ძალიან ხშირად.

ცალკე გამოვყოფთ, მამების რეკომენდაციებს. მათი შეფასებით, სქესობრივი განათლების მიზანი უნდა იყოს მოსწავლისთვის იმის ახსნა, რომ სექსი არ არის მხოლოდ გამრავლების საშუალება, ის ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. მშობლებმა და ახალგაზრდებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სქესობრივი განათლება არის არასასურველი ორსულობისგან, სქესობრივი გზით გადამდები საკმაოდ მძიმე დაავადებებისგან, ფიზიკური და მორალური ტრავმებისგან თავის დაცვის საშუალება. ამასთან, სქესობრივი განათლების დანერგვა სკოლაში არ უნდა გულისხმობდეს ცალკე შესაბამისი საგნის არსებობას, სქესობრივ განათლებას უნდა დაეთმოს სათანადო დრო (შეხვედრების რაოდენობა) ბიოლოგიის და სამოქალაქო განათლების ფარგლებში, რაც ფინანსურად არ იქნება მძიმე ტვირთი განათლების სამინისტროსა და სკოლებისთვის. უფრო რთული იქნება პოლიტიკური ნების გამოჩენა ქართული საზოგადოების პოზიციის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში აუცილებელია მშობლებთან კომუნიკაცია, მათი მზაობის მიღწევა იმისათვის, რომ მათ შვილებს ჰქონდეთ ასაკის, კონტექსტის და კულტურის შესაბამისი ინფორმაცია სქესობრივი განათლების საკითხებთან დაკავშირებით (ამის მიღწევა უფრო რთული იქნება რეგიონებში).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების მთავარი რეკომენდაცია კვალიფიციური მასწავლებლების მომზადება და მშობლების მხარდაჭერაა, რათა ორივე მხარემ შეძლოს სექსუალობის საკითხებზე მოზარდებთან საუბარი და ასაკის შესაბამისი ცოდნის მიცემა. „რადგან ვსაუბრობთ, რომ სკოლებში უნდა დაინერგოს, პედაგოგებსაც მოუწევთ გადამზადება. ალბათ პედაგოგებმა უნდა დაიწყონ და შემდეგ მათ მიწოდებულ ინფორმაციას საჭიროა, რომ მშობელი სახლში მზად დახვდეს.“

10. ეკლესიის წარმომადგენლები: სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულება

ინფორმირებულობა

ინფორმირებულობა განათლების პოლიტიკის საკითხების შესახებ

თანამედროვე საქართველოში, როგორც სეკულარულ სახელმწიფოში, განათლების პოლიტიკის საკითხების შესახებ ეკლესიის ინფორმირებულობის დონე, შეიძლება ითქვას, დაბალია. რესპონდენტთა შორის არსებითად მხოლოდ ერთი იცნობს სასკოლო განათლების მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა თუ სხვადასხვა სახელმძღვანელოს. ეს იმით არის განპირობებული, რომ რესპონდენტი თანამშრომლობს საპატრიარქოს განათლების განყოფილებასთან, საპატრიარქოს ერთ-ერთი სკოლის წარმომადგენელია და ჩართულია სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში. უნდა აღინიშნოს მისი უკმაყოფილება ამ სფეროში არსებული ვითარებით, განათლების სამინისტროს მუშაობით. როგორც საკანონმდებლო ხარვეზების, ასევე კვალიფიციური ადამიანური რესურსის დეფიციტის საილუსტრაციოდ რესპონდენტს მოჰყავს სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის მაგალითი. რესპონდენტებიც, რომლებიც საგანმანათლებლო საკითხებში ორგანიზაციულად არ არიან ჩართულნი და ნაკლებად არიან ინფორმირებულნი განათლების პოლიტიკისა თუ პრაქტიკის შესახებ, განათლების მხრივ საქართველოში არსებულ ვითარებას სავალალოს უწოდებენ და გულისტკივილს გამოთქვამენ ამასთან დაკავშირებით.

„სამწუხაროდ, მოხდა განათლების კულტურის, კვლევის, მეცნიერების კულტურის გაწყვეტა 70 წლის მანძილზე, რაც ჰქონდა ქართველ ერს... ჩვენ მენტალურად ჯერ ვართ საბჭოთა კავშირში. ამის ნათელი გამოხატულებაა „ქართული მარში“. არ გაკეთდა ამდენი ხნის განმავლობაში არაფერი, რომ საბჭოთა ტყლაპოდან ამოვსულიყავით, ინტელექტუალურად არ განვვითარდით ამისთვის“...

ერთ-ერთი რესპონდენტი ხედავს პრობლემებს საპატრიარქოს სკოლებშიც, რომლებიც, რიც შემთხვევაში, განათლების წყარო კი არ არის ახალგაზრდებისთვის, არამედ – სიბნელის (იყენებს რუსულ ტერმინს „მრაკაბესიე“).

რესპონდენტები ერთსულოვნად აღნიშნავენ განათლების სისტემის, მისი ეფექტურად ფუნქციონირების უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებისთვის.

„განათლების სისტემა არის უმნიშვნელოვანესი და ამის გარეშე ყველაფერი ფუჭდება. უცოდინრობა აფუჭებს საქმეს ეკლესიაშიც და ყველგანაც“...

„ცოდნა უმნიშვნელოვანესია, ფიზიკა არის მთელი სამყარო... ბიოლოგია საოცარი მეცნიერებაა — ადამიანის სისხლს რომ შეისწავლი, არ შეიძლება, არ გახდე მორწმუნეო, თქვა პავლოვმა“...

განათლების საკითხებზე სამინისტროსა და ეკლესიის თანამშრომლობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, რესპონდენტები ხაზს უსვამენ განათლების ცენტრალურ მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისთვის, შესაბამისად, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის და განათლების საკითხებზე მუშაობაში ჩართულობის აუცილებლობას ხედავენ.

„საზოგადოება ერთიანია – ერი და ბერი. ერთი პრობლემები გვაქვს. ერთმანეთს ხშირად უარყოფითად ვაფასებთ, მაგრამ სინამდვილეში ეს ერთი მედლის ორი მხარეა... უნდა ვცადოთ, რომ ერსა და ბერს შორის თანამშრომლობა შედგეს“...

„ეკლესია ყველაფერში უნდა იყოს ჩართული, რატომ არის ის განწყენებული?! ეკლესიაში არიან ადამიანები მისული საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, როგორც იტყვიან, ანაფორაში არავინ არ დაბადებულა“...

„ყველა ყველაფერში უნდა იყოს ჩართული. იმას კი არ ვამბობ, რომ მეწალე გახდეს ხაბაზი, მაგრამ ასეთი დაყოფა – ეკლესია ცალკე, ერი ცალკე – ეს არ უნდა იყოს. მღვდელი რომ ქუჩაში გამოდის, მას არ უნდა აღელვებდეს დასუფთავების საკითხები?! მართო მერიის საქმე უნდა იყოს?! ეკლესიის წარმომადგენელი საზოგადოების წარმომადგენელია“...

განათლების სისტემის მუშაობაში ეკლესიის ჩართულობა/თანამონაწილეობა შეიძლება დავინახოთ იმაში, რომ საქართველოს მასშტაბით არსებობს საპატრიარქოს 40 სკოლა. ეს არის ჩვეულებრივი საჯარო სკოლები, რომლებშიც ერთ საგნად რელიგია ისწავლება. თუმცა, ზოგადად, უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობა ეკლესიასა და განათლების სამინისტროს შორის ინტენსიური ნამდვილად არ არის. საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო. ცხადია, ეს ზღუდავს ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობას განათლებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხების დაგეგმვასა და მართვაში. თუმცა, მეორე მხრივ,

დეკლარირებული გამიჯვნის არარსებობის პირობებში რთული იქნებოდა ეკლესიის საქმეებში საერო პირთა (სახელმწიფო მოხელეთა) ჩართულობის კონტროლი.

„დაიწყებოდა მერე – ეს აქ დანიშნე, ის იქ დანიშნე“...

„რთული იქნებოდა ზღვრის გავლება“, „ეკლესია უნდა იყოს თავისუფალი თავის ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებში“...

თანამშრომლობის სურვილის არსებობის შემთხვევაშიც ერთ-ერთი რესპონდენტი ამ პროცესში მნიშვნელოვან ბარიერებს ხედავს – ადამიანის წარმოშობის, მისი არსის შესახებ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები აქვთ საერო და სასულიერო პირებს. ეს პრობლემატურს ხდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლებისას სწორი (ეკლესიის პოზიციიდან) აქცენტების გაკეთებას.

„როგორ უნდა ასწავლო ბავშვს, ადამიანი ვინ არის? თავისით შეიქმნა? ვინ არის მისი შემოქმედი? როგორც კი სული მიდის ადამიანისგან, ადამიანი არის ფიცარი. ადამიანი შეიძლება წარმოვიდგონოთ მანქანად, ძრავა – გული, სანგავი – სისხლი... მაგრამ მანქანა ვერ ამოძრავდება, თუ არ იქნება ნაპერწკალი, ყველაფრის მამოძრავებელი ძალა არის სული“.

ინფორმირებულობა კონკრეტულად სქესობრივი განათლების მიზნების, შინაარსის, სწავლების ფორმების, მისაღწევი შედეგების შესახებ

როგორც განათლების პოლიტიკის შესახებ, კონკრეტულად სქესობრივი განათლების შესახებაც რესპონდენტთაგან მხოლოდ ერთს აქვს ინფორმაცია. ის, საპატრიარქოს განათლების განყოფილების ხელმძღვანელთან ერთად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო ჩართული სამუშაო ჯგუფში, რომლის მიზანიც საგნის „მე და საზოგადოება“ კურიკულუმის შემუშავება იყო და, შესაბამისად, იცნობს ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებს, რომლებიც წარმოდგენილია საგნებში „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“. რესპონდენტი არ არის კმაყოფილი ამ საკითხების სწავლებისადმი მიდგომით, ჯგუფის მუშაობის პროცესსაც აფასებს, როგორც ძალზე მძიმეს. მისი აზრით, ამის საფუძველი რელიგიის მიმართ ჯგუფის წევრების განწყობა იყო. რესპონდენტისთვის ამა თუ იმ საკითხზე ბავშვისთვის ცოდნის სწორად მიწოდება მისი რელიგიური პერსპექტივით მიწოდებას ნიშნავს. მაგალითად, მისთვის მნიშვნელოვანია, ბავშვი იცნობდეს შემოქმედის იდეას, თუნდაც ღმერთის ხსენების გარეშე; ან კიდევ სვეტიცხოველს არ ეცნობოდეს, როგორც მხოლოდ საკულტო ნაგებობას, როგორც ეს შესაბამის სახელმძღვანელოშია განმარტებული. რესპონდენტის თქმით, მის (და ეკლესიის სხვა წარმომადგენელთა) პოზიციას ამ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროს წარმომადგენლები და სამუშაო ჯგუფის წევრები არ იზიარებდნენ.

„ძალიან რთულად მიდიოდა პროცესი... რელიგიისადმი ჰქონდათ ძალიან მძიმე განწყობა... არ ვამბობ, რომ ყველგან უნდა „შეტენო“ ეს რელიგია, მაგრამ ეს სამყარო არის ღმერთი, როგორც ჰაერი არ ჩანს, ისე არის ის განუფენილი მთელს სამყაროში, ის არის შემოქმედი... ამას ცალსახად ეწინააღმდეგებოდნენ. დამოკიდებულება იყო ძალიან ხისტი“...

სამწუხაროდ, რესპონდენტი არ საუბრობს კონკრეტულად სქესობრივი განათლების ან ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებზე, რომლებიც საგანში „მე და საზოგადოება“ არის წარმოდგენილი. ის მხოლოდ ჯგუფის მუშაობის არასასურველ ატმოსფეროსა და განწყობაზე მიუთითებს.

დამოკიდებულებები და განწყობები

სქესობრივი განათლების როლი და მნიშვნელობა

სქესობრივი განათლების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ რესპონდენტთა ზოგადი შეხედულებები, ფაქტობრივად, ერთგვაროვანია – სამივე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ადამიანს ნებისმიერი ცხოვრებისეული ასპექტის შესახებ, და მით უმეტეს, ასეთი არსებითად მნიშვნელოვანი სფეროს შესახებ უნდა ჰქონდეს ცოდნა. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეკლესიის წარმომადგენლები ამ ცოდნას განსხვავებულად განმარტავენ. ცოდნის აუცილებლობაზე საუბრისას ისინი ხაზს უსვამენ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლების ჭრილში აქცენტი გაკეთდეს სიყვარულზე, ოჯახზე, გამრავლების მნიშვნელობაზე.

„ადამიანი უნდა იყოს გათვითცნობიერებული. ყველაფერს, რასაც არ უნდა აკეთებდეს, უნდა აკეთებდეს ცოდნის საფუძველზე. ქვეყნის მეთაურია თუ დამლაგებელი, უნდა იცოდეს საქმე, რომელსაც აკეთებს“...

„უცოდინრობა დაუშვებელია. ეს განუყოფელი ნაწილია ცხოვრების და ამიტომ სამედიცინო ცოდნა (სავარაუდოდ, იგულისხმება ფიზიოლოგიური) საჭიროა“...

„სქესობრივი ურთიერთობა არის სისტემური, ეს სისტემა ჩვენი სხეულის ნაწილია. ეს ორგანოები ისევე ცოცხალია, როგორც სხვები. მათი მუშაობის შეჩერება შეუძლებელია – გულს ხომ ვერ გავაჩერებთ?! ამ ორგანოების მისია უნდა განხორციელდეს.“

უბრალოდ ეს მისია მორალურ-მნებობრივ საკითხებს უკავშირდება. რაც სისტემურია, ამისგან გაქცევა არასწორია“...²⁴

ერთი-ერთი რესპონდენტი მრავალი საზიანო პრაქტიკის მიმგზს სწორედ არაინფორმირებულობაში ხედავს.

„განქორწინებები, აბორტები, ძალადობა, პედოფილია არის გაუნათლებლობის ბრალი“...

რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რელიგიური შეხედულების თანახმად, ორ ადამიანს შორის ურთიერთობა ღვთისგან დადგენილია. ეს არის ღირებულება – სიყვარული, ოჯახი არის ღირებულება. ბიბლიის მიხედვით, პირველი კურთხევა ადამმა და ევამ სწორედ გამრავლებაზე მიიღეს.

„პირველი კურთხევა ღვთისა ადამიანზე არის ასეთი: აღორძინდით, დაუფლეთ ამ ყველაფერს, რაც ღმერთმა შექმნა თქვენთვის და გამრავლდით – ანუ აკურთხა გამრავლება ადამიანის“...

„ეკლესიაში არსებობს კანონი – თუ ერისკაცი ან სამღვდელთა პირი ცოდვად შერაცხავს ამ ურთიერთობას, ის გარკვეულ სასჯელს იმსახურებს“...

„ეს არის სიყვარულის ფიზიკური გამოხატულება და მის შესახებ ცოდნა ბავშვს რომანტიკული და სამედიცინო თვალსაზრისით სწორად უნდა მიეწოდოს“...

სიყვარული საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

„ქალის და კაცის სიყვარულის გარეშე არ იარსებებდა ხელოვნება, გალაკტიონი, ვან გოგი არ იქნებოდნენ, არაფერი არ იარსებებდა. ღვთის ხატი და მსგავსი არის ქალი და კაცი ერთად“...

სქესობრივი ურთიერთობის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ ერთ-ერთ რესპონდენტს მოჰყავს ღვინის მეტაფორა: ღვინო არის ღირებულება ეკლესიისთვის. ამ სასმელში განხორციელდება ქრისტეს სისხლი, მაგრამ, მეორე მხრივ, „მემთვრალეთა ვერ

²⁴ სქესობრივი ურთიერთობის, როგორც ადამიანისთვის ბუნებრივი, სისტემური მოვლენის წარმოსაჩენად ერთ-ერთ რესპონდენტს მოჰყავს ეკლესიის წარმომადგენელთა მაგალითი („ეკლესიაში ახალმოსულ ადამიანებს მაშინვე ბერად აღკვეცავდნენ ხოლმე. შემდეგ ხშირად აღმოაჩენდნენ ეს ადამიანები, რომ არ იყვნენ მზად თავშეკავებისთვის, ყველას ერთნაირად არ აქვს ამის უნარი“...). ამ მხრივ ძალიან მძიმე პრობლემებია კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც ყველა თავის წარმომადგენელს ცვლებადობას ავალდებულებს („აქედან მოდის საშინელი ვითარება, რომელიც იქ არის“... „ყველა წამოწყება, რასაც ხელოვნურად და რეალობის გათვალისწინების გარეშე ვაკეთებთ, განწირულია მარცხისთვის. რეალობას უნდა შევხედოთ თვალში“...).

დაიმკვიდრონ სასუფეველი“. ეკლესია არის „გომიერი ხაზის მომხრე“. რესპონდენტების აზრით, ბუნებრივია, რომ თავად ეკლესიის წიაღში არსებობს უკიდურესი ლიბერალიზმიც და კონსერვატიზმიც (როგორც მთლიანად საზოგადოებაში), მაგრამ მნიშვნელოვანია, ეკლესია დარჩეს თავად ქრისტეს ერთგული და არა ვინმეს აზრის ერთგული.

„არ უნდა გადავვარდეთ უკიდურესობებში – რაღაც კატეგორიულად არ შეიძლება და რაღაც კატეგორიულად შეიძლება. შუალედური გზა უნდა ავირჩიოთ“...

არაინფორმირებულობა და დამახინჯებული ინფორმაცია, როგორც საზიანო პრაქტიკების განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი

როგორც ზემოთ ითქვა, სამივე რესპონდენტი არის თეთრი სამღვდელოების წამომადგენელი. ისინი აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდები (და არა მარტო ისინი) საკმაოდ ხშირად მიმართავენ მათ სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემებით.

„როგორც ყველა ცხოვრებისეულ სფეროზე, ამაზეც ჩნდება შეკითხვები და ძალიან ხშირადაც. როდესაც ადამიანს პრობლემა უჩნდება, მიდის იმასთან, ვისაც ენდობა“...

თუმცა, ამ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებთან დაკავშირებით რესპონდენტებს განსხვავებული მიდგომები და დამოკიდებულებები აქვთ.

პარმონიული სქესობრივი ურთიერთობის მნიშვნელობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს ერთ-ერთი რესპონდენტი – ის გულისტკივილით აღნიშნავს ფაქტს, რომ ბევრად მეტი წყვილი მიმართავს ეკლესიას ჯვრის ასაყრელად, ვიდრე ჯვრის დასაწერად. ამის რამდენიმე მიზეზს ასახელებს:

1. ქორწინების შემდეგ წყვილს სქესობრივი ურთიერთობები უკანა პლანზე გადააქვს, რაც როგორც ამ სფეროში, ასევე სხვა ცხოვრებისეულ საკითხებში დავისა და უთანხმოების საბაბი ხდება.

„თქვენს მეუღლეს ორი წლის განმავლობაში სადილი რომ არ მოუმზადოთ, რას იზამს, ხომ წავა სხვა სასადილოში?!“.

2. სქესობრივი ცხოვრების პრობლემები ტაბუირებულია – ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, თუ პრობლემაზე არ ვლაპარაკობთ, ესე იგი, ის არც არსებობს. თუმცა, ცხადია, ასე არ არის. მაგალითად, სინამდვილეში არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა სექსუალური შეუთავსებლობა, რაც ხშირ შემთხვევაში წყვილის განქორწინებას უდევს საფუძვლად. (რესპონდენტი პირდაპირ არ სვამს საკითხს, თუმცა მიანიშნებს პრობლემაზე, რომ სექსუალური შეუთავსებლობის აღმოჩენა ცხოვრების ქრისტიანული წესის მქონე წყვილებს მხოლოდ ქორწინების შემდეგ შეუძლიათ). რესპონდენტის მიხედვით, ცოლ-ქმარს შორის მოწესრიგებული

(პარმონიული) სექსუალური ურთიერთობის არსებობის მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ ეს ერთადერთი სფეროა, რომელშიც ადამიანს სხვა „გამზიარებელი“, პარტნიორი ვერ ეყოლება.

„ყველაფერში შეიძლება იპოვო სხვა გამზიარებელი, მაგალითად, ხელოვნებაზე ელაპარაკო მეგობარს, ბავშვის აღზრდაზე – მშობელს, მაგრამ ლოგინს ვერავის სხვას ვერ გაუზიარებ“...

3. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ახალგაზრდების წინაშე დგას, არის არასაკმარისი მზაობა უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობის აღებისთვის.

„მოგჭერ ახალგაზრდები ძალიან ეგზალტირებულები უყურებენ ქორწინებას, სექსუალურ ურთიერთობებს; ვერ აცნობიერებენ უზარმაზარ პასუხისმგებლობას – პანოს მხოლოდ პატარა ფრაგმენტს ხედავენ, მთლიან პანოს, მთელ სურათს – ვერა“...

რესპონდენტი იხსენებს ეგზიუპერის ციტატას: „ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ყველაზე, ვინც მოვიშინაურეთ“. რესპონდენტი აღნიშნული ციტატით ხაზს უსვამს, რომ ახალგაზრდები ხშირად მარტივ პასუხისმგებლობებსაც კი ვერ ართმევენ თავს, მაგალითად, მათ მიერ მოყვანილ შინაურ ცხოველებს საბოლოო ჯამში მშობლები უვლიან, ახალგაზრდებს სწრაფად ბეზრდებათ რაღაცები, როგორც პატარა ბავშვებს სათამაშოები. ასევე ხდება ქორწინებასა და სქესობრივ ურთიერთობებშიც, როდესაც წყვილი ძალიან ახალგაზრდა, 18-19 წლის ასაკში ქორწინდება.

„ერთი სათამაშოთი მცირე პერიოდით ერთობიან, თავს მოიკლავენ, სანამ მიიღებენ, და მერე ძალიან მალე მიაგდებენ, აღარ აინტერესებთ. ცოტა ხანში ზუსტად ისეთივე მოუნდებათ და ა.შ. ზუსტად ასევეა ცოლის შემთხვევაში – ყველაფერს აკეთებს, რომ მოიყვანოს, მაგრამ 3 თვეში აღარ აინტერესებს, ბეზრდება... ოჯახისთვის გამოცდა არის ე. წ. ნაცრისფერი ყოველდღიურობა... ახალგაზრდას ცოლის მოყვანა რომ უნდა, ჯერ ვეუბნები, იყიდე ოქროს თევზები და მოუარე შენ თვითონ. თუ 6 თვეში არ დაგეხოცება, მაშინ მოგცემ კურთხევას“...

რესპონდენტს მოჰყავს ევროპის ქვეყნების მაგალითი, სადაც ადამიანები დაახლოებით 30 წლის ასაკში ქორწინდებიან. ისინი ითვალისწინებენ კათოლიკური ეკლესიის ძალზე მკაცრ დამოკიდებულებას ჯვრის აყრის მიმართ (სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნას უტყუარი საბუთები ღალატის შესახებ). ასევე, აცნობიერებენ, რომ ადამიანი 25-30 წლამდე აგრძელებს ფორმირებას და მხოლოდ ამ ასაკის შემდეგ არის მზად ასეთი სერიოზული გადაწყვეტილების მისაღებად.

„18-19 წლის ადამიანი საერთოდ არ არის ჩამოყალიბებული, ასაკთან ერთად რაღაცების გადაფასება ხდება, მაგალითად,

ჩვენს ძველ ნამუშევრებს რომ გადავხედავთ ხოლმე, ხომ საოცარ სისულელეებად გვეჩვენება და გვიკვირს, გვრცხვენია, როგორ დაგწერეთ ეს, ასე მეორე ადამიანის შეფასებაშიც“...

განქორწინებების, აღრეული ქორწინების და სხვა საზიანო პრაქტიკების (მაგ., აბორტის) თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებად რესპონდენტი ოჯახის დაგეგმარების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებას ხედავს.

„აუცილებლად სჭირდებათ ოჯახის დაგეგმარების სწავლა“...

ოჯახის დაგეგმარებასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზეა მეორე რესპონდენტი. მიუხედავად იმისა, რომ არაინფორმირებულობას ისიც მიიჩნევს, მაგალითად, აბორტების გაზრდილი რაოდენობის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად, ოჯახის დაგეგმარება მისთვის ღვთის კურთხევის საწინააღმდეგო მოქმედებაა.

„იქ არის ასეთი ტერმინი – არასასურველი ფეხმძიმობა²⁵. პატრიარქი ყველა ქადაგებაში ითხოვს, გამრავლდით, ღვთის კურთხევაა ესო და ჩვენ ვამბობთ, რომ არასასურველია ორსულობა... ეს მიდგომა – მე ეხლა ამის დრო არ მაქვს, რაოდენობა მნიშვნელოვანი არ არის, ამით ხომ ხარისხი არ იზრდება – არ შეიძლება. ეს დაახლოებით იგივეა, რაც აბორტი, იგივე მკვლელობაა. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორი დანაშაულია აბორტი. სწორედ ამას სჭირდება აღზრდა“...

გამოწვევები

სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ (სქესობრივი განვითარება, ინტიმური ჰიგიენა, სქესთა შორის ურთიერთობები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება) მოსწავლეთა ინფორმირების თანმდევი საფრთხეები/სარგებელი

მოსწავლეთათვის ასაკისთვის რელევანტური, ავთენტური ინფორმაციის მიწოდებას პრინციპულად საჭიროდ მიიჩნევს სამივე რესპონდენტი, თუმცა იკვეთება განსხვავებები ცოდნის შინაარსსა და ცოდნის მიწოდების ფორმასთან დაკავშირებით.

რესპონდენტები თანხმებიან იმაზე, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას განათლების სისტემა, არის ბავშვებისთვის ინფორმაციის სანდო წყაროების

²⁵ უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტი კარგად არის ინფორმირებული სფეროს შესახებ, აქვს ევროკავშირის ბიოეთიკის კომისიაზე რამდენჯერმე დასწრების გამოცდილება და მეტ-ნაკლებად იცნობს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.

შერჩევა-შეთავაზება. დღეს ბავშვებს ინფორმაციის უამრავი წყარო აქვთ (ინტერნეტი თუ სხვა მედიასაშუალებები), საიდანაც უმეტესწილად დამახინჯებულ ინფორმაციას იღებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ადამიანის სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის „უხამსობისკენ წანაცვლება“ საბჭოთა ტრადიციიდან მომდინარეობს.

„ამ ღირებულებამ ბევრი ტალახი აიკრა, უხამსობის შემცველი ხატებით ხდება მისი წარმოდგენა... ათეიზმის გამო კომუნიტების დროს და მერე 90-იანებში ადამიანები უხამსად იღებდნენ ინფორმაციას ამ სფეროს შესახებ“...

ერთ-ერთი რესპონდენტი გამოყოფს ტელემედიის როლს განსხვავებული რაკურსით – ბავშვებისთვის „არასასურველი მოდელების“ მიწოდების თვალსაზრისით.

„რამდენიმე არხზე არიან ტელენამყვანები, რომლებიც საზოგადოებაში არ სარგებლობენ დიდი ავტორიტეტით. რატომ უნდა წაიყვანონ მათ გადაცემები?! ისინი ავტორიტეტები ხდებიან 10-12 წლის ბავშვისთვის. მათ რომ უყურებს, მერე მშობელს ეტყვის – რატომ მიკრძალავ, იქ რომ ასეა?!“...

ამ გამოწვევასთან გამკლავების სხვადასხვა სტრატეგიებზე საუბრობენ რესპონდენტები. ერთ-ერთი (პირობითად, პირველი) რესპონდენტის აზრით, მოსწავლეებს ღიად უნდა ესაუბროს კომპეტენტური ადამიანი, ავტორიტეტი – მასწავლებელი ან კონსულტანტი – იმ საკითხების შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც მათ შეკითხვები გაუჩნდებათ. მნიშვნელოვანია, მოსწავლემ მიიღოს სწორი ინფორმაცია.

„დღეს ვართ სირაქლემას პოზიციაში – თუ არ ვილაპარაკებთ ამაზე, პრობლემაც არ იარსებებს. მნიშვნელოვანია, რომ ავტორიტეტმა დაულაგოს სწორად ყველაფერი“...

თუმცა ის უმცირესობაშია, როდესაც ამ თემაზე ღიად საუბრის დეფიციტს პრობლემად მიიჩნევს. სხვა რესპონდენტები ღიად საუბარში მეტ საფრთხეს ხედავენ, ვიდრე სარგებელს. მათ პრობლემად თავად დასახელების საკითხიც კი მიაჩნიათ – მათი აზრით, სიტყვა „სექსუალური“, თუნდაც განათლების კონტექსტში, არასასურველი მიმართულებით წარმართავს ბავშვის გონებას.

„არსებობდა ესთეტიკური და ფსიქოლოგიური აღზრდა, მერე იყო სქესობრივი აღზრდა და ახლა მოდის სექსუალური. იცვლება დასათაურება და ის ცვლის თავისთავად შინაარსსაც. სექსუალურზე მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ – თვითონ ტერმინი უკვე ათამამებს... და სქესობრივიც აჩენს ადამიანში, მოზარდში რაღაც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას... უჩნდება გარკვეული მოსაზრებები, ფიქრები ამ ყველაფრის

შესახებ, რადგან მოზარდია, სამყაროს შეცნობას იწყებს... ადამიანი დაბადებიდანვე მიდრეკილია ცუდისკენ, დაცემული ბუნებით არის ნაშობი. და ასეთ შემთხვევაში ინტერესი იღვიძებს მასში“...

ამა თუ იმ თემაზე ლაპარაკის დაწყებით მოზარდს უღვივდება ცნობისმოყვარეობა მის მიმართ. ის ცდილობს, ცნობისმოყვარეობა სხვადასხვა გზით დაიკმაყოფილოს. ამ დროს ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება იმის გაკონტროლება, საიდან და რა სახის ინფორმაციის მოპოვებას შეეცდება ის.

„ადამიანს ყველაფერი აინტერესებს ამ სამყაროში. ბავშვი ცეცხლისკენ რომ მივბრუნდებით და შენ აკავებ, წინააღმდეგობას გიწევს. ვერ ხვდება, შენ რატომ აკავებ“...

ერთერთ რესპონდენტს მოჰყავს ეკლესიის ანალოგია: ადამიანთა შორის სქესობრივი ურთიერთობის საკითხები საკმაოდ ხშირად ხდება აღსარების თემა. მღვდელს დიდი სიფრთხილე მართებს საუბრისას, რომ არ შეეხოთ ისეთ საკითხებს, რომლებიც შეურაცხყოფს აღმსარებელს.

„არ უნდა უბიძგოს ისეთი ფიქრის გაჩენისკენ, რომელიც აღმსარებელს თავში არც კი გაუვლია, არ უნდა წამოწიოს ისეთი თემები, რომლებიც მას დააბინძურებს“...

მოსწავლესთან განსახილველი სქესობრივი განათლების საკითხების ნუსხას განსაკუთრებით ზღუდავს ერთ-ერთი რესპონდენტი. მისი თქმით, როდესაც მოზარდს სქესობრივი განათლების ზოგიერთ საკითხს უხსნიან, ამით პატიოსანი, ქრისტიანული ცხოვრების გზის არჩევისკენ არ მოუწოდებენ.

„როდესაც ბავშვს დაუწყებ ახსნას, უსაფრთხო სექსი... თავს კი ნუ შეიკავებ, უსაფრთხოებისთვის ქალმა ეს საშუალება გამოიყენე, კაცმა – ეს... ამ მიმართულებით არ უნდა წაიყვანო. დღევანდელ ადამიანს ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება თავი შეიკავოს... ამ ურთიერთობებისგან „ცვდება“ ადამიანი ემოციურად, ასეთი ცხოვრება სულისთვის იარაღი და კიდევ ბევრი სხვა იარაღიც აქვს ადამიანს. დღევანდელი ადამიანი ძალიან სუსტია, იმიტომ, რომ ღმერთის გარეშე... და მერე, როდესაც ოჯახს ქმნიან, ეს აირები აუცილებლად იჩენს თავს უნდობლობაში და სხვა რაღაცებში“...

ერთგვარ შუალედურ პოზიციას ვხვდებით მეორე რესპონდენტთან, რომლის ამრიტაც ადამიანთა შორის სქესობრივი ურთიერთობები სიყვარულის კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

„სიყვარულით იწყება ამ გრძნობის გაკეთილშობილება“...

მისი აზრით, მნიშვნელოვანია ფორმალური განათლების სივრცეში ამ თემის შემოტანა, თუმცა დიდი სიფრთხილე და პროფესიონალიზმია საჭირო სწორი ნაბიჯების გადასადგმელად. სერიოზული გამოწვევაა ადეკვატური სასწავლო რესურსების შექმნა, რომლებიც მისაღები იქნება საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, მშობლებისთვის და რომლებიც არ იქნება ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურად დამაზიანებელი. ევროპული ანალოგების კოპირება, ადაპტირების გარეშე გადმოტანა, რაც, მისი თქმით, იგეგმებოდა რამდენიმე წლის წინ, სრულიად გაუმართლებელია – თვალსაჩინოებებით დატვირთული რესურსებით სწავლება მოზარდს „უხამსობისკენ“ მიმართავს.

მიუხედავად ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში სქესობრივი განათლების საკთხებზე მსჯელობის შესახებ სრულიად განსხვავებული ხედვებისა, სამივე რესპონდენტი თანხმდება იმაზე, რომ სქესობრივი ურთიერთობების თემა იმდენად ინტიმურია, რომ ნაკლებად მიზანშეწონილი და საერთოდ შეუძლებელიც კი არის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის საგაკვეთილო პროცესში მასზე საუბარი.

„რაც არ უნდა კარგი მასწავლებელი იყოს, სწორი მიმართულება შეიძლება ვერ მისცეს. ერთ მასწავლებელს ერთ მოსწავლესთან შეიძლება გამოუვიდეს ეს ურთიერთობა, მაგრამ კლასში ოცი ბავშვია“...

სამივე რესპონდენტის მიერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად სახელდება იმ ადამიანთა კომპეტენცია, რომლებმაც უნდა გადასცენ შესაბამისი ცოდნა მოსწავლეებს. ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც არის სქესობრივი განათლება, მასწავლებლის არაკომპეტენტურობა შეიძლება ძალიან მძიმედ დამაზიანებელი აღმოჩნდეს. რესპონდენტები ავლებენ პარალელს რელიგიის სწავლებასთან. 90-იან წლებში იყო მცდელობა რელიგიის ისტორიის სწავლებისა საგანგებოდ შექმნილი სახელმძღვანელოთი (რეზი თვარაძის ავტორობით) სასულიერო აკადემიის ან სემინარიის კურსდამთავრებულთა მიერ. მაგრამ ის წარმატებით არ დასრულდა.

„ქრისტიანობის შესახებ რომ მკითხონ, უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში, აქაც კი არ მაქვს ცალსახა პასუხი. დიდი ხნის წინ ვასწავლიდი სკოლაში. მაგრამ გამოცდილების დაგროვებასთან ერთად მივხვდი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ და როგორ ასწავლის. თუ არაკომპეტენტურად მიაწოდებ ცოდნას, ისე შეიძლება დაამახინჯო, რომ ჯობს, არ ასწავლო საერთოდ... ამ ადამიანს, მღვდელი იქნება თუ სემინარიადამთავრებული, თავისი პიროვნული მიდგომები აქვს და შეიძლება რაღაცა შეეშალოს... როდესაც სკოლაში რელიგიის სწავლების

საკითხებზე შეხვედრებიდან გამოვდივარ, მხოლოდ ღვთის
იმედი მაქვს – სხვა ვერანაირ რესურსს ვერ ვხედავ ამისას ჩვენს
სისტემაში. ზუსტად ასევეა სქესობრივი განათლების თემაც“...

გამოწვევად რჩება დისონანსი სამეცნიერო/საერო ცოდნასა და ე. წ. ბიბლიურ ცოდნას შორის.
ბიოლოგიის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების საკითხები სამყაროს შექმნის, ადამიანის
წარმოშობის, სხვადასხვა საერო თუ საეკლესიო პირთა ღვაწლის და ა.შ. შესახებ
შეუთავსებელია ბიბლიურ მოძღვრებასა და წარმოდგენებთან.

სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების
პოლარიზებული დამოკიდებულება

რესპონდენტებისთვის აშკარაა საზოგადოებაში არსებული პოლარიზებული განწყობები
სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვასთან დაკავშირებით. თუმცა ამის მიზეზად მათ
მიერ განსხვავებული ფაქტორები სახელდება.

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ევროპისგან განსხვავებით, სადაც განათლების დონე
ერთგვარად სტანდარტიზებულია (რის საფუძველსაც სახელმწიფო ინსტიტუტები და,
ძირითადად, სკოლა ქმნის), ქართულ საზოგადოებაში ძალიან დიდია ვარიაცია განათლების
დონის თვალსაზრისით – „ძალიან მაღალი პროფესიონალიზმიდან სრულ სიბნელემდე“. ეს
ხშირად ხდება საზოგადოებაში განწყობებს შორის რადიკალური განსხვავების საფუძველი.
საზოგადოებაში არის შიში იმისა, რომ დაიწყოს ჯანსაღი საუბარი ადამიანისთვის სრულიად
ბუნებრივი მოვლენების, სისტემების შესახებ. ადამიანებს დაკარგული აქვთ საერთო ენა, არ
არსებობს ურთიერთგაგება, ხდება ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

„ადამიანის ნათქვამი, დაწერილი ტექსტიც კი შეიძლება
სრულიად სხვაგვარად იქნას გაგებული – შეიძლება სქესობრივი
განათლების დანერგვას გარყვნილების პროპაგანდა უწოდონ...
გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, ძალიან რთულია... საქმის
კეთებას თუ იწყებ, უკვე შეგაჩვენებენ“...

ამ რესპონდენტის აზრით, ამგვარი საუბრის ფასილიტაციისთვის ეკლესია არ არის ჯერ მზად.
ნებისმიერი სიახლის და, მით უმეტეს, ისეთ სენსიტიურ თემასთან დაკავშირებული სიახლის
დანერგვისას, როგორც სქესობრივი განათლებაა, მაქსიმალურად საჭიროა სიფრთხილს
გამოვლენა და ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა.

„უნდა გავიაროთ დანალმულ ველზე, რომ რეტროგრადებს
ავუხსნათ ამის საჭიროება“...

შიშზე საუბრობს მეორე რესპონდენტიც, თუმცა განსხვავებული რაკურსით. მისი აზრით,
საზოგადოებაში არის განცდა (შიში) იმისა, რომ სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული
ცოდნის მიწოდება ბავშვებისთვის არასწორად, არაჯანსაღად ხდება. ეს შიში, შეიძლება ითქვას,

გამყარებულია რეალური საფუძვლით – დაახლოებით 15-20 წლის წინანდელი ინიციატივით სკოლაში სქესობრივი განათლების სახელმძღვანელოს შეტანის შესახებ, რომელიც შეიცავდა ასაკთან და კულტურასთან არათავსებად შინაარსებს.

„...აჭრელებული იყო ილუსტრაციებით. უხერხულიც კი იყო მისი დათვალიერება სხვა ადამიანებთან ერთად...“

შიშის და ამ შიშით გამოწვეული პოლარიზაციის მიზეზი, რესპონდენტის აზრით, არის არა ცოდნის მიცემა ბავშვებისთვის, არამედ ის შინაარსი და ფორმა, რომლითაც საზოგადოების აზრით, იგეგმება სწავლება. რესპონდენტი პოლარიზაციის ნიშნებს ეკლესიის წიაღშიც ხედავს, თუმცა მისთვის არც ერთი უკიდურესობა არ არის მისაღები.

„მისაღები არ არის არც უკიდურესი ლიბერალიზმი – „ყველაფერი მოსულა“ – და არც უკიდურესი კონსერვატიზმი – „ეს თემა დახურული უნდა იყოს“. უკიდურესობები ყოველთვის არასწორია, ცუდია“...

რესპონდენტი ხაზს უსვამს განათლების სამინისტროსა და მედიის თანამშრომლობის აუცილებლობას იმისათვის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს სწორი ინფორმაცია ამ თემასთან დაკავშირებით ევროპაში არსებული ტენდენციების შესახებ.

„სახელმწიფომ ისეთი ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ საზოგადოებას არ შეაზიზღოს ევროპა, არ ჩაკეტოს ჩვენი საზოგადოება არაჯანსაღ კონსერვატიზმში“...

მესამე რესპონდენტისთვის საზოგადოებაში წინააღმდეგობის არსებობა თითქოს კანონზომიერია. ადამიანებს არ უყვართ, როდესაც მათ არასწორ ნაბიჯებზე მიუთითებენ, „ამხელენ“.

„რატომ არ მიიღო საზოგადოებამ იესო ქრისტე? იესომ, როდესაც ცოდვილი ქალი უნდა ჩაექოლათ, მიწაზე დაწერა თითოეული იქ მყოფი ადამიანის ყველაზე მძიმე ცოდვა და მერე ვერც ერთმა ვეღარ ესროლა ქვა... ამის მიმღები ნაკლებია, ამას რომ ეუბნები ადამიანებს, სწყინთ“...

მთავარი გამოწვევა, წინააღმდეგობის მთავარი მიზეზი, მისი აზრით, არის სქესობრივი ცხოვრების განსხვავებული პერსპექტივით ხედვა – რელიგიური პერსპექტივით, ღმერთმა დალოცა ადამი გასამრავლებლად, მაგრამ ასევე დაადგინა, რომ ერთი კაცი უნდა იყოს ერთი ცოლის ქმარი და პირიქით. ეკლესიისთვის მნიშვნელოვანია თავშეკავება, რომელიც არის სწორედ თავისუფლების – თავისუფალი ნების – გამოხატულება, ხოლო თავშეკავების საშუალებაა ლოცვა და შრომა.

„ანტონი დიდი ამბობს: ორი რამე უნდა შეანაცვლოს ადამიანმა ერთმანეთთან – შრომა და ლოცვა. ორივე ღმერთთან ურთიერთობაა“...

ეკლესია არ ერიდება ამ თემაზე საუბარს, ის თავისი პერსპექტივით უხნის მოზარდებს სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„ბავშვებს უჩნდებათ შეკითხვები, როდესაც ჩვენ ვასწავლით სახარებას, მეექვსე კლასიდან: იყვნენ ადამი და ევა, ჰყავდათ შვილები – კაენი და აბელი. კაენმა მოკლა აბელი – ეს მათთვის უცხო არ არის, იციან. მაგრამ უცხოა, როგორ გამრავლდნენ. როდესაც იგებენ, რომ ადამს და ევას ქალიშვილებიც გაუჩნდათ, „ანუ თავისი და მოიყვანა ცოლად?“ – ეს მათთვის უცხოა. შენ უხსნი, რომ ღმერთმა მისცა ამის უფლება, რათა გამრავლებულიყვნენ. ახლა უკვე გამრავლებულები ვართ და აღარ აძლევს ამის უფლებას და ა.შ“...

ის დარწმუნებულია, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი – 80% – მისი პოზიციის საპირისპიროდ არის განწყობილი. შეინიშნება ერთგვარი სკეპტიციზმიც.

„მაგრამ ამას ალბათ ვერ გავექცევით“.

რეკომენდაციები

სკოლის როლი სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე მოსწავლის ინფორმირებულობის გაზრდასა და საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებაში, ამავდროულად, მისი მნეობრივი განვითარების ხელშეწყობაში

რესპონდენტები ერთსულოვანნი არიან თავიანთ რეკომენდაციაში იმის შესახებ, რომ ბავშვებისთვის ცოდნის მიცემა, სწორი ინფორმაციის მიწოდება, სხვადასხვა ასაკში გაჩენილ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ახსნა-განმარტება აუცილებელია. ეკლესიისთვის „ცოდნა სინათლეა“. ამასთან, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი გზა დამახინჯებული ინფორმაციის მაგნე გავლენებისგან ბავშვის დასაცავად.

„იმის ნაცვლად, რომ ქუჩიდან, ინტერნეტიდან უამრავი დამახინჯებული ინფორმაცია მიიღონ, უნდა მივცეთ სწორი მიმართულება, სწორი ინფორმაცია – როგორც წყალი, რომელსაც თუ არ გაუკეთებ კალაპოტს, წალეკავს ყველაფერს, მაგრამ კალაპოტში თუ მოაქცევ, ძალიან სასარგებლო იქნება ყველაფრისთვის“...

რესპონდენტებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ცოდნის მიწოდების პროცესი იყოს კარგად გააზრებული და ორგანიზებული მაღალი პროფესიონალიზმის მქონე, ბავშვზე ორიენტირებული, კეთილსინდისიერი ადამიანების მიერ, და ემყარებოდეს საზოგადოების თანხმობას.

„უნდა არსებობდეს ნება და ამ ნების აღმასრულებელი კეთილსინდისიერი, პროფესიონალი ადამიანები. ნებისმიერი პროექტის წარმატების წინაპირობა არის გულწრფელობა“...

„პროცესი ძალიან სერიოზულად უნდა მომზადდეს, სხვანაირად არ შეიძლება“...

ის, თუ რა ფორმატით (საგაკვეთილო, ინდივიდუალური კონსულტირების, ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე თუ სხვა), რა შინაარსი, რა ინტენსივობით, რა რესურსების გამოყენებით და ვის მიერ უნდა ისწავლებოდეს, ეს გადაწყვეტილება პროფესიონალებმა უნდა მიიღონ.

„სქესობრივი განათლების დანერგვის საქმეში ყველას განურჩევლად მონაწილეობა არ შეიძლება. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და, შესაბამისად, ამ საქმეშიც მხოლოდ პროფესიონალები უნდა მონაწილეობდნენ, რომლებიც ამისთვის მზად არიან მენტალურად, ჩახედული და მცოდნე ხალხი“...

მაღალი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების ჩართულობა პროცესში მის მიმართ ნდობას გაზრდის და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად. პოლარიზაციის შემცირებას ხელს შეუწყობს, აგრეთვე, საზოგადოების ინფორმირება პროცესის შესახებ.

„უნდა იცოდნენ, რას ვასწავლით – თავშეკავებას, სწორ, ჭანსად მიდგომებს და არა გარყვნილებას“... „ქრისტიანობა ასეთ შემთხვევაში არ იქნება ამის წინააღმდეგი“...

რესპონდენტებს თავადაც აქვთ მოსაზრებები თითოეულ ამ კომპონენტთან დაკავშირებით:

რა უნდა ისწავლებოდეს

რესპონდენტებისთვის არსებითია, რომ სქესობრივი ურთიერთობების შესახებ ცოდნა რელიგიურ სწავლებას ეფუძნებოდეს – აქცენტირებული იყოს მეუღლეთა მიერ ერთმანეთის პატივისცემა, ერთგულება, ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლობა, ურთიერთობისთვის მორალური მზაობა, თავშეკავება.

„მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ამ ურთიერთობის წანაცვლება უხამსობისკენ, ბიბლიურ სწავლებაზე დაყრდნობით

გაკეთილშობილებული უნდა იყოს ეს საკითხი... ეს ინტიმური სფეროა, ადამიანის სიღრმეებს ეხება. ამიტომ დაცლილი უნდა იყოს ყოველგვარი ცინიზმისა და უხამსობისგან“...

„თუ სწორად წარვმართავთ ბავშვის ინტერესს და ვეტყვით: კი, ჩვენ ორი სხვადასხვა პიროვნება ვართ, ქალი და მამაკაცი, და ასე იმიტომ ვართ, რომ ღმერთმა აკურთხა ადამიანის გამრავლება... თუ ამოსავალი წერტილი იქნება ბიბლია, ეს კარგი იქნება“...

ერთ-ერთი რესპონდენტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს თავისუფალი ნების აღზრდაზე. მისი აზრით, თავისუფლება დღეს გაიგივებულია ყველაფრის კეთების უფლებასთან, მიშვეულობასთან. თუმცა თავისუფლება ნიშნავს, იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, გადაწყვეტილება მიიღო ნებელობაზე დაყრდნობით.

„რატომ შესცოდა ადამმა? ხომ შეიძლებოდა, ღმერთს ადამი შეექმნა პირდაპირ სრულყოფილი, მაგრამ მაშინ ის იქნებოდა რობოტი. ადამიანის თავისუფალი ნება სადღაც ხომ უნდა გამოვლენილიყო?! ... და თავისუფალი ნება უნდა აღიზარდო, მოითმინო, ყველაფერი შენს ჭკუაზე და შენს გემოზე არ უნდა აკეთო... პავლე მოციქულს აქვს ნათქვამი – ყველაფერი არის ჩემთვის დაშვებული, მაგრამ ყველაფერი ჩემთვის სასიკეთო არ არის... მარხვა, თავის შეკავება, თავმდაბლობა არის სწორედ თავისუფალი ნების გამოხატულება“...

რესპონდენტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ბიოლოგიის ფარგლებში მოზარდებისთვის სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდებას ადამიანის რეპროდუქციული სისტემის ფუნქციონირების, მისი ჯანმრთელობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის და ა.შ. შესახებ. შესაძლებელია, ბიოლოგიის ფარგლებში მასალა უფრო ვრცელი და კომპლექსურიც კი იყოს, ვიდრე ამჟამად არის.

ვინ უნდა ასწავლოს

რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ არაკომპეტენტური კადრების მიერ ბავშვისთვის ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების რისკებს. შესაბამისად, განათლების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღების მობილიზაციას სწორედ კადრების მომზადების მიმართულებით ურჩევენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ შესამჩნევია მათი სკეპტიციზმი ამასთან დაკავშირებით.

უფრო მეტიც, ერთ-ერთი რესპონდენტი ვერ ხედავს სკოლაში იმის რესურსს, რომ სწორად წარიმართოს ბავშვის სქესობრივი აღზრდისა და განათლების პროცესი. ამიტომ ამ ფუნქციას მშობელს აკისრებს.

„ყველაზე კარგი არის მშობლის ჩართულობა, მამის – გაჟთან და დედის – ქალთან. მეტსაც გეტყვით, ძველისძველი ქრისტიანული

ტრადიციის მიხედვით, ვაჟს ჰყავს კაცი ნათლია და ქალს ჰყავს ქალი ნათლია, იმიტომ რომ ნათლია არის სულიერი აღმზრდელი“...

ბავშვის აღზრდა იწყება მუცლადყოფნის პერიოდიდან. სანამ სკოლაში წავა, ბავშვი ყველა ქცევას მშობლისგან სწავლობს.

„რადაცები არის, რაც თავისით მოდის დედისგან და მამისგან. სკოლა ვერ აიღებს ამ ფუნქციას, აღზრდის ფუნქციას სკოლა ვერ აიღებს, ის ასწავლის, და რას ასწავლის, ეს კიდე საკითხავია... და ეს წიგნები „მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“, „მოქალაქე“... ჩვენ ხომ ამ წიგნების გარეშე გავიზარდეთ, ჩვენთვის არავის წიგნით არ უსწავლებია, რომ ქუჩაში რადაცის დაგდება არ შეიძლება“...

მშობელი ბავშვში უმნიშვნელო ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ცვლილებებსაც კი ამჩნევს, უწყვეტად ადევნებს თვალს მის სულიერ განვითარებას მომწიფების პერიოდში.

„ყველაზე ახლოს საკუთარ შვილთან არის დედა და მამა, და ალბათ მაინც მათზე უნდა გაკეთდეს აქცენტი... მშობელთან ბავშვი ყოველთვის უფრო მეტად არის გახსნილი, ვიდრე მასწავლებელთან... ბავშვს მშობლები უნდა ესაუბრონ.... ეს ხელს უწყობს მშობლისა და შვილის ურთიერთობის გაღრმავებას. შეიძლება იყოს გარკვეული ბარიერები, მაგრამ ეს უფრო გააღრმავებს ურთიერთობას“...

10-12 წლის ასაკში, მომწიფების დასაწყისშივე მშობელი წინასწარ, სანამ ბავშვს შეკითხვები გაუჩნდება, უნდა ესაუბროს მას ამ ასაკის თავისებურებების შესახებ.

„უნდა აუხსნას, რომ შენ შედიხარ სიმწიფის ასაკში... როცა მომწიფდები, შენი ფუნქია იქნება, რომ უნდა გახდე ქმარი/ცოლი. ყველაფერს ერთად არ აუხსნი, ვერც გაიგებს, რაც არ უნდა გენიოსი იყოს... ადამიანს მაღალ მთაზე თუ აიყვან ნელ-ნელა, ის ქოშინს არ დაიწყებს. ნელ-ნელა და სწორი ფორმით უნდა აუხსნა“...

მაგრამ რესპონდენტი ხედავს მშობლის განათლებასთან, მწეობრიობასთან, აღზრდაში მის ჩართულობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც.

„მშობელი როგორ უნდა გაიზარდოს? (იცინის) რადაცით უნდა დავიწყოთ, რადაც უნდა მოხდეს“...

მშობელთა განათლების ერთ-ერთ წყაროდ ეკლესიას, ტაძრებთან არსებულ საკვირაო სკოლებს, ტაძრებში სამოძღვრო დარიგებებს განიხილავს.

რით უნდა ისწავლებოდეს

რესპონდენტთა აზრით, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სქესობრივი განათლების დანერგვა სკოლაში, უნდა შეიქმნას ადეკვატური სახელმძღვანელოები, რასაც ძალიან დიდი რესურსი სჭირდება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია როგორც ექსპერტთა ჩართულობა, ასევე ემპირიული კვლევა – სასწავლო პროგრამის და შესაბამისი სახელმძღვანელოების (თუ სხვა რესურსების) პილოტირება.

„პილოტირებაში საუკეთესო მასწავლებლები უნდა მონაწილეობდნენ, რომ მათი მოსაზრებები და შესწორებები იქნას გათვალისწინებული და ამის მიხედვით შევიდეს ცვლილებები პროგრამაშიც და სხვა მასწავლებლების მომზადების პროცესშიც“...

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოსა თუ სხვა რესურსების შექმნა რესპონდენტებისთვის აუცილებლობით არ უკავშირდება სწავლების ფორმატს (არ გულისხმობს ცალკე საგნის შემოტანას). ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, შესაძლებელია ბიოლოგიის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ერთი თუ ორი თავი რეპროდუქციული სისტემის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ შეივსოს დამატებითი ინფორმაციით.

რა ასაკში უნდა ისწავლებოდეს

რესპონდენტებისთვის ძნელი დასასახელებელია ბავშვის ასაკი, რომლიდანაც უნდა დაიწყო სქესობრივი განათლება. სწავლება უნდა მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალური მზაობის შეფასების შემდეგ. უნდა ასწავლონ მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებიც მზად არიან ამისთვის. მოზარდები სრულიად სხვადასხვაგვარად რეაგირებენ მოვლენებზე და, შესაბამისად, სქესობრივი ურთიერთობების თემაზე საუბრის მზაობაც განსხვავებული აქვთ. ამის გათვალისწინება აუცილებელია. სწავლება უნდა დაიწყოს ძალიან ფრთხილად, მოზომილად, ბავშვის კონტექსტის გათვალისწინებით. აუცილებელია მიმდინარეობის მონიტორინგი, თუ რა შედეგები მოჰყვება პროცესს.

დაახლოებით 8-12 წლის ასაკიდან ბავშვს უჩნდება პირველი შეკითხვები ამ თემასთან დაკავშირებით, მაგალითად, საიდან გაჩნდა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ღირებულებებზე საუბარი – სიყვარულის, ოჯახის, როგორც ღირებულების აღქმა.

„როცა ბავშვი ოჯახში სიყვარულის გარემოს ხედავს, იგებს, რომ ამ სიყვარულის ნაყოფია. ეს მისთვის საკმარისია“...

12-13 წლის ასაკიდან ბიოლოგიური მომწიფების პერიოდი იწყება და მნიშვნელოვანია, ამ პროცესს პარალელურად გასდევდეს ბავშვის სწორად ინფორმირება მის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების, ჰიგიენის, ჯანმრთელობის საკითხების და ა. შ. შესახებ.

რა ფორმით უნდა ისწავლებოდეს

სწავლების ფორმასთან დაკავშირებით რესპონდენტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი რესპონდენტისთვის სქესობრივი განათლების მიღების ძირითადი კერა არის ოჯახი, შესაბამისად, ცალკე საგნად სქესობრივი განათლების შემოტანის წინააღმდეგია.

სქესობრივი განათლების მიღების პროცესს ფორმალური გაკვეთილის ფორმატში ვერ ხედავენ ვერც დანარჩენი რესპონდენტები. მათთვის უფრო მისაღებია, ამ პროცესს კონსულტაციის ხასიათი ჰქონდეს, წარიმართოს როგორც ინდივიდუალური (სურვილის შემთხვევაში, ჯგუფური) საუბარი მოზარდსა და პროფესიონალს შორის, მოზარდის საჭიროებებისა და ინტერესების, მისი კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა, ფორმატის, ისევე, როგორც სწავლების სხვა ასპექტების შესახებ გადაწყვეტილება პროფესიონალთა მიერ უნდა იქნას მიღებული.

სქესობრივ განათლებაში მშობლების ჩართულობა

გარდა იმისა, რომ ბავშვისთვის სქესობრივი განათლების მიცემას ერთ-ერთი რესპონდენტი მშობლების პრეროგატივად განიხილავს, მშობლების ჩართულობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სხვა რესპონდენტებიც აღნიშნავენ. ისინი გულისტკივილს გამოთქვამენ თანამედროვე ვითარების გამო, რომელიც იძულებითად მინიმუმამდე ამცირებს ბავშვებსა და მშობლებს შორის კომუნიკაციას.

„კომუნიკაცია აღარ არსებობს ფაქტიურად“...

„ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მორიდებულობა. თუმცა, საჭირო დროს შეიძლება ბავშვმა მიმართოს მშობელს, თუკი მისგან ხედავს ამის მზაობას“...

ჩვენი კვლევის მნიშვნელობა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამივე რესპონდენტი მიესალმება სქესობრივი განათლების საკითხებთან დაკავშირებით წარმოებულ კვლევებს.

„ჩვენ მაინც უნდა ვიპრობოთ. მხოლოდ თქვა, რომ რა გვეშველება, ამდენი უცოდინარია, საქმეს არ უშველის“...

მათ აქვთ კონკრეტული რეკომენდაციებიც სამომავლო კვლევებისთვის, კერძოდ, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოების განწყობების შედარება რეგიონსა და ქალაქს შორის; გამოხატავენ ინტერესს კვლევის შედეგების მიმართ.

„როდესაც დაასრულებთ და შეაჯამებთ ამას, კარგი იქნება, თუ წარმოადგენთ საპატრიარქოს განათლების ცენტრში (განყოფილებას ახლა ასე ჰქვია)... თქვენგან რეალური სურათი უნდა დაიდოს, კარგი იქნება, ამას თუ გააკეთებთ“...

რესპონდენტები იმედოვნებენ, რომ მათში ჩვენი კულტურისთვის რელევანტური ფორმით სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართულების იდეტიფიცირება იქნება შესაძლებელი.

11. სქესობრივი განათლება ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის პერსპექტივიდან

ინფორმირებულობა

სქესობრივი განათლებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ეთნიკური აზერბაიჯანელების ინფორმირებულობა საკმაოდ დაბალია და ესეც მათი ტრადიციის ნაწილია – ყოფითი, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებაც კი იშვიათად ხდება, არა თუ სანდო ინფორმაციის მოძიება ან მიღება.

„მე ყოველთვის ვცდილობ, რომ შვილებთან მქონდეს რეპუტაცია და მე მათთვის ავტორიტეტი ვიყო. ვფიქრობ, რომ ჩემს მხრიდან მათთან ასეთი საუბარი სრულიად მიუღებელია რადგან ის ფარდა ჩვენს ურთიერთობაში აღარ დარჩება. ბავშვები იფიქრებენ, რომ მე სერიოზული არ ვარ და აწი რაც უნდა გააკეთებენ ჩემთან. მე არ მინდა ასეთი სიტუაციის შექმნა. დრო მოვა და ისწავლიან ყველაფერს.“

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მიღების ძირითადი და, რიგ შემთხვევაში ერთადერთი გზა ინტერნეტი. ოჯახში მსგავსი ინფორმაციის გაცვლა, მოზარდებისათვის მიწოდება არ ხდება და ხშირად მიუღებლად ითვლება. სკოლა არსებული დამოკიდებულებების გათვალისწინებით აწვდის მწირ ინფორმაციას მოზარდებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად მოზარდები აცნობიერებენ ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციის არაკვალიფიციურობას და ზოგჯერ ცდილობენ მიღებული ინფორმაცია ასევე ელექტრონულად, უკვე ექიმების ინტერვიუებით, სპეციალისტების მოსაზრებებით გადაამოწმონ. ფაქტია ისიც, რომ ახალგაზრდების ის ნაწილი, რომლებიც მსგავს ან დაკავშირებულ თემაზე ტრენინგებზე ესწრებოდნენ, აღიარებენ ასეთი ღონისძიებების ეფექტურობას უშუალოდ მათი ინფორმირებულობის საკითხში.

სკოლა, როგორც აღინიშნა, ამ მხრივ საკმაოდ შეზღუდულია და მთლიანად დამოკიდებულია კონკრეტული პედაგოგის ძალისხმევაზე, რომელიც, მეტწილად ინდივიდუალურ მიდგომასს და მხოლოდ შერჩეულ თემებზე საუბარს გულისხმობს; რაც შეეხება ინფორმაციის არქონით გამომწვეულ შემთხვევებს (ადრეული სქესობრივი კავშირი, აბორტები, ნაადრევი ქორწინება), ზრდასრულთა დამოკიდებულება ამგვარია - „ნაადრევი ქორწინება ტრადიციას და ნორმას, სხვა ურიგო“ (სქესობრივი ცხოვრება ადრეულ ასაკში, ფეხმძიმობა, დაავადებები და ა.შ.) კი მათთან არაფერი ხდება, მათი აზრით ასეთი სახის პრობლემები მათ თემში არ არსებობს.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში ისაუბრა მშობელმა შვილთან საუბრის საჭიროებაზე, ეს საუბარი საკმაოდ რთულ, უხერხულ პროცესად დაახასიათა და აღნიშნა, რომ მასაც, თავის მხრივ, ექიმთან კონსულტაცია დასჭირდა, რადგან არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა.

„მე თავიდან არც ვფიქრობდი, რომ საუბარი საჭიროა ამაზე. პირიქით ამ საკითხზე ჩაკეტილობა უფრო კარგი მეგონა. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მე თვითონაც მომიწევდა შვილთან საუბარი, მითუმეტეს ბიჭთან. თუმცა დაემართა ჩემს შვილს რაღაც და მომიწია ინფორმაციის მოძიება და საუბარი. მე მართალი რომ გითხრათ ამაზე არც მიფიქრია.“

დამოკიდებულებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სქესობრივი განათლების საჭიროების მიმართ ღიაობა და მზაობა ახალგაზრდებსა და მოსწავლეებში არსებობს - ისინი ითხოვენ საგნის კვალიფიციურად სწავლებას, სხვა, დამატებითი აქტივობების, პროექტების საჭიროებასაც ხედავენ. მიიჩნევენ, რომ საჭიროა პედაგოგების მომზადებაც, შესაბამისი რესურსები, თუმცა აღნიშნავენ თემში არსებულ დამოკიდებულებებსაც და აღიარებენ, რომ საგნის სწავლების დანერგვა სრულფასოვნად სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

საგნის სწავლებას თუ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს თვალშისაცემად ნაკლები მხარდაჭრა აქვს მშობლებშიც, გაცილებით გავრცელებულია ნეგატიური დამოკიდებულება და პოზიცია, რომ მსგავსი საკითხების სწავლება შეუთავსებელია მათ კულტურასთან და ტრადიციებთან, გარდა ამისა, ვერც ასეთი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღების საჭიროებას ხედავენ.

„ეს მიუღებელია. სკოლაში სექსუალობა როგორ უნდა ასწავლონ არ მესმის. რაც არ უნდა იყოს და ამას განათლებას არქმევთ თუ სხვა რამეს, ეს მიუღებელია. მე არ შევუშვებ ჩემს შვილს იმ გაკვეთილზე. შიში ის მაქვს, რომ სკოლა ის ადგილი არაა, რომ იქ სექსუალობა ისწავლოს. სხვა ათასი მნიშვნელოვანი საგანია, ის ასწავლონ, რა დროს სექსუალობა ხალხი გაუნათლებელია, ჩვენ კიდე სექსუალობას ვასწავლით“

კვლევის მონაწილეთა ის ნაწილი, რომელიც შედარებით პოზიტიურადაა განწყობილი და აცნობიერებს რეპროდუქციული თუ სქესობრივი განათლების აუცილებლობას, მაქსიმალურად ფრთხილია და ერიდება მოსაზრებების მკაფიოდ გამოთქმას. პედაგოგები სქესობრივი

განათლების საჭიროებას აღიარებენ, თუმცა აუცილებლობად მიიჩნევენ მათი თემის მოთხოვნებისა და ტრადიციების გათვალისწინებით სწავლებას.

გამოწვევები

მთავარ გამოწვევად ტრადიციებითა და რელიგიური ფაქტორებით განპირობებული წინააღმდეგობები გამოიკვეთა. ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, კულტურული, რელიგიური სპეციფიკა ძალიან დიდ როლს თამაშობს საგნის მიმართ დამოკიდებულებაზე, მშობლების განწყობაზე. არსებული მენტალიტეტი და ტრადიციები, შემორჩენილი საბჭოთა აზროვნება და დამოკიდებულებები მშობლებში და საზოგადოებაში პედაგოგებისათვის დიდი გამოწვევაა და ძალიან უჭირთ ამ ფაქტორების გამო საგნის საჭიროებისამებრ სწავლება, მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებენ, რომ მოზარდებს ამ საკითხების შესახებ ინფორმაცია სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის (მშობლების, პედაგოგების) ნაწილი აცნობიერებს ასევე ტრადიციებით განპირობებული ნაადრევი ქორწინების ზიანს, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება არ იკვეთება და რიგ შემთხვევაში ამ ტრადიციის „გარყვნილებისგან“ დაცვის მექანიზმად მოწოდება ხდება. სკოლა კი პრაქტიკულად უძლურია შეცვალოს ეს დამოკიდებულება. ხარისხიანი სქესობრივი განათლების გავლენის შესახებ ნაადრევი ქორწინებაზე, აბორტებზე, დაავადებებზე ვერაფერს ამბობენ – არ აქვთ მოსაზრება, თუ რას შეცვლიდა ეს ამ კუთხით, მიიჩნევენ, რომ მათ თემში ასეთი პრობლემები არ არსებობს.

მშობლების დამოკიდებულებები გაიყო სკოლის როლთან დაკავშირებითაც – ერთი მხრივ, გამოითქვა მოსაზრება, რომ სკოლა უბრალოდ ვერ ახერხებს ამ საგნის სწავლებას და არც ამის რესურსი და შესაძლებლობაა, მეორე მხრივ კი აღინიშნა, რომ სკოლას ამასთან არაფერი ესაქმება.

ყველაზე ღია ასაკობრივი ჯგუფი, ახალგაზრდებიც კი მიიჩნევენ, რომ გოგონებისა და ბიჭების ამ გაკვეთილებზე ერთად დასწრება შეუძლებელია და ამას უხერხულობით და ტრადიციებით განმარტავენ. ახალგაზრდების მხრიდან ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა ერთი მხრივ, საგნის სწავლების აუცილებლობა და საჭიროება, მეორე მხრივ ის რეალობა, რომელიც არსებობს სკოლებში – მოზრდები მასწავლებლებისგან ვერ იღებენ საჭირო ინფორმაციას და მეტიც – ისინი აშკარად უსვამენ ხაზს, რომ სწორედ პედაგოგები არიან ამ თემაზე საუბრის მოწინააღმდეგეები და ცდილობენ, საჭიროების შემთხვევაში, განმარტება კი არა, აკრძალვა გამოიყენონ მიდგომად.

მონაწილეები განსაკუთრებით აღნიშნავენ არასაკმარისი რესურსის პრობლემას.

„არ არსებობს დამხმარე მასალები – თვალსაჩინოებები, ლიტერატურა და ა.შ.“; „არ ტარდება ტრენინგები“.

„რესურსები პრაქტიკულად არ არსებობს – არ არის კვალიფიციური სახელმძღვანელო (არსებულ სახელმძღვანელოში მასალა ძალიან მწირია)“

სქესობრივი განათლებისა და ჯანმრთელობის მიმართულებით სკოლა პროექტების თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზებას ნამდვილად ვერ ახერხებს, ყველაფერი მხოლოდ მასწავლებელზეა დამოკიდებული;

სქესობრივი განათლების, ცნობიერების ამაღლების შესახებ ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულება გამოიხატა; ტრადიციებით გამყარებული მიდგომების საჭიროებაც აღინიშნა ერთი მონაწილის მიერ. ანალოგიური იყო პოზიცია ზრდასრულთა სქესობრივი განათლების შესახებ, მხოლოდ ერთმა მონაწილემ აღიარა, რომ სჭირდება ასეთი ინფორმაცია, თუმცა უხერხულად მიიჩნია ასეთ აქტივობაში ჩართვა.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები ძირითადად პედაგოგთა კვალიფიკაციის ზრდას, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საჭიროებასა და რესურსების ხელმისაწვდომობას შეეხო. ეთნიკური აზრებაიჯანელები (მშობლები და პედაგოგები, ასევე, მოზარდები) სქესობრივი განათლების სკოლის სივრცეში მიღების თანმდევ პრობლემად „დიდ უხერხულობას“ ასახელებენ, შესაბამისად, სქესობრივი განათლების საკითხებზე მსჯელობისას, მიზანშეწონილად მიიჩნევენ გაკვეთილზე სქესის მიხედვით მოსაწავლეთა დაყოფას.

- სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის ერთ-ერთ სტრატეგიად საათების რაოდენობის გაზრდა დასახელდა – ამ რეკომენდაციას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები გოგოებისა და ბიჭებისათვის გაკვეთილის განცალკევებით ჩატარების აუცილებლობით ხსნიან;
- პედაგოგთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;
- სასწავლო რესურსების მიწოდება სკოლებისთვის – მეტი ინფორმაცია სახელმძღვანელოებში, დამხმარე მასალები, დამატებითი ლიტერატურა
- სკოლაში ფსიქოლოგის არსებობა
- ახალი კადრების მომზადება სქესობრივი განათლების მიმართულებით
- ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა - ტრენინგების ჩატარება მშობლებისათვის, ახალგაზრდებისათვის სქესობრივი განათლების, ნაადრევი ქორწილების საკითხებზე
- პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, ტრენინგები.

- ფსიქოლოგიის არსებობა სკოლაში, რომ მშობლებთან და მოზარდთან ურთიერთობა სწორად წარიმართოს კონკრეტული პრობლემის გაჩენის შემთხვევაში.
- თვალსაჩინო მასალები დამხმარე რესურსები.
- საათების გაზრდა, რათა შესაძლებელი იყოს გოგონებისა და ბიჭებისათვის გაკვეთილის ცალ-ცალკე ჩატარება.
- მოზარდებისა და მათი მშობლებისათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებების მოწყობა (ტრენინგები, შეხვედრები და ა.შ.).
- ახალი, ბევრად უკეთ მომზადებული კადრების საჭიროება – ასეთი მხარდაჭრის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდებას მაქსიმალურად სწორად, ბავშვის ასაკის, მისი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით შეძლებენ და თავიდან აიცილებენ ორამროვნებასა და მიწოდებული ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას.
- მიზანშეწონილი იქნება დამატებითი საათების გამოყოფა ამ საგნისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ბიჭებთან და გოგონებთან ცალ-ცალკე მუშაობა – ეს აუცილებელია კონკრეტული ეთნიკური (აზრებაიჭანელი) ჯგუფის ადამ-წესებიდან გამომდინარე, თავად პედაგოგებსაც დაუშვებლად მიაჩნიათ ამ საკითხებზე გოგონებთან და ბიჭებთან ერთად საუბარი.
- ზოგადად, ადრეული ქორწინების თემაზე მშობლებთანაც ტარდება ტრენინგები, ასევე, აუცილებელია მეტი ძალისხმევა საზოგადოების, მშობლების განათლების მიზნითაც და სკოლებში ფსიქოლოგიის ჩართულობა.

12. სამოქალაქო სექტორი: ადვოკატირება და წინააღმდეგობები

ინფორმირებულობა

სქესობრივი განათლების რაობის, მისი მიზნებისა და შინაარსის შესახებ რესპონდენტების უმრავლესობის ინფორმირებულობა მაღალია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კვლევისთვის შეირჩნენ ის რესპონდენტები, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის, ახალგაზრდობის ან სხვა მომიჯნავე სოციალურ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება. უფრო მეტიც, ზოგიერთი მონაწილე სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის ადვოკატირებაზე მუშაობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმირებულობა მაღალია იმ რესპონდენტთანაც, რომელიც რელიგიურ-კონსერვატიულად ორიენტირებულ ჯგუფს წარმოადგენს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება სქესობრივი განათლების შემოტანას ფორმალურ განათლებაში. ის იცნობს განათლების სამინისტროს ინიციატივებს და აქვს სპეციფიკური შეხედულება, ზოგადად, სკოლისა და განათლების პოლიტიკის შესახებ. მისი აზრით, სკოლა არის მძლავრი იდეოლოგიური იარაღი, რომლის გამოყენებას ცდილობს ყველა პოლიტიკური თუ რელიგიური ძალა. შესაბამისად, ის დიდი საფრთხის შემცველია, რადგან დეკლარირებული დემოკრატიული ღირებულებების მიუხედავად, ამ ძალაუფლების მფლობელი არ სცემს პატივს განსხვავებული პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის წარმომადგენლებს და ავიწროებს მათ.

„ზოგადად მე აზრი მაქვს, რომ სკოლა კაი ცხოვრებისგან არ არის შექმნილი. სკოლა არის იმის გამო, რომ მშობლები ვერ ზრდიან ბავშვებს კარგად... სკოლა იმხელა იდეოლოგიური იარაღია, რომ მის გამოყენებას ცდილობს ნებისმიერი ძალა... ლიბერალური თავისკენ ექაჩება, რუსული პროპაგანდა თავისკენ... ყველა ექაჩება თავისკენ... საგაღდეგლო არ უნდა იყოს სკოლა“...

სკოლის, როგორც იდეოლოგიური იარაღის განხილვას, მივყავართ მისი აღმზრდელობითი ფუნქციის სპეციფიკურ შეფასებამდე. რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფებისთვის მისაღები და, შეიძლება ითქვას, სასურველიც იქნება, სკოლას ჰქონდეს მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი ფუნქცია იმ შემთხვევაში, თუკი მისი მიზანი იქნება არა ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებების მქონე ადამიანის აღზრდა, არამედ ჰარმონიული პიროვნებისა, რაც გულისხმობს ზნეობრივ, ქრისტიან ადამიანს.

„ჰარმონიულ ადამიანში თუ ჩვენ ვგულისხმობთ სინდისისგან თავისუფალ ადამიანს, მორალისგან და ზნეობისგან... ამის სწავლება, რა თქმა უნდა, არაა მისაღები... მე ვხედავ, რომ ჩვენი

განათლების სისტემა მიერთებულია მსოფლიოს, მაგ რელსზე დგას... თორემ აღზრდა რომ გადაწყვიტო ბავშვის, უკვე დადებითია, მთავარია როგორ აღზრდას გადაწყვიტავ! ... ზოგ კულტურაში ქალს რომ უნდა დაუთმოს კაცმა, ითვლება სექსიზმად და ეგ თუ უნდა ასწავლოს, მაგას ჯობია, საერთოდ არ ელაპარაკოს... თუ არასწორს ასწავლი და არასწორ მიმართულებას მისცემ, ჯობია რომ არ ასწავლო საერთოდ... სუსტები ვართ ეროვნული ღირებულებების მხრივ... ჩვენი სკოლა უფრო საშიშროებას წარმოადგენს, სამწუხაროდ... ჩემი იდეოლოგიის ადამიანი რომ იყოს განათლების დამგვემავი ქვეყანაში, მაშინ, პირიქით, გამიხარდებოდა სკოლის გაძლიერება“...

რესპონდენტი თვალ-ყურს ადევნებს სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესს და ცდილობს, მოიძიოს ინფორმაცია საერთაშორისო გამოცდილების შესახებაც. მისი თქმით, საქართველოში რეფორმები ნებისმიერი მიმართულებით და, მათ შორის, განათლების პოლიტიკის მიმართულებითაც ინერგება წინასწარ დადგენილი „გაიდლაინების“ მიხედვით, რისი საფუძველიც არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს მონაწილეობაა. ისტორიულად პროცესი ასევე მიმდინარეობდა ევროპის ქვეყნებში, სადაც, რესპონდენტის აზრით, სქესობრივი განათლების დანერგვამ ზიანის მეტი არაფერი მოიტანა.

„ევროპაც ქრისტიანული კულტურა იყო და იქ რომ დაინერგა, არც იმ კულტურისთვის იყო ნორმალური, რომ მასწავლებელს და მშობელს ბავშვთან სექსზე ელაპარაკა... არ მგონია, იქაც რეფერენდუმები ჩატარებინათ ხალხთან და ისე შესულიყვნენ... იქაც შევიდა ხან მოტყუებით, ხან ძალით... და ჩვენთანაც იგივე ხდება... ჩვენი კულტურისთვის ისე ჩანს, რომ გინდა თუ არ გინდა, ბავშვს უნდა ელაპარაკოთ სექსზე... და ეხლა თქვენ მოიფიქრეთ, ამას სკოლაში გააკეთებთ, სახლში გააკეთებთ თუ სხვაგანო“...

ინფორმირებულობის საკითხი მხოლოდ ორი რესპონდენტის შემთხვევაში დგება, რომლებიც, მართალია, ახალგაზრდებთან მუშაობენ, მაგრამ (მიუხედავად საჭიროებისა) არ იცნობენ სქესობრივი განათლების მიზნებსა და შინაარსებს, მეტიც, ერთ-ერთ რესპონდენტს სრულიად დამახინჯებული წარმოდგენა აქვს სქესობრივი განათლების შინაარსების შესახებ.

„(მოსწავლე) ასეთ გაკვეთილებს იყენებს ან სამეცადინოდ ან სალაზღანდაროდ, არ ვიცი.... და კიდევ ერთი ლაზღანდარობა არ სჭირდება სკოლას დაემატოს, სადაც, ვთქვათ, იქნება ლაპარაკი სექსზე და სექსუალურ პოზებზე და სცენებზე“...

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რესპონდენტთა უმრავლესობის ინფორმირებულობისა სქესობრივი განათლების მიზნებისა და შინაარსების შესახებ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში არ იცნობენ თავიანთი კოლეგების ინიციატივებს სქესობრივი განათლების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, ასევე, ნაკლებად იცნობენ განათლების სამინისტროს ხედვას სქესობრივი განათლების დანერგვის შესახებ.

რესპონდენტთა უმრავლესობას, პროფესიული საქმიანობის კონტექსტში, აქვს კომუნიკაცია ახალგაზრდებთან, რის საფუძველზეც ისინი სქესობრივი განათლების საკითხებში ახალგაზრდების არაინფორმირებულობის შესახებ საუბრობენ. მაგალითად, საპატრიარქოს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრს ხშირად მიმართავენ მოზარდები ინფორმაციის მოპოვებისა თუ კონსულტაციის მიზნით, ასევე, სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკმაოდ მწვავე პრობლემებითაც.

„ელემენტარული ცოდნა არ აქვთ, ვგიჟდები, ან დედა არ ჰყავთ, ან ვინმე?!“...

შესაბამისად, ისინი ფორმალური განათლების ფარგლებში მოსწავლეთათვის სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ელემენტარული ცოდნის მიწოდების აუცილებლობას ხედავენ.

სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული პროექტები და ინიციატივები

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების უმრავლესობა სქესობრივი განათლების ადვოკატირების მიმართულებით მუშაობს. სქესობრივი განათლების ხელშესაწყობად ისინი მრავალფეროვან პროექტებს ახორციელებენ, როგორებიცაა კვლევა (რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომლებიც სქესობრივ განათლებას მიემართება), ტრენინგების, შეხვედრებისა თუ ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება არაფორმალური განათლების ფარგლებში, თანამშრომლობა განათლების სამინისტროსა და მასთან ასოცირებულ საჯარო ინსტიტუციებთან (მაგალითად, მასწავლებლის სახლთან, ახალგაზრდობის სააგენტოსთან) თუ სხვა.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 2018 წელს ჩატარებული კვლევა (სახალხო დამცველის აპარატი; www.ombudsman.ge, 2019) ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და სქესობრივი განათლების მისაღებად მათი მზაობის შესახებ. კვლევის შედეგების თანახმად, ვითარება ახალგაზრდების ინფორმირებულობის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, საგალალოა.

„ბევრმა არ იცოდა სიტყვა „კონტრაცეფციის“ მნიშვნელობა... ექსპერტს უწევდა ისეთი სიტყვების განმარტება, რასაც ვერ წარმოვიდგენდით რომ განსამარტი იყო... ვერ ვიტყვი, რომ არ ველოდებოდით ამ შედეგებს, თუმცა იმაზე მძიმე შედეგები მივიღეთ, რაც წარმოგვედგინა“...

სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სქესობრივი განათლების ხელშეწყობ მნიშვნელოვან მიმართულებად არაფორმალურ განათლებას მიიჩნევენ. ორგანიზაციებს ახალგაზრდული ბანაკებისა თუ ტრენინგების ორგანიზების დიდი გამოცდილება აქვთ. ეს ფორმატი განსაკუთრებით ნაყოფიერია ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ჰიგიენის, ასევე, ძალადობის, ნარკომანიის პრევენციის და სხვა საკითხებში ახალგაზრდების მიერ ცოდნის შესაძენად. არაფორმალური განათლების ღონისძიებებს ორგანიზაციები მთავრობასთან, განათლების სამინისტროსთან, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებენ. ამ ღონისძიებათა ფარგლებში შესაძლებელია ახალგაზრდათა ძალიან დიდი რაოდენობის ინფორმირება.

„70000-მდე ახალგაზრდას შევხვდით ახალგაზრდული ბანაკების ფარგლებში, ძირითადად, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას ვეწეოდით“...

მათი შეფასებით, არაფორმალური განათლების ღონისძიებათა/აქტივობათა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ახალგაზრდული საკონსულტაციო ცენტრების შექმნის პრაქტიკა, რომლებშიც ახალგაზრდებს მედიცინის გადამზადებული სტუდენტებისგან კვალიფიციური ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმის შესახებ, თუ რომელი ორგანიზაცია მუშაობს სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებულ, მათთვის საინტერესო ამა თუ იმ საკითხზე.

არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილის საქმიანობა ციფრული კონტენტის – ვიდეოების, გრაფიკების – შექმნასა და სოციალური მედით ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს.

„ვცდილობთ, რომ ყველა საკითხს ერთნაირი ყურადღება დავუთმოთ, განსაკუთრებით იმ თემებს, რომლებიც ჯანმრთელობის რისკების შემცველია“...

მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა სკოლის გარდა სხვა სივრცის საშუალებით და განსხვავებული ფორმით – „არადიდაქტიკურად“ – მიიღონ ინფორმაცია.

„თვითონ რომ დაგუგლავენ და დახვდებათ ეს ინფორმაცია, ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია“...

სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, ინფორმაცია შინაარსობრივად, ენობრივად და ტექნიკურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის.

„ვცდილობთ, რომ მარტივი ენით იყოს შექმნილი კონტენტი, მაგალითად, რომ არ იციან კონტრაცეფცია, ვცდილობთ განვმარტოთ ხოლმე, სადაც გვაქვს ამის საშუალება... ჩვენ ვცდილობთ, მაგალითად, დავანახოთ ბიჭებს, რატომ არის

მნიშვნელოვანი, რომ მენსტრუაციაზე ინფორმაცია ჰქონდეთ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არასდროს არ ექნებათ“...

სამოქალაქო სექტორის მუშაობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა სქესობრივი განათლების ხელშეწყობა ფორმალური განათლების გზით. შესაბამისად, ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს სკოლა, მასწავლებლები, მშობლები თუ სხვა დაინტერესებული ჯგუფები. მათ აქვთ მნიშვნელოვანი ინიციატივები როგორც განათლების პოლიტიკის, ისე პრაქტიკის მიმართულებით. მაგალითად, აღსანიშნავია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად იუნესკოს სტანდარტების ადაპტირება.

„უკვე მოხერხდა სამი დამოუკიდებელი სტანდარტის შემუშავება, როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებლისთვის, ასევე ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების პედაგოგებისთვის. ბუნებისმეტყველებაში, ძირითადად, საგნის – მე და სამოგადოება – ფარგლებში გაგაკეთეთ სტანდარტის ადაპტირება... თუმცა ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, რამდენად იქნება ეს ყველაფერი მიღებული და გაზიარებული“...

არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები საუბრობენ სქესობრივი განათლებისთვის სასწავლო რესურსების შექმნის მნიშვნელობაზე. ზოგიერთი მათგანის ინდივიდუალური ინიციატივა იყო სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით თანასწორთა სახელმძღვანელოს შექმნა²⁶, რომლის გავრცელება შესაძლებელია, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.

„ავიღეთ პერსონალური ინფორმაციის დაცვა, როგორც სექსუალური და რეპროდუქციული უფლება და ავიღეთ ადვოკატირება ვირტუალურ თუ არავირტუალურ სივრცეში ამ საკითხების... მიუხედავად იმისა, რომ ეს არის, ძირითადად, ახალგაზრდული მუშაკებისა და თანატოლ განმანათლებლებისთვის, ესეც შეიძლება იყოს ერთ-ერთი რესურსი“...

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ხედავენ სქესობრივი განათლების საკითხებში მშობელთა, მასწავლებელთა, დამრიგებელთა ინფორმირებულობის კრიტიკულ მნიშვნელობას. შესაბამისად, აქვთ საინტერესო ინიციატივები ამ მიმართულებით – შექმნილი აქვთ მობილური აპლიკაციები მშობლებისთვის (FORPARENTS.GE) და მასწავლებლებისთვის (FORTEACHERS.GE). ამ აპლიკაციების საშუალებით მათ შეუძლიათ მიაწოდონ ბავშვებს

²⁶ ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ (სიდა) „თანასწორთა განათლების ტრენინგის სახელმძღვანელო“

ასაკობრივად რელევანტური, კვალიფიციური ინფორმაცია ჯანსაღი ცხოვრების წესის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აპლიკაციებს ჰყავს ორი ათეული ათასი უნიკალური მნახველი, მათ, სამწუხაროდ, არ იცნობენ თავად არასამთავრობო სექტორის სხვა წარმომადგენლები.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია საერთაშორისო, ასევე სხვა ქვეყნების არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა ქალთა უფლებებსა, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

გემოთ აღწერილ აქტივობებს პოზიტიურად აფასებს ის რესპონდენტიც, რომელიც არ მუშაობს სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე. ის გულისტკივილს გამოთქვამს ამ აქტივობათა ფრაგმენტულობის გამო.

რადიკალურად განსხვავებულია იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივობები, რომლებიც პირობითად შეიძლება რელიგიურ-კონსერვატიულ ჯგუფს მივაკუთვნოთ. ისინი აქტიურად ცდილობენ, წინააღმდეგობა გაუწიონ ინიციატივებს, რომლებიც, მათი აზრით, საზიანოა ახალგაზრდებისთვის.

„ინიციატივებს, რომლებიც არის ბომბა ინიციატივა და არის ნაღმი ახალი თაობისთვის, იმ ინიციატივებს ვეწინააღმდეგებით... ტრანსგენდერის პლაკატები ჩამოვხსენით რომელიდაც სკოლაში, სადაც იყო ლაპარაკი დემოკრატიულობაზე, ლიბერალობაზე, განსხვავებულობაზე და ტრანსგენდერობაზე“...

დამოკიდებულება

სქესობრივი განათლების როლი და მნიშვნელობა - სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირების თანმდევი საფრთხეები/სარგებელი

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა უმრავლესობა სქესობრივი განათლების მნიშვნელოვნებას აღნიშნავს:

„გაუცნობიერებელი ცხოვრება ღუპავს ადამიანს“...

სქესობრივი განათლების უფლებას ადამიანის მნიშვნელოვან უფლებად განიხილავენ იმ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც მის ადვოკატირებას ეწევიან.

„ცხადია, ჩვენთვის უფლებრივი საკითხია“...

სქესობრივი განათლების მნიშვნელობასა და როლზე საუბრისას ისინი განსაკუთრებულ აქცენტს არაინფორმირებულობით გამოწვეულ სერიოზულ საფრთხეებსა და პრობლემებზე აკეთებენ.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემა არის არასასურველი ორსულობა ან არასასურველი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა, რა დროსაც ახალგაზრდები ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვან ფინანსურ თუ სოციალურ ბარიერებს აწყდებიან. ამ ბარიერების გამო ჩნდება რისკი, რომ ისინი ე. წ. მიწისქვეშა აბორტის სერვისის მიმართავენ, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. სქესობრივი ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის უქონლობა ზრდის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რისკებსაც. სქესობრივი განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტად ისინი მიიჩნევენ, პირადი სივრცის უფლების გაცნობიერებას ბავშვების (მოზარდების) მიერ. ამის გარეშე ჩნდება რისკი, რომ ბავშვი სხვადასხვა სახის, მაგალითად, პედოფილური ხასიათის ძალადობის მსხვერპლი გახდება.

„ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სქესობრივი განათლების - ეს არის პირადი სივრცის უფლების აღქმა. და ამ აღქმის და ცოდნის არქონას ვუკავშირებ მე, რომ, მაგალითად, ბავშვი შეიძლება პედოფილური ხასიათის ძალადობის მსხვერპლი იყოს თვეების განმავლობაში... და მან ვერ მოახდინოს ამის არტიკულირება, ან ვერ მიხვდეს, რა ხდება მის თავს, ან შერცხვეს, ან არ იცოდეს თუ რა გზებით შეიძლება თვის დაცვა, ვერ მიმართოს მშობელს თუ სამართალდამცავ უწყებებს... ვერ მოახდინოს თავისი უფლებების დაცვა... ეს არის ალბათ ის ბაზისური, რატომაც არის მნიშვნელოვანი სქესობრივი განათლება მოზარდებში კონკრეტულად“...

არაინფორმირებულობა და დამახინჯებული ინფორმაციის ქონა საზიანო პრაქტიკის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია. სქესობრივი განათლების მნიშვნელობასა და საჭიროებას სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა უმრავლესობა სწორედ ამ საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრის კონტექსტში ხედავს. საზიანო პრაქტიკებს შორის განსაკუთრებულად აღნიშნავენ ადრეულ ქორწინებას, არასრულწლოვანთა ორსულობას, სქესის შერჩევას გენდერული ნიშნით...

„კვლევებით დადასტურებულია, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია. ასევე კვლევებით დადასტურებულია, რომ სქესობრივი განათლება, ანუ სწორი ინფორმაციის მიწოდება ამ საკითხებზე არ იწვევს სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყებას, არამედ პირიქით, იზრდება პასუხისმგებლობის გრძნობა“...

თუმცა, კვლევაში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანები, რომლებსაც რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვთ. მათი აზრით, ლიბერალურმა ღირებულებებმა და განათლებამ დამღუპველი შედეგები მოიტანა. ასეთად ისინი განიხილავენ ერთნაირსქესიანთა

ქორწინების, მათ მიერ ბავშვის შვილად აყვანის, სუროგაციის და ა.შ. საკითხებს. ერთ-ერთი რესპონდენტი ყოველივეს სექსუალურ რევოლუციას უკავშირებს და ამ მოვლენის ფსიქოლოგიურ საფუძვლად ზიგმუნდ ფროიდის თეორიის არასწორ ინტერპრეტაციას თვლის. ასევე, პრობლემათა უმრავლესობის მიზეზად თავისუფლების არასწორ გაგებას ასახელებს.

„ქრისტიანულად თავისუფლება არის საკუთარი თავის ფლობის, საკუთარი არჩევანის უნარი... და არა ის, რომ მე კაიფში ვარ და რასაც მინდა, ვაკეთებ... თავისუფალი რომაა ადამიანი, ეგ არც ჩემი, არც თქვენი და არც ევროკავშირის დამსახურება არაა, არც ნატოსი, არც რუსეთის და თურქეთის... ეს არის ღმერთისგან მოცემული თავისუფალი ნება, რომელსაც ადამიანი იყენებს, რომ მიემსგავსოს ან ცხოველს, ან ავეჯს და ან ადამიანს... ადამიანი არის ღვთის ხატება... ამასაც არ ვიტყვი, კი ბატონო, თუ ვინმეს აღიზიანებს... მაგრამ ადამიანობაში იგულისხმება ნებელობითი ქცევის გააქტიურება, არჩევანი.... მოკლედ, აქ მთვარი პრობლემა არის ღირებულებებში და კოორდინატთა სისტემაში... შესაბამისად, ამან მოიტანა სწორედ ნაადრევი აბორტები და ყველაფერი... სქესობრივმა განათლებამ“...

რესპონდენტები საუბრობენ დღეს ახალგაზრდათა შორის ე. წ. ტრენდად ქცეული მოვლენის შესახებ, როგორც ისინი აღნიშნავენ, სწორედ სქესობრივმა განათლებამ, სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ლიბერალურმა მიდგომამ მოიტანა. ეს არის სქესობრივი ცხოვრების ადრეული ასაკიდან დაწყება, რასაც ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებისთვის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ზიანი მოაქვს.

„16 წლის არ შეიძლება იყო უკვე ქალიშვილი... და იქ რაღაცა აუცილებელი რიტუალებია ქალიშვილობის დაკარგვის და ა. შ. ოღონდ რატომ, ეს, რა თქმა უნდა, არავინ არ იცის... მაგრამ როგორც ტრადიცია, ისე შემოდის ესეც“...

ერთ-ერთი რესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცოდნის მიცემა ახალგაზრდებისთვის აუცილებელია და რომ შეუძლებელია, ვინმე იყოს ცოდნის წინააღმდეგი (მეორე რესპონდენტი სწორედ ამ პოზიციაზეა); მისი შეფასებით, პროცესში დიდი სიფრთხილეა საჭირო და აუცილებელია, მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. რესპონდენტის არგუმენტაცია ასეთია: 11-12 წლამდე, ლატენტური ფაზის განმავლობაში ბავშვს არ აქვს ინტერესი სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, ამიტომ თავს არ უნდა მოვახვიოთ არარელევანტური ინფორმაცია (მაგალითად, სექსუალური ორიენტაციის შესახებ). 11-12 წლიდან, როდესაც იწყება მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება, ძლიერდება ინტერესიც სქესობრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტისადმი. მოზარდმა არაერთი კრიზისი

უნდა დაძლიოს (კრიზისის მაგალითად რესონდენტს ონანიზმი მოყავს) და თუ ამ პროცესში პრობლემები შეექმნება, მას პროფესიონალის დახმარება დასჭირდება, რაც მასწავლებლის კომპეტენციის ფარგლებს სცდება. იმ ეტაპზე, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს გარდატეხის ასაკის თანმდევი (ჰორმონალური) ცვლილებები და ძლიერდება ინტერესი სქესობრივი ურთიერთობების მიმართულებით, სერიოზული საფრთხის შემცველია მოზარდისთვის სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება. მაგალითად, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ან არასასურველი ორსულობის პრევენციის საშუალებების შესახებ საუბარი მოზარდისთვის სქესობრივი ცხოვრების დაწყების მასტიმულირებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

„ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია ამ თემებზე საუბარი, ვთქვათ, ექიმისგან და არა სამოქალაქოს მასწავლებლისგან, რომელსაც საეჭვოა, რა ცოდნები აქვს ან კიდევ რეპუტაცია, იცით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ავტორიტეტია ეს ადამიანი თუ არა“...

„და უკვე მეც ვუწყებ, მასწავლებელი, ამაზე ლაპარაკს, რომ, აი, თავი უნდა დაიცვა... ის პულსაცია, რომელიც არის, ძლიერდება... და – აჰა, მე უკვე დიდი ვარ, მე უკვე ეს შემიძლია... - ქცევის განხორციელებასა და ქცევის დაშვებას შორის იდება ხიდად ეს სიტუაცია“...

„უხეში მაგალითებია, მაგრამ უნდა მოვიყვანოთ მაინც, რომ გოგონებს ასწავლიან იმიტირებულ ფალოსზე პრეზერვატივის ჩამოცმას... ან როგორ ამყარებენ კავშირს ჰომოსექსუალები... ეს ყველაფერი ბავშვზე ახდენს ძალიან ცუდ გავლენას. ეს იწვევს ინტერესს და პროვოცირებას იმ ვნებების, რაც ყველა ადამიანში არის რაღაც დონეზე“...

სქესობრივი განათლების საკითხებზე ღიად საუბრის კიდევ ერთ უარყოფით შედეგს ერთ-ერთი რესპონდენტი ბავშვში სირცხვილის გრძნობის გაქრობაში ხედავს. თანამედროვე (ლიბერალური) საზოგადოება სირცხვილს კომპლექსად განიხილავს, სინამდვილეში კი, რესპონდენტის აზრით, სირცხვილის გარეშე ასეთ ინტიმურ თემებზე საუბარი ადამიანის სულიერი ცხოვრების და პატიოსნების „დამანგრეველია“.

„როდესაც ბავშვს, ვითომ მეცნიერული საფარის ქვეშ, ესაუბრებიან ასეთ თემებზე და ეს არის ძალიან ინტიმური (ქართულ ენაში არ გვაქვს შესაბამისი სიტყვებიც კი), ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვობიდანვე ინგრევა სირცხვილის გრძნობა და

ბავშვში ხდება ამ ვნებების პროვოცირება ჰომოსექსუალობით დამთავრებული და ჰეტეროსექსუალობით დაწყებული“...

რელიგიურ-კონსერვატიული ორიენტაციის რესპონდენტების აზრით, სქესობრივ ცხოვრებაში რაიმე პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში ადამიანს შეუძლია მიმართოს ექიმს, გაუზიაროს პრობლემა მეგობარს. მაგრამ სრულიად ხელოვნური და არასწორი იქნება, თუკი მშობელი გადაწყვეტს, რომ როგორც კი მისი შვილი 16 წლის გახდება, მას სექსუალურ ცხოვრებაზე დაუწყოს საუბარი, ყველანაირი კონტექსტის გარეშე, მხოლოდ იმის გამო, რომ „ამის დრო მოვიდა“.

„ჩვენ უნდა შევთანხმდეთ რომ ამაზე ბავშვთან საუბრის საჭიროება არ არსებობს. რომ ამაზე ბავშვთან საუბარს დაზიანების მეტი არაფერი მოაქვს“...

რესპონდენტების აზრით, სქესობრივი განათლების საკითხებზე მოზარდებთან საუბრისას აქცენტი უნდა გაკეთდეს თავშეკავებაზე. ეს არის უნარი, რომელიც ადამიანს ცხოველისგან განასხვავებს. ადამიანისთვის, სამწუხაროდ, ბუნებრივია სხვადასხვა სექსუალური პარტნიორის ყოლა, ანუ, მორალური თვალსაზრისით – ღალატი. მაგრამ ახალგაზრდებს სწორედ იმის გაცნობიერებაში უნდა დაეხმაროს განათლება, რომ ეს მათთვისაა საშიანო, რომ ეს „დაუბრუნდებათ“ დაავადების ან სხვა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური (გადაუმუშავებელი ემოციის) პრობლემის სახით.

„ცხოველს არ შეუძლია თავი შეიკავოს და ვერც მოსთხოვ... ვერ ვიტყვით, რომ უსინდისოა ან მსგავსი ტერმინოლოგიით ვერ ვისაუბრებთ ცხოველებზე... ის ხომ არჩევანს ვერ აკეთებს... წესიერი ცხოვრება არის ყველაზე დიდი პრევენცია“...

„არ ხდება სწავლება ვნებების მართვის... მნეობა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს და არა სექსი. ეს ისედაც არის ადამიანის ინსტინქტი“...

რესპონდენტები აცნობიერებენ იმის აუცილებლობას, რომ მოზარდებში გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნილ შეკითხვებს უნდა გაეცეს კომპეტენტური პასუხი, მაგალითად, არატრადიციული ურთიერთობების შესახებ, თუმცა წინააღმდეგნი არიან სასწავლო რესურსებში (სასკოლო სახელმძღვანელოებში) ამ საკითხის აქცენტირებისა.

„კი ბატონო, არსებობს არატრადიციული ურთიერთობები, და თუ იკითხავენ, რა თქმა უნდა, უნდა უპასუხო, მაგრამ აუცილებლად ცალკე თავი, ცალკე პარაგრაფები და ცალკე წიგნი მაგას მიუძღვნა, არ მგონია იყოს სწორი“...

„მაგალითად, მე რომ მკითხოს ჩემმა შვილმა (8 წლის ხდება), როგორ ჩნდება ბავშვი, რატომ უნდა აღვუწერო სექსუალური აქტი? ჩვეულებრივად ვეტყვი, რომ კაცს და ქალს რომ უყვართ ერთმანეთი, ქმნიან ოჯახს და უჩნდებათ შვილი... თან აქ რაცაა მთავარი მომენტი, ჩემმა შვილებმა ეს ყველაფერი ისედაც იციან... და ეს ხდება ბუნებრივად, ყველა დროში... ამას ადამიანი იგებდა, ზოგი ოდნავ დიდი, ზოგი ოდნავ პატარა... რას ნიშნავს აქ პროფესიონალურად მიწოდება?!... ეს ის ხომ არაა – მათემატიკა... ეს ბუნებრივია, ინსტიქტის დონეზე... ღრმად გარღარწმუნებული, რომ სკოლაში გაკვეთილზე გამოვიდეს მასწავლებელი და პროექტორზე გაუშვას ან პლაკატი გამოფინოს სასქესო ორგანოსი... და ბავშვებს ელაპარაკოს, რომ ეს არის კაცის სასქესო ორგანო და ეს არის ქალის... და ამის სხვაობაზე ისაუბროს, ეს არის პროვოკაცია, თითქმის გამოწოვილი... ამის სწავლება არავის არ სჭირდება... ამას ადამიანი ისედაც იგებს“...

რესპონდენტები ხაზს უსვამენ მშობლისა და მასწავლებლის, როგორც მოდელის როლს მოზარდთა სქესობრივ განათლებაში. ერთ-ერთ რესპონდენტს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ანალოგია:

„ზოგი მშობელი ასწავლის გინებას ბავშვს... მაინც ისწავლის, და მე ვასწავლო... „მაინც ისწავლის“ – ნიშნავს, რომ მე გრამატიკულად განწყობილი გინება უნდა ვასწავლო?! ჩემი მაგალითით უნდა ვასწავლო იმას, რა არის სწორი... და რომ მაინც ისწავლის, მე ვიცი და თქვენც იცით და ყველამ იცის“

ერთ-ერთი რესპონდენტი ნარკოტიკებისა და აზარტული თამაშების მსგავსად, სქესობრივი განათლების პროცესშიც გარკვეული რეგულაციების დაწესების მომხრეა. თუკი სახელმწიფო ვერ ახერხებს მათ სრულად აკრძალვას, აუცილებელია ამ სფეროების რეგულირება. ასევე, ახალგაზრდებში მეორე ადამიანის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა.

„კარგი ბატონო, ბოლომდე აკრძალვა და ანათემას გადავცეთ-თქო, არ ვამბობ. რაღაც რეგულაციები ხომ არის?! რეალურად კარგავ და იღუპება ეს თაობები... იღუპება ნარკოტიკით, იღუპება აზარტული თამაშებით, იღუპება ... ასეთი ყალფე დამდგარი რომაა ყველა და ოჯახი უფრო მეტი რომ ინგრევა, ვიდრე იქმნება... სწორედ მაგის ბრალია, ამ „უგზოუკვლო“ განათლების, რომ შენ შენი უფლებები გაქვს, და მოვალეობებიც რომ გაქვს?!... და პასუხისმგებლობებიც?!“...

რესპონდენტის საუბრიდან აშკარაა, რომ ის ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში სქესობრივი განათლების დანერგვის წინააღმდეგია, მაგრამ აქვს ინფორმაცია ქვეყნის მიერ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების შესახებ და აცნობიერებს მათი შესრულების აუცილებლობას.

„მე მესმის, რომ მოდის რაღაც გრანტები და იძულებული ხარ, რომ ეს გააკეთო და ქვეყანას საფრთხის ქვეშ ვერ ჩავაგდებო. მაშინ ისე გააკეთე, რომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური... ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ნაცარქექიას არქეტიპი – ჭკუა უნდა იხმარო, დევს ვერ მოერევი, რომც დაეჭიღო... თუ არის იმის აუცილებლობა, რომ კაზინოების არ იყოს, უნდა იყოს (სქესობრივი განათლება), იყოს რეგულირებით.... თუ საერთოდ აკრძალავენ, მაგას რა ჯობია“...

უფრო რადიკალურია ე. წ. რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფის მეორე წარმომადგენელი. ის ბავშვთან სქესობრივი განათლების საკითხებზე ნებისმიერი საუბრის კატეგორიული წინააღმდეგია და ამას დანაშაულადაც კი განიხილავს.

„ვინც თავს აღიქვამს მრევლად, 99% თვლის, რომ ამ თემაზე მასთან (ბავშვთან) ლაპარაკი არის დანაშაული“...

მისთვის ერთ-ერთი არგუმენტი ქართულ ენაში სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ტერმინების არარსებობა (ქართული ენა ამ შემთხვევაში, ძირითადად, ლათინურ ტერმინებს იყენებს). ამის საფუძვლად ქრისტიანული კულტურა მიაჩნია, რომლის წიაღშიც არსებულმა საზოგადოებამ იცის, რომ ამ თემაზე საუბარი საზიანოა ზოგადად და ბავშვებისთვის – განსაკუთრებით. ეს ემსახურება არა ბავშვის ცნობიერების ამაღლებას, არამედ მის პროვოცირებას სქესობრივი ცხოვრების ადრე დასაწყებად. რესპონდენტის აზრით, ამას ადასტურებს ევროპის ქვეყნების მაგალითი, სადაც ადამიანები სქესობრივ ცხოვრებას არასრულწლოვან ასაკში იწყებენ, და სადაც მწვავედ დგას დემოგრაფიული პრობლემები.

„დასავლეთის მაგალითი გვაჩვენებს, რომ სექსუალური ცხოვრება დაიწყეს უფრო ადრე... ისწავლეს აბორტის მართვა, კი არ შემცირდა, არამედ ადრეულ ასაკზე იკეთებენ აბორტს პრეპარატებით... მსოფლიოში სქესობრივმა განათლებამ მოიტანა (როგორც ქრისტიანი, ისე ვუყურებ) ადამიანების მეტად გარყვნა... ეს მეცნიერება ჩემთვის არის ფსევდომეცნიერება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ერის ზნეობაზე, ერის გამრავლებაზე... იმიტომ, რომ სადაც დანერგილია, ჩვენ ვხედავთ რომ ეს ერები გახდნენ მომაკვდავი ერები“...

რესპონდენტის ნეგატიურ დამოკიდებულებას ამძაფრებს ისიც, რომ ის ინფორმირებულია ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების მიზნების შესახებ და კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის საკითხის განხილვას ბავშვებთან.

„თან ამას ბოლო წლებია... პაკეტში პირდაპირ მოყვება ჰომოსექსუალიზმის თემა. რაც არ უნდა ვეცადოთ, ამას ვერ გავმიჯნავთ, იმიტომ, რომ ეს არის ერთიანი პაკეტი“...

განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასება

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო სექტორის ის წარმომადგენლები, რომლებიც სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე მუშაობენ, მეტ-ნაკლებად ინფორმირებულნი არიან განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, განათლებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს მიზნად. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად არის კიდევ ჩართული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა თუ სქესობრივი განათლების მიმართულებით სიახლეების პრაქტიკაში დანერგვაში. მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, რომლებსაც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები წინგადადგმულ ნაბიჯებად აფასებენ, მათი ზოგადი დამოკიდებულება სქესობრივი განათლების ხელშეწყობის მიმართულებით მთავრობისა და, კონკრეტულად, განათლების სამინისტროს მუშაობის ინტენსივობის მიმართ ნაკლებად პოზიტიურია. მართალია, სამინისტრო ზრუნავს იმაზე, რომ გაფართოვდეს სქესობრივი განათლების საკითხების სპექტრი, რომელთა შესახებაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ცოდნა, მაგრამ ეს ნაკლებად სენსიტიური საკითხების ხარჯზე ხდება.

„ახლა, მაგალითად, დაემატა ადრეულ ასაკში ქორწინება და ეს, ცოტა არ იყოს, არასენსიტიური თემაა და ცოტა მარტივად იყო“... ის, რომ განათლების სამინისტრომ საგნობრივ სტანდარტებში შეიტანა საკითხების გარკვეული ნაწილი, უკვე დიდი წინგადადგმული ნაბიჯია განათლების პოლიტიკის დონეზე. პოლიტიკური ნება არსებობს, მაგრამ სამინისტრო დიდი გამოწვევების წინაშეა – ეს ჩვენი ამჟამინდელი საჯარო სექტორის ზოგადი პრობლემაა, სწრაფად გადაწყვეტილების მიღება არ ხდება. სისტემური გადაწყვეტილებების მიღება ძალიან უჭირთ და დიდ სიფრთხილეს იჩენენ“...

იქმნება მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტებიც, მაგალითად, ახალგაზრდობის ხუთწლიანი სტრატეგია 2020-2025-სთვის. სტრატეგიის განხილვაში ჩართულნი არიან რეგიონული ახალგაზრდული ორგანიზაციებიც. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის შეფასებით,

სტრატეგიაში წარმოდგენილი იქნება რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყველა ძირითადი საკითხი.

„ვთვლი რომ სტრატეგიაში რაღაცები კარგად გაიწერება...ძალიან კარგი უკუკავშირი ქონდათ რეგიონებსაც ამ სტრატეგიასთან დაკავშირებით და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის რაღაც ნაწილები პრინციპში ყველა მოვიცავით და ყველა შეთანხმდა რომ განათლების კონპონენტი არის უმნიშვნელოვანესი“...

როგორც ზემოთ ითქვა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ დადებით ტენდენციას ფორმალურ სივრცეში სქესობრივი განათლების საკითხების ინტეგრირების თვალსაზრისით, თუმცა, კვლევის ზოგიერთი რესპონდენტის შეფასებით, სამინისტრომ უფრო გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მიმართულებით. ის სათანადოდ ვერ აფასებს საზოგადოების მზაობას ამ თემაზე ცოდნის მისაღებად, რაც „გადაჭარბებული“ სიფრთხილის საფუძველი ხდება.

„ეს არის პოლიტიკური საკითხი... ყველა პარტიას ჰქონდა თავის საარჩევნო პროგრამაში. ამიტომ ძალიან ფრთხილობენ – არ უნდათ, ვინმე გააბრაზონ. სინამდვილეში საზოგადოებაში არის მზაობა, და მთავრობას არ უნდა ეშინოდეს. თითქოს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არის – იდენტობას დაგვარგავთ... მაგრამ სინამდვილეში საერთო ამასთან არაფერი არ აქვს განათლებას სექსუალობის შესახებ“...

ამ პოზიციას არ იზიარებენ ამავე სექტორის სხვა წარმომადგენლები. მათი აზრით, თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელთა მხრიდან დიდი სიფრთხილით მოქმედებაა საჭირო, რათა თავიდან იქნას აცილებული საკითხის მიმართ ნეგატიური განწყობების ჩამოყალიბება საზოგადოებაში.

„ულტრაფემინისტური ჯგუფები აგნებენ ამ საქმეს. ევროპულ ქვეყნებშიც კი სქესობრივს არ უწოდებენ ამ განათლებას – სწორი ფრთხილი მიდგომაა საჭირო. ამიტომ ჯანსაღი ცხოვრების წესი ყველაზე ადეკვატური დასახელებაა. ამით არ გამოვიწვევთ რადიკალურ დამოკიდებულებას“...

გამოწვევები

არაინფორმირებულობა და დამახინჯებული წარმოდგენები

სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოებაში არსებული არაერთგვაროვანი განწყობები ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში მისი დანერგვის გზაზე. ნეგატიური განწყობების ფორმირების მთავარ მიზეზად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი საზოგადოების არაინფორმირებულობას და სტერეოტიპულ წარმოდგენებს ასახელებს.

„ინფორმაცია არ არის, რას მოიცავს ეს სწავლება... როგორც ჰომოფობიით აშინებენ, ისე ამით აშინებენ ფართო მასებს“...

„არ იციან, რომ ეს შეიძლება იყოს ბავშვის დაცვის საშუალება – ბავშვმა თუ არ იცის, არასასურველი შეხება რა ადგილას ხორციელდება, ის ბავშვი შენთან არ მოვა და არ გეტყვის... არავინ არ იცის საქართველოში, რა არის ეს სქესობრივი განათლება, რომ ეს არ არის „სექსის ტექნიკების“ სწავლება და რაღაც მსგავსი სისულელეები“...

„განათლება სექსუალობის შესახებ – ამ სახელთანაც არ აქვს ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება საზოგადოებას; რას გულისხმობს, მშობლებმა არ იციან, საზოგადოებამ არ იცის. დამახინჯებული წარმოდგენა აქვთ – ჰგონიათ LGBT კონტექსტის თემები მარტო, სექსის პროპაგანდა, ოთახიდან რომ გავლენ ბავშვები, სასწრაფოდ სექსით უნდა დაკავდნენ“...

ამ შეხედულების მართებულობის სასარგებლოდ მეტყველებს ფაქტი, რომ სქესობრივი განათლების შინაარსებთან დაკავშირებით სრულიად დამახინჯებული წარმოდგენა აქვს ჩვენი კვლევის მონაწილესაც კი, რომელიც საზოგადოებრივად ძალზე აქტიურ ცხოვრებას ეწევა (*იხ. 2.9. ინფორმირებულობა*).

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ამ კონტექსტში მთავარ „მოთამაშეებად“ მშობლებსა და მასწავლებლებს მოიაზრებენ. მათი ინფორმირებულობა და ადეკვატური განწყობები არსებითად შეუწყობს ხელს სქესობრივი განათლების დანერგვას ქვეყანაში. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, არსებობს გარკვეული მიმდებლობა სქესობრივი განათლების საკითხების სწავლების მიმართ მშობლებში, თუკი ეს საკითხები სწორად, ასაკისა და კულტურისთვის რელევანტურად იქნება მიწოდებული ბავშვებისთვის.

„ადრე ძალიან რთული გარემო იყო, ძალიან რადიკალურად აღიქმებოდა, მაგალითად, აბორტის თემები. ამჟამად მზაობა უფრო მაღალია მშობლებშიც და მასწავლებლებშიც, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა და მათ შორის მამაკაცთა მხრიდანაც კი... თუ სწორად დავანახებთ, რას ვაკეთებთ, მშობლები არ იქნებიან წინააღმდეგები. მნიშვნელოვანია, სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ და მოხდება რაღაცების გადააზრება“...

კვლევის მონაწილეთა თქმით, მშობლები დიდ საფრთხეს ხედავენ ინტერნეტიდან თუ სხვა მედიასაშუალებებიდან ბავშვების მიერ დამახინჯებული ინფორმაციის მიღებაში და, ზოგადად, ინტერნეტის (მედიის) მასიურ გავლენაში ახალგაზრდებზე. შესაბამისად, ისინი უპირატესობას ანიჭებენ სქესობრივი ურთიერთობების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ თავიანთი შვილებისთვის ინფორმაციის სისტემური და რეგულირებული სახით მიწოდებას ფორმალური განათლების ჩარჩოებში.

„ყველა მშობელს, საბოლოო ჯამში, კარგი უნდა თავისი შვილისთვის. ინტერნეტის მასობრივ გავლენას, ურჩევნია სისტემური ხასიათის იყოს ეს პროცესი და რეგულირებული იყოს. ამიტომ სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის მზაობა მშობლებთან არსებობს... ინტერნეტიდან დამახინჯებული ინფორმაციის მიღებას, ურჩევნია, სკოლამ მისცეს სწორი ცოდნა“...

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიჭების და გოგონების მშობლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან მიმდებლობის თვალსაზრისით.

„ბიჭის მშობლები დაინტერესებულნი იყვნენ, რომ დრო რომ მოვა, რა უნდა გააკეთონ, როგორ დაეხმარონ ამ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში... და გოგონების მშობლები საერთოდ არც განიხილავდნენ თავიანთ შვილებს სექსუალურ არსებებად“...

„გოგონებზე და ბიჭებზე არის ხოლმე ძაან ხშირად გაყოფა... რომ სქესობრივი განათლება ერთისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეორისთვის“...

დამატებით უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი რესპონდენტის სკეპტიკური დამოკიდებულება მშობელთა ჩართულობის მიმართ შვილების სქესობრივ განათლებაში. მისი აზრით, ეს პასუხისმგებლობა აუცილებლად სახელმწიფომ, სკოლამ უნდა აიღოს.

„გაგაკეთე მშობელთა სკოლა, მაგრამ ძალიან ცოტა დაინტერესდა, ჩართულობა ძალიან დაბალი იყო. მშობელი ვერ მისცემს სქესობრივ განათლებას ბავშვს“...

განსხვავებულ პოზიციაზეა რესპონდენტი, რომელიც პროფესიის ფარგლებში აქტიურად ურთიერთობს სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან. მისი თქმით, ის იცნობს მშობლების დამოკიდებულებებს ფორმალური განათლების სისტემაში სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ და ეს დამოკიდებულებები ნეგატიურია. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მშობლები, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ 2012 წლის 17 მაისს სამღვდლო პირების ქმედებებით, დღეს შველას ითხოვენ, რადგან მათი არასრულწლოვანი შვილები ლიბერალური მიდგომების გამო ლგბტ ჯგუფების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ბიოლოგიის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოთი რეპროდუქციული სისტემის შესახებ თემის დამუშავებისას, რომელიც ადამიანის სექსუალობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციასაც შეიცავდა, მოსწავლეთა მშობლებმა სერიოზული გულისწყრომა გამოხატეს და მასწავლებელს სასწავლო თემის შეცვლა მოსთხოვეს. რესპონდენტი საზოგადოებაში სხვადასხვა ღირებულებების მქონე ჯგუფების არსებობას უსვამს ხაზს და ფორმალური განათლების სისტემის მიერ ყველა მათგანის ღირებულებების პატივისცემისა და გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრობს.

„არსებობს სხვადასხვა მოედანი, არსებობს სხვადასხვა ხალხი, რომლებსაც სულის უკვდავების სწამთ. ვისაც სულის უკვდავების სწამს, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სულის დაღუპვა-არ დაღუპვის საკითხი... დღეს, მაგალითად, ვიღაცა გამოვა, ხეებს ნუ ჭრითო... ეკოლოგები ამაზე ჩხუბობენ... ვიღაცა გამოვა სურსათის უვნებლობაზე... ახლა თქვენს შვილს რომ სკოლაში ცუდ ფუნტუშას აჭმევდნენ, რა თქმა უნდა გააპროტესტებო... და როცა თქვენს შვილს სკოლაში ასწავლიან, როგორ დაიცვას თავი სექსის დროს, ვიღაცა ამას გააპროტესტებს, იმიტომ, რომ თვლის, რომ ჯერ ეს მის შვილს არ სჭირდება... იმიტომ, რომ სხვადასხვა მოედანზე არიან ადამიანები... და სხვადასხვა ღირებულებათა სისტემა აქვთ“...

სქესობრივი განათლების საკითხებზე როგორც ახალგაზრდების, ისე მათი მშობლებისა თუ მასწავლებლების არაინფორმირებულობის განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილი სანდო წყაროების ნაკლებობას განიხილავს. განსაკუთრებით დიდია ქართულენოვანი რესურსების დეფიციტი (რესურსები, ძირითადად, ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი). რესურსების პრობლემა მწვავეა რეგიონებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. დედაქალაქისა და დიდი ქალაქებისგან განსხვავებით, ზოგიერთ რეგიონში ინტერნეტზე წვდომის პრობლემა

კი აქვთ ახალგაზრდებს. მათ არ აქვთ არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად ან ვისგან შეიძლება მიიღონ კონსულტაცია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კონტრაცეფცია, აბორტი და სხვა.

„კონტრაცეფციის თუ აბორტის შესახებ ესე ერთმანეთს უზიარებენ შინაურულად“...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მედიის როლი ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სქესობრივი ურთიერთობების ეთიკისა და უსაფრთხოების და ა. შ. საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებაში.

„სანდო წყაროები და გადამოწმებული ინფორმაცია ისედაც ძაან დიდი პრობლემაა ქართულ მედიასივრცეში, მით უმეტეს, როდესაც სექსუალურთან დაკავშირებულ თემებს ეხება“...

მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს, რამდენად უწყობენ ხელს მედიასაშუალებები სქესობრივი განათლების შესახებ მითების გავრცელებას, მასთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქების დროს რა ტერმინოლოგიას იყენებენ, რაზე აპელირებენ, როგორ იცავენ პერსონალურ ინფორმაციას და ა. შ. აუცილებელია, ჟურნალისტები იცნობდნენ და იცავდნენ ამ საკითხების გაშუქების სწორ სტანდარტებს.

სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესი: საზოგადოების პოლარიზებული დამოკიდებულება

ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში სქესობრივი განათლების დანერგვის ხელშემშლელი ერთ-ერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილის აზრით, არის სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს პოზიციათა ურთიერთგანსხვავებულობის ორი კატეგორიის იდენტიფიცირება: ერთი მხრივ, არსებობს პოზიციათა შორის განსხვავება თავად იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ფარგლებში, რომლებიც სქესობრივი განათლების ადვოკატირებას ეწევიან და, მეორე მხრივ, ყველა ამ ორგანიზაციას რადიკალურად განსხვავებული პოზიციით უპირისპირდება ე. წ. რელიგიურ-კონსერვატიული ან ულტრამემარჯვენე ჯგუფი (წარმოდგენილი კერძო პირებისა და რამდენიმე ორგანიზაციის სახით - მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, „ზნეობა“, „ქართული იდეა“...). ამ უკანასკნელის შემთხვევაში შეიძლება საზოგადოების პოლარიზაციაზეც კი ვილაპარაკოთ. რესპონდენტთა კიდევ ერთი ნაწილისთვის კი მიუღებელია სქესობრივი განათლების მიმართ (და არა მარტო) უკიდურესად დადებითი ან უარყოფითი პოზიციის გამოვლენა.

„აქვთ დაჩაჩოებული, გვირახული აზროვნება... სამყაროს შავ-თეთრად ხედავენ, ეს დამღუპველია. ღმერთი გეუბნება, ნუ

დაყოფ სამყაროს ასე, მან მრავალი ფერი შექმნა... ისეთ რამეებს ამბობენ, მოსმენაზეც კი ცუდად ვხდები“...

„ერი გაიჭედა თინეიჯერობის, გაპროტესტების ასაკში“...

სქესობრივი განათლების ადვოკატირების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები პოლარიზაციის მიზეზებს საზოგადოების განათლებულობის დეფიციტსა და სტერეოტიპულ აზროვნებაში ხედავენ, რაც კონსერვატიზმის ზრდას იწვევს. მათი აზრით, ეკლესია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ დაპირისპირებაში, თუმცა, გასათვალისწინებელია საბჭოთა ქვეყნად ყოფნის 70 წლიანი გამოცდილებაც, რომლის დროსაც სქესობრივი ურთიერთობები სრულიად ტაბუდადებული თემა იყო.

„როდესაც ეს უფროსი თაობა გაზრდილია ამ შეხედულებებით, ძან რთულია ეხლა მოსთხოვო... ეს არის ის, რაც ამ ადამიანებმა ისწავლეს... ჩვენ შეიძლება ვერ შევცვალოთ 70 წლის ადამიანის შეხედულება“...

სამოქალაქო სექტორის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად მუშაობენ გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სქესობრივი უმცირესობების, სქესობრივი განათლების და ა. შ. თემებზე, აქვთ ულტრამემარჯვენე ჯგუფთან დაპირისპირების მძიმე გამოცდილება, საუბრობენ ამ ჯგუფის ქცევის სრულიად მიუღებელ ფორმებსა და შინაარსზე.

„ძალიან აქტიურად მიდის პრორაგანდა, რომ ეს (სქესობრივი განათლება) არის „სექსის ტექნიკების“ სწავლება... ეს მითებიც ალბათ აქედან მოდის, რომ შვედეთში ინცესტი დააკანონეს და რაღაც მსგავსი სისულელები ვრცელდება ამ ჯგუფების მხრიდან... მანიპულირებენ რელიგიით, ეროვნულობით, სინამდვილეში სულ სხვა ინტერესები აქვთ“...

რამდენიმე რესპონდენტი პირად გამოცდილებას იხსენებს, როდესაც ლამის ფიზიკურად გაუსწორდნენ.

„გენდერულ სტერეოტიპებს განვიხილავდით ტრენინგზე და შემოგვიგარდნენ ... ლამის ჯვარზე გვაცვეს... ერთ-ერთი პირველი შიში იყო ჩემ ცხოვრებაში“...

„არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები სოციალურ ქსელებში იღებენ მუქარის შემცველ მესიჯებს...სიცოცხლის მოსპობის და ა.შ. მუქარებს... ყველანი ძალადობაზე არიან გადასულები... დაგვიჭლაპნეს გრაფიტი და ეს გადაიღეს თვითონ ვიდეოთი“...

უნდა აღინიშნოს, რომ ამ რესპონდენტთა გულისწყრომა მიმართულია არა იმდენად „მოძალადეებზე“, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებზე, რომლებსაც არ აქვთ ადეკვატური რეაქცია ამ ტიპის ქმედებებზე.

„როგორ პასუხობს სისტემა ასეთ გამოხტომებს?!.. მე მაგაზე ვბრაზდები, რომ ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ მარტივია - შენი უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი... და ჩემი სადაც დაიწყო, იქ არავინ არაფერი არ დაამთავრა - პირიქით, პირველი მესიჯი იყო რომ ტრენინგები შეჩერდა“...

„გონორზე რომ არიან, და საკუთარ თავს ამის უფლებას რომ აძლევენ, სახელმწიფოს დანაშაულია“...

ადვოკატირებაზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საკანონმდებლო დონეზეც ძალიან ბევრი ბარიერი არსებობს სამართლებრივი დავის დასაწყებად. აშკარაა სისტემის შიში რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფების მიმართ.

„განათლების სამინისტროში ტერმინების დონეზეც კი არ არის რაღაცები წარმოდგენილი... არა იმიტომ, რომ არ გვეთანხმებიან, უბრალოდ, შიშის გამო და გარკვეული მოსალოდნელი აგრესიის თავიდან აცილების გამო არ მოდიან ხოლმე რაღაც საკითხებზე თანამშრომლობაზე“...

ამ შიშის მიზეზებს სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი ქალის სექსუალობასთან დაკავშირებულ წარმოდგენებში ხედავს. საზოგადოებაში არის იმის შიში, რომ სქესობრივი განათლება საფრთხეს შეუქმნის ქალის სექსუალობის კონტროლს. თავად სახელწოდება „სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლება“ მიანიშნებს, რომ სქესობრივი განათლების ფარგლებში განხილული უნდა იყოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და სხვა მსგავსი საკითხები. იუნესკოს შესაბამისი სტანდარტი მოიცავს 7 სხვადასხვა თემას, მათ შორის ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ყველა ძირითად სფეროს.

„ცალსახად არის ქალის სექსუალობასთან დაკავშირებით ორმაგი სტანდარტი... როცა საუბრობენ „სექსის სწავლებაზე“, გარყვნილებაზე, ეს არის გოგო ბავშვის გარყვნილებაზე ძირითადად... რადგან ბიჭებს ისედაც აქვთ სექსი ამ ასაკში... რეალურად საზოგადოებას ეშინია იმის, რომ ქალი ჰპოვებს სექსუალურ თავისუფლებას ადრეულ ასაკში“...

ბიჭებთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები სხვა, არანაკლებ მძიმე პრობლემებზე საუბრობენ – ბიჭები ერთგვარი ძალადობის მსხვერპლები არიან, ვინაიდან ხდება

მათი წახალისება/იძულება, რომ ადრე დაიწყონ სექსუალური ურთიერთობა და რაც შეიძლება ბევრი სექსუალური პარტნიორი ყავდეთ („შესტად ეს პატრიარქატობა ერთიანად ჩაგრავს“...), სქესობრივი განათლება არის სწორედ ის იარაღი, რომლითაც შესაძლებელია აღნიშნულ პრობლემებთან გამკლავება. და სწორედ ამის გამო ხდება მას ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან ასეთი მძაფრი წინააღმდეგობა.

„ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე როგორი ტალღაც იყო, ან პრაიდის წინ როგორი ტალღაც იყო, ანალოგიური ტალღაა სქესობრივი განათლების მიმართაც“...

გენდერული თანასწორობის პრობლემას „თითიდან გამოწოვილს“ უწოდებს ერთ-ერთი რესპონდენტი. მისი თქმით ძალადობის შემთხვევები არის როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიმართ მთელს მსოფლიოში და ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც საქართველოა.

„ღვთის წინაშე ღირსებით ყველა თანასწორი ვართ... ქალი უფრო მეტია კიდეც თავისი მრავალფუნქციური ამროვნებით, თავისი მრავალფუნქციურობით... ეს ყველაფერი ძალიან ხელოვნურად არასამთავრობოების მხრიდან თითიდან გამოწოვილია“...

ეს რესპონდენტი სქესობრივი უმცირესობების საკითხსაც ეხება, ცდილობს, გაემიჯნოს ულტრამემარჯვენე ჯგუფის რადიკალურ შეფასებებს, თუმცა არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას პრობლემად განიხილავს და ადამიანის სექსუალურ თუ სხვა ცხოვრებისეულ სფეროში წარმოქმნილი პრობლემების ფსიქოლოგიური საფუძვლებზე საუბრობს. ამავე მიზეზით ხსნის სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის რადიკალიზმს.

„ჩემი ამრით არ არის ნორმალური... ორი მარჯვენა ფეხი რომ გქონდეს, ეს არის ბუნებრივი? ან ორი მარცხენა? შეიძლება გქონდეს და შეიძლება სულ უფეხობასაც სჭობდეს, მაგრამ ბუნებრივი და ის, რაც ნაყოფს იძლევა, არ არის... საფუძვლები დევს ბავშვობაში... აი, 0-დან 6 წლამდე არის რამდენიმე მოთხოვნილება, და ისინი არ არის დაკმაყოფილებული, მაგალითად, იდეალიზაციის მოთხოვნილება... ან მოთხოვნილება, გავდეს სხვას... და მირორინგი – მშობელმა თუ არ გადიარა, მერე ვინც არ უნდა გიკრას ტაში, არალიარებული ხარ“...

როგორც განსაკუთრებით რადიკალურად ულტრამემარჯვენედ ორიენტირებული რესპონდენტის საუბრიდან ჩანს, გენდერისა და სექსუალური უმცირესობების თემა მართლაც არის საზოგადოების პოლარიზაციის ქვაკუთხედი. სწორედ ამ საკითხებზე აკეთებს ის აქცენტს, როდესაც საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ პოზიციებს განიხილავს. სქესობრივი განათლების ადვოკატირება, მისი თქმით, არის ქმედება, რომელიც განპირობებულია არა

ადამიანთა გულწრფელი მრწამსით, არამედ იმით, რომ ეს არის ე. წ. მენისტრიმული ტენდენცია. ამის საპირისპიროდ, ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სქესობრივი განათლების დანერგვას სასკოლო სისტემაში, კერძოდ კი, ახალი საგნის – მე და საზოგადოება – შემოტანას, საკუთარ რელიგიურ მრწამსზე და იდეოლოგიაზე დაყრდნობით მოქმედებენ. ამ მრწამსისა თუ იდეოლოგიის პერსპექტივით, სრულიად მიუღებელია სქესობრივი განათლების შინაარსების ღიად განხილვა მოსწავლეებთან, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, როდესაც ბავშვები არ არიან მზად ახალი ცნებების სწორად გასააზრებლად. ამ შინაარსებს შორისაა გენდერი, როგორც სქესისგან განსხვავებული ცნება. რესპონდენტი აღშფოთებას გამოთქვამს იმ მეთოდების გამო, რომელთა დახმარებითაც ამ განსხვავების ახსნა იყო დაგეგმილი (მისი თქმით, ტრანსგენდერი ადამიანის მოწვევა გაკვეთილზე, ასევე, მასწავლებლებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოს „კომპასი და კომპასიტო“ შეთავაზება, რომელიც ამა თუ იმ ზღაპრის გმირის გენდერის ცვლილების სავარჯიშოს შეიცავს). ასეთივე მიუღებელია, მაგალითად, ბავშვისთვის იმის განმარტება, თუ სად არ უნდა შეეხონ, რომ ძალადობის მსხვერპლი არ გახდეს.

სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში არსებული გამოწვევები განათლების სისტემის კონტექსტში (პოლიტიკის, სასწავლო რესურსების, პერსონალის მომზადების თვალსაზრისით)

სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები თავად განათლების სისტემაშიც ხედავენ არაერთ გამოწვევას, რომელთა წინაშეც დგას სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესი. მათ შორის არის მასწავლებელთა მზაობა, სწავლების მეთოდები და ფორმები, სასწავლო რესურსები და სასწავლო გარემო.

სქესობრივი განათლების საკითხები ამჟამად რამდენიმე საგნის ფარგლებში ისწავლება. ესენია სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო. მათ შორის განსაკუთრებულ კრიტიკას სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები იმსახურებს.

„სამოქალაქო განათლების მეცხრე-მეათე კლასების სახელმძღვანელოები დასაწყისაა, 2012 წელს არის გამოცემული და ისეთი რაღაცები წერია, რომ უბრალოდ საზიანოა ბავშვებისთვის მაგ ყველაფრის სწავლა“...

სასწავლო რესურსების პრობლემაზე საუბრობს რესპონდენტი, რომელიც რადიკალური რელიგიურ-კონსერვატიული შეხედულებებით გამოირჩევა. თუმცა, მისი პათოსი სრულიად განსხვავებულია. ის მკაცრად აკრიტიკებს (აღშფოთებას გამოთქვამს) ევროსაბჭოს მიერ რეკომენდებულ რესურსებს, რომლებიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოდ იქნა გამოყენებული.

„მასწავლებელი ვერსად ვერ ნახავდა ინფორმაციას ამ „კომპასი და კომპასიტოს“ გარდა... როცა ხვდება გენდერი და სქესი, ბავშვს

უჩნდება კითხვა, რა არის? და მასწავლებელმა უნდა აუხსნას პირდაპირ განათლების სამინისტროს დანერგილი სახელმძღვანელოთი, რომ მთავარი კი არ არის სქესი, არამედ რა გინდა, რომ იყო... და ამას ეუბნებიან მოზარდს და ეს არის კატასტროფა“...

სწავლების ფორმებს შორის სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მეტ პერსპექტივას ინოვაციური და ნაკლებად ფორმალური მეთოდებისთვის ხედავენ, რომელთა ადაპტირება შესაძლებელია არაფორმალური განათლების სფეროში დაგროვილი გამოცდილებიდან. ფორმალური გაკვეთილის ფორმატში გარდატეხის საწყის პერიოდში მყოფ მოსწავლეებთან სქესობრივი განათლების საკითხების განხილვისას შესაძლოა წარმოიქმნას გარკვეული უხერხულობაც, თუმცა პედაგოგმა უნდა მოახერხოს საუბრის გადატანა სხვა სიბრტყეში და მოსწავლეთათვის სამეცნიერო ცოდნის მიცემა.

„სენდვიჩის მეთოდით, რაღაცაზე დავიწყებ საუბარს, უცბად ჩავაკვებ ხოლმე, აი, მაგალითად, როგორც კონტრაცეფციის ნაწილი – გიცავს ორსულობისგან, მაგრამ არ გიცავს სქესობრივად გადამდები ინფექციებისგან, – და მერე ისევ ვაგრძელებ საუბარს... და ზუსტად ვიცი, რომ იმახსოვრებენ“...

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შეფასებით, განსაკუთრებით სერიოზულია მასწავლებელთა მზაობა და კომპეტენციებთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები. ზოგადად, მასწავლებლების კარიერული ზრდის სისტემა არ არის ჩამოყალიბებული, ის არაერთხელ შეიცვალა. ბოლო პერიოდში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გაუქმებასთან ერთად, შემცირდა მასწავლებელთა მოტივაცია, საგაკვეთილო პროცესის მიღმა განახორციელონ დამატებითი აქტივობები, გამოყონ დამატებითი დრო ახალი კომპეტენციების შესაძენად. ამის გარეშე კი ნამდვილად არ გრძნობენ თავს მზად სქესობრივი განათლების საკითხების სწავლებისთვის.

„ზოგჯერ გვეცინებოდა კიდეც, როდესაც მასწავლებლები ახტებოდნენ რაღაც თემებს ან რაღაც საოცრებებს გვეუბნებოდნენ (ტრენინგებზე)... არაკომპეტენტური მასწავლებლების მიერ სწავლებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლია გამოიწვიოს, ვიდრე სარგებელი“...

მათი შეფასებით, მასწავლებელთა გადამზადება ძალიან რთული პროცესია, ვინაიდან გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის მიღებას, არამედ ღირებულებების გააზრებას, ცვლილებებს ღირებულებების სისტემაში.

„მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს თავად ჰქონდეთ სწორი ღირებულებითი დამოკიდებულება ამ საკითხებთან“...

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს სკოლის ადმინისტრაციას.

„რაც არ უნდა ვიმუშაოთ მასწავლებლებთან, სკოლის დირექტორს თუ არ აქვს მზაობა, თავის სივრცეში ეს ყველაფერი შემოუშვას და მშობლებთან კომუნიკაცია ქონდეს, ამრიგად არ აქვს არაფერს“...

არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობა განათლების სამინისტროსთან

გამოწვევად რჩება სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა განათლების სამინისტროსთან. ის ნაკლებად ინტენსიური და არასტაბილურია. არასამთავრობო ორგანიზაციათა დიდ ნაწილს არ აქვს ამგვარი თანამშრომლობის გამოცდილება, ორგანიზაციათა უმეტესობა ინფორმირებულიც კი არ არის სამინისტროს ინიციატივების შესახებ (მაგალითად, საგნის „მე და საზოგადოება“ დანერგვის შესახებ). მხოლოდ რამდენიმე (2-3) ორგანიზაციაა ჩართული სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში.

„გული მწყდება ხოლმე, რომ ეს თანამშრომლობა ნაკლებად არის... გამოცდილების გაზიარება, თუნდაც რა და როგორ შეიძლება ადაპტირდეს, ძალიან კარგი იქნება“...

ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლების აზრით, პოლიტიკური ნების გარეშე მათი ძალისხმევა, ფაქტობრივად, არაეფექტური იქნება.

„ჩვენ ვქმნათ რესურსები, ვავრცელოთ და ა. შ... თუ არ იქნა პოლიტიკური ნება, არაფერს ამრიგად არ ექნება... ესეც დიდწილად არის ხელისშემშლელი ბარიერი“...

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტროსთან მეტ-ნაკლებად წარმატებული თანამშრომლობის მაგალითად ცენტრ „თანადგომის“ გამოცდილება სახელდება.

„ძალიან დიდი გამოცდილება აქვს „თანადგომას“ ამ მიმართულებით და თვითონ განათლების სამინისტროსთან მუშაობის და ნამდვილად ხშირად გაგვიზიარებია ერთმანეთისთვის სწორედ ეს ბარიერები, რასაც ვაწყდებოდით, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ გვიწევს თითოეული თემის ადვოკატირება, რომ მოხდეს ამ ყველაფრის შეტანა“...

„თანადგომა“ სწორად მუშაობს გადაწყვეტილების მიმღებებთან“...

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები დიალოგის აუცილებლობას აღნიშნავენ, რომელიც არა მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციებს შორის გაიმართება, არამედ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას გააერთიანებს განათლების სამინისტროსთან. არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა ამ ეტაპზე ფრაგმენტულია და, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ლოკალურ გავლენას ახდენს ამა თუ იმ მოვლენაზე. ორგანიზაციებს შორის არ არის სრული კოორდინაცია მუშაობისას, ხშირ შემთხვევაში ისინი ინფორმირებულებიც კი არ არიან ერთმანეთის პროექტების შესახებ.

„რა აზრი აქვს, რომ ერთმა ენჯომ გამოაქვეყნოს რაღაც გაიდლაინი, რომელსაც არ გამოიყენებენ, იმიტომ, რომ არ იციან, რომ საჭიროა ამის წაკითხვა, არ იციან, რომ არსებობს და არ იციან სად არსებობს“...

თანამშრომლობის პერსპექტივას ვერ ხედავს რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფის წარმომადგენელი. მისი აზრით, როდესაც ღირებულებები და შეხედულებები ასე რადიკალურად განსხვავებულია, შეუძლებელია შეთანხმების მიღწევა. პოლარიზაციის დაძლევა შეუძლებელია, ეს ერთგვარი ბრძოლაა, რომელშიც უნდა იმძლავროს ამა თუ იმ მხარემ.

„ვერ მოვრიგდებით რა...უნდა გაიმარჯვო“...

რესპონდენტი ნეგატიურ გამოცდილებაზე საუბრობს, როდესაც რელიგიური ჯგუფები შეეცადნენ დათმობაზე წასვლას და რელიგიური სიმბოლიკა (ხატები, ლოცვა) გამოიტანეს სკოლიდან. მაგრამ ქრისტიანულ ღირებულებებს ლიბერალური ღირებულებები ჩაენაცვლა, რაც, მისი აზრით, საზიანოა ახალგაზრდებისთვის. მეორე მხრივ, შეუძლებელია, სკოლა დაცლილი იყოს ღირებულებებისა და იდეოლოგიისგან. ამიტომ მნიშვნელოვანია „გამარჯვება“ და „ჭეშმარიტი, ტრადიციული“ ღირებულებების გაძლიერება სკოლაში.

„არის რაღაც სიცარიელე, რასაც რაღაც ავსებს რა...და ის სიცარიელე თუ არ გაჟღინთე სიკეთით... აი, მაგალითად, მოდი, ხატი ჩამოვხსნათ და ცარიელი კედელი იყოს, ეგრე არ ხდება... იმ ადგილას სხვა რაღაც დაიკიდება... შენ თუ ჩამოხსნი საქართველოს დროშას, იქ დაიკიდება ან რუსეთის, ან ამერიკის, ან ევროკავშირის... სკოლას არ ჰქონდეს არანაირი ღირებულება და ცოტა ის ვასწავლოთ, ცოტა ქრისტე, ცოტა ისლამი და ა. შ., ეგრე არ არსებობს... წარმოუდგენელია... ნეიტრალური არ არსებობს... ნეიტრალურის სახელით მივიღეთ ლიბერალური ლგბტ იდეოლოგია... სკოლას უნდა ჰქონდეს ის ღირებულებები, რაც არის ჭეშმარიტი“...

რესპონდენტის აზრით, ლეგიტიმურია, ქართულ სამოგადოებას სურდეს, სკოლაში ტრადიციული ქრისტიანული ღირებულებების, როგორც განათლების სისტემის ღერძის გაძლიერება, რადგან საგანმანათლებლო კერები ისტორიულად სწორედ მონასტრებში იქმნებოდა; ქრისტიანობა, როგორც ყველაზე შემწყნარებლური რელიგია, ქრისტიანული ეთიკა ეწინააღმდეგება სხვა აღმსარებლობებისა თუ იდეოლოგიის შევიწროვებას, რასაც ამჟამად აკეთებს ლიბერალიზმის სახელით შენიღბული იდეოლოგია.

„აი, მაგალითად, ეხლა რაღაც კოდექსი რომ მიიღეს, იქ წერია, რომ ბავშვს განვითარების საშუალებას თუ არ მისცემ, როგორც უნდა, ამის გამო ხარ რისკის ქვეშ, რომ ბავშვი ჩამოგართვან.... აი ეგეთ რაღაცას ქრისტიანი არ იზამს... იდეოლოგია, რომელიც ეხლა მოდის, მეუბნება, რომ ეხლა მე უნდა დაგილაგო და უნდა მოგარიგოთ ერთმანეთში ... ქრისტიანების ხელში უნდა იყოს განათლების სისტემა, როგორც ადრე ყველაზე ძლიერი ქართველი მეფის დროს, ხომ კარგად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ჯგუფები, ასე იცხოვრებენ კარგად ჩვენს ხელში“...

რესპონდენტის თქმით, განათლების სამინისტრო ცდილობს, შექმნას თანამშრომლობის ილუმბია იმით, რომ თითქოს გარკვეულ კომპრომისებზე მიდის, თუმცა, რეალურად არაფერი იცვლება და რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფის პოზიციები სულ უფრო და უფრო სუსტდება, განათლების სისტემა ნაკლებად ეროვნული და ქრისტიანული ხდება. რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფის წარმომადგენლების სხვადასხვა კომისიაში ყოფნით ხდება მხოლოდ პროცესის დემოკრატიულად „შეფუთვა“. თანამშრომლობის ილუმბიის შექმნა, როდესაც იდეების გაზიარება რეალურად არ ხდება, შეურაცხმყოფელიც კი არის რესპონდენტისთვის. თუმცა, კომუნიკაციაზე სრულად უარის თქმას მაინც თავს არიდებს.

„ეგეთი რაღაც არ არსობებს, რომ ერთ ოთახში ეგ იჯდეს ლგბტ აქტივისტი, მეორე ოთახში - ქორეპისკოპოსი და ერთად განათლების სისტემა იწერებოდეს. ეგ აბსურდია, ეგ არის დაცინვა... ამ შემთხვევაში ჩვენი დაცინვაა, იმიტომ რომ იმათ ხელშია. ჩვენ ხელში რომ ყოფილიყო შეიძლება ჩვენ უფრო მოგვესმინა.. ისინი უბრალოდ თავის პოზიციებს იმაგრებენ, სამწუხაროდ. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ურთიერთობა უნდა გავწყვიტოთ. ურთიერთობა რომ გვაქვს, ამით მაინც რაღაცებს ვაკავებთ. მაგრამ დიდი მოლოდინები არ უნდა გვქონდეს... ჩვენ აფსაიდში ვართ რა, ესე მგონია“...

რეკომენდაციები

სკოლის როლი სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე მოსწავლის ინფორმირებულობის გაზრდასა და საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებაში

სქესობრივი განათლების ადვოკატირების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციათა წარმომადგენლები კრიტიკულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმალურ განათლებას ახალგაზრდების ცოდნით აღჭურვის საქმეში ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესი, სქესობრივი ურთიერთობების ეთიკა, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და სხვა. აუცილებელია, სქესობრივი განათლება რეგულირებული იყოს სისტემის დონეზე, რათა გარანტირებული იყოს ამ საკითხების შესახებ ინფორმაციის სწორად მიწოდება ახალგაზრდებისთვის. პოლიტიკური ნებისა და სისტემური ხედვის არსებობა სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, ახალგაზრდებისთვის მაღალი ხარისხის ცოდნის მიწოდებას უზუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ძალიან აქტიურად მუშაობს ახალგაზრდების სქესობრივი განათლების მიმართულებით და საკმაოდ ბევრ ინტერვენციას ახორციელებს (შეზღუდული რესურსების პირობებში), მისი ძალისხმევა ნაკლებად ეფექტურია, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ფორმალური განათლების სისტემა ინფორმაციის მიღების ფაქტობრივად ერთადერთი წყაროა. ამასთან, არასამთავრობო სექტორის მიერ არაფორმალური სახით განხორციელებული აქტივობები ართულებს ხარისხის კონტროლს, რადგან სქესობრივი განათლების საკითხებზე სამოქალაქო სექტორში მრავალი ორგანიზაცია მუშაობს, რომელთაგან ყველას საკუთარი ხედვა/ხელწერა აქვს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის მონაწილე რელიგიურ-კონსერვატიული ორიენტაციის რესპოდენტები (ორი რესპოდენტი) სასკოლო განათლების სისტემაში სქესობრივი განათლების დანერგვის წინააღმდეგნი არიან. შესაბამისად, მათი ქმედებები და რეკომენდაციები მოსწავლეთა ინფორმირებულობით მოტანილი ზიანის შემცირებისკენ არის მიმართული. მაგალითად, ერთ-ერთი (განსაკუთრებით რადიკალურად განწყობილი) რესპოდენტი ანატომიის შესწავლისას რეპროდუქციული სისტემის შესახებ სახელმძღვანელოში მოცემული პარაგრაფის გამოტოვების მომხრეც კი არის. მისი თქმით, სკოლა (და უმაღლესი სასწავლებელი) ძალიან დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის ფორმირებაზე და, შესაბამისად, მისი, როგორც იდეოლოგიური იარაღის არასწორად გამოყენებას ადამიანების და მთლიანად ქვეყნისთვის გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

„სკოლას ძაან დიდი ბერკეტი აქვს. ჩვენ ვხედავთ, რომ ბავშვები რომელ სკოლასა და რომელ უნივერსიტეტშიც სწავლობენ, 99% ის იდეოლოგია აქვთ... ვასაძის სკოლას ვინც ამთავრებს, უმეტესი

კონსერვატორია და ბენდუქიძის სკოლა რომ ვთქვათ, ის არის ლიბერალი.... (სკოლა) განათლებას ნაკლებად, მაგრამ იდეოლოგიას მაგრა აძლევს“...

ამ რესპონდენტის ერთადერთი რეკომენდაცია არა სქესობრივი განათლების დანერგვის, არამედ, ზოგადად, განათლების პოლიტიკის მიმართულებით უნდა განვიხილოთ. მისი აზრით, ყველაფრის ამოსავალი არის განათლების მიზნები და სისტემის მიერ დეკლარირებული ღირებულებები. თუ ეს ღირებულებები ეროვნულ და რელიგიურ საფუძველს დაეყრდნობა, და არა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო სისტემის და მთლიანად ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარება.

„პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობები ვართ, ილია როგორც ამბობს - ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნის... ვიღებთ რეკომენდაციებს, ვიღებთ რჩევებს , მაგრამ ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ... მერე ამ დამოუკიდებლობაში უფრო კარგად დავლაგდებით, ვიდრე რაღაც გაიდლაინებით“.

ინფორმირებულობის გაზრდა

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილის აზრით, სქესობრივი განათლების წარმატებით დანერგვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის საზოგადოების და, კერძოდ, მშობლების მიმდებლობის გაზრდა მის მიმართ. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული პოზიტიური ტენდენციები ამ მიმართულებით არსებობს, თუმცა საჭიროა უფრო ინტენსიური სისტემური მუშაობა სახელმწიფოს, განათლების სამინისტროსა და სკოლების მხრიდან, რათა მაქსიმალურად მეტ მშობელს ჰქონდეს სწორი ინფორმაცია სქესობრივი განათლების რაობის შესახებ.

„პირველ რიგში მნიშვნელოვანია სწორი მესიჯები, რას გულისხმობს ეს განათლება, რომ ეს არ არის „სექსის ტექნიკების“ სწავლება და რაღაც მსგავსი სისულელეები“...

საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას ხელს შეუწყობს არაფორმალური განათლებაც (ფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერების პარალელურად).

რა უნდა ისწავლებოდეს

სქესობრივი განათლების დანერგვის მომხრე რესპონდენტთა მოსაზრებით, აუცილებელია, ახალგაზრდებს ჰქონდეთ სამეცნიერო ცოდნა (ანატომიის დონეზე) რეპროდუქციული სისტემის აგებულებისა და მისი ფუნქციის შესახებ. ამ მოსაზრებას იზიარებს რელიგიურ-კონსერვატიული ორიენტაციის ერთ-ერთი რესპონდენტიც. მისი თქმით, აუცილებელია ფიზიოლოგიის შესაბამისი საკითხების უფრო ღრმად შესწავლა, ვიდრე ეს დღევანდელი საგნობრივი პროგრამით არის

გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია გენეტიკისა და ემბრიოლოგიის საფუძვლების სწავლებაც. ყოველივე ამას კი უნდა ახლდეს მორალურ-ეთიკური საკითხებიც: ადამიანის ცხოვრებაში სქესობრივი ურთიერთობებისა და ოჯახის მნიშვნელობის გაცნობიერება, პათიოსნებისა და თავშეკავების ღირებულებების სწორად შეფასება ახალგაზრდების მიერ (არა აუცილებლად რელიგიური, არამედ სამედიცინო პერსპექტივით).

„ერთ თავი უნდა ეთმობოდეს იმას, რა მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში სქესობრივი ურთიერთობა და ოჯახი. ოჯახი არის დედა, მამა და შვილები, ოჯახი არის სინშინდე, პათიოსნება, რაღაცის დათმობა, კომპრომისები... ჯობია თავშეკავება თავშეუკავებლობას... უამრავს ჩამოვთვლი სომატურ დაავადებებს, რომლებიც მოაქვს თავშეუკავებლობას... და აქაც საერთოდ არ ვახსენებ სულის უკვდავებას, ეს არ არის ჩემი თემა... უბრალოდ ვიღაცას არ აქვს შესაბამისი ცოდნა და იმაზე საუბრობს რაც აწუხებს“...

სქესობრივი განათლების დანერგვის მომხრე რესპონდენტებიც აღნიშნავენ, რომ სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ სამედიცინო ცოდნის მიღმა არსებობს არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი - სქესობრივი ურთიერთობების ემოციური ასპექტები, პასუხისმგებლობები, განწყობები და დამოკიდებულებები, მაგალითად, დამოკიდებულება სექსუალური ორიენტაციის მიმართ, რომლებიც უნდა განიხილებოდეს სქესობრივი განათლების ფარგლებში.

„...თავად ადამიანის ფსიქოლოგიური კოლაფსი რომ არ მოხდეს, რომელიც აღმოაჩენს, რომ განსხვავებული ორიენტაციისაა“...

მიუხედავად იმისა, რომ დიდია ახალგაზრდების ინტერესი სქესობრივი განათლების ერთ-ერთი წამყვანი საკითხის – სიამოვნების – მიმართ, უმეტეს სივრცეში და მათ შორის სკოლაშიც, მისი განხილვის მზაობა არ არსებობს. საზოგადოებისთვის, მშობლებისთვის უფრო მეტად მისაღებია, ახალგაზრდებს მიეწოდოს ინფორმაცია ჯანმრთელობის საკითხებისა თუ ძალადობის თავიდან აცილების, ანუ ნაკლებად სენსიტიური თემების შესახებ. თუმცა ეს ერთგვარად თემის სტიგმატიზაციას უწყობს ხელს და ამ თვალსაზრისით დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

„ეს მართო ჩვენთან არ ხდება, ამერიკაში ხუმრობენ კიდეც: ისე აშინებენ ამ ბავშვებს, რომ საწყლებს ჰგონიათ – სექსით თუ დაკავდები, მოკვდები“...

ამ სტიგმის თავიდან ასაცილებლად ასაკის და კონტექსტის შესაბამისი, დაბალანსებული მოდგომაა საჭირო.

ვინ უნდა ასწავლოს

სქესობრივი განათლების დანერგვის მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კვალიფიცირებული პერსონალის, პედაგოგების ჩართულობის აუცილებლობას ამ პროცესში. შეკითხვას „ვინ უნდა ასწავლოს“ შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული პასუხები – ბიოლოგიის მასწავლებლებმა, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა, სასკოლო სივრცის გარედან მოსულმა ექსპერტებმა, ფსიქოლოგებმა, რომლებიც იცნობენ ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს, აქვთ ცოდნა სწავლების სხვადასხვა მეთოდის/მიდგომის შესახებ.

„ჩემი ნება რომ იყო, მხოლოდ ფსიქოლოგებს წავაკითხებდი ამ საგანს. კატეგორიულად არ შეიძლება ჩვეულებრივი მასწავლებლების მიერ ამის სწავლება ჯერ-ჯერობით“...

მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი განათლების საკითხების სწავლება ბიოლოგიის მასწავლებლების მიერაც შესაძლებლად მიაჩნია, ფსიქოლოგების ჩართვას სქესობრივი განათლების პროცესში, თუკი ის არაფორმალური, კონსულტირების სახეს მიიღებს სკოლაში, ყველაზე მისაღებ ვერსიად განიხილავს რელიგიურ-კონსერვატიულად ორიენტირებული ერთ-ერთი რესპონდენტი.

„ყოველ წელს ამთავრებს იმდენი ფსიქოლოგი, რომ სად წავიდნენ, არ იციან და არც სამსახურები არ აქვთ... რომ იყოს ის, რომ გაიარონ ეს ყველაფერი, სწორედ ამ მიმართულებით – მოზარდებთან სასაუბროდ... რა თქმა უნდა, ამისთვის ძაან მნიშვნელოვანია მისი ზნეც, მისი ღირებულებებიც... როცა მე თვითონ არეულ-დარეული ვარ, ცხრა ქმარი გამოვიცვალე და შენ გასწავლი როგორ მოიქცე... ანუ მაგალითი არის ძალიან მნიშვნელოვანი“...

ყველა შემთხვევაში დგება მასწავლებელთა მომზადებისა თუ გადამზადების საკითხი. ეს სისტემური საკითხია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის ცვალებადობის პირობებში გაურკვეველია, რომელ კომპონენტში (ეტაპზე, საფეხურზე) და რა სახით (ტრენინგები, ონლაინ მოდული...) უნდა მოხდეს გადამზადება. თუმცა, ცხადია, რომ მომზადების/გადამზადების პროცესი არა მხოლოდ ცოდნის, არამედ კონცეპტუალურ საკითხებს უნდა შეეხოს. აუცილებელია მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება, მათ მიერ საკუთარი ღირებულებების გააზრება.

„მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს თავად ჰქონდეთ სწორი ღირებულებითი დამოკიდებულება ამ საკითხებთან. აუცილებელია მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება“...

სანამ მოხდება სქესობრივი განათლების ინტეგრირება კურიკულუმში, მასწავლებლები უნდა იყვნენ მზად ამ პროცესისთვის. ერთ-ერთი საშუალება ამისათვის არის სახელმძღვანელო პრინციპებისა თუ ადეკვატური დამხმარე სახელმძღვანელოს/რესურსის შექმნა მასწავლებლისთვის. ეს უნდა იყოს ერთგვარი გზამკვლევი, კონკრეტული საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი აქტივობებით, საათობრივი ბადითა და ა. შ. ზოგიერთი ორგანიზაცია ამგვარი რესურსის შექმნის მიზნით თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან.

„წიგნში რა წერია, არაა საკმარისი... მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ ელაპარაკოს მოსწავლეს“...

ზოგიერთ რესპონდენტს აქვს კონკრეტული რეკომენდაციები, თუ რომელი საგნის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს სქესობრივი განათლების საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიაში წარმოდგენილია ამ საკითხების დიდი წილი („ის, რაც მენსტრუაციის სტიგმას მოხსნის, რომ ეს არის ნორმალური პროცესი და ა. შ., ცალსახად სამეცნიერო ინფორმაციის სტილში უნდა იქნას მიწოდებული“...), გაცილებით უფრო რელევანტური უფლებრივი საკითხების „გაშლისთვის“ არის სამოქალაქო განათლება, როგორც მრავალპროფილიანი საგანი. კიდევ ერთი არგუმენტი მის სასარგებლოდ არის სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ასაკი (შედარებით ახალგაზრდები არიან) და პროფესია.

„ეკონომისტები ასწავლიან, იურისტები ასწავლიან... თვითონ თემების გაშლა შეიძლება აქ კარგად... როდესაც აივ შიღსზე ვსაუბრობთ და სტიგმა, რომელიც აივ შიღსზე არის, ამას სამოქალაქოში უფრო ვხედავ მე“...

სქესობრივი განათლების პროცესში ჩართულ ადამიანთა ასაკზე განსხვავებული შეხედულება აქვს ერთ-ერთ რესპონდენტს. მისი აზრით, ადამიანმა პიროვნული ფორმირების ასაკს – 30 წელს – უნდა მიაღწიოს, რათა სხვისთვის რამის სწავლება შეძლოს.

„მე დავაწესებდი ასაკობრივ ცენზს – 30 წლის შემდეგ... მანამდე ისწავლოს რა... 20 წლის ასაკში რატომ უნდა ვიყო ან დირექტორი, ან პრეზიდენტი და ან რაღაც... როცა ბუნებითაც 30 წლამდე ადამიანს გაცემა არ შეუძლია, ის არის გამპირი, ისრუტავს, სწავლობს... შეიძლება იყოს გენიოსი, მაგრამ გაცემა არ შეუძლია... 30 წლის ასაკში ადამიანს მიღებული აქვს თავის თავი ისეთი, როგორიც არის“...

რით უნდა ისწავლებოდეს

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, სქესობრივი განათლების დანერგვის აუცილებელი წინაპირობა ადეკვატური სასწავლო რესურსების მომზადებაა. ამისათვის საჭიროა

თანამშრომლობა განათლების სამინისტროსთან, რათა სახელმძღვანელოები შეიცავდეს აქტუალური სამეცნიერო ცოდნის შესაბამის ინფორმაციას.

„უეჭველია, რომ საჭიროა ახალი წიგნები... ამას ადვოკატირება უნდა სამინისტროსთან, რომ მეცხრე-მეათე კლასის სამოქალაქო განათლების წიგნებში რაღაც კომპონენტი მაინც ჩადონ, მინიმუმ სტიგმა აიგ-შიდსზე, ძალიან მნიშვნელოვანია“...

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საზოგადოების კულტურული თავისებურებებისა და მენტალიტეტის გათვალისწინება. ასეთ შემთხვევაში სასწავლო რესურსების მიმართ უფრო მაღალი მიმდებლობა ექნებათ მოსწავლეებსაც, მშობლებსაც და მასწავლებლებსაც.

„ჩვენ რომ ავიღოთ და ვთარგმნოთ გერმანული ან სხვა ევროპული სახელმძღვანელოები, არაფერი არ გამოვა, იქ სულ სხვა მენტალიტეტი. უნდა შეიქმნას ჩვენს მენტალიტეტზე მორგებული სახელმძღვანელო“...

სახელმძღვანელო უნდა შეიქმნას რამდენიმე პროფესიის ადამიანის ჩართულობით, რომლებიც შეისწავლიან დასავლეთის გამოცდილებას, ევროპულ სახელმძღვანელოებს, და ამის საფუძველზე შექმნიან ქართული მენტალიტეტის და კულტურის ადეკვატურ სახელმძღვანელოს.

თანამედროვე (შესაძლოა, ძალზე სამუხარო) ტენდენციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად ახალგაზრდა თაობა ნაკლებად ინტერესდება წიგნით და სხვა წყაროებს ანიჭებს უპირატესობას, მნიშვნელოვანია, შეიქმნას განსხვავებული ტიპის რესურსები – პატარ-პატარა ვიდეოები.

„სკოლაში წიგნს ძალიან ცოტა წაიკითხავს, ადარაფერს არ კითხულობენ ეს ბავშვები. ვიდეოს ვიღაც მოისმენს, სხვას გაუზიარებს“...

რა ასაკში უნდა ისწავლებოდეს

სქესობრივი განათლების დანერგვის მომხრე რესპონდენტები თავს იკავებენ კონკრეტული ასაკის დასახელებისგან, როდესაც შეიძლება სქესობრივი განათლების საკითხების სწავლება ბავშვებისთვის. მათი აზრით, ასაკზე მეტად, მნიშვნელოვანია „ინდივიდის კონტექსტი“, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს ინფორმაციის მიწოდების საჭიროებაზე. თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, 12 წლამდე ფორმალური განათლების ფორმატში, სახელმძღვანელოთი ამ თემების სწავლება ნაკლებად მიზანშეწონილია.

ზოგიერთი რესპონდენტი კიდევ უფრო მაღალ ასაკს მიუთითებს და აღნიშნავს, რომ მხოლოდ მე-11 ან მე-12 კლასში არის შესაძლებელი ზოგად ბიოლოგიასთან ერთად სქესობრივი განათლების, უფრო ზუსტად კი, ჯანსაღი ცხოვრების წესის ინტეგრირება. სავარაუდოდ,

რესპონდენტი ნაკლებად არის ინფორმირებული სასკოლო კურიკულუმის შესახებ, რომლის მიხედვითაც მე-12 კლასში ბიოლოგია სავალდებულო საგნის სახით აღარ ისწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტი არც სქესობრივი განათლების მიზნების შესახებ არის ინფორმირებული.

„შეიძლება იყოს ფიზიოლოგია, ოღონდ ცალკე სექსოლოგია არ არის საჭირო... იყოს ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ჯანმრთელობა რაზეა დამოკიდებული, და იყოს აწყობილი ისე, რომ ჯანსაღი ცხოვრება არის ყველაზე მნიშვნელოვანი“...

რა ფორმით უნდა ისწავლებოდეს

რესპონდენტებს არ აქვთ ერთგვაროვანი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს სქესობრივი განათლების დანერგვა სკოლაში. ზოგიერთი დასავლური, კერძოდ, სკანდინავიური გამოცდილების გაზიარების რეკომენდაციას იძლევა, რომლის მიხედვითაც სქესობრივი განათლება არ უნდა დაინერგოს ცალკე საგნად, არამედ ინტეგრირებული („განერილი“) უნდა იყოს ყველა იმ საგანში, რომლებთანაც აქვს გარკვეული კვეთა. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს ამჟამად განათლების სამინისტრო და, ძირითადად, სამ სფეროზე აკეთებს აქცენტს – ბიოლოგიაზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და სამოქალაქო განათლებაზე.

„ნებისმიერი საკითხი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უფლებრივ ჭრილში, ასევე წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით ან ბიოლოგიური თვალსაზრისით... ამიტომ მნიშვნელოვანია თითოეულ საგანში შესაბამისი სტანდარტით მოხდეს ამ საკითხების მიწოდება“...

„ყველა საგანში უნდა იყოს შესაბამისი მიდგომა, ღირებულებების დონეზე“...

„ინფორმაცია უნდა იყოს ინტეგრირებული სასწავლო პროცესში“...

რესპონდენტები ემხრობიან ფორმალური განათლების სივრცეში არაფორმალური ელემენტების შემოტანას, ზოგიერთისთვის სქესობრივი განათლება უფრო მეტად სწორედ არაფორმალური განათლების პრეროგატივაა.

„მნიშვნელოვანია, ფორმალური განათლების გამდიდრება არაფორმალური კონპონენტებით“... „სწავლების მეთოდთა თუ იქნება გადმოტანილი ფორმალურ განათლებაში არაფორმალური განათლებიდან, ნამდვილად არ დაგვარგავთ არაფერს, თუ არ მოვიგებთ... დიდი ხანი არაა, რაც სკოლაში ვარ,

მაგრამ არაფორმალური განათლების „ექსპერტობა“ თუ გამოცდილება ძალიან მეხმარება იმაში, რომ მე ჩემი გაკვეთილები ადეკვატურად დაგვეგმო და წარვმართო“...

ამისათვის დამატებითი არგუმენტია კონფიდენციალობის დაცვის პრობლემა ფორმალური გაკვეთილის დროს, რომელსაც 25-30 მოსწავლე ესწრება. მოსწავლეებმა შეიძლება მოისმინონ ინფორმაცია მასწავლებლისგან, მაგრამ თავი შეიკავონ შეკითხვების დასმისგან.

„კლასში 30 ბავშვი რომ გიზის, ძალიანაც რომ გაინტერესებდეს ორსულობისგან თავის დაცვა, შეიძლება არ იკითხო... იმიტომ, რომ არ იცი, კლასელებს რა რეაქცია ექნებათ... ასე ხელალებით ლაპარაკი განათლების შეტანაზე კონფიდენციალობის გარეშე არ შეიძლება“...

სკოლამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი სივრცე ინდივიდუალური შეხვედრებისთვის.

„ნაწილს აინტერესებს, ნაწილს არა... ნაწილს ეს პრობლემა აქვს, ნაწილს ის პრობლემა“...

ყოველივე ზემოაღნიშნული გამოკვეთს სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესისადმი ძალზე ფრთხილი მიდგომების აუცილებლობას.

„...მეტი ზიანი არ მოგუტანოთ ბავშვებს ამის შეტანით... ბულინგის პრობლემა მსგავსი საკითხების წინ წამოწევით კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შიძლება დაგვიდგეს“...

სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი ამ კონტექსტში „თანადგომას“ ახსენებს და მის ნაბიჯ-ნაბიჯ, ზომიერ მიდგომებს პოზიტიურად ახასიათებს.

მიუხედავად იმისა, რომ არ მიესალმება სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვას, ერთ-ერთი რესპონდენტი გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში ამ პროცესში სწორედ არაფორმალური განათლების ელემენტების გამოყენების მომხრეა. მისი თქმით, შესაძლოა ამას სკოლის ბიუჯეტიდან დიდი თანხა დასჭირდეს, მაგრამ სასურველია, სკოლამ მოიწვიოს ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ექიმი ან თუნდაც სექსოლოგი, რათა მოსწავლეებს სქესობრივი ურთიერთობების სხვადასხვა საკითხის განხილვა შეეძლოთ პროფესიონალთან ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფში.

„თუ ეს არის დავალება და თუ ამის გარეშე არ მიგვიღებენ, სადაც გვიღებენ, რა თქმა უნდა, უფრო ადამიანურია და უფრო სწორია, თუ ამას მოახერხებს სახელმწიფო, რომ არის ეს სამსახური და ეს თემები სკოლაში, ოღონდ ეს იქნება არაფორმალურად... მაშინ ყველა დამშვიდდება... მღვდლის შვილსაც აქვს პრობლემები და

ლიბერალის შვილსაც... რა მნიშვნელობა აქვს, იმასაც სჭირდება დახმარება და ამასაც“...

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კვლევაში მონაწილეობდა რესპონდენტიც, რომელიც რადიკალური რელიგიურ-კონსერვატიული (უტრამემარჯვენე) შეხედულებებით გამოირჩევა და კატეგორიულად ეწინააღმდეგება სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვას ნებისმიერი ფორმით.

არასამთავრობო სექტორის მიერ სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესის ხელშეწყობი ღონისძიებები

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილი დადებითად აფასებს არასამთავრობო სექტორის მუშაობას – ბევრი რამ კეთდება არაფორმალური განათლების, ელექტრონული პლატფორმების, კვლევების თვალსაზრისით. ზოგ შემთხვევაში ეს ნამდვილი ბრძოლაა, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასდაც კი, თუმცა, სახელმწიფოს ნების გარეშე ეს ყოველივე ნაკლებად ეფექტურია.

„გააკეთებენ შეხვედრას, მიიღებენ რაღაც პოლიტიკის დოკუმენტს... კი, კი, მნიშვნელოვანიაო, იტყვიან და არ კეთდება მეტი არაფერი... ანუ რაც არ უნდა ლამაზად დაწერო ქაღალდზე, აღარ აკეთებენ... შშმ პირების სქესობრივ განათლებაზე რომ გაკეთდა რაღაცა, მეც მაგამეც ვმუშაობ, და მანდაც არაფერი არ გაკეთდა... მე სამოქალაქო სექტორი ვარ... შემიძლია ვპოსტო, მედიაში გამოვიდე, ვიჩხუბო, მაგრამ იმათ თუ არ მოინდომეს, ნუ, ვიყვირებ, რა ვქნა, სხვა ბერკეტები აქტივიზმის არ გვაქვს“...

აღნიშნული პრობლემის გამო სამოქალაქო სექტორი სქესობრივი განათლების დანერგვის საკითხის ადვოკატირებას საერთაშორისო დონეზე, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების გზით ცდილობს. ამის გამოცდილება უკვე არსებობს.

„მაგალითად, სილოს დასკვნითი შემაჯამებელი რეკომენდაციები სწორედაც რომ სახელმწიფოს ავალდებულებდა, შემოეტანა ასაკობრივად მიზანშეწონილი სქესობრივი განათლების საკითხები ფორმალური განათლების სისტემაში... და სწორედ ამ რეკომენდაციის მერე დაიწყო „მე და საზოგადოების“ სტანდარტზე მუშაობა და სამოქალაქო განათლების საგანში გარკვეული საკითხების ინტეგრირება“...

რესპონდენტთა ნაწილი სფეროში მომუშავე ყველა ორგანიზაციის ჩართულობით დიალოგის გამართვის აუცილებლობაზე საუბრობს. ისმება ერთგვარი ქსელისა თუ პლატფორმის შექმნის საკითხიც, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ცალკეული არასამთავრობო

ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. სქესობრივი განათლების თემებისადმი სენსიტიურობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მომუშავე ექსპერტების ჯგუფის გაფართოება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი საერთო მიზნის მიღწევა – სქესობრივი განათლების დანერგვა ფორმალური განათლების სისტემაში.

„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო არის დიალოგი, ყველასი ერთად“...

„ჩვენც, მგონი, ერთი რამ გვაკლია – ერთს რომ დანერ, მერე ყველამ ერთიანად ილაპარაკოს მაგ საკითხზე... ყველა გზით გავრცელდეს“...

სამოქალაქო სექტორისა და მშობელთა მოძრაობების გაძლიერებაზე საუბრობს რელიგიურ-კონსერვატიულად ორიენტირებული ერთ-ერთი რესპონდენტიც. თუმცა მისთვის მიზანი სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის ნაცვლად მოსწავლეებისთვის ამ საკითხებზე აკადემიური ცოდნის მიცემა და ამასთან ერთად მათ მორალურ აღზრდაზე ბრუნვაა.

„მე ვთვლი, რომ სამოქალაქო სექტორი უნდა გაძლიერდეს ძალიან, მშობლების მოძრაობები... მე ვერ შევეჭირები ვერც ერთ მშობელს, რომ მისი შვილისთვის უკეთესი მინდა... აკადემიური ცოდნა, სულიერება, ზომიერება - მე მგონი, ეს ტრიადა იქნებოდა საუკეთესო“...

სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის მომხრე რესპონდენტთა აზრით, ამ სენსიტიურ თემაზე არასამთავრობო სექტორი ერთიან პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მუშაობდეს – შინაარსის, ენის, ფორმის თვალსაზრისით. სამუხაზოდ, აქაც არის ხოლმე უთანხმოება.

„არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის უნდა იქნას მიღწეული შეთანხმება, უნდა იქნას დაცული ბალანსი, ზომიერება... ულტრაჯგუფები საქმეს აფუჭებენ“...

რესპონდენტთა ნაწილი მზაობას გამოთქვამს განათლების სამინისტროსთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობისთვის, თუმცა აქაც სწორი სტრატეგიის შერჩევაა აუცილებელი.

„არ ვიცი რას აპირებენ, მაგრამ ძალიან დიდი სიამოვნებით ჩავერთვებოდი ყველა იმ პროცესში, რაც სამინისტროს ექნებოდა ამ მიმართულებით“...

„ერთადერთი საშუალებაა ის ხაზი, რაც უჭირავს თანადგომას. ის სწორად მუშაობს გადანაცვლებების მიმდებარე“...

არასამთავრობო სექტორის მხრიდან მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება სასწავლო რესურსების – ინტერაქციული გაკვეთილების ფორმის რესურსების, მაგალითად, ვიდეოების – შექმნა. შესაძლებელია ახალგაზრდული სააგენტოს როლის გაძლიერებაც – ის მნიშვნელოვანი პლატფორმაა სისტემური თანამშრომლობისთვის.

ნაწილი II

რაოდენობრივი კვლევა

13. კვლევის დიზაინი

კვლევის მიზნები

სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებით თვისებრივი კვლევის ფარგლებში (ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, ექსპერტული შეფასებები და დოკუმენტაციის ანალიზი) სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისგან მოპოვებულ კომპლექსურ ინფორმაციასა და ფორმალური განათლების მარეგულირებელი საკვანძო დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ასეთი დასკვნები გაკეთდა:

- *პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია;*
- *განწყობები პოლარიზებულია;*
- *საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების დანერგვა რთული გამოწვევების წინაშეა.*

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევის საფუძველზეც შეფასდა. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სახელმწიფოსა და, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სქესობრივი განათლების სკოლებში დანერგვის მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, აუცილებელია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან სწორი კომუნიკაცია, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოების განწყობების კომპლექსური ანალიზი. ამ მიზნის მიღწევა უზრუნველყო პროექტის ფარგლებში კვლევის როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი დიზაინის გამოყენებამ.

რაოდენობრივმა კვლევამ პასუხი გასცა შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- რამდენად არის ინფორმირებული საზოგადოების ესა თუ ის ნაწილი სქესობრივი განათლების მიზნებისა და დანიშნულების შესახებ;
- რამდენად არის გაცნობიერებული საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის მიერ სქესობრივი განათლების მნიშვნელობა;
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების ფორმირებაზე;
- რა ეფექტი აქვს სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებას სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვასთან დაკავშირებულ აღქმებსა და ქცევებზე;
- როგორია საზოგადოების მზაობა, მიიღოს ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ და ჩაერთოს მის ხელშეწყობ აქტივობებში.

კვლევის ანგარიშის წინამდებარე ნაწილში აღწერილია რაოდენობრივი კვლევის დიზაინი, საკვლევი ინსტრუმენტის შემუშავების პროცესი, წარმოდგენილია ძირითადი საკვლევი ცვლადების - სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობისა და სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულების - მიმართება დემოგრაფიულ და სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებთან, ასევე მათ შორის პირდაპირი და ირიბი კავშირების შეფასებით მიღებული ძირითადი დასკვნები. ძირითადი საკვლევი ცვლადების შესახებ რაოდენობრივი მონაცემები გაანალიზებულია სამიზნე ჯგუფების მიხედვითაც.

საკვლევი ინსტრუმენტის შექმნა

რაოდენობრივი კვლევის ნაწილის პირველი ამოცანა საკვლევი ინსტრუმენტის კონსტრუირება იყო. ინსტრუმენტის შექმნის პროცესში, ძირითადად დავყვრდებით თვისებრივი კვლევის მონაცემებს, ასევე, გავითვალისწინეთ სქესობრივი განათლების კვლევებში საერთაშორისო პრაქტიკა (Robin R. Milhausen, John K. Sakaluk, Terri D. Fisher, Clive M. Davis, and William L. Yarber, 2020).

ინსტრუმენტის დიზაინი

სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოების განწყობების საკვლევი კითხვარი შეიქმნა ფსიქოლოგიური ინსტრუმენტის კონსტრუირების რაციონალური და ფაქტორულ-ანალიზური მეთოდების გამოყენებით²⁷.

კვლევის ინსტრუმენტის დიზაინი ითვალისწინებს საკვლევი კონსტრუქტის კოგნიტური, აფექტური და ქცევითი კომპონენტების შეფასებას.

კოგნიტური კომპონენტი (ინფორმირებულობა) - კითხვარის კოგნიტური ნაწილის მიზანია რესპონდენტთა ცოდნის შეფასება სქესობრივი განათლების მიზნების, ფუნქციის, შინაარსების შესახებ, მათი ინფორმირებულობის ხარისხის შეფასება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა რეპროდუქცია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და აივ ინფექცია, ჯანსაღი ურთიერთობები, პირადი უსაფრთხოება და სხვა.

აფექტური კომპონენტი (ღირებულებები/დამოკიდებულებები) - კითხვარის ამ ნაწილის მიზანია სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებებისა და განწყობების, ასევე, მისი მნიშვნელობისა და როლის გაცნობიერების ხარისხის შეფასება.

²⁷ რაციონალური კონსტრუქცია გულისხმობს ინსტრუმენტის შექმნისას გარკვეული თეორიული მიდგომის გამოყენებას (ჩვენს შემთხვევაში ცვლადის კოგნიტური, აფექტური და ქცევითი კომპონენტების გამოყოფას), ხოლო ფაქტორულ-ანალიზური (იგივე ინდუქციური) კონსტრუქცია - ფაქტორულ-ანალიზური ტექნიკების გამოყენებით ურთიერთდაკავშირებული დებულებებით სკალების შექმნას (Kubinger K., Jaeger R., Schleusselbegriffe der Psychologischen Diagnostik, Springer 2003).

ქცევითი კომპონენტი (ჩართულობა) - კითხვარის ამ ნაწილით ფასდება საკვლევი კონსტრუქტის ქცევითი განზომილება, სქესობრივი განათლების პროცესში ამა თუ იმ ფორმით ჩართულობა (სწავლა/ინფორმაციის მოპოვება, სწავლება/სხვათა ინფორმირება ან განწყობების ქცევაში რეალიზება).

სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული კოგნიტური, აფექტური და ქცევითი კომპონენტების კომპლექსურად შესასწავლად, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასევე შეგროვდა ინფორმაცია რესპონდენტთა სხვადასხვა კონტექსტუალურ და დემოგრაფიულ მახასიათებელთა შესახებ.

გარემო ფაქტორები (კონტექსტუალური მახასიათებლები) - კონტექსტუალურ მახასიათებლებში იგულისხმება მიკრო (მაგალითად, ოჯახი) და მაკრო (მაგალითად, სახელმწიფო პოლიტიკა, განათლების სისტემა, მედია, ეკლესია და სხვა) გარემოს მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენს სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. კონტექსტუალური ინფორმაციის შეგროვებით შეფასდა ისეთი მიდგომები და პრაქტიკა, რომლებიც ხელს უწყობს სქესობრივი განათლებისადმი პოზიტიური განწყობების ჩამოყალიბებას და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას.

დემოგრაფიული ფაქტორები - კითხვარით მოპოვებული ინფორმაცია გაანალიზდა შემდეგი დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში: სქესი, ასაკი, განათლება, საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი, ქალაქი, სოფელი), პროფესია, დასაქმების სტატუსი, სტაჟი.

საკვლევი ინსტრუმენტის კონსტრუირება

EPRA-ს ექსპერტების მიერ დებულებების ნაკრების შექმნა – შეიქმნა 353 დებულება/შეკითხვა, რომლებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ფორმატის მიხედვით. წარმოდგენილი იყო შეკითხვები დიქტომური პასუხებით, არჩევითპასუხებიანი დებულებები, დებულებები ლაიკერტის ხუთსაფეხურიანი სკალის გამოყენებით, მატრიცები. დებულებები ასახავდა საკვლევი კონსტრუქტის კოგნიტურ (ინფორმირებულობა), აფექტურ (დამოკიდებულებები) და ქცევით (ჩართულობა) განზომილებებს, ასევე, კონტექსტუალურ ფაქტორებს (სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის - სკოლის, ოჯახის, მედიის, ეკლესიის - როლს სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის პროცესში).

დებულებების რევიზია – საკვლევი ინსტრუმენტის დებულებების რევიზია რამდენიმე ეტაპად წარიმართა. 1. პირველ ეტაპზე მონაწილეობდნენ EPRA-ს ექსპერტები (10 ექსპერტი). დებულებები შეფასდა როგორც რელევანტურობის, ასევე, ფორმულირების ადეკვატურობის (სიმარტივე, ერთმნიშვნელოვნება, ლაკონურობა და ა.შ.) მიხედვით. მსგავსი დებულებების იდენტიფიცირების და მათგან საუკეთესოს შერჩევის საფუძველზე დებულებების რაოდენობა შემცირდა 150-მდე. 2. რევიზიის მეორე ეტაპზე დებულებები შეფასდა „თანადგომა“-სა და სქესობრივი განათლების ადვოკატირებაზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების

ექსპერტების (8 ექსპერტი) მიერ რელევანტურობის, ასევე, ფორმულირების ადეკვატურობის თვალსაზრისით. ამ მიზნით მომზადდა ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდაციის ფორმა, რომელიც ექსპერტთა შეფასებების მონაცემების სტანდარტიზებული წესით შეგროვების შესაძლებლობას იძლეოდა. 4. ექსპერტთა შეფასების მონაცემები გაანალიზდა თვისებრივად EPRA-ს ექსპერტების მიერ, დაზუსტდა და შესწორდა დებულებების ფორმულირებები. 5. განისაზღვრა ექსპერტთა თანხმობის კოეფიციენტი, რომელიც მთლიანად ინსტრუმენტის და მასში შემავალი დებულებების შინაარსობრივი ვალიდობის მაჩვენებელია. შინაარსობრივი ვალიდობით განისაზღვრება, ზომავს თუ არა თითოეული შეკითხვა და მთლიანობაში ინსტრუმენტი იმას, რის გასაზომადაც ის შეიქმნა. შინაარსობრივი ვალიდობა ინსტრუმენტის ვალიდობის მტკიცებულების არსებითი წყაროა და ის აუცილებლად უნდა გაანალიზდეს ტესტის შექმნის პროცესში (APA, AERA, and NCME, 1999). შინაარსობრივი ვალიდობის მტკიცებულება ხელს უწყობს არა მარტო შესაფასებელი კონსტრუქტის კონცეპტუალურ განსაზღვრას, არამედ საფუძვლად უდევს მიღებული ქულების ვარიაციის სწორად ახსნას (Haynes et al., 1995). ძირითადი კითხვა ამ ანალიზისას ასეთია: *როგორია ექსპერტთა თანხმობის ხარისხი ცალკეული დავალების რელევანტურობასთან მიმართებით?* ჩვეულებრივ, ექსპერტთა თანხმობის მაღალი ხარისხი მიუთითებს შეკითხვების, და მთლიანად ტესტის შინაარსის ვალიდობაზე. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ექსპერტთა დიდი უმრავლესობა კონკრეტულ შეკითხვას მიიჩნევს რელევანტურად, ასეთ შემთხვევაში შეკითხვა შინაარსობრივად ვალიდურია. შინაარსობრივი ვალიდობისა და ექსპერტთა თანხმობის შესაფასებლად გამოვიყენეთ რამდენიმე კრიტერიუმი (Fleiss kappa, Intraclass correlation Kendall W და Iken index). ის შეკითხვები, რომელთა შინაარსობრივი ვალიდობა დაბალი იყო, ამოღებულ იქნა ინსტრუმენტიდან. საბოლოოდ მივიღეთ კითხვარი, რომელიც აკმაყოფილებს შინაარსობრივ ვალიდობასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ფსიქომეტრულ მოთხოვნას. 6. შესწორებული ვერსია (დებულებების მიხედვით ექსპერტთა შეთანხმებულობის კოეფიციენტების მითითებით) კვლავ გადაეცა დამკვეთ ორგანიზაციას, რომლის წარმომადგენლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ინსტრუმენტის საბოლოო ფორმატის შესახებ.

ინსტრუმენტის საბოლოო ვერსიის შემუშავება - ინსტრუმენტის კონსტრუირების ბოლო ეტაპი იყო ენობრივი რედაქტირება. მონაცემთა შესაგროვებლად შეიქმნა კითხვარის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული (Google forms გამოყენებით) ვერსია.

ინსტრუმენტი საბოლოო ვერსია სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ესენია: დემოგრაფიული, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების (განწყობები, ჩართულობა) ნაწილები. ინსტრუმენტი 90 დებულებას შეიცავს. გამოყენებულია პასუხების ორი ფორმატი: დებულებები არჩევითი პასუხებით (ზოგიერთ შემთხვევაში მრავლობითი არჩევანის შესაძლებლობა), და დებულებები ხუთსაფეხურიანი ლაიკერტის სკალით.

ინსტრუმენტის თარგმნა - საკვლევი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაწყდა კვლევის ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, კერძოდ,

ახალქალაქისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში. შესაბამისად, ინსტრუმენტი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თარგმანისა და რედაქტორების პროცესში ჩართულნი იყვნენ სომხური და აზერბაიჯანული ენების სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ სოციალურ მეცნიერებებში მუშაობისა და საკვლევი ინსტრუმენტების თარგმნა-რედაქტორების გამოცდილება.

საკვლევი ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლები

ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ტესტის კლასიკური თეორია.

პირველ ეტაპზე განხორციელდა ანალიზი დებულებების დონეზე. შეფასდა თითოეული შეკითხვის დისკრიმინაციული ინდექსი. შეკითხვათა უმრავლესობის დისკრიმინაციის ინდექსები 0.4-0.6 ფარგლებშია. ის შეკითხვები, რომელთა დისკრიმინაციის ინდექსი აღმოჩნდა დაბალი (<0.2 -ზე), არ იქნა გათვალისწინებული მონაცემთა შემდგომი ანალიზის ეტაპებზე (იხ. [დანართი, ცხრილი 3](#))

ანალიზი გაკეთდა სკალის დონეზეც - შეფასდა კითხვარის სანდოობა კრონბახის ალფა კოეფიციენტის გამოყენებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, 73 შეკითხვიდან ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა 64, ამ 64 დებულებისგან შემდგარი ინსტრუმენტის სანდოობა ძალიან მაღალია (Cronbach's $\alpha = 0.973$).

კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა შეფასდა ფაქტორული ანალიზის გამოყენებით. პრინციპული კომპონენტების ანალიზის საშუალებით 4 კომპონენტი გამოვლინდა, რომელთა საწყისი საკუთრივი მნიშვნელობა (Initial Eigenvalues) 1-ს აღემატება. გამოვლენილი 4 ფაქტორი მთლიანი ვარიაციის დაახლოებით 49% ხსნის. აქედან პირველი ფაქტორი ხსნის 39.8%-ს (35 დებულებით), ხოლო დანარჩენი სამი ფაქტორის მიერ ახსნილი ვარიაციის წილი მკვეთრად მცირეა: მეორეს შემთხვევაში - 3.8% (7 დებულებით), მესამეს შემთხვევაში - 3.2% (4 დებულებით), ხოლო მეოთხესთვის - 2.3% (6 დებულებით) (იხ. [დანართი, ცხრილი 3](#)).

სკალების (ფაქტორების) აღწერა

დებულებების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე პირველ და *ძირითად* ფაქტორს შეიძლება ვუწოდოთ **სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება** - მოცემული ფაქტორი აღწერს კვლევის მონაწილეთა დამოკიდებულებას სქესობრივი განათლების მიმართ, თუ რამდენად აცნობიერებენ ისინი სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობის სიკეთესა და მნიშვნელობას. ტიპური დებულებებია: *სქესობრივი განათლება მნიშვნელოვანია ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისთვის; იმისათვის, რომ გაუადვილდეთ საკუთარი თავის შეცნობა/მიღება, მოზარდებს უნდა ჰქონდეთ ამომწურავი ცოდნა ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ცვლილებების შესახებ; სქესობრივი განათლება*

უვითარებს ახალგაზრდებს უნარს, განასხვავონ ასაკისთვის შესაბამისი, სანდო წყაროები არასანდო, დამახინჯებული ინფორმაციისგან; სქესობრივი განათლება ეხმარება მოზარდებს, გააცნობიერონ, რომ სქესობრივი განვითარება და მოთხოვნილებები ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილია და მათზე ფიქრი, მსჯელობა მიუღებელი არ უნდა იყოს და ა. შ. მაღალი ქულა სკალაზე მიგვითითებს, რომ პირი აცნობიერებს სქესობრივ განათლებასთან ასოცირებულ სიკეთეებს და მნიშვნელოვნად თვლის ხელმისაწვდომობის ზრდას.

მეორე ფაქტორის დებულებათა ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება ამ ფაქტორს **კონტრარგუმენტები** ეწოდოს. მოცემული კონსტრუქტი სქესობრივი განათლების წინააღმდეგ გამოთქმული იდეების ნაკრებია. ის აერთიანებს ისეთ შინაარსებს, როგორებიცაა: სკოლაში ისეთ ინტიმურ თემაზე საუბარი, როგორიც სქესობრივი ურთიერთობებია, ეწინააღმდეგება ჩვენს კულტურას, ტრადიციებს; ვფიქრობ, ახალგაზრდები მშობლებისგან იღებენ საკმარის ინფორმაციას სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ; გაკვეთილები, რომლებზეც სქესობრივი განათლების საკითხები განიხილება, ბიჭებს კაცმა პედაგოგმა უნდა ჩაუტაროს, ხოლო გოგონებს - ქალმა; სკოლაში სქესობრივი განათლების თემატიკა უნდა შეთანხმდეს რელიგიური ინსტიტუციების წარმომადგენლებთან და სხვ. ეს ფაქტორი გარკვეულწილად სქესობრივი განათლების თემატიკასა და ზოგადად, მის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ კონტრარგუმენტებს აერთიანებს და შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სქესობრივი განათლების მოწინააღმდეგეების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ერთობა. მაღალი ქულა ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ პიროვნებისთვის უფრო მიუღებელია სქესობრივი განათლება თავისი კლასიკური გაგებით, ვიდრე მისაღები.

მესამე ფაქტორი აღწერს კვლევის მონაწილეთა აღქმას იმის შესახებ, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ქვეყანაში სქესობრივი განათლებისთვის საჭირო რესურსები. შესაბამისად, მას **რესურსების დეფიციტი** ვუწოდეთ. ტიპური დებულებებია: სკოლებს არ ჰყავთ სქესობრივი განათლების სფეროში სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესიონალები; სკოლაში გაკვეთილები (შეხვედრები), რომლებზეც სქესობრივი განათლების საკითხები უნდა განიხილებოდეს, მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების მხრიდან უხერხულობის განცდის გამო ხშირად არ ტარდება; სკოლებში სქესობრივი განათლებისთვის საჭირო კვალიფიციურად მომზადებული სასწავლო მასალის/რესურსების დეფიციტია და ა. შ. მაღალი ქულა სკალაზე მიგვითითებს, რომ პიროვნება სქესობრივი განათლებისთვის საჭირო რესურსებს როგორც დეფიციტურს ისე აღიქვამს.

მეოთხე ფაქტორი აერთიანებს დებულებებს, რომლებიც **სქესობრივ განათლებაში ჩართულობას** ასახავს. ესენია, მაგალითად: დავსწრებივარ/დავესწრებოდი სქესობრივი განათლების შესახებ ტრენინგებს, შეხვედრებსა თუ ღონისძიებებს; ვკითხულობ/წავიკითხავდი სქესობრივი განათლების შესახებ კვალიფიციურ სტატიებს; ვყოფილვარ ჩართული/ჩავერთვებოდი სქესობრივი განათლების მხარდაჭერის ღონისძიებებში; სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმაციას ვუზიარებ გარშემოყოფებს (მაგ., მეგობრებს);

მომიძიებია ინფორმაცია და/ან მისარგებლია სქესობრივი ცხოვრების საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო და სამედიცინო სერვისებით (მაგ., რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის, ორსულებზე მეთვალყურეობის და სხვა სერვისებით). დებულებებს თუ ჩავუღრმავდებით, ცხადი ხდება, რომ ეს ფაქტორი აფასებს არა მხოლოდ ჩართულობას სქესობრივ განათლებაში, არამედ ჩართვის სურვილსაც, რომელიც ერთგვარი მზაობა, წინასწარგანწყობაა და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართვის წინაპირობად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მაღალი ქულა სკალაზე მიგვითითებს პირის ინტერესზე, ჩაერთოს მსგავს პროცესებში.

სკალების სანდოობა

შემოწმდა თითოეული ფაქტორის საფუძველზე შექმნილი სკალის შინაგანი კონსისტენტობაც. სანდოობა ოთხივე სკალის შემთხვევაში მაღალია. კრონბახის ალფა კოეფიციენტები წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი 14: სკალების სანდოობის მაჩვენებლები

	Cronbach's Alpha	სკალის საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	დებულებების რაოდენობა
სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	0.97	134.38	22.51	35
კონტრარგუმენტები	0.78	23.69	4.55	7
რესურსების დეფიციტი	0.76	15.54	2.59	4
ჩართულობა	0.82	20.38	4.32	6

საბოლოოდ, შეიძლება ინსტრუმენტის ფაქტორული სტრუქტურა ამგვარად წარმოვადგინოთ: გამოკვეთილია ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ვარიაციის დახლოებით 40% ხსნის. ანალიზის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ ფაქტორთან მიმართებაშია ჩატარებული. ვარიაციის მცირე წილი მოდის დამატებით სამ ფაქტორზე - ჩართულობა, რესურსების დეფიციტი, სქესობრივი განათლების ბარიერები/კონტრარგუმენტები. სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებების კონტექსტში აღნიშნული კონსტრუქტების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეს ფაქტორებიც გაანალიზებულია დემოგრაფიულ და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების ჭრილში. ნაცადია პირდაპირი და ირიბი მიმართებების კვლევა ამ ფაქტორებსა და ძირითად ფაქტორს - სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას - შორის.

შერჩევა

კვლევა პანდემიის პერიოდში ჩატარდა, რამაც დაგეგმილ შერჩევის მოდელში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა წარმოშვა. შერჩევა, ძირითადად, ხელმისაწვდომობის

პრინციპით განხორციელდა, თუმცა შერჩევის რეპრეზენტატიულობის უზრუნველსაყოფად, საწყის ეტაპზე, სამიზნე პოპულაცია რამდენიმე სტრატად დაიყო: (1). რეგიონები, (2). მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა; (3). თვითმმართველი და არათვითმმართველი ქალაქები / მუნიციპალიტეტები. თითოეულ სტრატაში, ჯერ შეირჩა მუნიციპალიტეტები, მოსახლეობის პროპორციული ალბათობით, შემდეგ კი რესპონდენტთა შერჩევისთვის გამოყენებული იქნა ხელმისაწვდომობის პრინციპი. საკვლევი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კვლევაში ეთნიკური უმცირესობების ჩართვაც. შერჩევის მოდელმა უზრუნველყო კვლევაში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების, ასევე, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ჩართულობა. ამასთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, გენერალური ერთობლიობის პროპორციული ალბათობით განისაზღვრა შერჩევაში რესპონდენტთა სქესისა და ასაკის მიხედვით განაწილების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კვლევა ჩატარდა დედაქალაქსა და საქართველოს ფაქტობრივად ყველა რეგიონში. თბილისის გარდა, გამოიკითხა მოსახლეობა ბათუმში, ხულოში, ქუთაისში, ზესტაფონში, თერჯოლაში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ფოთში, გორში, თელავში, მარნეულში, ახალქალაქში. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც ქალაქებში, ასევე დაბებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1798 რესპონდენტმა. შერჩევის მოცულობა დედაქალაქში - 921 რესპონდენტი, რეგიონებში - 858 (19-მა რესპონდენტმა არ მიუთითა საცხოვრებელი ადგილი).

კვლევის მონაწილეთა დაახლოებით 60% არის ქალი, ხოლო 40% - კაცი. კვლევის მონაწილეთა საშუალო ასაკია 35 წელი. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა იღებს (ან უკვე მიღებული აქვს) უმაღლეს განათლებას. რესპონდენტთაგან დასაქმებულია დაახლოებით 70%. რესპონდენტთა დაახლოებით 50%-ს ჰყავს შვილი/შვილები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა აზერბაიჯანულენოვანმა და 99-მა სომხურენოვანმა რესპონდენტმა.

შერჩევის აღწერა სხვადასხვა დემოგრაფიული ფაქტორის (სქესი, ასაკობრივი ჯგუფი, განათლება, დასაქმება, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ.) მიხედვით წარმოდგენილია [დანართში](#).

მონაცემთა შეგროვება

სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოების განწყობების კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა საქართველოს მასშტაბით. მონაცემთა შეგროვებაში მონაწილეობა მიიღო ფსიქოლოგიური კვლევის გამოცდილების მქონე 20-მა ინტერვიუერმა. კვლევის

დაწყებამდე ინტერვიუერებს ჩაუტარდათ ტრენინგი, რომლის დროსაც ისინი გაეცნენ კვლევის ინსტრუმენტს და მისი ადმინისტრირების სპეციფიკას. კითხვარის ადმინისტრირება ხდებოდა როგორც ე.წ. ფურცლისა და კალმის მეთოდით, ასევე ელექტრონულად (google forms გამოყენებით). შესაბამისად, მომზადდა ინსტრუქციები კითხვარის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების ადმინისტრირებისთვის. ფურცლისა და კალმის მეთოდით შეგროვდა 1300 მონაცემი, ხოლო ელექტრონულად - 498.

რესპონდენტები დამოუკიდებლად მუშაობდნენ ინსტრუმენტზე ინტერვიუერის თანდასწრებით. ინტერვიუერი უზრუნველყოფდა რესპონდენტთა ანონიმურობასა და მონაცემთა კონფიდენციალობას.

თითოეული კითხვარის ადმინისტრირებას საშუალოდ 30 წუთი დასჭირდა. მონაცემთა შეგროვების პროცესი, საერთო ჯამში 1,5 თვის განმავლობაში გაგრძელდა.

14. ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების შესახებ

მონაცემთა პირველადი შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა (ცენტრალური ტენდენციის საზომები, ვარიაციის საზომები, ცვლადებს შორის კორელაცია და სხვა).

მონაცემთა ძირითადი ანალიზი განხორციელდა შემდეგი სტატისტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით: საშუალოთა შორის განსხვავებების სტატისტიკური სანდოობა, ერთფაქტორიანი დისპერსიული ანალიზი, რეგრესიული ანალიზი, მედიაციური და მოდერაციული ანალიზი.

მოსახლეობის ინფორმირებულობა: საერთო სურათი

როგორია ჩვენი საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი სქესობრივი განათლების საკითხებში?

საზოგადოების ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების მიზნებისა და შინაარსის შესახებ ინსტრუმენტის ორი შეკითხვით (და მათ საფუძველზე შექმნილი 3 ცვლადით) შეფასდა. პირველი შეკითხვა (ინსტრუმენტში N12) მიზნად ისახავს რესპონდენტების ინფორმირებულობის შეფასებას იმის შესახებ, თუ რა საკითხებს მოიცავს სქესობრივი განათლება. შეკითხვაში წარმოდგენილია 12 საკითხი. რესპონდენტმა მათგან უნდა შეარჩიოს ის საკითხები, რომლებსაც, მისი აზრით, მოიცავს სქესობრივი განათლება. შეკითხვაში მოცემული 12 საკითხიდან 9 ნამდვილად ასახავს სქესობრივი განათლების მნიშვნელოვან ასპექტებს, ხოლო 3 საკითხი ასახავს სქესობრივი განათლების მიზნების შესახებ არსებულ დამახინჯებულ წარმოდგენებს. ისინი შემუშავდა ექსპერტების მიერ კვლევის თვისებრივი ნაწილის მონაცემებზე დაყრდნობით. ჩვენთვის საინტერესო იყო, რამდენად არის გავრცელებული სქესობრივი განათლების შესახებ ეს არასწორი წარმოდგენები საზოგადოებაში და რა სახის განწყობებს ედება ისინი საფუძველად. არასწორი/დამახინჯებული წარმოდგენების ამსახველი დებულებები შემდეგია: „(ჩემი ინფორმაციით, სქესობრივი განათლების საკითხებია...) სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყების და თავისუფალი სქესობრივი ცხოვრების *ხელშეწყობა*; სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებული *რეკომენდაციები* (სიამოვნების მიღების საშუალებები, ტექნიკები); გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრების და ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) *პროპაგანდა*“.

თუ მოცემული დებულებების ფორმულირებებს დავაკვირდებით, ისინი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც *არასწორი წარმოდგენები* სქესობრივი განათლების შინაარსზე, რომლებშიც დომინირებს ჰიპერბოლიზებული ლიბერალური აღქმები. სწორედ ამის გამო, მათ

საფუძველზე შექმნილ კომპოზიტ ცვლადს პირობითად „ულტრალიბერალური განწყობები“ ვუწოდეთ.

მაშასადამე, სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის შესაფასებელი პირველი შეკითხვა მონაცემთა ანალიზში ორი დამოუკიდებელი ცვლადის სახით არის წარმოდგენილი - **ზოგადი ინფორმირებულობა და ულტრალიბერალური განწყობები.**

ჩვენი საკვლევი ინსტრუმენტი შეიცავდა, ასევე, შეკითხვას **ინფორმირებულობის სუბიექტური შეფასების** შესახებ (ინსტრუმენტში N17) - რესპონდენტები სამქულიან სკალაზე აფასებდნენ საკუთარ ინფორმირებულობას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზნებს ემსახურება სქესობრივი განათლება.

შესაბამისად, მონაცემთა ანალიზში ინფორმირებულობის შესაფასებლად 3 ცვლადი იქნა გამოყენებული. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები თითოეულთან დაკავშირებით.


ზოგადი ინფორმირებულობა

რაიმე მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულება დიდად არის განპირობებული იმით, თუ რა ინფორმაციას ვფლობთ მის შესახებ. კვლევის ფარგლებში დავინტერესდით, თუ რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება იმის შესახებ, თუ რა საკითხებს მოიცავს სქესობრივი განათლება.

დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ მონაცემებს იმის შესახებ, თუ რესპონდენტთა რა ნაწილი მიიჩნევს (ჩვენ მიერ შეთავაზებულ) ამა თუ იმ საკითხს სქესობრივი განათლების კომპონენტად.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტთა დაახლოებით 75%-მა იცის, რომ ანატომია და ფიზიოლოგია, ისევე, როგორც გარდატეხის ასაკის თავისებურებები სქესობრივი განათლების საკითხებს მიეკუთვნება. ეს ის საკითხებია, რომლებიც ტრადიციულად ისწავლებოდა სკოლაში ანატომიის ფარგლებში. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი, დაახლოებით 65% ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ სქესობრივი ჯანმრთელობის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და არასასურველი ორსულობისგან თავის დაცვის საკითხები სქესობრივი განათლების ნაწილია. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ ბოლო პერიოდში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჰიგიენის, ასევე, არასასურველი ორსულობის პრევენციის საკითხები განსაკუთრებულად არის აქცენტირებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რასაც ჩვენ მიერ თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული დოკუმენტაციის ანალიზიც ადასტურებს.

ილუსტრაცია 2: სქესობრივი განათლების საკითხები



შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების (როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი ასაკის ადამიანების) ინფორმირებულობა შედარებით დაბალია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც დღესაც მხოლოდ მცირედ ან საერთოდ არ არის ასახული ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასწავლო რესურსებში. ეს საკითხებია პარტნიორთა უფლებები, ღირებულებები და ემოციები, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია. ამ საკითხებს სქესობრივი განათლების ნაწილად რესპონდენტთა ნახევარიც კი არ განიხილავს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკითხები, რომლებიც ისწავლება სკოლაში, არ არის „ჩაკეტილი“ სასკოლო სივრცეში. ინფორმაცია მათი სწავლების შესახებ (და არა ცოდნა) გარკვეულწილად ვრცელდება საზოგადოებაში. შესაბამისად, სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას სქესობრივი განათლების მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. აქ, სავარაუდოდ, რეციპროკული მიმართება უნდა დავინახოთ: ერთი მხრივ, საზოგადოება ინფორმირებულია სქესობრივი განათლების იმ საკითხების შესახებ, რომლებიც სკოლაში ისწავლება, და, მეორე მხრივ, იმისათვის, რომ საზოგადოება მზად იყოს

სქესობრივი განათლების სკოლაში დასაწერად, საჭიროა მისი მაღალი ინფორმირებულობა (ამას ქვემოთ მოყვანილი ანალიზი დაადასტურებს).


ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსი

როგორც უკვე ვთქვით, ინფორმირებულობის სკალა მოიცავს 9 საკითხს და რესპონდენტის მიერ თითოეული მონიშნული საკითხი ფასდება 1 ქულით, ანუ ამ სკალის მაქსიმალური ქულა არის 9. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ინფორმირებულობის სკალის საშუალო მაჩვენებელია 5.01 (SD = 2.73), დაფიქსირებული მაქსიმალური ქულა - 9, მინიმალური კი - 0. გაკეთდა სკალის სტანდარტიზაცია, რის საფუძველზეც ინფორმირებულობის დონის მიხედვით სამი ჯგუფი გამოიყო: დაბალი, საშუალო და მაღალი²⁸. სტანდარტიზებული სკალა შემდგომ გამოყენებულია ჯგუფთაშორის ანალიზისთვის.

ულტრალიბერალური განწყობები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინფორმირებულობის კონსტრუქტი კვლევაში რამდენიმე ცვლადის სახით იყო წარმოდგენილი. მათ შორის ერთ-ერთია ე. წ. ულტრალიბერალური განწყობები. ულტრალიბერალური განწყობები გაიზომა სკალით, რომლის მაქსიმალური ქულა იყო 3.

ილუსტრაცია 3: ულტრალიბერალური განწყობების საკითხები



მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ულტრალიბერალური განწყობების სკალის საშუალო მაჩვენებელია 0.42, (SD = 0.82), დაფიქსირებული მაქსიმალური ქულა - 3, მინიმალური კი - 0-ია. ცენტრალური ტენდენცია აჩვენებს, რომ ულტრალიბერალური განწყობები დომინირებადი არ

²⁸ დაბალი ინფორმირებულობის ჯგუფში გაერთიანდნენ ადამიანები, რომლებმაც ინფორმირებულობის 9 საკითხიდან ვერ შეძლეს ვერც ერთის სწორად მიკუთვნება სქესობრივი განათლებისთვის ან მხოლოდ 1-2 საკითხის სწორად იდენტიფიცირება შეძლეს. საშუალო ინფორმირებულობის ჯგუფში გაერთიანდნენ ადამიანები, რომლებმაც სწორად შეძლეს მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 7 საკითხის იდენტიფიცირება; მაღალი ინფორმირებულობის ჯგუფში კი - ადამიანები, რომლებმაც სქესობრივი განათლების საკითხებს სწორად მიაკუთვნეს 8 ან 9-ვე საკითხი.


არის. სკალის საშუალო ქულა დაბალია²⁹. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოება ულტრალიბერალურ წარმოდგენებს სქესობრივი განათლების ნაწილად არ განიხილავს.

ულტრალიბერალური განწყობების სკალაზე 1 ან მეტი ქულა აქვს 462 რესპონდენტს (რაც შერჩევის 25%-ზე მეტს შეადგენს). მათი უმეტესობა (67%) სქესობრივი განათლების ნაწილად მიიჩნევს პირველ ორ დებულებას (ცალ-ცალკე ან ორივეს ერთად):

- (1) სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყების და თავისუფალი სქესობრივი ცხოვრების ხელშეწყობა;
- (2) სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები (სიამოვნების მიღების საშუალებები, ტექნიკები).

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად (რომელიც თვისებრივი კვლევის მონაცემებს ეფუძნება), რაც უფრო მაღალია ადამიანის ზოგადი ინფორმირებულობა, მით უფრო ნაკლებად უნდა ჰქონდეს მას არასწორი წარმოდგენები სქესობრივი განათლების შესახებ. თუმცა შედეგი განსხვავებული აღმოჩნდა - სქესობრივი განათლების შესახებ ნაკლებად ინფორმირებული ადამიანები არც ერთ „ულტრალიბერალურ“ საკითხს სქესობრივი განათლების კომპონენტად არ განიხილავენ (დაბალი ინფორმირებულობის ჯგუფის წარმომადგენელთა 94% ულტრალიბერალური განწყობების სკალაზე 0 ქულა აქვს); მაშინ, როცა კარგად ინფორმირებული ადამიანების ჯგუფის ნახევარს ულტრალიბერალური წარმოდგენები სქესობრივი განათლების ნაწილად მიაჩნია.

ილუსტრაცია 4: ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსები და ულტრალიბერალური განწყობები




²⁹ სკალის საშუალო ქულა მაქსიმალური ქულის მხოლოდ 14%-ს შეადგენს. დევიაციის მაქსიმალური დიაპაზონი 1.2-ს არ აღემატება და საშუალოსთვის ერთი სტანდარტული დევიაციის დამატების შემთხვევაშიც სკალის თეორიულ საშუალო ქულასაც (1.5-ს) ვერ აღწევს.

χ^2 კრიტერიუმი გვიჩვენებს, რომ ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსების მიხედვით ულტრალიბერალური განწყობების განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(6, 1777) = 337.72, p < 0.001$)³⁰.

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ადამიანების ჯგუფს, რომლებიც არ მიიჩნევენ სქესობრივი განათლების ნაწილად არც ერთ ულტრალიბერალურ საკითხს, ინფორმირებულობის სკალაზე უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ (4.5), ვიდრე ადამიანებს, რომლებიც მცდარად მიიჩნევენ ამ საკითხებს სქესობრივი განათლების ნაწილად და ეს სხვაობები სტატისტიკურად არსებითია თითოეულ შემთხვევაში $F(3, 1773) = 103.24, p < 0.001$).

ილუსტრაცია 5: ზოგადი ინფორმირებულობა და ულტრალიბერალური განწყობები



ინფორმირებულობის ხარისხის ზრდასთან ერთად იმატებს ულტრალიბერალური განწყობების სკალაში შემავალი საკითხების სქესობრივი განათლებისადმი მიკუთვნების სიხშირე. ზოგად ინფორმირებულობასა და ულტრალიბერალურ განწყობებს შორის კავშირზე კორელაციური ანალიზიც მიუთითებს: კორელაცია ამ ორ ცვლადს შორის პოზიტიურია ($r=0.38; p < 0.01$).

ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსული შედეგი (ინფორმირებულობისა და არასწორი წარმოდგენების პოზიტიური კორელაცია) შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოცემულ სკალაზე წარმოდგენილი დებულებები ულტრალიბერალურ განწყობებს ასახავს. შესაბამისად, ჯგუფს, რომელშიც მაღალია ეს განწყობები, სხვებთან შედარებით პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სქესობრივი განათლების მიმართ.


³⁰ გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა კავშირი ორ თვისებრივ ცვლადს შორის (CSS ლექსიკონი - ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში).

ინფორმირებულობის სუბიექტური შეფასება

კვლევაში საზოგადოების ინფორმირებულობის საკვლევად გამოყენებული მესამე ცვლადი ინფორმირებულობის სუბიექტური შეფასებაა. სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა მცირე ნაწილი (7.5%) თვლის, რომ საერთოდ არ აქვს ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ. რესპონდენტთა უმრავლესობა (70.2%) საკუთარ თავს მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად მიიჩნევს, შედარებით მცირეა (22.3%) იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ სრული და ზუსტი ინფორმაცია აქვთ სქესობრივი განათლების შესახებ.

საინტერესოა სქესობრივი განათლების შესახებ ზოგადი ინფორმირებულობისა და მისი **სუბიექტური შეფასების** ურთიერთმიმართების საკითხი. ინფორმირებულობის სუბიექტური შეფასება, შეიძლება ითქვას, რეალისტურია - ზოგადი ინფორმირებულობის თვალსაზრისით დასტურდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა რესპონდენტებს შორის, რომლებიც სრულიად არაინფორმირებულად, მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად და სრულად ინფორმირებულად მიიჩნევენ საკუთარ თავს ($F(2,1769)=44.95, p<0.001$): ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს არაინფორმირებულად მიიჩნევენ, მართლაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ ზოგადი ინფორმირებულობის ცვლადის მიხედვით ($M=3.05, SD=2.33$), სქესობრივი განათლების საკითხებს შორის ყველაზე ცოტას იდენტიფიცირებას ახერხებენ სწორად. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობაა სრულად ინფორმირებულ და მეტ-ნაკლებად ინფორმირებულ ($M=5.02, SD=2.62$) ჯგუფებს შორისაც. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ზოგადი ინფორმირებულობის სკალაზე იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც თავს სრულად ინფორმირებულად მიიჩნევენ ($M=5.61, SD=2.84$). მათ ყველაზე მეტი საკითხის იდენტიფიცირება შეუძლიათ სწორად, რომლებსაც სქესობრივი განათლება მოიცავს.


ილუსტრაცია 6: ზოგადი ინფორმირებულობა და ინფორმირებულობის სუბიექტური აღქმა



სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის წყაროები

სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის კონტექსტში საინტერესოა კვლევითი მონაცემები ინფორმაციის წყაროების შესახებ.

ილუსტრაცია 7: ინფორმაციის რეალური და სასურველი წყაროები




ილუსტრაცია თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომელიც სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიღებას უკავშირდება. ადამიანები ვერ იღებენ ინფორმაციას მათთვის სასურველი წყაროებიდან. მაგალითად, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ინფორმაციას მეგობრებისგან იღებს, თუმცა მხოლოდ 19% მიიჩნევს, რომ ეს ასეც უნდა იყოს. რესპონდენტთა

უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება უფროსებისგან - მშობლებისგან ან ოჯახის უფროსი წევრებისგან. საყურადღებოა, რომ რესპონდენტები განსაკუთრებულ როლს ფორმალურ გარემოში მყოფ უფროსებს, დარგის პროფესიონალებს (მასწავლებელს, ექიმს, ფსიქოლოგს) აკუთვნებენ. ინტერნეტი და სხვა მედიასაშუალებები ნაკლებად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული. საგარეოდ, ეს ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის სანდოობას და დამახინჯებულ ინფორმაციაზე წვდომის უკონტროლობას უკავშირდება. შესაძლო მიზეზი არის აგრეთვე ადამიანთა შორის კომუნიკაციის ფორმატში ინფორმაციის მიღების, შეკითხვების დასმის, ორმხრივად ინფორმაციის გაცვლის სურვილი. კვლევის ეს მიგნება კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა ახალგაზრდების ინფორმირების სტრატეგიის დაგეგმვის თვალსაზრისით. თუმცა ამ მხრივ საინტერესოა ასაკობრივი სხვაობები ინფორმაციის ამა თუ იმ წყაროსთვის უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით. როგორც კვლევის შედეგების ანალიზიდან ჩანს, მშობლებსა თუ დარგის პროფესიონალებს ინფორმირების სასურველ წყაროდ არა მხოლოდ უფროსი ასაკის რესპონდენტები მიიჩნევენ, არამედ ახალგაზრდებიც.

დიაგრამა გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, 19-24 წლის ადამიანთა 64%-ს სურს, ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ დედისგან მიიღოს, 55%-სთვის ინფორმაციის სასურველი წყარო მასწავლებელია³¹. თანატოლები და ინტერნეტი ახალგაზრდებისთვისაც კი ინფორმაციის ნაკლებად სასურველი წყაროებია. კიდევ უფრო უმნიშვნელოა ტელევიზიისა თუ ბეჭდური მედიის როლი.

³¹ რესპონდენტებს შეეძლოთ სასურველ წყაროდ ერთდროულად რამდენიმე დაესახელებინათ, შესაბამისად, ერთი ასაკობრივი კატეგორიის შიგნით პროცენტების ჯამი არ შეადგენს 100%-ს.


ილუსტრაცია 8: ინფორმაციის მიღების სასურველი წყარო ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით



სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების ასაკი

საინტერესო ტენდენცია იკვეთება სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის პირველად მიღების ასაკთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 71.1%-ს 18 წლისთვის უკვე ჰქონდა ინფორმაცია სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ (კერძოდ: 5-8 წლის ასაკში – 2.9%, 9-15 წლის ასაკში – 47.4%, 16-18 წლის ასაკში – 20.9%³²). რესპონდენტების 7.1%-მა ამ საკითხების შესახებ ინფორმაცია მიიღო 18 წლის შემდეგ, ხოლო 5% მიუთითებს, რომ ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. ჯგუფთა შორის საშუალო მაჩვენებლების შედარება გვიჩვენებს, რომ ამ უკანასკნელ ჯგუფში განსაკუთრებით დაბალია ზოგადი ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების შესახებ. განსხვავება ზოგადი ინფორმირებულობის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($F(5, 1764) = 5.94, p < 0.001$).

ილუსტრაცია 9: სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის პირველად მიღების ასაკი



სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დასტურდება ულტრალიბერალური განწყობების თვალსაზრისით. მხოლოდ ტენდენციის სახით იკვეთება ულტრალიბერალური განწყობების შედარებით მაღალი მაჩვენებლები იმ ჯგუფებში, რომლებმაც სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაცია ადრეულ ასაკში (15 წლამდე) მიიღეს.

საინტერესოა, აისახება თუ არა სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის სუბიექტურ შეფასებაზე რესპონდენტთა განაცხადი, რომ საერთოდ არ მიუღიათ ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ. როგორც სიხშირეთა განაწილების ანალიზის შედეგად ირკვევა, ჯგუფში, რომლის წევრებიც ამბობენ, რომ საერთოდ არ მიუღიათ ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ, ფაქტობრივად ყოველი მეხუთე (22,2%) სრულიად არაინფორმირებულად მიიჩნევს თავს. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სხვა ჯგუფებთან შედარებით, რომლებმაც ინფორმაცია სხვადასხვა ასაკში, მაგრამ მაინც მიიღეს.

³² 16.8%-ს არ ახსოვს, რა ასაკში მიიღო ინფორმაცია პირველად და გაუჭირდა პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე.

ინფორმირებულობის სუბიექტური შეფასების განაწილებებს შორის განსხვავება ამ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(10, 1781) = 93.34, p < 0.001$).

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო გვიან იღებს (ან საერთოდ არ იღებს) ადამიანი ინფორმაციას სქესობრივი განათლების შესახებ, მით ნაკლებად არის ის, საბოლოო ჯამში, ინფორმირებული.

კულტურით განპირობებული ტენდენცია იმისა, რომ კაცებისთვის მეტად და უფრო ადრეულ ასაკში არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია სქესობრივი ცხოვრების შესახებ, ვიდრე ქალებისთვის (ეს კვლევის თვისებრივ ნაწილშიც იკვეთება), კვლევის რაოდენობრივ ნაწილშიც იჩენს თავს. კაცების 63.4%-ს 15 წლამდე დაწყებული აქვს ინფორმაციის მიღება, მაშინ, როდესაც ქალების იგივე მაჩვენებელი 42.5% უდრის. თუმცა ეს განსხვავება არ დასტურდება სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების ადეკვატური ასაკის შეფასებისას: როგორც ბიჭებისთვის, ასევე გოგონებისთვის ეს ასაკი 9-15 წლებია რესპონდენტთა დაახლოებით 60%-სთვის. როგორც ჩანს, საზოგადოება აცნობიერებს, რომ გარდატეხის ასაკი ყველაზე ადეკვატური პერიოდია სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მოზარდებისთვის. ესეც გასათვალისწინებელი მიგნებაა სქესობრივი განათლების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების სტრატეგიის შემუშავების თვალსაზრისით.

ინფორმირებულობა სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორების მიხედვით

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ რითი შეიძლება აიხსნას მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი, ამიტომ ქვემოთ განვიხილავთ ამ ასპექტს იმ ფაქტორების ჭრილში, რომლებიც შეიძლება სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორებად მივიჩნიოთ.


ინფორმირებულობა და განათლება

კვლევაში მონაწილეთაგან 41.6%-მა მიუთითა, რომ ამჟამად სწავლობს სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში ან იღებს უმაღლეს განათლებას ამა თუ იმ საფეხურზე. 57.9%-ს დასრულებული აქვს ფორმალური განათლების მიღება.

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს რესპონდენტების განათლებას - თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში განათლების რაც უფრო მაღალ საფეხურზე სწავლობს ან რაც უფრო მაღალი საფეხური აქვს დასრულებული ადამიანს, მით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს მას ზოგადი ინფორმირებულობის სკალაზე. საშუალო მაჩვენებლებს შორის სხვაობა

სტატისტიკურად არსებითია თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში³³ (16-18 წელი: $F(2, 146) = 21.38$, $p < 0.001$; 19-24 წელი: $F(3, 403) = 9.82$, $p < 0.001$; 25-35 წელი: $F(4, 495) = 11.57$, $p < 0.001$; 36-50 წელი: $F(4, 404) = 11.63$, $p < 0.001$; 51 წელზე მეტი: $F(4, 246) = 13.68$, $p < 0.001$).

ილუსტრაცია 10: ზოგადი ინფორმირებულობა ასაკობრივი კატეგორიებისა და განათლების მიხედვით



როგორც გრაფიკი გვიჩვენებს, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირი ტენდენცია დასტურდება - ადამიანები, რომლებსაც, ზოგადად, უფრო მაღალი განათლება აქვთ, უფრო უკეთ არიან ინფორმირებულები სქესობრივი განათლების შესახებ. თუმცა, ეს ტენდენცია არ დასტურდება ულტრალიბერალურ განწყობებთან მიმართებით.


ინფორმირებულობა და დასაქმების სტატუსი

კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა 69.3% (N=1246) დასაქმებული ან თვითდასაქმებულია, ხოლო 29.2% (N=526) ამჟამად დაუსაქმებელია. 1.5%-მა (N=27) არ გასცა პასუხი ამ შეკითხვას.

დასაქმების სტატუსის მიხედვით გამოვლინდა საშუალო მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ($t(1750) = 4.44$, $p < 0.001$) სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით. კერძოდ, დასაქმებული რესპონდენტები მეტად ინფორმირებულები აღმოჩნდნენ სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ (Mean = 5.22; SD = 2.69), ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებიც ამ ეტაპზე დაუსაქმებლები არიან (Mean = 4.59; SD = 2.75).


³³ რადგან ასაკის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებებია დადასტურებული, ამ ცვლადის გასაკონტროლებლად ანალიზი გაკეთდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ილუსტრაცია 11: ზოგადი ინფორმირებულობა და დასაქმების სტატუსი



დასაქმებულ და დაუსაქმებელ რესპონდენტთა ინფორმირებულობის ინდექსების (დაბალი, საშუალო, მაღალი) განაწილებებს შორის სხვაობაც სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(2, 484) = 19.61, p < 0.001$) და ასე გამოიყურება:

ილუსტრაცია 12: ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსები და დასაქმების სტატუსი




როგორც გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე თვალსაჩინო სხვაობა ამ ორ ჯგუფს შორის ზოგადი ინფორმირებულობის დაბალი ინდექსის მიხედვით არის და დაუსაქმებელ რესპონდენტთა რაოდენობა ამ კატეგორიაში საგრძნობლად აჭარბებს დასაქმებულთა რაოდენობას.

ინფორმირებულობა და სკოლის ტიპი

სხვა დემოგრაფიულ თუ სოციო-ეკონომიკურ მახასიათებლებთან ერთად, კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია იმ სკოლის ტიპის შესახებ, რომელშიც რესპონდენტებს სასკოლო ასაკის შვილები დაჰყავდათ (კერძო თუ საჯარო). ეს ფაქტორი შესაძლოა გარკვეულწილად სოციო-ეკონომიკურ სტატუსს განსაზღვრავდეს.


კვლევაში რესპონდენტთა 18.3%-ს (329) საჯარო სკოლაში დაჰყავს შვილი/შვილები, ხოლო რესპონდენტთა 8.6%-ის (155) ერთი შვილი მაინც კერძო სკოლაში დადის. კვლევის ფარგლებში შეფასდა, არის თუ არა განსხვავება ინფორმირებულობის თვალსაზრისით მშობლებს შორის, რომლებსაც შვილები კერძო (Mean = 5.48; SD = 2.79) ან საჯარო (Mean = 4.46; SD = 2.54) სკოლებში დაჰყავთ. სტატისტიკური ანალიზის შედეგად საშუალო მაჩვენებლებს შორის სანდო განსხვავება გამოვლინდა ($t(478) = -3.99, p < 0.001$). ვინაიდან კერძო სკოლები, ძირითადად, დედაქალაქშია თავმოყრილი, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თბილისის მოსახლეობის შედეგები ცალკე დაგვეშვათ. განსხვავება ამ შემთხვევაშიც სტატისტიკურად სანდოა – ის რესპონდენტები, რომელთაც კერძო სკოლებში დაჰყავთ შვილები, შედარებით უფრო ინფორმირებულები არიან სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ, ვიდრე ის მშობლები, რომლებსაც საჯარო სკოლაში დაჰყავთ თავიანთი შვილები ($t(236) = -2.70, p < 0.01$) (იხ. მომდევნო გრაფიკი).

ილუსტრაცია 13: ზოგადი ინფორმირებულობა და სკოლის ტიპი



სკოლის ტიპის მიხედვით ინფორმირებულობის ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(2, 480) = 15.72, p < 0.001$). როგორც მომდევნო გრაფიკზეა ასახული, მკვეთრი განსხვავება ვლინდება კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლებში ინფორმირებულობის მაღალი ინდექსის მქონე რესპონდენტების პროცენტულ რაოდენობასა და ამავე კატეგორიაში მყოფ იმ რესპონდენტთა რაოდენობას შორის, რომლებსაც თავიანთი შვილები საჯარო სკოლებში დაჰყავთ.

ილუსტრაცია 14: ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსი და სკოლის ტიპი




ინფორმირებულობა და დასახლების ტიპი

კვლევაში მონაწილეთა 49.8% (N=896) თბილისის მაცხოვრებელია, 32.5% (N=584) ცხოვრობს რომელიმე სხვა ქალაქში, 2.4% (N=43) - დაბაში, 15.1% (N=271) კი - სოფელში³⁴. 0.2%-მა (N=4) არ გასცა პასუხი შესაბამის შეკითხვას.

დასახლების ტიპის მიხედვით მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხის ანალიზმა აჩვენა, რომ თბილისის მოსახლეობას უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ინფორმირებულობაში, ვიდრე სხვა ქალაქებში, სოფლებსა თუ დაბებში მცხოვრებ ადამიანებს და ეს სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($F(3, 1769) = 47.32, p < 0.001$).


ილუსტრაცია 15: ზოგადი ინფორმირებულობა და დასახლების ტიპი



³⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სოფლის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 40% შეადგენს. კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ეს ჯგუფი ჩვენს კვლევაში შესაბამისი წილით არ არის წარმოდგენილი, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, კვლევის პანდემიის პირობებში განცხორციელება და ამის გამო მოგზაურობის შესაძლებლობების შეზღუდვაა, ხოლო მეორე მხრივ, მონაცემთა ნაწილის ელექტრონულად შეგროვებაა.

დედაქალაქში, დასახლების სხვა ტიპებთან შედარებით, გაცილებით დაბალია ნაკლებად ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა (დაბალი ინდექსი) - თბილისის შერჩევაში ასეთი ადამიანების რაოდენობა 16.0%-ია, მაშინ, როდესაც სხვა ქალაქებში - 31.1%, დაბაში - 42.9% და სოფელში 23.0%. აგრეთვე, თბილისში უფრო მეტი ადამიანია ინფორმირებულობის მაღალი ინდექსით (თბილისი: 33.8%, სხვა ქალაქები: 16.5%, დაბა: 14.3%, სოფელი: 10.9%). როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, საშუალო ინდექსის მიხედვით განსხვავებები სხვადასხვა ტიპის დასახლებას შორის დიდი არ არის. მეტად საგულისხმოა განსხვავებები დაბალი და მაღალი ინდექსების მიხედვით. სავარაუდოდ, საზოგადოების ინფორმირებულობის გასაზრდელად დაგეგმილი ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს სხვადასხვა ქალაქსა, დაბასა თუ სოფელში დაბალი ინფორმირებულობის მქონე ადამიანთა ჯგუფზე, ძირითადად, საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებზე, რომლებსაც განათლების დაბალი საფეხური აქვთ დასრულებული და არ არიან დასაქმებულები. მნიშვნელოვანია მათთვის სქესობრივი განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული პროგრამების შემუშავება, რათა ნაკლებად რეზისტენტული დამოკიდებულება ჰქონდეთ მომავალში სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის მიმართ.

ილუსტრაცია 16: ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსები და დასახლების ტიპი



χ^2 კრიტერიუმი გვიჩვენებს, რომ დასახლების ტიპის მიხედვით ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(6, 1773) = 122.18, p < 0.001$).

რომ შევაჯამოთ, სქესობრივი განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობაზე მოქმედებს ის ფაქტორები, რომლებიც შეიძლება სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორებად განვიხილოთ. მეტად ინფორმირებულები არიან ის ადამიანები, რომლებიც დედაქალაქში ცხოვრობენ, ან აქვთ განათლების მაღალი დონე, არიან დასაქმებულები, ან დაჰყავთ შვილები კერძო სკოლებში. ეს ტენდენცია გასათვალისწინებელია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ღონისძიებების დაგეგმვისას. ის გამოკვეთს საინფორმაციო კამპანიის

წარმოების განსაკუთრებულ საჭიროებას რეგიონებში, იმ ადამიანებთან, რომლებსაც არ აქვთ წვდომა უმაღლეს განათლებაზე, დასაქმებაზე.


ინფორმირებულობა დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში

ინფორმირებულობა ასაკობრივი კატეგორიების ჭრილში

კვლევაში მონაწილეთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგია: 16-18 წელი - 8.3%, 19-24 წელი - 23.1%, 25-35 წელი - 28.1%, 36-50 წელი - 23.2% და 51 წელზე უფროსი ასაკის ჯგუფი - 14.7%.


მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკის ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხით და ეს სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($F(4, 1729) = 9.82, p < 0.001$). გრაფიკიდან ჩანს, რომ 19-24 და 25-35 წლის რესპონდენტების ინფორმირებულობის საშუალო მაჩვენებელი დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის მაჩვენებელზე მაღალია. საშუალო მაჩვენებლების წყვილ-წყვილად შედარებამ (Tukey HSD-ის გამოყენებით) აჩვენა, რომ 19-24 და 25-35 წლის რესპონდენტების საშუალო მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად არსებითი სხვაობა არ არის, ანუ ამ ორი ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები დაახლოებით ერთნაირად არიან ინფორმირებულნი სქესობრივ განათლებაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს (16-18, 36-50, 51 წელზე მეტი ასაკი), მათი საშუალო მაჩვენებლები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და თითოეული მათგანის მაჩვენებელი არსებითად ჩამორჩება 19-24 და 25-35 წლის რესპონდენტების საშუალო მაჩვენებელს ($p < 0.05$).

ილუსტრაცია 17: ზოგადი ინფორმირებულობა და ასაკობრივი კატეგორიები



ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ინფორმირებულობის ხარისხის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 19-24 და 25-35 წლის ასაკის რესპონდენტებში, სხვა ასაკობრივი კატეგორიების ადამიანებთან შედარებით, მცირეა არაინფორმირებულთა (ინფორმირებულობის დაბალი ინდექსი) რაოდენობა და შედარებით მეტია ინფორმირებულთა (მაღალი ინდექსი) რიცხვი. ინფორმირებულობის საშუალო მაჩვენებლის მქონე ჯგუფი ყველა ასაკობრივ კატეგორიაში დაახლოებით 52-58% დიაპაზონშია. χ^2 კრიტერიუმი გვიჩვენებს, რომ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ინფორმირებულობის ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(8, 1734) = 39.45, p < 0.001$).

ილუსტრაცია 18: ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსები და ასაკობრივი კატეგორიები




მსგავსი ტენდენცია იკვეთება ულტრაიბერალური განწყობების თვალსაზრისითაც. ასაკობრივი ჯგუფების საშუალო მაჩვენებლების შედარებამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დაადასტურა ($F(4, 1729) = 6.87, p < 0.001$). ახალგაზრდები, 36 წლამდე ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლები, უფრო ძლიერი ულტრაიბერალური განწყობებით ხასიათდებიან, ვიდრე 36 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები. შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელთ ნაკლებად აქვთ არასწორი წარმოდგენები სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ. თუმცა, მეორე მხრივ, მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდები მეტად იზიარებენ ულტრაიბერალურ წარმოდგენებს, სქესობრივი განათლების მიმართ მათი ინტერესისა და ინფორმაციის მიღების მოტივაციის გამო.

ინფორმირებულობა და სქესი

კვლევაში მონაწილეობდა 1121 (62.3%) ქალი და 673 (37.4%) კაცი (4-მა ადამიანმა თავი შეიკავა საკუთარი სქესის მითითებისგან).


მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალებს ზოგადი ინფორმირებულობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე კაცებს. სხვაობა დიდი არ არის, მხოლოდ 0.6 ქულას შეადგენს, თუმცა სტატისტიკურად არსებითია ($t(1771) = 4.41, p < 0.001$).

ილუსტრაცია 19: ზოგადი ინფორმირებულობა და სქესი




უნდა აღინიშნოს, რომ კაცებთან შედარებით, გაცილებით მცირეა იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც ნაკლებად არიან ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რა საკითხებს მოიცავს სქესობრივი განათლება (ქალი: 19.3%; კაცი: 28.0%) და მეტია საშუალოდ და კარგად ინფორმირებული ქალების რაოდენობა (ინფორმირებულობის საშუალო ხარისხი - ქალი: 55.0%; კაცი: 50.1%; ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი - ქალი: 25.7%; კაცი: 22.0%). χ^2 კრიტერიუმი გვიჩვენებს, რომ სქესის მიხედვით ინფორმირებულობის ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(2, 1773) = 18.10, p < 0.001$).

ილუსტრაცია 20: ზოგადი ინფორმირებულობის ინდექსები და სქესი



ქალების საშუალო მაჩვენებელი ზოგადი ინფორმირებულობის სკალაზე არსებითად უფრო მაღალია, ვიდრე კაცების შესაბამისი მაჩვენებელი სამივე ეთნიკურ ჯგუფში (ქართულენოვანი მოსახლეობა - $t(1575) = 4.03$, $p < 0.001$; აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა - $t(98) = 2.09$, $p < 0.05$; სომხურენოვანი მოსახლეობა - $t(81,98) = 5.41$, $p < 0.001$).

ილუსტრაცია 21: ზოგადი ინფორმირებულობა სქესისა და კითხვარის შევსების ენის მიხედვით



15. დამოკიდებულებები: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება

მოსახლეობის დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ: ზოგადი სურათი

როგორია საზოგადოების დამოკიდებულება სქესობრივი განათლებისადმი?


კვლევის ძირითადი მიზანი სქესობრივი განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებებისა და განწყობების შესწავლაა. ზოგადად, ამა თუ იმ ფსიქოლოგიური კონსტრუქტის აფექტური კომპონენტი დიდწილად განსაზღვრავს მის ქცევით კომპონენტს. ჩვენი კვლევის კონტექსტში - სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებები საფუძვლად უნდა დაედოს ადამიანების მზაობას, მიიღონ და ადეკვატურად გამოიყენონ ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ, რაც, საბოლოო ჯამში, ჯანმრთელობის და, ზოგადად, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაბამისად, საკვლევი საკითხის აქტუალობა მაღალია. კვლევის ფარგლებში ნაცადია პასუხის გაცემა შემდეგ შეკითხვებზე: როგორია საზოგადოების დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ, რა დემოგრაფიული თუ სოციო-ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს ამ დამოკიდებულებების ფორმირებაზე და როგორ აისახება სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულება ადამიანების ქცევასა თუ აღქმებზე სქესობრივი განათლების საკითხებთან მიმართებაში.

სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებების საკვლევი ინსტრუმენტის დებულებათა ფაქტორული ანალიზის საფუძველზე შეიქმნა 35 დებულებისგან შემდგარი სკალა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების შესაფასებლად. რაც უფრო მაღალი ქულა აქვს ინდივიდს ამ სკალაზე, მით უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იგი სქესობრივ განათლებას, ხოლო რაც უფრო დაბალი ქულა აქვს, მით უფრო კრიტიკულად არის იგი განწყობილი³⁵.

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების სკალის საშუალო მაჩვენებელი არის 134.4 (SD = 22.51), დაფიქსირებული მაქსიმალური ქულა - 175, მინიმალური კი - 41. სკალის სტანდარტიზაციის შედეგად გამოიყო სამი ჯგუფი გაცნობიერების ხარისხის მიხედვით: გაცნობიერების დაბალი, საშუალო და მაღალი ინდექსი. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, მონაწილეთა 14.5% უმნიშვნელოდ მიიჩნევს სქესობრივ განათლებას (შეიძლება ითქვას, კრიტიკულად არის განწყობილი ამ თემის მიმართ), 15% კი პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს.

³⁵ იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული დებულება 5-ქულიანი სკალით ფასდებოდა, ამ სკალის შესაძლო მაქსიმალური ქულა 175-ია (35*5), მინიმალური კი - 35 (35*1); მაქსიმალური ქულის მქონე ადამიანი სკალის ყველა დებულებას აბსოლუტურად ეთანხმება, მინიმალური ქულის მქონე კი - კატეგორიულად არ ეთანხმება.

ილუსტრაცია 22: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ინდექსები



თვისებრივმა კვლევამაც აჩვენა, რომ სქესობრივი განათლების საჭიროებასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით მოსახლეობაში პოლარიზებული დამოკიდებულებები არსებობს. რაოდენობივ კვლევაშიც რესპონდენტთა ნაწილი თვლის, რომ სქესობრივი განათლების საკითხების ცოდნა მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, ხოლო ნაწილისთვის ამ საკითხებზე საუბარიც კი მიუღებელია. ამასთან, რესპონდენტთა დაახლოებით 70%-ს მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული აქვს სქესობრივი განათლების მნიშვნელობა. საინტერესოა, როგორ იცვლება სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულება დემოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით.


სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორების ჭრილში

ამ ქვეთავში სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება გაანალიზებულია რესპონდენტთა განათლების, დასაქმების, შვილების სკოლის ტიპისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და განათლება

მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ განათლების რაც უფრო მაღალ საფეხურზე სწავლობს ან რაც უფრო მაღალი საფეხური აქვს დასრულებული ადამიანს, მით უფრო უკეთ აცნობიერებს ის სქესობრივი განათლების მნიშვნელობას. ასაკობრივ ჭრილში ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ტენდენცია სტატისტიკურად სანდოა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში (16-18 წელი: $F(2, 147) = 12.3$, $p < 0.001$; 19-24 წელი: $F(3, 408) = 5.07$, $p < 0.01$; 25-35 წელი: $F(4, 498) = 11.49$, $p < 0.001$; 36-50 წელი: $F(4, 408) = 4.43$, $p < 0.01$; 51 წელზე მეტი: $F(4, 251) = 4.32$, $p < 0.01$).


ილუსტრაცია 23: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება ასაკობრივი კატეგორიებისა და განათლების მიხედვით



სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და დასაქმების სტატუსი

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მიხედვით დასაქმების სტატუსით დიფერენცირებული ჯგუფების შედარებისას ჩანს, რომ დასაქმებული და თვითდასაქმებული რესპონდენტები მეტად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას ($\text{Mean} = 135.7$; $\text{SD} = 22.2$), ვიდრე კვლევაში მონაწილე დაუსაქმებელი რესპონდენტები ($\text{Mean} = 131.9$; $\text{SD} = 22.6$). ჯგუფებს შორის ეს სხვაობა სტატისტიკურად სანდოა ($t(1770) = 3.24$, $p < 0.001$) და, მიუხედავად იმისა, რომ გაცნობიერებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ასაკი, დასაქმების სტატუსის მიხედვით გარკვეული ტენდენცია მაინც შენარჩუნებულია ყველა ასაკობრივ კატეგორიაში (იხ. მომდევნო გრაფიკი). მიუხედავად ტენდენციისა, ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება მხოლოდ 19-24 წლისა და 36-50 წლის ასაკობრივ კატეგორიაში დაფიქსირდა.

ილუსტრაცია 24: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება ასაკობრივი კატეგორიებისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით




სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და სკოლის ტიპი

ადამიანები, რომელთა შვილებიც კერძო სკოლაში სწავლობენ, უკეთ აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, ხედავენ მის სიკეთეებს ბავშვის/მოზარდის ჯანსაღი და სრულფასოვანი განვითარებისთვის. სტატისტიკური ანალიზის შედეგად საშუალო მაჩვენებლებს შორის სანდო განსხვავება გამოვლინდა ($t(263.098) = -2.68, p < 0.01$).


ვინაიდან კერძო სკოლები, ძირითადად, დედაქალაქშია თავმოყრილი, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თბილისის მოსახლეობის შედეგები ცალკე გაგვეანალიზებინა. განსხვავება ამ შემთხვევაშიც სტატისტიკურად სანდოა – იმ რესპონდენტებს, რომელთაც კერძო სკოლებში დაჰყავთ შვილები, შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების სკალაზე, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებს ($t(236) = -2.25, p < 0.05$). (იხ. მომდევნო გრაფიკი).

ილუსტრაცია 25: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და სკოლის ტიპი



სკოლის ტიპის მიხედვით გაცნობიერების ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(2, 484) = 19.74, p < 0.001$). როგორც მომდევნო გრაფიკზეა ასახული, კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლებში გაცნობიერების მაღალი ინდექსის მქონე რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა არცთუ მცირედ აღემატება ამავე კატეგორიაში მყოფ იმ რესპონდენტთა რაოდენობას, რომლებსაც თავიანთი შვილები საჯარო სკოლებში დაჰყავთ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სქესობრივი განათლების გაცნობიერებულობის ინდექსის დაბალ კატეგორიაში თანაბრად ხვდებიან კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლები.

ილუსტრაცია 26: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ინდექსები და სკოლის ტიპი




ამ შედეგის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ სქესობრივი განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა დიფერენცირებული მიდგომით უნდა განხორციელდეს - არ იქნება გამართლებული აქცენტის გაკეთება მხოლოდ საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლებზე, იმ საბაბით, რომ მათთან სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება დაბალია. ამ ჭკუფში კერძო სკოლის მოსწავლეთა მშობლებიც არიან, როგორც კვლევა გვიჩვენებს.

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და დასახლების ტიპი


უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას უკეთ აცნობიერებენ თბილისში მცხოვრები ადამიანები, ვიდრე სხვა ქალაქებისა თუ სოფლების მაცხოვრებლები და ეს სხვაობა სტატისტიკურად არსებითია, ანუ არ აიხსნება შემთხვევითი ფაქტორებით ($F(3, 1790) = 25.74, p < 0.001$).

ილუსტრაცია 27: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და დასახლების ტიპი



ასევე, დედაქალაქში დასახლების სხვა ტიპებთან შედარებით გაცილებით დაბალია ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი სქესობრივი განათლების მიმართ - თბილისის შერჩევაში ასეთი ადამიანების რაოდენობა 9.9%-ია, მაშინ, როდესაც სხვა ქალაქებში - 20%, დაბაში - 34.9% და სოფელში 13.7%. აგრეთვე, თბილისში უფრო მეტ ადამიანს აქვს პოზიტიური დამოკიდებულება (თბილისი: 19.6%, სხვა ქალაქები: 12.3%, დაბა: 14.0%, სოფელი: 5.9%) სქესობრივი განათლების მიმართ.

ილუსტრაცია 28: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ინდექსები და დასახლების ტიპი



დასახლების ტიპის მიხედვით სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ხარისხის განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(6, 1794) = 75.25, p < 0.0001$).


შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციო-ეკონომიკური ფაქტორების ეფექტი მსგავსია სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობისა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერების შემთხვევაში. მაღალი განათლების მქონე, დასაქმებული, დედაქალაქში მცხოვრები ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ფინანსურად თავს უფლება მისცენ, შვილები კერძო სკოლაში ატარონ, მეტად ინფორმირებულები არიან სქესობრივი განათლების შესახებ, მეტ-ნაკლებად სწორი წარმოდგენა აქვთ სქესობრივი განათლების მიზნებსა და შინაარსებზე. ამავე დროს, მათ მეტად აქვთ გაცნობიერებული სქესობრივი განათლების მნიშვნელობა, შეუძლიათ იმ სარგებელისა და სიკეთეების იდენტიფიცირება, რომლებიც ახლავს სქესობრივი განათლების მიღებას, ადევკატურად აფასებენ როლს, რომელსაც სქესობრივი განათლება მოზარდების სრულფასოვან განვითარებაში ასრულებს.

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება დემოგრაფიული ფაქტორების ჭრილში

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და სქესი


დამოუკიდებელი ჯგუფების საშუალო მაჩვენებელთა შედარების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სქესობრივ განათლებას, ვიდრე კაცები და ეს სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($t(1792) = 8.19, p < 0.001$). შედეგი, ერთი შეხედვით, პარადოქსულია, ვინაიდან კულტურის სპეციფიკის გათვალისწინებით, კაცებისთვის უფრო მეტად არის ხელმისაწვდომი ცოდნა და გამოცდილება სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით. თუმცა შესაძლოა სწორედ ზედმეტი აკრძალვებისა და ტაბუირების გამოა, რომ დღეს ქალები უფრო მეტად აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლების მიღება, რა სიკეთეები მოაქვს სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობას ადამიანის ჯანსაღი ფიზიკური, სოციალური და ფსიქიკური განვითარებისთვის.

ილუსტრაცია 29: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და სქესი




აღსანიშნია, რომ კაცებთან შედარებით, გაცილებით ცოტა ქალია კრიტიკულად განწყობილი სქესობრივი განათლების მიმართ (ქალი: 11.2%; კაცი: 19.8%) და გაცილებით მაღალია პოზიტიურად განწყობილთა რაოდენობა (ქალი: 18.6%; კაცი: 9.1%). სქესის მიხედვით გაცნობიერების ხარისხით დიფერენცირებულ ჯგუფებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(2, 1794) = 47.39, p < 0.0001$).

ილუსტრაცია 30: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ინდექსები და სქესი



ქალებს უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ფაქტორში, ვიდრე კაცებს სამივე ეთნიკურ ჯგუფში, თუმცა ეს სხვაობები სტატისტიკურად არსებითი აღმოჩნდა მხოლოდ ქართულ- ($t(1595) = 8.41, p < 0.001$) და სომხურენოვან მოსახლეობაში ($t(95) = 2.94, p < 0.01$).


ილუსტრაცია 31: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება სქესისა და კითხვარის შევსების ენის მიხედვით



სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება ასაკობრივი კატეგორიების ჯრილში

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მხრივ სხვაობები გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ($F(4, 1749) = 17.25, p < 0.001$). ასაკობრივი კატეგორიების წყვილების საშუალო მაჩვენებლების შედარებამ (Tukey HSD-ის გამოყენებით) აჩვენა, რომ პირველ, მეორე და მესამე ასაკობრივ ჯგუფებში (16-18 წელი, 19-24 წელი, 25-35 წელი) საშუალოთა შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დასტურდება ($p > 0.05$), ანუ 16-დან 35 წლამდე ადამიანები თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სქესობრივ განათლებას. სხვა ასაკის წარმომადგენლებთან შედარებით, ისინი ყველაზე უკეთ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას ახალგაზრდების ჰარმონიული განვითარებისთვის. 19-35 წლის მონაწილეთა საშუალო მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატება 36-50 წლის ადამიანების შესაბამის მაჩვენებელს (თითოეულ შემთხვევაში $p < 0.01$), და ბოლოს, 51 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტები ყველაზე კრიტიკულად არიან განწყობილნი სქესობრივი განათლების მიმართ (თითოეულ შემთხვევაში $p < 0.01$). ეს შედეგი კანონზომიერია, თუკი გავითვალისწინებთ კვლევებით დადასტურებულ ტენდენციას, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება სოციო-კულტურული კონსერვატიზმი (K. R. Truett, 1993) და მცირდება ღიაობა სიახლეების მიმართ (Allemand M, Zimprich D, Hertzog C. 2007), როგორადაც დღეს, რეალურად, სქესობრივი განათლება აღიქმება (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში ცხოვრების გამოცდილების მქონე ადამიანებისთვის, სადაც ეს თემა მკაცრად ტაბუირებული იყო).


ილუსტრაცია 32: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და ასაკობრივი კატეგორიები



სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ხარისხით იდენტიფიცირებული ჯგუფების ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით განაწილება გვიჩვენებს, რომ 16-35 წლის ასაკის ადამიანებში დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა არის კრიტიკულად ან პოზიტიურად განწყობილი. დანარჩენ ორ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, ამ ასაკის ადამიანებში უფრო დაბალია კრიტიკულად განწყობილი ადამიანების და მაღალია პოზიტიურად განწყობილი ადამიანების რაოდენობა. ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით გაცნობიერების ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(8, 1754) = 58.58, p < 0.0001$).


არსებითი სხვაობა მკვეთრად ნეგატიურად და მკვეთრად პოზიტიურად განწყობილ ადამიანთა რაოდენობებში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მიუთითებს სქესობრივი განათლების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების გამოყენების მიმართ დიფერენცირებული მიდგომის საჭიროებაზე.

ილუსტრაცია 33: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ინდექსები და ასაკობრივი კატეგორიები



ქვემოთ მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს სხვადასხვა ასაკის ქალებისა და კაცების დამოკიდებულებას სქესობრივი განათლებისადმი. გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ ყველა ასობრივ კატეგორიაში მამაკაცები უფრო კრიტიკულად არიან განწყობილნი სქესობრივი განათლებისადმი, ვიდრე ქალები. ამ სხვაობებიდან ყველა სტატისტიკურად არსებითია $p < 0.001$ დონეზე (t მაჩვენებლები მერყეობს 4.07-დან 6.45-მდე), 51 წელზე უფროსი ადამიანების შემთხვევის გარდა - ამ ასაკობრივ კატეგორიაში ქალებისა და კაცების განწყობები მეტ-ნაკლებად მსგავსია.

ილუსტრაცია 34: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება სქესისა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით



გრაფიკზე ასევე ჩანს, რომ ასაკის მატებასთან ერთად სტატისტიკურად არსებითად მცირდება ქალების პოზიტიური დამოკიდებულება სქესობრივი განათლებისადმი ($F(4, 1094) = 22.89, p < 0.001$). ახალგაზრდა ქალები (პირველი, მეორე და მესამე ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები - 16-35 წელი) ყველაზე უკეთ აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას; საშუალო მაჩვენებლების წყვილების შედარებამ (Tukey HSD-ის გამოყენებით) გამოავლინა, რომ მათ საშუალო მაჩვენებლებს შორის არ არის არსებითი სხვაობა. 19-35 წლის რესპონდენტებზე სტატისტიკურად არსებითად მცირეა 36-50 წლის ქალების საშუალო მაჩვენებელი (თითოეულ შემთხვევაში $p < 0.001$), და ბოლოს, 51 წელზე მეტი ასაკის ქალები ყველაზე ნაკლებად აცნობიერებენ ამ საკითხების მნიშვნელობას (თითოეულ შემთხვევაში $p < 0.001$).

სხვადასხვა ასაკის მამაკაცების საშუალოებს შორის არ დაფიქსირდა ისეთი დიდი სხვაობა, როგორც ქალების შემთხვევაში. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკის მამაკაცების საშუალო მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად არსებითი სხვაობაა ($F(4, 650) = 2.68, p < 0.05$). თუმცა ეს სხვაობა იმდენად მცირეა, რომ Tukey HSD-ის გამოყენებისთვის, რომელიც დაადგენდა, თუ რომელ ასაკობრივ კატეგორიებს შორის არის სტატისტიკურად არსებითი სხვაობა, მონაცემები არ აღმოჩნდა საკმარისი. ამიტომ ანალიზისთვის t კრიტერიუმი გამოვიყენეთ, რომელიც უფრო მგრძნობიარეა განსხვავებების მიმართ და რომელზეც ნაკლებად მოქმედებს რესპონდენტთა რაოდენობა. ამ ანალიზმა აჩვენა, რომ სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულების მხრივ 19-24 წლის და 25-35 წლის მამაკაცები არსებითად განსხვავდებიან როგორც 36-50 წლის, ასევე 51 წელზე მეტი ასაკის მამაკაცებისგან (თითოეულ შემთხვევაში $p < 0.05$). ამასთან, სტატისტიკურად არსებითი სხვაობა არ გამოვლინდა 19-24 წლის და 25-35 წლის, ასევე 36-50 და 51 წელზე მეტი ასაკის მამაკაცებს შორის.

16. სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მიმართება კვლევის სხვა სამიზნე ცვლადებთან: პირდაპირი და ირიბი კავშირების ანალიზი

როგორია სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მიმართება კვლევის სხვა ცვლადებთან?

კვლევის ანგარიშის აღნიშნულ ნაწილში აღწერილია სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და კვლევაში ჩართულ სხვა კონსტრუქტებს შორის მიმართებების ბუნება. ეს კონსტრუქტებია: სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირებულობის დონე, სქესობრივი განათლების კონტრარგუმენტები, რესურსების დეფიციტი და ჩართულობა სქესობრივი განათლების აქტივობებში.

შესაბამისად, ნაცადია პასუხის გაცემა შეკითხვებზე:

1. რა კავშირია სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირების დონესა და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას შორის? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად ინფორმირებულნი არიან, მეტადაც აცნობიერებენ სქესობრივი განათლების სიკეთეებს?
2. როგორ უკავშირდება სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობას? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი, რომელიც აცნობიერებს სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, რომელსაც გააზრებული აქვს ის სიკეთეები, რაც ახალგაზრდებისთვის სქესობრივი განათლების თემატიკაზე რელევანტური, სანდო, ვალიდური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მოაქვს, მეტად არის ჩართულ სქესობრივ განათლების აქტივობებში (ესწრება ან სურვილი აქვს დაესწროს ტრენინგებს, წაიკითხოს კვალიფიციური სტატიები, გაუზიაროს რელევანტური ინფორმაცია გაშემომყოფებს და ა. შ.)?
3. როგორ უკავშირდება სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდის კონტრარგუმენტებს სქესობრივი განათლების მიმართ? შეგვიძლია ვისაუბროთ ამ ორ კონსტრუქტს შორის ნეგატიურ კავშირზე? მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ რელევანტური, ხარისხიანი სქესობრივი განათლება მნიშვნელოვანია, ნაკლებად ეწინააღმდეგებიან მის დანერგვას?
4. რა მიმართებაა სქესობრივი განათლების გაცნობიერებასა და რესურსების დეფიციტის აღქმას შორის? შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც სქესობრივი

განათლების მნიშვნელობას იაზრებენ, ასევე გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ ამ სფეროში კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების, რელევანტური, სანდო და ვალიდური მასალის დეფიციტია?

5. შეგვიძლია ამ კონსტრუქტებს შორის კომპლექსურ მიმართებებზე ვისაუბროთ? მაგალითად, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ის რესპონდენტები, რომლებმაც იციან, თუ რას გულისხმობს სქესობრივი განათლება და რა საკითხებს მოიცავს ის, მეტად აცნობიერებენ ხარისხიანი, რელევანტური განათლების ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ სიკეთეებს. შესაბამისად, მზაობა, რომ ჩაერთონ სქესობრივი განათლების აქტივობებში, უფრო მაღალი უნდა ჰქონდეთ.

ანგარიშის ამ ნაწილში ნაცადია სწორედ ზემოთ მოყვანილ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. თავდაპირველად, მიმოხილულია კონსტრუქტებს შორის პირდაპირი კავშირები - აღწერილია კავშირების სიძლიერე და მიმართულება, გამოყოფილი/იდენტიფიცირებულია ის ფაქტორი, რომელიც სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა. მომდევნო ნაწილი კი ეთმობა კომპლექსური სურათის აღწერას - გაანალიზებული და აღწერილია ამ კონსტრუქტებს შორის კავშირის ბუნება. ვინაიდან რეალურ ცხოვრებაში ეს ფაქტორები თანაარსებობს და მათი ერთმანეთისგან განცალკევებით განხილვა პრაქტიკულად შეუძლებელია, მონაცემთა ანალიზის მსგავსი მიდგომა რეალური სურათის ასახვის პროცესში მნიშვნელოვანი უპირატესობაა.

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების კორელატები

პირველადი სურათის მისაღებად კორელაციური ანალიზის გამოყენებით შეფასდა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების კავშირი კვლევაში ჩართულ სხვა სამიზნე ცვლადებთან³⁶. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ანალიზის შედეგებია წარმოდგენილი.

³⁶ კორელაციური ანალიზი ცვლადებს შორის მიმართებას ორ განზომილებაში აფასებს: 1. მიმართულება; 2. სიძლიერე. მიმართულება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი ნიშნავს იმას, რომ ორი ცვლადი ერთი მიმართულებით იცვლება: ერთის ზრდასთან ერთად, მეორეც იზრდება, ან კლებასთან ერთად, მეორეც მცირდება. უარყოფითი, შესაბამისად, ცვლადების სხვადასხვა მიმართულებით ცვალებადობას აღნიშნავს. კერძოდ, ერთი მათგანის ზრდას თან მეორის კლება სდევს ან - პირიქით. რაც შეეხება სიძლიერეს, ქვემოთ ინტერპრეტაციას შემოგთავაზებთ (Napitupulu et al., 2018):

0.00 – 0.199 - ძალიან სუსტი; 0.20 – 0.399 - სუსტი; 0.40 – 0.599 - საშუალო; 0.60 – 0.799 - ძლიერი; 0.80 – 1.00 - ძალიან ძლიერი

კონსტრუქტები	სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	კონტრარგუმენტები	რესურსების დეფიციტი	სქესობრივ განათლებაში ჩართულობა	ზოგადი ინფორმირებულობა	ულტრალიბერალური განწყობები
სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	1					
კონტრარგუმენტები	-.633**	1				
რესურსების დეფიციტი	.716**	-.422**	1			
სქესობრივ განათლებაში ჩართულობა	.746**	-.557**	.544**	1		
ზოგადი ინფორმირებულობა	.487**	-.416**	.374**	.408**	1	
ულტრალიბერალური განწყობები	.129**	-.106**	.112**	.124**	.388**	1

** . კორელაცია სტატისტიკურად არსებითია 0.01 დონეზე (2-tailed).

N=1798, შეფასებულია პირსონის კორელაციის კოეფიციენტი.

კორელაციური ანალიზის მიხედვით აშკარაა, რომ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება დადებითად ასოცირდება სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო აცნობიერებს ინდივიდი სქესობრივი განათლების ღირებულებას, მით უფრო ჩართულია ან სურვილი აქვს ჩაერთოს რელევანტურ ტრენინგებში და გაეცნოს ხარისხიან მასალას აღნიშნულ თემატიკაზე ($r = .746, p < 0.01$).

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება უარყოფითად უკავშირდება კონტრარგუმენტების არსებობას. კავშირი ძლიერი და სტატისტიკურად არსებითია ($r = -.633, p < 0.01$). ეს შედეგი საკმაოდ ბუნებრივია და საფუძვლადმდებარე მექანიზმიც ცხადია. ის ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობის ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ სიკეთეებს, არ ეწინააღმდეგებიან სქესობრივი განათლების დანერგვას და, პირიქით, ვისაც ნეგატიური დამოკიდებულება აქვს სქესობრივი განათლების მიმართ, ისინი ეწინააღმდეგებიან მასზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა პირობას აყენებენ მის დასაწერად. აღსანიშნავია, რომ კონტრარგუმენტების ფაქტორი ნეგატიურად ასოცირდება ყველა სხვა სამიზნე ცვლადთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფაქტორზე ქულის მატებასთან ერთად სხვა ყველა ცვლადის შემთხვევაში ქულა მცირდება. რაც უფრო ნაკლებია სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღების სურვილი და/ან რაც უფრო ნაკლებად ინფორმირებულნი არიან ინდივიდები სქესობრივი განათლების

შესახებ, მით მეტი კონტრარგუმენტი აქვთ სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვასთან დაკავშირებით. რაც უფრო მაღალია კონტრარგუმენტების მაჩვენებლები, მით უფრო ნაკლებადაა აღქმული/გაცნობიერებული სქესობრივი განათლების სფეროში რელევანტური ადამიანური რესურსისა და მასალების დეფიციტი. რესპოდენტები, რომელთათვისაც სქესობრივი განათლება ღირებულებას არ წარმოადგენს, ამ სფეროში რელევანტური, ხარისხიანი სასწავლო მასალისა და კომპეტენტური ადამიანური რესურსის ხელმისაწვდომობის საკითხიც ნაკლებ აქტუალურია.

მეორე მხრივ, ის ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, მკაფიოდ აღიქვამენ მისი სკოლაში დანერგვისთვის აუცილებელი **რესურსების დეფიციტს**. კორელაცია ამ ორ ცვლადს შორის მაღალია ($r = .716, p < 0.01$).

განსაკუთრებით საყურადღებოა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების კავშირი მის შესახებ ინფორმირებულობასთან. კორელაციური ანალიზი აჩვენებს, რომ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება დადებით კორელაციაშია **ზოგადი ინფორმირებულობის** ცვლადთან ($r = .487, p < 0.01$). რაც უფრო უკეთ არიან ადამიანები ინფორმირებულები სქესობრივი განათლების შესასწავლი სფეროების შესახებ, მით უფრო კარგად აცნობიერებენ ისინი სქესობრივი განათლების მნიშვნელობას და მისი სკოლაში დანერგვის პოზიტიურ შედეგებს ახალგაზრდებისთვის.

საინტერესო მიმართებაა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და **ულტრალიბერალურ განწყობებს** შორის: ამ ორ ცვლადს შორის დადებითი კორელაციაა. აღსანიშნავია, რომ კავშირი ძალიან სუსტია, თუმცა სტატისტიკურად არსებითია ($r = .129, p < 0.01$). ერთი შეხედვით, შედეგი უცნაური და მოულოდნელია. სქესობრივ განათლებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ისინიც კი, ვისაც არასწორი, ასე ვთქვათ, ზედმეტად ლიბერალური წარმოდგენები აქვთ მის შესახებ. თუმცა ამ შედეგის ახსნას დემოგრაფიული მახასიათებლებისა თუ სოციო-ეკონომიკური სტატუსის ინდიკატორების საფუძველზე შეგვეცდებით. ძლიერი ულტრალიბერალური განწყობების მქონე ადამიანთა უმრავლესობა ქართულენოვანია. ამ ადამიანებს შორის სჭარბობენ 16-დან 35 წლამდე ადამიანები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, არ ჰყავთ შვილები. ამ პროფილის ყურადღებით განხილვა შედეგის შემდეგნაირად ინერპრეტირების შესაძლებლობას გვაძლევს: ულტრალიბერალური, თამამი განწყობებით გამოირჩევიან ახალგაზრდა ადამიანები, რომლებისთვისაც სქესობრივი ურთიერთობები და ამასთან დაკავშირებული საკითხები ყველაზე მეტად აქტუალურია. ამასთან, მაღალი განათლების დონე და ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების შესახებ ქმნის საფუძველს მათი მკვეთრად პოზიტიური დამოკიდებულებისთვის სქესობრივი განათლების მიმართ.

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და ინფორმირებულობას შორის კავშირის კონტექსტში საინტერესოა **ინფორმირებულობის სუბიექტურ შეფასების** ცვლადიც. სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მიხედვით სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი სხვაობები დასტურდება საკუთარი შეხედულებით არაინფორმირებული, მეტ-ნაკლებად ინფორმირებული და სრულად ინფორმირებული ჯგუფების საშუალო მაჩვენებლებს შორის ($F(2,1788)=76.59$, $p<0.001$). რაც უფრო მეტად ინფორმირებულად მიიჩნევენ ადამიანები თავს, მით უფრო უკეთ აცნობიერებენ ისინი სქესობრივი განათლების მნიშვნელობას.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმირებულობა (მისი სხვადასხვა ასპექტი) კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა სქესობრივი განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა და მისი სიკეთეების გაცნობიერებისთვის. ამას ქვემოთ მოცემული დასკვნითი სტატისტიკის შედეგებიც ადასტურებს.

დასკვნითი სტატისტიკა (რეგრესიული³⁷ და მედიაციური³⁸ ანალიზის შედეგები)

სამიზნე კონსტრუქტებს შორის პირველადი კავშირების შეფასების შემდეგ მათი ურთიერთმიმართებების ბუნება შევისწავლეთ. სწორედ აღნიშნული ანალიზი მოგვცემს საშუალებას, გავცეთ პასუხი ზემოთ წარმოდგენილ კვლევით შეკითხვებს. კომპლექსური მიმართებები რეგრესიული, მედიაციური და მოდერაციული ანალიზის ტექნიკების გამოყენებით შევაფასეთ ენდრიუ ჰეისის პროგრამა „პროცესის“ საშუალებით. ანალიზის შედეგებს კვლევითი კითხვების მიხედვით წარმოვადგენთ.

1. რა კავშირია სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ მოგადი ინფორმირებულობის დონესა და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას შორის? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც მეტად ინფორმირებულნი არიან, უკეთესად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების სიკეთეებს?

კვლევის მიხედვით, სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირების მაღალი ხარისხი პოზიტიურად აისახება მისი მნიშვნელობის გაცნობიერებაზე. რესპონდენტების ინფორმირების ხარისხის ზრდასთან ერთად ისინი უფრო მეტად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების ღირებულებას და ხელმისაწვდომობის ზრდის აუცილებლობას ($\beta = .49$, $p < 0.001$).

³⁷ რეგრესიული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია შევაფასოთ, საშუალოდ რამდენი სტანდარტული ერთეულით შეიცვლება (ამაზე მეტყველებს β კოეფიციენტი) დამოკიდებული ცვლადი დამოუკიდებელი ცვლადის 1 სტანდარტული ერთეულით ცვლილებისას.

³⁸ მედიაციური ანალიზის საფუძველზე დგინდება, X ცვლადის გავლენა Y-ზე პირდაპირია ($X \rightarrow Y$), თუ გაშუალებულია მესამე ცვლადით ($X \rightarrow M \rightarrow Y$).

სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირება მისი მნიშვნელობის გაცნობიერების ქულათა ვარიაციის 24%-ს ხსნის ($R^2 = .24$, $F(1, 1792) = 555.8$, $p < 0.001$)³⁹.

2. როგორ უკავშირდება სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობას? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, რომლებსაც გააზრებული აქვთ ის სიკეთეები, რაც ახალგაზრდებისთვის სქესობრივი განათლების თემატიკაზე რელევანტური, სანდო, ვალიდური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მოაქვს, მეტად არიან ჩართულნი სქესობრივი განათლების აქტივობებში (ესწრებიან ან სურვილი აქვთ დაესწრონ ტრენინგებს, წაიკითხონ კვალიფიციური სტატიები, გაუზიარონ რელევანტური ინფორმაცია გაშემომყოფებს და ა. შ.)?

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება დადებითად აისახება სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობაზე ($\beta = .75$, $p < 0.001$). სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულება ჩართულობის ქულების ვარიაციის 56%-ს ხსნის ($R^2 = .56$, $F(1, 1797) = 2249.6$, $p < 0.001$). ის ადამიანები, რომლებიც ღირებულად თვლიან სქესობრივ განათლებას და რომლებსაც გააზრებული აქვს მასთან ასოცირებული სიკეთეები, მეტად არიან ჩართულნი სქესობრივ განათლებაში - ესწრებიან ან სურვილი აქვთ დაესწრონ ტრენინგებს, წაიკითხონ კვალიფიციური სტატიები, გაუზიარონ რელევანტური ინფორმაცია გაშემომყოფებს და ა. შ.

3. როგორ უკავშირდება სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდის კონტრარგუმენტებს სქესობრივი განათლების მიმართ? შეგვიძლია ვისაუბროთ ამ ორ კონსტრუქტს შორის ნეგატიურ კავშირზე? მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ რელევანტური, ხარისხიანი სქესობრივი განათლება მნიშვნელოვანია, ნაკლებად ეწინააღმდეგებიან მის დანერგვას?

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და კონტრარგუმენტებს შორის ნეგატიური, სტატისტიკურად არსებითი კავშირია ($\beta = -.63$, $p < 0.001$). რაც უფრო იზრდება სქესობრივი განათლების მიმართ დადებითი დამოკიდებულება, მით უფრო ნაკლებად ეწინააღმდეგებიან ადამიანები მის დანერგვას და მასზე ხელმისაწვდომობის ზრდას. სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება კონტრარგუმენტების ქულების ცვალებადობის 40%-ს ხსნის, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ($R^2 = .40$, $F(1, 1797) = 1204$, $p < 0.001$). რაც შეეხება ინფორმირებულობის გავლენას კონტრარგუმენტებზე, ის, დამოკიდებულებებთან შედარებით, უფრო სუსტი პრედიქტორია და კონტრარგუმენტების ქულების ვარიაციის მხოლოდ 17%-ს ხსნის ($R^2 = .17$, $F(1, 1792) = 376$, $p < 0.001$). მიმართება ასევე

³⁹ 100 შესაძლებელიდან რაც უფრო მიუახლოვდება დამოუკიდებელი ცვლადის მიერ დამოკიდებული ცვლადის ქულების ვარიაციის ახსნილი პროცენტი 100-ს, მით უფრო სრულყოფილია სტატისტიკური მოდელი.

ნეგატიურია. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო ინფორმირებულნი არიან ადამიანები იმის თაობაზე, თუ რა საკითხები მოიაზრება სქესობრივ განათლებაში, მით უფრო ნაკლები კონტრარგუმენტები აქვთ მისი დანერგვის საწინააღმდეგოდ ($\beta = -.42, p < 0.001$).

4. *რა მიმართებაა სქესობრივი განათლების გაცნობიერებასა და რესურსების დეფიციტის აღქმას შორის? შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც სქესობრივი განათლების მნიშვნელობას იაზრებენ, გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ ამ სფეროში კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების, რელევანტური, სანდო და ვალიდური მასალის დეფიციტია?*

სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და რესურსების დეფიციტურად აღქმას შორის ძლიერი დადებითი კავშირია ($\beta = .75, p < 0.001$). ეს იმას ნიშნავს, რომ ის ადამიანები, რომლებიც აცნობიერებენ სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ სიკეთეებს, ასევე რეალისტურად აფასებენ სქესობრივი განათლების სფეროში აკუმულირებული რესურსების შემზღუდლობას. გაცნობიერებულობა რესურსების დეფიციტურობის აღქმის ქულების ცვალებადობის 51%-ს ხსნის ($R^2 = .51, F(1, 1797) = 6174, p < 0.001$). რაც შეეხება სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირების დონეს, ის გაცილებით უფრო სუსტი პრედიქტორია და ქულათა ცვალებადობის მხოლოდ 14%-ს ხსნის. რაც უფრო იზრდება სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირებულობა, მით უფრო დეფიციტურად აღიქვამენ სფეროში ხელმისაწვდომ რესურსებს კვლევის მონაწილეები.


სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირებულობა, სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობა/ჩართულობისთვის მზაობა

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კავშირი სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირებულობის დონეს, მისი მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობას/ ჩართულობისთვის მზაობას შორის ასეთია: ის რესპონდენტები, რომლებმაც იციან, თუ რას გულისხმობს სქესობრივი განათლება და რა საკითხებს მოიცავს ის, მეტად აცნობიერებენ ხარისხიანი, რელევანტური განათლების მნიშვნელობას და მასთან დაკავშირებულ სიკეთეებს. შესაბამისად, მზაობა, რომ ჩაერთონ სქესობრივი განათლების აქტივობებში, უფრო მაღალი უნდა ჰქონდეთ.

მარტივი მედიაციური ანალიზის გამოყენებით შევაფასეთ ზემოთ დასახელებულ ცვლადებს შორის მიმართება. ანალიზის შედეგებმა ჩვენი ვარაუდი დაადასტურა. მოდელი დამოკიდებული ცვლადის ქულათა ვარიაციის 56%-ს ხსნის ($R^2 = .56, F(2, 1792) = 1129, p < 0.001$). ინფორმირებულობასა და ჩართულობას შორის კავშირი გაშუალებულია სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებით. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს პირი იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს სქესობრივი განათლება და რა საკითხებს მოიცავს

ის, მით უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვს მის მიმართ და აცნობიერებს მის ღირებულებას. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართვის პრაქტიკასა და მზაობას. ქვემოთ მოცემული მიმართების გრაფიკული გამოსახულებაა წარმოდგენილი. ისრები ზემოქმედების მიმართულებას ასახავს.

ილუსტრაცია 35: ინფორმირებულობის გავლენა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობაზე/ჩართვის მზაობაზე - მარტივი მედიაციური მოდელი



მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლებაზე მუშაობით ხელს შევუწყობთ საზოგადოებაში სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას. ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის საზოგადოების ჩართულობის მაჩვენებელს სქესობრივი განათლების აქტივობებში (ტრენინგები, შემეცნებითი მასალების გაცნობა და ა. შ.). აღნიშნული მიმართების შესაძლო მექანიზმი ასეთია: დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება უფრო მარტივია მაშინ, როდესაც სრულყოფილ ინფორმაციას ფლობ იმის თაობაზე, თუ რას შეისწავლის სქესობრივი განათლება.

სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის ზრდის კვალდაკვალ, უფრო მეტად ხდება იმის გაცნობიერება, რომ სქესობრივი განათლება ცხოვრების მანძილზე ჯანსაღი, უსაფრთხო, გააზრებული სქესობრივი გადაწყვეტილებების წინაპირობაა. თავის მხრივ, ეს ზრდის სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობის მოტივაციას, რელევანტური სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობის საჭიროებისა და ღირებულების გაცნობიერების ხარისხს. არაინფორმირებულობის შემთხვევაში, სქესობრივი განათლება აღქმული და ინტერპრეტირებულია, როგორც ახალგაზრდებისთვის საფრთხის შემცველი, შედეგად ჩართულობის ნაცვლად, მისდამი რეზისტენტულობა ყალიბდება.


კვლევა ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია ისეთი ინტერვენციებისა და პროგრამების დაგეგმვა, რომლებიც ინფორმირებულობასთან ერთად დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ცვლილებაზე იქნება ორიენტირებული.

სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირებულობა, სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება და სქესობრივი განათლების სფეროში რელევანტური რესურსების დეფიციტურობის აღქმა

მარტივი მედიაციური ანალიზის გამოყენებით შეფასდა, თუ რა მიმართებაა სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირებულობას, სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სქესობრივი განათლების სფეროში რელევანტური

რესურსების დეფიციტურობის აღქმას შორის. ანალიზის შედეგებმა ცხადყო, რომ მედიაციური კავშირი სახეზეა ($R^2 = .51$, $F(2, 1792) = 942$, $p < 0.001$). მოდელი დამოკიდებული ცვლადის ქულათა ვარიაციის 51%-ს ხნის. მიმართება წინა მოდელში დაფიქსირებული სურათის ანალოგიურია. როგორც აღმოჩნდა, რაც უფრო იზრდება ადამიანების ინფორმირების დონე სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ, ისინი მეტად აცნობიერებენ მის მნიშვნელობას; ხოლო რაც უფრო უკეთ აცნობიერებენ მნიშვნელობას, მით უფრო რეალისტური სურათი უყალიბდებათ სფეროში რელევანტური რესურსის (ადამიანური, მასალები) ხელმისაწვდომობის შესახებ. პოტენციური მექანიზმი შესაძლოა ასეთი იყოს: რაც უფრო მეტად ინფორმირებულები არიან ადამიანები სქესობრივი განათლების არსის შესახებ, მით უფრო ცხადად აცნობიერებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლების სფეროში სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, რაც ამ ეტაპზე დეფიციტურია.

ილუსტრაცია 36: ინფორმირებულობის გავლენა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სქესობრივი განათლების სფეროში რესურსების დეფიციტურად აღქმაზე - მარტივი მედიაციური მოდელი



მაშასადამე, ინფორმირების დონის ამაღლებით არა მხოლოდ სქესობრივი განათლების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებასა და შესაბამის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვას წაგახალისებთ, არამედ ასევე ხელს ვუწყობთ სფეროში არსებული გამოწვევების გაცნობიერებას. პრობლემის მოგვარება მისი გაცნობიერებით იწყება. იმისათვის, რომ რელევანტური, სანდო რესურსები შეიქმნას და პერსონალის კომპეტენციების ამაღლებისკენ გადაიდგას ნაბიჯები, უკიდურესად მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში წარმოიშვას მოთხოვნა სქესობრივ განათლებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს სქესობრივი განათლების ღირებულება და ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის თაობაზე, თუ რამდენად საჭიროა კომპეტენტური ადამიანური რესურსისა და შემეცნებითი მასალების ხელმისაწვდომობა. სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლება და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება ამ პროცესში ყველაზე ფუნქციონალური ინსტრუმენტია. აღნიშნულს სტატისტიკური ანალიზის შედეგები ადასტურებს.

ინფორმირების დონის ამაღლების საჭიროებაზე მიგვითითებს საქართველოში ამ სფეროში ჩატარებული კვლევების უმრავლესობა. მათ შორის, წინამდებარე კვლევის პირველი, თვისებრივი ნაწილი, რომელმაც ცხადყო, რომ ახალგაზრდები (მოსწავლეები, სტუდენტები) სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვისა და ხელმისაწვდომობის ამაღლების

საჭიროებას ხედავენ, ასევე, მზად არიან, ჩაერთონ სქესობრივი განათლების ხელშეწყობა აქტივობებში და მიიღონ რელევანტური ინფორმაცია კომპეტენტური წყაროებიდან. თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა მშობლების პოზიტიური დამოკიდებულებაც სქესობრივი განათლების მიმართ, მიუხედავად მათი დაბალი ინფორმირებულობისა სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ. ეს ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე მიგვითითებს, ვინაიდან, ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, სწორედ ინფორმირების დონის ამაღლებაა სქესობრივი განათლების პროცესში ჩართვის მნიშვნელოვანი წინაპირობა.

17. ახალგაზრდების ინფორმირებულობა და დამოკიდებულებები

სქესობრივი განათლების ძირითადი სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდა თაობაა. იმისათვის, რომ სახელმწიფომ, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა ახალგაზრდისთვის, მიუხედავად მათი ეთნიკური მიკუთვნებულობისა თუ სოციო-ეკონომიკური სტატუსისა, ხარისხიან სქესობრივ განათლებაზე თანაბარი წვდომა უზრუნველყოს, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებები შესაბამისი ინტერვენციების შესახებ დაფუძნებული იყოს კვლევით მონაცემებზე. ამ კონტექსტში გვსურს, საგანგებო ყურადღება დავუთმოთ, ასე ვთქვათ, კვლევის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეების - 16-18 წლის მოზარდების, ანუ სკოლის მოსწავლეების ინფორმირებულობას სქესობრივი განათლების შესახებ და მათ დამოკიდებულებას მის მიმართ.

ახალგაზრდების ინფორმირებულობა


როგორც წინამდებარე ანგარიშის შესაბამის ქვეთავში იყო წარმოდგენილი, 16-18 წლის ახალგაზრდები სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ მაღალი ინფორმირებულობით არ გამოირჩევიან. მათ (ისევე, როგორც 35 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტებს) უჭირთ სქესობრივი განათლების საკითხების სწორად იდენტიფიცირება. ამ ჯგუფში საკმაოდ მაღალია ისეთ რესპონდენტთა რიცხვი (22.8%), რომელთა ინფორმირებულობის ხარისხი დაბალია - სქესობრივ განათლებაში შემავალი სასწავლო სფეროებისა და საკითხების ჩამონათვალიდან ახერხებენ მხოლოდ ერთის ან ორის სწორად მიკუთვნებას სქესობრივი განათლების საკითხებისთვის. ეს საკითხებია ადამიანის სხეულის ანატომია და ფიზიოლოგია, გარდატეხის ასაკის თავისებურებები, არასასურველი ორსულობისგან და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან თავის დაცვა და სქესობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ თვალსაზრისით ისინი, ფაქტობრივად, იმეორებენ ტენდენციას, რომელიც კვლევის მთელს შერჩევაში დასტურდება. ეს გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ ინიციატივები, რომლებიც სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვას უკავშირდება (ესგ-სა და სასწავლო საგნებში - მე და საზოგადოება, სამოქალაქო განათლება - შესაბამისი საკითხების ინტეგრირება, მასწავლებელთა გადამზადება და სხვა) ამ ეტაპზე არ იძლევა ხელშესახებ ეფექტს ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით.

რაც შეეხება ინფორმირებულობის სუბიექტურ შეფასებას, 16-18 წლის ახალგაზრდათა დიდი უმრავლესობა - 72.2% - თავს მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად მიიჩნევს, რაც ფაქტობრივად იმეორებს ზოგადი ინფორმირებულობის სურათს.

ახალგაზრდები არ გამოირჩევიან მაღალი ულტრაღიბერალური განწყობებით. ამ ფაქტორზე მათი საშუალო მაჩვენებელი ($M=0.55$, $SD=0.91$) მხოლოდ 51+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების შესაბამის მაჩვენებელს ($M=0.30$, $SD=0.66$) აღემატება (განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია). გარდა იმისა, რომ ახალგაზრდების ზოგადი ინფორმირებულობა არ არის მაღალი, მათ არც განსაკუთრებით ძლიერი ლიბერალური განწყობები ამოძრავებთ.

საინტერესოა, რა წყაროებით სარგებლობენ ახალგაზრდები სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიღებისას (ინფორმაციის რეალური წყარო) ან რა არის მათთვის ინფორმაციის მიღების სასურველი წყარო. ამ თვალსაზრისით კვლევის მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები ვერ იღებენ ინფორმაციას მათთვის სასურველი წყაროებიდან. რეალურად მათი 51% ინფორმაციას მეგობრებისგან იღებს, მაშინ, როდესაც ამ წყაროს სასურველად მხოლოდ 16% მიიჩნევს. მეტ-ნაკლებად მსგავსი ვითარებაა ინტერნეტთან დაკავშირებითაც. ინფორმაციას ინტერნეტით იღებს ახალგაზრდების ასევე 51%, ხოლო სასურველ წყაროდ მას მხოლოდ 25% მიიჩნევს. ყველაზე მეტი ახალგაზრდისთვის (49%-სთვის) მისაღებია სქესობრივი განათლების საკითხებზე ფსიქოლოგებთან (ექიმებთან, დარგის პროფესიონალებთან) საუბარი, მაგრამ რეალურად ამ წყაროდან ინფორმაცია მხოლოდ 7%-სთვის არის ხელმისაწვდომი. არანაკლებ მნიშვნელოვანია (45%-სთვის) ინფორმაციის მიღების სხვა ფორმალური წყარო - მასწავლებელი. თუმცა ამჟამად მასწავლებლის მიერ ახალგაზრდების ინფორმირება მხოლოდ 17%-ის შემთხვევაში ხდება. მნიშვნელოვანია მშობლების როლიც - 16-18 წლის მოზარდების 35-დან 43%-მდე ინფორმაციის მიღების სასურველ წყაროდ დედას ან მამას ასახელებს, რეალურად კი მათგან ინფორმაციას მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს - დედისგან 17%, ხოლო მამისგან - 3%.

ილუსტრაცია 37: ახალგაზრდები და ინფორმაციის წყაროები




დავინტერესდით, რამდენად მსგავსია ინფორმაციის სასურველი წყაროები 16-18 წლის გოგონებისა და ბიჭებისთვის. არაა გასაკვირი, რომ გოგონებს და ბიჭებს სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება თავისივე სქესის მშობლისგან ურჩევნიათ; თუმცა მშობლებსა თუ ოჯახის სხვა უფროს წევრებზე უფრო სასურველი ინფორმაციის ორივესთვის მასწავლებელი ან ფსიქოლოგია (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გოგონებისთვის). გოგონებისგან განსხვავებით, ბიჭებს, სქესობრივი განათლების საკითხებზე მშობლებთან (თუნდაც მამასთან) საუბარს, ინფორმაციის ინტერნეტიდან მიღება ურჩევნიათ. ისინი ინფორმაციას მეგობრებისგანაც იღებენ და ეს მოსწონთ კიდევ - 22.4%-სთვის მეგობრებიც სასურველი ინფორმაციის წყაროები არიან. გოგონებისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 10.8%-ია.

შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში მეტი აქცენტი მასწავლებლებსა და ფსიქოლოგებზე უნდა გაკეთდეს. მნიშვნელოვანია, მშობლებიც იყვნენ

მზად შვილებთან სქესობრივი განათლების საკითხებზე სასაუბროდ. გარკვეული ნაწილისთვის ინფორმაციის წყაროდ ინტერნეტი რჩება, რაც იქ სამეცნიერო წყაროებზე დაფუძნებული, ზუსტი და სანდო ინფორმაციის განთავსების/მისაწვდომობის საჭიროებას უსვამს ხაზს.

ილუსტრაცია 38: ახალგაზრდები და ინფორმაციის სასურველი წყაროები (სექსის მიხედვით)



მასაშადამე, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ. ვინაიდან ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების მნიშვნელოვანი პრედიქტორია, ხოლო პოზიტიური დამოკიდებულება, თავის მხრივ, სქესობრივი განათლების მიღების მაღალ მოტივაციას (ჩართულობას) განაპირობებს, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა განათლების სისტემის მესვეურებისთვის, რომელთა მიზანი ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში სქესობრივი განათლების დანერგვაა.

ახალგაზრდები და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება

16-18 წლის ახალგაზრდებში სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, პოზიტიურია (მიუხედავად ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებლისა). ახალგაზრდები უკეთესად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, ვიდრე 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები. მათი 77.3% მიიჩნევს, რომ „სქესობრივი განათლება მნიშვნელოვანია ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისთვის“, დაახლოებით 80% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სქესობრივი განათლება იცავს ახალგაზრდებს ისეთი საფრთხეებისგან, როგორებიცაა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, არასასურველი ორსულობა, სექსუალური დისფუნქციები და სექსუალური ძალადობა. შესაბამისად, სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის აუცილებლობასაც ხედავენ - 73.4%-ის აზრით, „სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა აუცილებელია“.

სკოლებში სქესობრივი განათლების თვალსაზრისით ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასება მათი მხრიდან ერთმნიშვნელოვნად სკეპტიკურია: 16-18 წლის ახალგაზრდების 75.3% მიიჩნევს, რომ „სქესობრივი განათლების საკითხები, რომლებსაც სკოლაში ასწავლიან, მწირი და არასაკმარისია“.

ამ კონტექსტში საინტერესოა, რამდენად აღიქვამენ ახალგაზრდები სქესობრივი განათლების დანერგვისთვის საჭირო ადამიანური რესურსებისა თუ სასწავლო მასალების დეფიციტს, რამდენად აქვთ კონტრარგუმენტები სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვასთან დაკავშირებით, და როგორია მათი მოტივაცია, ჩაერთონ სქესობრივი განათლების მიღების აქტივობებში.

როგორც ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით საკვლევი ცვლადების - რესურსების ხელმისაწვდომობის, სქესობრივი განათლების საწინაღმდეგო კონტრარგუმენტების და ჩართულობის - ანალიზი გვიჩვენებს, 16-18 წლის ახალგაზრდების მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ჯგუფების შესაბამისი მაჩვენებლებისგან. განვიხილოთ განსხვავებები თითოეული ცვლადის მიხედვით უფრო დეტალურად:

16-18 წლის ახალგაზრდები უფრო მწვავედ აღიქვამენ სქესობრივი განათლებისთვის საჭირო ადამიანური თუ სასწავლო მასალების დეფიციტს, ვიდრე 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები ($F(4, 1749) = 10.92, p < 0.001$). ასაკობრივი კატეგორიების წყვილების საშუალო მაჩვენებლების შედარებამ (Tukey HSD-ის გამოყენებით) აჩვენა, რომ რესურსების დეფიციტის აღქმის მაჩვენებელი 16-18 წლის ახალგაზრდების ჯგუფში (Mean = 16.00, SD = 2.73) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატება 36-50 წლის (Mean = 15.30, SD = 2.24) და 51+ (Mean = 15.07, SD = 2.41) ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის მაჩვენებლებს. შედეგი ლოგიკურია. ახალგაზრდები შეფასებებისას თავიანთ აქტუალურ გამოცდილებას ეყრდნობიან და, შესაბამისად, რეალურად ხედავენ, რომ სკოლებში დღეს სქესობრივი განათლების მიმართულებით კომპეტენტური კადრებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ მომზადებული სასწავლო მასალის

დეფიციტია. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მათ არ აკმაყოფილებთ ცოდნის ის მოცულობა თუ მისი მიწოდებისთვის საჭირო რესურსები, რომლებიც დღეს არის ხელმისაწვდომი სკოლებში. მეორე მხრივ, განსხვავებით 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისგან, მათი მოლოდინები და მოთხოვნები ცოდნის მოცულობასთან, ასევე ცოდნის მიღების საშუალებებთან მიმართებაში გაზრდილია. ეს მიგნება გასათვალისწინებელია სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში - აქტუალური ამოცანა სწორედ შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და სასწავლო რესურსების მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებაა (რასაც, კვლევის თვისებრივი ნაწილის შედეგების თანახმად, პროცესში დარგის ექსპერტების, ასევე, ფსიქოლოგების, ექიმების და ა.შ. პროფესიონალების ჩართვა უზრუნველყოფს).

კანონზომიერია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც მწვავედ განიცდიან ხარისხიანი სქესობრივი განათლების მისაღებად საჭირო რესურსების დეფიციტს, გამოთქვამენ მზაობას, აქტიურები იყვნენ სქესობრივი განათლების მიღების პროცესში, ჩაერთონ მის ხელშეწყობა აქტივობებში, ანუ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება აისახება ახალგაზრდების ქცევაზე. ჩართულობის მიხედვით ასაკობრივი ჯგუფების შედარებამ გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ჯგუფებს შორის ($F(4, 1749) = 25.75, p < 0.001$). წყვილების საშუალო მაჩვენებლების შედარებამ (Tukey HSD-ის გამოყენებით) აჩვენა, რომ ჩართულობის მაჩვენებელი 16-18 წლის ახალგაზრდების ჯგუფში (Mean = 20.57, SD = 4.12) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღემატება 51+ (Mean = 18.48, SD = 4.17) ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის მაჩვენებლებს.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ყურადსაღები ცვლადია სქესობრივი განათლების დანერგვის კონტრარგუმენტები. ეს ცვლადი მიგვითითებს ბარიერებზე, რომლებსაც საზოგადოების წევრები სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესს უკავშირებენ. 16-18 წლის ახალგაზრდები, აცნობიერებენ რა სქესობრივი განათლების სიკეთეებს და მოტივირებულნი არიან, მიიღონ მეტი ინფორმაცია, ამგვარ ბარიერებს ნაკლებად მნიშვნელოვნად აღიქვამენ, ყოველ შემთხვევაში 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებთან შედარებით ($F(4, 1749) = 21.34, p < 0.001$). საშუალო მაჩვენებლების წყვილურად შედარებამ (Tukey HSD-ის გამოყენებით) აჩვენა, რომ კონტრარგუმენტების მაჩვენებელი 16-18 წლის ახალგაზრდების ჯგუფში (Mean = 17.85, SD = 3.90) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ნაკლებია 36-50 წლის (Mean = 19.03, SD = 4.58) და 51+ (Mean = 20.16, SD = 4.15) ასაკობრივი ჯგუფების შესაბამის მაჩვენებლებზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები გადადგას ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის გასაზრდელად. ამ პროცესში მაღალი იქნება თავად ახალგაზრდების მოტივაცია, მიიღონ ინფორმაცია, ჩაერთონ საგანმანათლებლო აქტივობებში, ვინაიდან ნაკლებ ბარიერსა და შეზღუდვას ხედავენ სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის მიმართულებით. თუმცა პროცესის სწორად წარმართვისთვის აუცილებელია, ახალგაზრდებს გაუჩნდეთ ნდობა სასწავლო რესურსებისა და იმ პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ, რომლებმაც უნდა წარმართონ საგანმანათლებლო პროცესი.

18. სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ განწყობები

სქესობრივი განათლება ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ სწავლების არსებითი ნაწილია. მისი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს (მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში) იმ ცოდნის მიღებაში, უნარების განვითარებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რომლებიც კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა გარემოდან მომავალი ფიზიკური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური საფრთხეების თავიდან ასარიდებლად და, ზოგადად, ადამიანის ჰარმონიული განვითარების მხარდასაჭერად. იმისათვის, რომ ყველა მოზარდს თანაბრად ჰქონდეს წვდომა ხარისხიან სქესობრივ განათლებაზე, მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში სკოლამ უნდა შეასრულოს. ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში სქესობრივი განათლების დანერგვა პროცესის უნიფიცირების, საერთო კონცეპტუალურ ჩარჩოში მოქცევის შესაძლებლობას იძლევა, რაც ერთგვარი გარანტია იმისა, რომ ყველა მოზარდი აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნითა და უნარებით გარემოში არსებულ რისკებთან გასამკლავებლად.

იმისათვის, რომ სქესობრივი განათლება სკოლაში დაინერგოს, აუცილებელია საზოგადოების მხრიდან ამ პროცესის მხარდაჭერა. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის, ინსტიტუციის, მედიის გავლენა პროცესზე ძალზე დიდია. შესაბამისად, პროცესს წარმატების შანსი აქვს იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება გააცნობიერებს მოზარდების მიერ სქესობრივი განათლების მიღების საჭიროებას, პოზიტიური დამოკიდებულება ექნება ამ პროცესის მიმართ და ექნება მზაობა, ხელი შეუწყოს პროცესს (ჩაერთვება სქესობრივი განათლების ხელშეწყობ აქტივობებში).

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ჩვენი კვლევის მიზანი სქესობრივი განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის (კოგნიტური კომპონენტი), მის მიმართ დამოკიდებულების (აფექტური კომპონენტი) და მისი ხელშეწყობის მზაობის (ქცევითი კომპონენტი) შესწავლა იყო. კვლევის შედეგების ანალიზი შესაბამის ქვეთავებშია წარმოდგენილი. ამ ნაწილში გვსურს, გამოვკვეთოთ **სკოლაში** სქესობრივი განათლების დანერგვის შესახებ არსებული წარმოდგენები და განწყობები.

სქესობრივი განათლება სკოლაში - არსებული ვითარების შეფასება

სკოლაში სქესობრივი განათლების თვალსაზრისით ამჟამად არსებული ვითარების შეფასებისას რესპოდენტები სკეპტიკურები არიან. მათი თითქმის 70% თვლის, რომ „სქესობრივი განათლების საკითხები, რომლებსაც სკოლაში ასწავლიან, მწირი და არასაკმარისია“, ის ვერ ეხმარება ახალგაზრდებს სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული უსაფრთხო და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ხოლო იმ ადამიანთა რაოდენობასაც თუ გავითვალისწინებთ, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ეთანხმებიან ამ მოსაზრებას (დაახლოებით 20%), კრიტიკულად განწყობილთა საერთო რაოდენობა (თითქმის 90%) მართლაც შთამბეჭდავია - მაშასადამე, საზოგადოების უდიდესი ნაწილი აცნობიერებს, რომ სკოლა ვერ უმკლავდება გამოწვევას, რომელიც მოზარდების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფას გულისხმობს. ამის მიზეზად, ერთი მხრივ, თემისადმი არასერიოზული დამოკიდებულება ან უხერხულობა სახელდება (როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების მხრიდან), ან მოზარდებისთვის ხარისხიანი განათლების მისაცემად საჭირო ადამიანური თუ მატერიალური (სასწავლო) რესურსების დეფიციტი. გაკვეთილები, რომლებზეც სქესობრივი განათლების საკითხები უნდა განიხილებოდეს, ხშირად არ ტარდება, ვინაიდან ამ თემებზე საუბარი უხერხულობას ქმნის. ეს შედეგი კვლევის თვისებრივი ნაწილის მონაცემებს ეხმიანება, სადაც მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ანატომიის სწავლებისას რეპროდუქციული სისტემის შესაბამის პარაგრაფს გამოტოვებდნენ ხოლმე. თვისებრივ კვლევაში მოზარდებიც აღნიშნავენ თავიანთ არასერიოზულ განწყობას გაკვეთილებზე, რომლებზეც სქესობრივი განათლების საკითხებს განიხილავდნენ. სქესობრივი განათლების სწავლა-სწავლების თანამდევი უხერხულობის განცდის თავიდან აცილება, სავარაუდოდ, სწორი ინფორმაციის სწორად მიწოდებით არის შესაძლებელი - კულტურულად და კონტექსტისთვის რელევანტური შინაარსების, სწავლების თანამედროვე მეთოდების, ინფორმაციის მიწოდების ფორმების სწორად შერჩევით (ამას, თავის მხრივ, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული სასწავლო მასალით არის აღჭურვილი).

სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის რისკები და უპირატესობები

მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი განათლების დანერგვა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან, საზოგადოების დიდი ნაწილი (67%) აცნობიერებს ამ პროცესის მნიშვნელობას და ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა აუცილებელია“. კიდევ უფრო მეტი ადამიანი (რესპოდენტთა 76.7%) ხედავს ამ თვალსაზრისით არსებულ გამოწვევას და

მნიშვნელოვნად მიიჩნევს, „საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ სქესობრივი განათლების დანერგვა აუცილებელია“. ამის საპირისპიროდ, საზოგადოების მცირე ნაწილი (რესპონდენტთა 8.8%) ფიქრობს, რომ „სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვა უფრო მეტი მხიანის მომტანი იქნება, ვიდრე სარგებლის“ (ამ აზრს ნაწილობრივ იზიარებს რესპონდენტთა 16.7%).

საინტერესოა საზოგადოების მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ, ერთი მხრივ, რით არის განპირობებული სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ ნეგატიური განწყობები და, მეორე მხრივ, რა რისკებს შეიცავს სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა.

სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის მიმართ ნეგატიურ განწყობებს ჩვენი კვლევის რესპონდენტთა დაახლოებით 65% არაინფორმირებულობით, სქესობრივი განათლების თემატიკის და, ზოგადად, ადამიანის სექსუალობის შესახებ არასწორი/დამახინჯებული წარმოდგენებითა და ცრურწმენებით ხსნის (ამ მოსაზრებას, საერთო ჯამში, ნაწილობრივ მაინც ეთანხმება თითქმის 90%). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს კვლევის ფარგლებში გამოვლენილ ტენდენციას, რომ ინფორმირებულობა დამოკიდებულებების ძლიერი პრედიქტორია.

რაც შეეხება სქესობრივი განათლების მიღებასთან ასოცირებულ რისკებსა და მის მაგნეზეგულენას, ის საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის (15-20%, რაც არც თუ მცირეა) სქესობრივი ურთიერთობების ნაადრევად დაწყებას, არასასურველი ქცევებისა და „ექსპერიმენტების“ წახალისებას, ასევე, სქესობრივი განათლების საკითხების კულტურასა და ტრადიციებთან, რელიგიურ წარმოდგენებთან შეუთავსებლობას უკავშირდება. ეს შედეგი თვისებრივი კვლევის მონაცემების კონგრუენტულია. სწორედ სქესობრივი ცხოვრებისადმი ინტერესის ნაადრევად გაღვიძება, სქესობრივი ცხოვრების დაწყების წახალისება, რელიგიურ შეხედულებებთან სქესობრივი განათლების საკითხების შეუთავსებლობა სახელდებოდა სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის ძირითად კონტრარგუმენტებად კონსერვატიული ჯგუფებისა და ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ (აღნიშნულ საკითხებს „მშობლებისა“ და „კულტურული კონტექსტის“ ქვეთავებში დეტალურად განვიხილავთ).

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების დიდი ნაწილი კარგად აცნობიერებს სქესობრივი განათლების მნიშვნელობას იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მისი დაცვა, თავიდან აირიდონ ძალადობის, არასასურველი ორსულობისა და ქორწინების რისკები, მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილებები სქესობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ძირითად უპირატესობად, რაც სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვას აქვს, ყველა მოზარდისთვის მისი თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელდება (დაახლოებით 70%-ის მიერ). მიუხედავად იმისა, როგორია მოზარდების მშობელთა თუ თანატოლების ინფორმირებულობა და დამოკიდებულებები, ოჯახის სოციო-ეკონომიკური სტატუსი თუ კულტურული კონტექსტი, სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვით ყველა მოზარდს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს მინიმალური ცოდნა

მაინც ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროს შესახებ, განივითაროს საჭირო უნარები და ღირებულებები ჰარმონიული სქესობრივი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

სკოლა, როგორც ინფორმაციის წყარო

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ როგორც უფროსი ასაკის ადამიანების, მშობლების, ისე ახალგაზრდების, სკოლის მოსწავლეების დიდ ნაწილს სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიღება სკოლაში მასწავლებლისგან ან ფსიქოლოგისგან სურს. **ინფორმაციის სასურველ წყაროთაგან**, მშობლების შემდეგ, მასწავლებლები და ფსიქოლოგები (ასევე, ექიმები) ყველაზე მნიშვნელოვნად არიან მიჩნეულნი. რესპონდენტთა დაახლოებით 50% ფიქრობს, რომ ადამიანმა ინფორმაცია სქესობრივი განათლების შესახებ მასწავლებლისგან, ან ფსიქოლოგისგან (ექიმისგან) უნდა მიიღოს. „ვისურვებდი, სკოლაში მქონოდა/მქონდეს სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა“, ადასტურებს ჩვენი რესპონდენტების დაახლოებით 70%.

აქ ორი ასპექტია საყურადღებო: 1. ფორმალური პოზიცია (მასწავლებლობა, სკოლის ფსიქოლოგობა) ხარისხის ერთგვარი გარანტია - მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში შესაბამისი კომპეტენციის კადრების არსებობას რესპონდენტები სკეპტიკურად უყურებენ (ამის შესახებ არაერთხელ აღინიშნა ანგარიშში), როგორც ჩანს, მომავალში ამ თვალსაზრისით სკოლების გაძლიერების იმედი აქვთ. ნდობა ფორმალური ინსტიტუციის მიმართ მაინც უფრო მაღალია, ვიდრე მედიის, მოზარდების თანატოლების და ა.შ. მიმართ. მაგალითად, რესპონდენტთა დაახლოებით 75%-სთვის „სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხების სწავლება დაიცავს მოზარდებს ინტერნეტით მიღებული არასწორი ინფორმაციისა და დამახინჯებული წარმოდგენების ჩამოყალიბებისგან“. ეს მათთვის კიდევ ერთი არგუმენტია სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის სასარგებლოდ. 2. ადამიანისგან ცოდნის მიღება, კომპეტენტურ ადამიანთან კომუნიკაცია, პროცესის ინტერაქციულობა უფრო მისაღებია რესპონდენტებისთვის, ვიდრე ინფორმაციის მიღების სხვა ფორმები (თუნდაც სამეცნიერო სტატია). ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომელიც სკოლაში ადამიანური კაპიტალის გაძლიერების მიმართულებით გარკვეული ინტერვენციების აუცილებლობაზე მიუთითებს.

სკოლის გაძლიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს საზოგადოება სახელმწიფო ინსტიტუტებს. მათი ჩართულობის გაზრდას სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში სკოლის ხელშეწყობის მიმართულებით აუცილებლად მიიჩნევს რესპონდენტთა თითქმის 80%.

სწავლების ფორმატი

დისკუსია სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის შესახებ აჩენს შეკითხვებს სწავლების ფორმატთან დაკავშირებით. კერძოდ, არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიცია იმის შესახებ, თუ რა ასაკშია მიზანშეწონილი სქესობრივი განათლების საკითხებზე მოზარდებთან საუბარი სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმაციის პირველად მიღების ასაკად 9-15 წელს ასახელებს, არც თუ მცირე ნაწილისთვის (დაახლოებით 40%-სთვის) ადეკვატური ასაკი „მაღალი კლასებია“ (16-18 წლები). ასაკისა და შინაარსის შესაბამისობასთან დაკავშირებით რესპონდენტები მეტად ერთსულოვანნი არიან - დაახლოებით 90% ნაწილობრივ მაინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ „*სქესობრივი განათლების საკითხები ყველა სასწავლო საფეხურზე, ასაკისათვის შესაფერისი შინაარსით უნდა ისწავლებოდეს*“.

კონსენსუსი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს სწავლების ფორმატი - ბევრისთვის მისაღებია გოგონებისა და ბიჭების ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფა (სეგრეგაცია) და თითოეული ჯგუფისთვის იმავე სქესის პედაგოგის მიერ გაკვეთილების ჩატარება. ეს საკითხი თვისებრივი კვლევის ფარგლებშიც დაისვა. რაოდენობრივი კვლევის შედეგად მკაფიო ტენდენცია სეგრეგირებული თუ სტანდარტული საგაკვეთილო პროცესის უპირატესობის მიმართულებით არ გამოვლინდა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებობს თანხმობა: სკოლა მოზარდებისთვის ცოდნის მიწოდების მნიშვნელოვან წყაროდ აღიქმება, ის უზრუნველყოფს მოზარდების განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას, იცავს მოზარდებს არასანდო და არაზუსტი ინფორმაციისგან. თუმცა იმ პირობით, რომ მას ეყოლება კვალიფიციური პერსონალი, აღჭურვილი სათანადო სასწავლო რესურსებით. საკმაოდ ძლიერი რჩება საზოგადოებაში კონსერვატიული განწყობები, რაც განაპირობებს სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის საფრთხეების აქცენტირებას. აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომის შემუშავება - სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთოს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიც.

19. მშობელთა ინფორმირებულობა, დამოკიდებულებები და ჩართულობა

მშობლების დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ ერთ-ერთი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხია. მშობლების ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ ხელისშემშლელი ფაქტორია სქესობრივი განათლების დანერგვისა და მოზარდების მიერ ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების გამოყენებისთვის (Wood, McKay, Byers, & Wentland, 2014).


მშობლების, როგორც განმანათლებლების და მხარდამჭერი ადამიანების, ინფორმირებულობა და სწორი დამოკიდებულებები მეტად მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლების დანერგვის ეტაპებზე. შესაბამისად, მეცნიერთა ყურადღება მიმართულია იმ ფაქტორებისა თუ წინაპირობების კვლევაზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სქესობრივი განათლების მიმართ მშობელთა დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ სქესობრივი განათლების შესახებ მშობელთა ინფორმირებულობა და სქესობრივი განათლების მიმართ მათი დამოკიდებულება, რაც მისი მნიშვნელობის გაცნობიერებაში გამოიხატა.

მშობელთა ინფორმირებულობა


კვლევის მონაწილე რესპონდენტთა, ფაქტობრივად, ნახევარი (რესპონდენტთა 48.7%) იყო მშობელი. სქესობრივი განათლების შესახებ ზოგადი ინფორმირებულობის სკალაზე მშობლებისა და არამშობლების საშუალო მაჩვენებლების შედარებამ აჩვენა, რომ მშობლები უფრო ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ (Mean = 4.68; SD = 2.69), ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებიც მშობლები არ არიან (Mean = 5.32; SD = 2.69). ჯგუფებს შორის საშუალოთა ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($t(1743) = -4.89, p < 0.001$).

ილუსტრაცია 39: მშობლობის სტატუსი და ინფორმირებულობა



საინტერესოა, როგორია აპლიკანტების განაწილება მშობლობის სტატუსის მიხედვით ინფორმირებულობის ინდექსის სხვადასხვა კატეგორიაში (დაბალი, საშუალო, მაღალი). განაწილებას თუ შევხედავთ, თვალსაჩინო განსხვავებები ჯგუფებს შორის ინფორმირებულობის დაბალ და მაღალ კატეგორიებში ვლინდება: მშობლების 26% ხვდება სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის დაბალ კატეგორიაში, მაშინ როცა „არამშობლების“ შესაბამისი მაჩვენებელი 19%-ია. მშობელთა 20% ინფორმირებულობის მაღალი დონით ხასიათდება, ეს მაჩვენებელი „არამშობლებში“ 28%-ს უდრის. ინფორმირებულობის ხარისხის მიხედვით იდენტიფიცირებული ჯგუფების განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(2, 1745) = 21.95, p < 0.001$).

ილუსტრაცია 40: მშობლობის სტატუსი და ინფორმირებულობის ინდექსები



ამ ტენდენციას ლოგიკურად ეხმიანება მშობლების მიერ საკუთარი ინფორმირებულობის შეფასებაც. მშობლები, არამშობლებთან შედარებით, თითქოს უფრო ფრთხილები არიან შეფასების დროს, მათი თითქმის 10% ამბობს, რომ საერთოდ არ აქვს ინფორმაცია სქესობრივი

განათლების შესახებ (იგივეს ამბობს არამშობლების მხოლოდ 5.7%). მშობლებისა და არამშობლების ინფორმირებულობის სუბიექტური შეფასების მაჩვენებელთა განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(2,1759) = 8.84, p < 0.05$).

მშობლების ინფორმირებულობა დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში: მშობლებსა და არამშობლებს შორის სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით განსხვავებები გაანალიზდა სქესის, ასაკობრივი კატეგორიების, დასახლების ტიპისა და მიღებული განათლების მიხედვითაც.

სტატისტიკურად სანდო განსხვავებები ვლინდება **სქესის** მიხედვით როგორც მდედრობითი ($t(1087) = -5.13, p < 0.001$), ასევე, მამრობითი ($t(626.57) = -2.20, p < 0.05$) სქესის რესპონდენტებში. ქალებმა, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები, უფრო კარგად იციან, რა საკითხებს მოიცავს სქესობრივი განათლება, ვიდრე ქალებმა, რომლებიც დედები არიან. მსგავსი ვითარებაა კაცების შემთხვევაშიც. არამშობელი კაცები უკეთესად არიან ინფორმირებულნი, ვიდრე კაცები, რომლებსაც ჰყავთ შვილები.


ზოგადი ინფორმირებულობის თვალსაზრისით განსხვავება ფიქსირდება თავად დედებსა და მამებს შორისაც ($t(863) = 2.53, p < 0.01$), კერძოდ, დედები უკეთ არიან ინფორმირებულნი სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ (Mean = 4.65, SD = 2.69), ვიდრე მამები (Mean = 4.36, SD = 2.65). მსგავსი შედეგები მიღებულია სხვა კვლევებშიც, რომელთა მიხედვით ქალები მეტ ინფორმირებულობასა და სქესობრივი განათლების საკითხზე დისკუსიისადმი მეტ მზაობას ავლენენ, ვიდრე კაცები. მშობლის სქესი აღმოჩნდა სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელიც. თუმცა კვლევების უმეტესობა მხოლოდ სუსტ სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას ადასტურებს მამების და დედების ატიტუდებს შორის (Kee-Jiar & Shih-Hui, 2020).

ინფორმირებულობის თვალსაზრისით მშობლებსა და არამშობლებს შორის განსხვავებები ფიქსირდება ორ **ასაკობრივ** კატეგორიაში 19-24 წლის ($t(397) = -1.98, p < 0.05$) და 25-35 წლის ($t(492) = -4.42, p < 0.001$) რესპონდენტებში: ორივე შემთხვევაში იმ ადამიანების ინფორმირებულობა, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ, მშობლებისაზე უფრო მაღალია. უნდა აღინიშნოს, რომ თავად მშობლებში ინფორმირებულობის თვალსაზრისით ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავებები არ არის.

მშობლობის სტატუსის მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავებას ვხვდებით იმ რესპონდენტებს შორის, რომლებსაც დასრულებული აქვთ ბაკალავრიატი ($t(634.65) = -7.40, p < 0.05$) და დოქტორანტურა ($t(38.16) = 1.26, p < 0.05$) (ან ამჟამად სწავლობენ შესაბამის საფეხურზე). აქვე აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სადოქტორო (დოქტორანტი ან დოქტორი) საფეხურზე მყოფი რესპონდენტების შემთხვევაში მშობლებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ინფორმირებულობის მიხედვით, ვიდრე მათ, ვისაც შვილები არ ჰყავთ. **განათლების** საფეხურების მიხედვით თავად მშობლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან

ინფორმირებულობის თვალზასრისით ($F(5, 856) = 22.10, p < 0.01$). კერძოდ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის განათლების მქონე მშობლებს უფრო სწორად/ზუსტად შეუძლიათ სქესობრივი განათლების საკითხების იდენტიფიცირება, ვიდრე იმ მშობლებს, რომლებმაც განათლების შედარებით დაბალი საფეხური დაასრულეს.

ილუსტრაცია 41: მშობლობის სტატუსი და ინფორმირებულობა (სქესის, ასაკის და განათლების მიხედვით)




სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობასთან ასოცირებული კიდევ ერთი ცვლადის - ულტრაღიბერალური განწყობების - მიხედვითაც მშობლებს უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ ($\text{Mean} = 0.32, \text{SD} = 0.72$), ვიდრე არამშობლებს ($\text{Mean} = 0.51, \text{SD} = 0.89$). მშობლები თითქმის უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენენ სქესობრივი განათლებისათვის თამამი, მოქმედებაზე ორიენტირებული საკითხების მიკუთვნებაში. ამ კონტექსტში მოსალოდნელი იყო, რომ მათი დამოკიდებულება სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის მიმართ უფრო პოზიტიური იქნებოდა, თუმცა შედეგი საპირისპირო მივიღეთ (ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ). თუმცა, მეორე მხრივ, თუკი ვხედავთ, რომ მაგალითად, მშობელთა თითქმის 60%-მა არ იცის, რომ ორსულობა და რეპროდუქცია სქესობრივი განათლების საკითხებია, 40%-ზე მეტი არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციას არ მიაკუთვნებს სქესობრივი განათლების საკითხებს, მაშინ არც უნდა იყოს მოულოდნელი, რომ სქესობრივი განათლების მნიშვნელობა მათ მიერ არ არის კარგად გაცნობიერებული.

მშობელთა დაბალი ინფორმირებულობის კონტექსტში საინტერესოა, რა მიაჩნიათ მათ სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ **წყაროებად**. მშობლების მიერ დასახელებული წყაროები იმეორებს მთელი შერჩევის პატერნს. მშობლების აზრით, სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაცია ადამიანმა დედისგან (61.3%) ან მამისგან (47.9%) უნდა მიიღოს. ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანია მასწავლებლის (47.8%) ან

ფსიქოლოგისგანაც/ექიმისგანაც (42.8%). მშობლებს წიგნი (25.8%) - მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა - ინფორმაციის მიღების უფრო მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნიათ, ვიდრე ინტერნეტი (10.7%) და თანატოლები (14.4%). სავარაუდოდ, მშობლების მიერ სასურველად მიჩნეული წყაროები მათი შვილებისთვის ინფორმაციის მიწოდების სასურველ წყაროებად შეიძლება იქნას განხილული.

მშობლებს - დედებსა და მამებს - შორის მცირე, თუმცა საინტერესო განსხვავებები დასტურდება იმის მიხედვით, თუ რა მიაჩნიათ მათ ადამიანისთვის სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ წყაროებად.

ილუსტრაცია 42: ინფორმაციის მიღების სასურველი წყაროები დედებისა და მამებისათვის



ადამიანისთვის ინფორმაციის მიღების წყაროდ დედები უფრო ხშირად დედებს ასახელებენ, ვიდრე მამებს. მამების შემთხვევაში განსხვავება არსებითი არ არის. როგორც ილუსტრაციაზე ჩანს, მათი 53.7% მიიჩნევს, რომ ახალგაზრდამ ინფორმაცია მამისგან უნდა მიიღოს, ხოლო


51.2% სასურველ წყაროდ დედას მიიჩნევს. თუკი დედებისთვის ინტერნეტი და თანატოლები სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმაციის ნაკლებად პრიორიტეტული წყაროებია, მამების უფრო დიდი ნაწილისთვის ისინი მნიშვნელოვანია.

კვლევის ამ შედეგების გათვალისწინებით, სქესობრივი განათლების შესახებ საკომუნიკაციო სტრატეგიის დაგეგმვისას კვლავ მნიშვნელოვანი რჩება ახალგაზრდათა განათლება იმ მიმართულებით, რომ შეძლონ ინტერნეტში სანდო, სწორი, სამეცნიერო ინფორმაციის მოძიება. ამგვარი წყაროები უფრო ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ახალგაზრდებისთვის. თუმცა, ყველაზე აქტუალური სკოლის პერსონალის - მასწავლებლებისა თუ ფსიქოლოგების კვალიფიკაციის ამაღლებაა. საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის სწორედ ისინი არიან ადამიანის ინფორმირების მნიშვნელოვანი წყაროები. არანაკლები აქცენტი უნდა გაკეთდეს მშობელთა განათლებაზეც. მათგან ინფორმაციის მიღება პრიორიტეტულია ახალგაზრდებისთვის. საზოგადოების უდიდესი ნაწილიც სწორედ მშობლებისგან ახალგაზრდების ინფორმირებას მიიჩნევს ადეკვატურად. შესაბამისად, მშობლებისთვის საინფორმაციო მასალების (ბუკლეტების, ინტერნეტრესურსების) მომზადება, მათთვის საინფორმაციო შეხვედრებისა თუ ტრენინგების შეთავაზება სქესობრივი განათლების დანერგვაზე მომუშავე პროფესიონალებისთვის პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს.

მშობელთა დამოკიდებულებები


კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მშობლებზე მეტად სქესობრივი განათლების მნიშვნელობას ის რესპონდენტები აცნობიერებენ, რომლებიც მშობლები არ არიან. ჯგუფების საშუალო მაჩვენებელთა შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($t(1764) = -6.15, p < 0.001$).

ილუსტრაცია 43: მშობლობის სტატუსი და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება



საინტერესოა, როგორ გადანაწილდნენ რესპონდენტები მშობლობის სტატუსის მიხედვით გაცნობიერებულობის ინდექსის სხვადასხვა ჯგუფში. როგორც მომდევნო გრაფიკზეა მოცემული, უკიდურესად დადებით განწყობებს მშობლებთან უფრო ნაკლებად ვხვდებით, ვიდრე იმ რესპონდენტებთან, რომლებიც მშობლები არ არიან – მშობლების მხოლოდ 9% აქვს სქესობრივი განათლების მნიშვნელობის მიმართ განსაკუთრებით დადებით დამოკიდებულება, მაშინ, როდესაც ამ კატეგორიაში არამშობლების 20% ხვდება. χ^2 კრიტერიუმი გვიჩვენებს, რომ მშობლობის სტატუსის მიხედვით გაცნობიერების ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა არსებითია ($\chi^2(2, 1766) = 43.44, p < 0.001$)⁴⁰.

ილუსტრაცია 44: მშობლობის სტატუსი და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ინდექსები




სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება დემოგრაფიული მახასიათებლების ჭრილში: მშობლებსა და არამშობლებს შორის სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მიხედვით განსხვავებები გაანალიზდა სქესის, ასაკობრივი კატეგორიების, დასახლების ტიპისა და მიღებული განათლების მიხედვითაც.

სტატისტიკურად სანდო განსხვავებები მშობლებსა და არამშობლებს შორის ვლინდება მხოლოდ 19-24 წლის ($t(402) = -3.71, p < 0.001$) და 25-35 წლის ($t(495) = -2.80, p < 0.01$) ასაკობრივ კატეგორიებში. უფროსი ასაკის რესპონდენტები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მშობლები, სქესობრივ განათლებას თანაბრად დაბალ მნიშვნელობას ანიჭებენ.

⁴⁰ შედარებისთვის გვსურს მოვიყვანოთ კანადაში 2000 მშობელთან ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვით 85% დადებითად აფასებს სქესობრივი განათლების არსებობას სასკოლო განათლებაში (Statcan, 2006). გამოკითხულ მშობელთა დიდი ნაწილი თანხმობას გამოხატავს, დაწყებითი და საბაზო სკოლის (მე-8 ან უფრო დაბალი კლასი) ეტაპზე კურიკულუმის 33-დან 30 კომპონენტი შეიტანონ (გარდა სექსუალურ სიამოვნებასთან დაკავშირებული კომპონენტებისა, რომლებიც მშობლებისთვის მე-9 და უფრო მაღალი კლასებიდან იყო მისაღები).


ილუსტრაცია 45: მშობლების დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით



საინტერესო ტენდენცია გვხვდება საკუთრივ მშობლების ჯგუფში: 25-დან 50 წლამდე ასაკის მშობლები (აქ შედის ორი ასაკობრივი კატეგორია) უკეთ აცნობიერებენ, რა სიკეთეები მოაქვს სქესობრივ განათლებას ახალგაზრდებისთვის, ვიდრე 50 წელზე უფროსი ასაკის მშობლები. ეს სხვაობა სტატისტიკურად არსებითი ($F(3, 849) = 8.12, p < 0.001$). ეს ტენდენცია შეესაბამება სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების დინამიკას სხვადასხვა ასაკში (მთელს პერიოდში). 50 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების, მათ შორის მშობლებისთვის, საბჭოთა ტრადიციის შესაბამისად, ტაბუირებული იყო სქესობრივი განათლების საკითხები, რაც, საგარეოდ, გავლენას ახდენს მათ მიმართ დამოკიდებულებების ფორმირებაზე.


სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით მშობლებსა და არამშობლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას ვხვდებით მხოლოდ მდედრობითი სქესის რესპონდენტებში ($t(1000) = -7.29, p < 0.001$). მამრობითი სქესის რესპონდენტები, მიუხედავად იმისა, ჰყავთ თუ არა შვილები, ნაკლებად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას. თავად მშობლების ჯგუფში ამ თვალსაზრისით სქესის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა ($t(873) = 3.96, p < 0.01$). დედები მამებზე უკეთ აცნობიერებენ, რომ სქესობრივი განათლება იცავს ადამიანს სხვადასხვა ფიზიკური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური საფრთხეებისგან (როგორებიცაა სექსუალური ძალადობა, სირცხვილი საკუთარი სხეულებრივი ცვლილებების გამო და ა.შ.).

ილუსტრაცია 46: მშობლების დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ სქესის მიხედვით



სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით მშობლებსა და არამშობლებს შორის სანდო განსხვავება დაფიქსირდა განათლების საფეხურის მიხედვით, თუმცა მხოლოდ განათლების დაბალ საფეხურებზე: იმ რესპონდენტებს შორის, რომლებსაც აქვთ სასკოლო ($t(204) = -2.5, p < 0.01$), პროფესიული ($t(163) = -2.90, p < 0.01$) თუ ბაკალავრიატის ($t(754) = -6.51, p < 0.001$) საფეხურის განათლება, მშობლებს, არამშობლებთან შედარებით, დაბალი მაჩვენებლები აქვთ. განათლების მაღალი საფეხურის მქონე რესპონდენტები სქესობრივი განათლების მიმართ პოზიტიურად არიან განწყობილნი, მიუხედავად იმისა, ჰყავთ თუ არა შვილები. საკუთრივ მშობლების ჯგუფში განათლების საფეხურის მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობები დასტურდება ($F(5, 866) = 11.38, p < 0.001$).

ილუსტრაცია 47: მშობლების დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ განათლების მიხედვით



ზოგადი ტენდენცია მთელს შერჩაგეში დაფიქსირებული ტენდენციის მსგავსია - განათლების რაც უფრო მაღალი საფეხური აქვს დასრულებული ადამიანს, მით უკეთესად ხედავს, რამდენად მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლება ადამიანის ჯანსაღი და სრულფასოვანი განვითარებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მშობლების განათლება კონტროლერული ცვლადი აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც ზოგიერთი კვლევა ადასტურებდა განათლების მაღალი დონის კავშირს სქესობრივი განათლების დანერგვისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებასთან, სხვა კვლევებმა საპირისპირო შედეგი აჩვენა. მკვლევართა მოსაზრებით, კვალიფიციური განათლების მქონე მშობელი უფრო მეტადაა ტრადიციების მიმდევარი, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა კავშირში იყოს სქესობრივი საკითხებისადმი კონსერვატიულ დამოკიდებულებასთან. ზოგიერთმა კვლევამ კი განათლების დონის კავშირი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასთან საერთოდ არ დაადასტურა (Kee-Jiar & Shih-Hui, 2020).

სქესობრივი განათლების საკითხებზე ჩატარებული ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ სქესობრივი განათლებისადმი მშობლის მხარდაჭერას გარკვეულწილად განაწირობებს შვილის ასაკი. ერთ-ერთი კვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ დაწყებითი კლასების ასაკის ბავშვების მშობლები უფრო ნაკლებად უჭერენ მხარს სქესობრივი განათლების დანერგვას, ვიდრე გარდატეხის ასაკის მოზარდების მშობლები, რომლებსაც სქესობრივი ურთიერთობის საკითხებისადმი შვილების გამძაფრებულ ინტერესსა და ფსიქო-ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან გამკლავება უწევთ (Dake & Price, 2014). ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის ფარგლებშიც შევამოწმეთ განსხვავება მშობლების დამოკიდებულებებში სქესობრივი განათლების მიმართ იმის მიხედვით, თუ რა ასაკის შვილები ჰყავთ მათ. თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა - 0-8 წლის ასაკის ბავშვების მშობელთა განწყობები (Mean = 131.32, SD = 24.05) 9 წელზე უფროსი ასაკის ბავშვების მშობლების (Mean = 130.87, SD = 20.92) მსგავსია. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ გარდატეხის ასაკის ბავშვების მშობლები უფრო მწვავედ აღიქვამენ სქესობრივი განათლების საჭიროებას, ვიდრე დაწყებითი საფეხურის ასაკის ბავშვების მშობლები.

როგორც ზემოთ ითქვა, მშობელთა გარკვეული ნაწილი - ახალგაზრდა დედები, რომლებსაც აქვთ საშუალო, პროფესიული ან საბაკალავრო განათლება, სკეპტიკურად არიან განწყობილნი სქესობრივი განათლების მიმართ და ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა. საინტერესოა, რა განაპირობებს მათ ამგვარ დამოკიდებულებას სქესობრივი განათლების მიმართ, რა საფრთხეებს ხედავენ ისინი სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის პროცესში, ან ხომ არ არის განაპირობებული ეს დამოკიდებულებები თავდაჭერებულობის ნაკლებობით, რასაც საკუთარი არაინფორმირებულობის გაცნობიერება იწვევს.

საფრთხეებს შორის, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვას, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოზარდებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან ინფორმაციის არასწორად მიწოდებაა, რასაც სკოლებში შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების, ასევე, მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული სასწავლო

მასალის დეფიციტი განაპირობებს. შესაბამისად, შევამოწმეთ, ხომ არ აღიქვამენ მშობლები ამ დეფიციტს უფრო მძაფრად, ვიდრე ის ადამიანები, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები. შედეგი ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგო აღმოჩნდა: მშობლებსა და არამშობლებს შორის ნამდვილად არის სტატისტიკურად მნიშვნელობანი განსხვავება რესურსების ხელმისაწვდომობის ფაქტორის მიხედვით ($t(1764) = -5.61, p < 0.01$), თუმცა მშობლების საშუალო მაჩვენებელი ($\text{Mean} = 15.17, \text{SD} = 2.45$) ნაკლებია არამშობლების შესაბამის მაჩვენებელზე ($\text{Mean} = 15.85, \text{SD} = 2.67$). მაშასადამე, მშობლები ნაკლებად მწვავედ აფასებენ ხარისხიანი სქესობრივი განათლების მისაღებად საჭირო **რესურსების დეფიციტს**, რაც შეიძლება ყოფილიყო სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის მიმართ მათი, ასე ვთქვათ, სკეპტიციზმის განმაპირობებელი ფაქტორი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მშობლებში არსებობს გარკვეული უნდობლობა სქესობრივი განათლების სკოლაში მიღებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მათი თითქმის 60% ფიქრობს, რომ *„სქესობრივი განათლების საკითხებზე სკოლაში საუბარი მხოლოდ უხერხული და საღლაბუცოა“*.

მშობელთა ნაწილი ნაკლებად აცნობიერებს სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას - კვალიფიციური პერსონალისგან ცოდნის მიღების თანაბარ შესაძლებლობას ყველა მოსწავლისთვის. მშობლების 26.2% მიიჩნევს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, გადაწყვიტონ, დაესწროს თუ არა მათი შვილი სქესობრივი განათლების გაკვეთილებს.

მაშასადამე, სკოლაში სქესობრივი განათლების წარმატებით დანერგვისთვის მნიშვნელოვანია, მშობლებს ჰქონდეთ ნდობა ამ პროცესის მიმართ და აცნობიერებდნენ მის მნიშვნელობას.

რესურსების დეფიციტის აღქმისგან განსხვავებით, მშობლებში მაღალია სქესობრივი განათლების წინააღმდეგ **კონტრარგუმენტების აღქმა**. ამ ფაქტორის მიხედვით განსხვავება მშობლებსა და არამშობლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($t(1764) = 7.64, p < 0.01$). მშობელთა დაახლოებით 40% ნაწილობრივ მაინც ეთანხმება აზრს, რომ *„სკოლაში ისეთ ინტიმურ თემაზე საუბარი, როგორიც სქესობრივი ურთიერთობებია, ეწინააღმდეგება ჩვენს კულტურას, ტრადიციებს“*, ხოლო 50%-ზე მეტი ნაწილობრივ მაინც იზიარებს მოსაზრებას, რომ *„სკოლაში სქესობრივი განათლების თემატიკა უნდა შეთანხმდეს რელიგიური ინსტიტუციების წარმომადგენლებთან“*.

მშობლები, არამშობლებთან შედარებით, სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის პროცესს, ასე ვთქვათ, მეტ ბარიერს „უწესებენ“ სწავლების ფორმატის თვალსაზრისითაც (იგულისხმება გოგონებისა და ბიჭების სეგრეგაცია, მასწავლებლის სქესი, სწავლება მხოლოდ მაღალი კლასებში).

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ სქესობრივი განათლების მიღებაში მშობლები გარკვეულ რისკებს ხედავენ. მაგალითად, მათი თითქმის ნახევარი (49.2%) ნაწილობრივ მაინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ *„სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხების სწავლებამ შესაძლოა ნაადრევი სქესობრივი ურთიერთობები, „ექსპერიმენტები“ ან არასასურველი ქცევები წაახალისოს“*. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მშობლების 40%-სთვის ნაწილობრივ მაინც

მისაღება, რომ „*სქესობრივ განათლება ადამიანმა თავისთავად მიიღოს, სქესობრივი ცხოვრების დაწყებასთან ერთად*“.

ამ შედეგების ფონზე კანონზომიერია, რომ მშობელთა **ჩართულობა** სქესობრივი განათლების ხელშეწყობ აქტივობებში, მათი მოტივაცია და მზაობა, მიიღონ ინფორმაცია სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ არამშობლებისაზე დაბალია. ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($t(1764) = -6.87, p < 0.01$). მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა დაახლოებით 90% ნაწილობრივ მაინც აღიარებს, რომ „*მშობლებმა არ იციან, როდის, როგორ და რა ინფორმაცია მიწოდონ შვილს სქესობრივი განათლების საკითხებთან დაკავშირებით*“, და რომ „*როგორც წესი, მშობლები გაურბიან შვილებთან სქესობრივი განათლების საკითხებზე საუბარს*“, მათი მზაობა, დაესწრონ სქესობრივი განათლების შესახებ საინფორმაციო შეხვედრებს, მოიძიონ შესაბამისი ინფორმაცია, მიიღონ მონაწილეობა სქესობრივი განათლების მხარდაჭერის ღონისძიებებში უფრო დაბალია, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები.

სქესობრივი განათლების შესახებ მშობლების ინფორმირებულობის დონეს და მის მიმართ დამოკიდებულებებს შორის დადებითი კორელაციაა ($r = 0.44, p < 0.01$). ეს, ჩვენი კვლევის მსგავსად, კორეაში მშობლების შერჩევაში ჩატარებულ კვლევაშიც დადასტურდა. ანალიზის შედეგების მიხედვით, სწავლების შინაარსისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის არქონის გამო მშობლების უმეტესობა სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაში საფრთხეს ხედავდა (Shin, Lee, & Min, 2019). მშობლების სწორად ინფორმირება და პოზიტიური დამოკიდებულებები სქესობრივი განათლების მიმართ ოჯახში სქესობრივი განათლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა (Jin, 2021). მშობლებს, რომლებიც მეტად ინფორმირებულნი არიან სქესობრივი განათლების სფეროში შემავალი საკითხების შესახებ, მეტად დადებითი დამოკიდებულება აქვთ სქესობრივი განათლების ხელმისაწვდომობის ამაღლების მიმართ, ვიდრე ნაკლებად ინფორმირებულ მშობლებს. შესაბამისად, მშობლების ინფორმირებულობის ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები, მათი გაძლიერება ამ თვალსაზრისით (რის საჭიროებასაც დანამდვილებით ხედავს ჩვენი რესპონდენტების დაახლოებით 65% და კონკრეტულად მშობლების 60%) პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის ადვოკატირებაზე მომუშავე პროფესიონალებისთვის. მშობლებისთვის ზუსტი, რელევანტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭიროებას საერთაშორისო მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგებიც უსვამს ხაზს (Shin, Lee, & Min, 2019). ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ცვლადებს შორის ირიბი კავშირების ანალიზი ადასტურებს, რომ ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების წინაპირობაა, ეს უკანასკნელი კი სქესობრივი განათლების ხელშეწყობ აქტივობებში ჩართვას უწყობს ხელს. მშობლების კონტექსტში თუ განვიხილავთ, ინფორმირებული მშობელი, რომელიც გააცნობიერებს სქესობრივი განათლების მიღების სიკეთეებს თავისი შვილისთვის, ეცდება, ქცევაშიც გამოავლინოს ეს დამოკიდებულება - იზრუნებს შვილის სქესობრივ განათლებაზე, არ აარიდებს თავს მასთან საუბარს, მიაწვდის მას საჭირო ინფორმაციას, დაეხმარება, ერთად გაუმკლავდნენ მოზარდის ასაკისთვის სპეციფიკურ გამოწვევებს.

20. კულტურული კონტექსტი

კითხვარის შევსების ენა

ნებისმიერ ქვეყანაში სქესობრივი განათლების წარმატებით დანერგვის მნიშვნელოვანი წინაპირობა ქვეყნის კულტურული კონტექსტის გათვალისწინებაა. კულტურულად რელევანტური მიდგომების შემუშავებისთვის საქართველოსთვის, რომელსაც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რამდენიმე რეგიონი აქვს, სქესობრივი განათლების სკოლაში დასაწერად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ ეთნიკური ჯგუფების დამოკიდებულებების შესწავლა სქესობრივი განათლების მიმართ. ამ მიზნით ჩვენს კვლევაში ჩართულები იყვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც - სომხურენოვანი (99 რესპონდენტი, საერთო რაოდენობის 5.5%) და აზერბაიჯანულენოვანი რესპონდენტები (100 რესპონდენტი, საერთო რაოდენობის 5.6%).

როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ჩანს, ქართულენოვან მონაწილეებს გაცილებით მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ როგორც ზოგადი ინფორმირებულობის, ისე ულტრალიბერალური განწყობებისა და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ფაქტორების მიხედვით, ვიდრე აზერბაიჯანულ- და სომხურენოვან მონაწილეებს.


ზოგადი ინფორმირებულობის თვალსაზრისით განსხვავებები სამივე ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებს შორის ფიქსირდება ($F(2, 1774) = 52.53, p < 0.001$). ქართულენოვანი რესპონდენტები ყველაზე უკეთ არიან ინფორმირებულნი, მათი საშუალო მაჩვენებელი ($M=5.23, SD=2.73$) აღემატება როგორც აზერბაიჯანულენოვანი ($M=3.70, SD=1.58$), ასევე, სომხურენოვანი რესპონდენტების ($M=2.77, SD=2.00$) საშუალო მაჩვენებლებს. ამ უკანასკნელ ორ ჯგუფს შორისაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

განსხვავებული ვითარებაა ულტრალიბერალური განწყობების თვალსაზრისით. საშუალო მაჩვენებლებს შორის სხვაობა მხოლოდ ქართულენოვან და სომხურენოვან რესპონდენტებს შორის ფიქსირდება. როგორც ჩანს, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში და, განსაკუთრებით სოფლის ტიპის დასახლებებში დაბალია⁴¹.

რაც შეეხება სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას, მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულენოვან, აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან ჯგუფებს შორის დაფიქსირებული სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($F(2, 1795) = 59.13, p < 0.001$).

⁴¹ სომხურენოვანი რესპონდენტების უმეტესობა სოფლად ცხოვრობდა.

ილუსტრაცია 48: დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ კითხვარის შევსების ენის მიხედვით



თუმცა სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობისა და მის მიმართ დამოკიდებულების ეთნიკურ ჯგუფში გაანალიზებისას გასათვალისწინებელია, რა ტიპის დასახლებაში ცხოვრობენ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. ქართულენოვანი და ამერბაიჯანულენოვანი, ასევე, სომხურენოვანი რესპონდენტების განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისგან (და ეს კვლევის შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ). მაგალითად, სომხურენოვანი რესპონდენტების განსაკუთრებით დიდი წილი - 60% - მოდის სოფლის მოსახლეობაზე, მაშინ, როდესაც ქართულენოვანი რესპონდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 10%-ია. ვინაიდან მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა სხვაობები სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებებში დასახლების ტიპის მიხედვით (დედაქალაქის მოსახლეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უფრო პოზიტიურია, ვიდრე სოფლის მოსახლეობისა), მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მონაცემთა დამატებით გაანალიზება ამ ჯგუფში. იმის გამო, რომ სომხურენოვანი და ამერბაიჯანულენოვანი რესპონდენტების რაოდენობა კვლევაში მცირეა (100 რესპონდენტი თითოეულ ჯგუფში), დასახლების ტიპის, კითხვარის შევსების ენისა და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ცვლადების კომბინირებული ანალიზი მხოლოდ სოფლის მოსახლეობის შემთხვევაში აღმოჩნდა შესაძლებელი. ჯგუფთა შორის საშუალო მაჩვენებლების შედარებამ არ დაადასტურა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სოფლად მცხოვრებ ქართულენოვან, ამერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან რესპონდენტებს შორის სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების მიხედვით ($F(2, 268) = 1.29, p > 0.05$). მაშასადამე, ეთნიკური უმცირესობების შერჩევის სპეციფიკისა და მოცულობის გათვალისწინებით არ იქნება კორექტული, ვამტკიცოთ, რომ სქესობრივ განათლებას ქართულენოვანი, ამერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი რესპონდენტები განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ თვალსაზრისით ეთნიკური უმცირესობებით მჭირდოდ დასახლებულ რეგიონებში უფრო მასშტაბური კვლევის ჩატარებაა საჭირო.

აღმსარებლობა და რელიგიურ მსახურებებზე დასწრების სიხშირე

ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ორგანიზაცია (IPPF) მიერ 2006 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ნორვეგიაში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდა ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა სქესობრივი განათლების დანერგვასთან დაკავშირებით.

IPPF-ის მიხედვით, ევროკავშირის წევრი 26 ქვეყნიდან თითქმის ყველგან ხდება გარკვეული წინააღმდეგობა სქესობრივ განათლებას, უფრო ზუსტად კი, იმას, თუ **რა, როგორ და როდის უნდა ისწავლებოდეს**. მიმოხილვაში წარმოდგენილია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ბარიერებს უქმნის სრულყოფილი ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების დანერგვას. მათ შორის აღსანიშნავია **პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები**. ისეთ ლიბერალურ ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა დანია და ნიდერლანდები, სქესობრივ განათლებას ჰყავს აქტიური მოწინააღმდეგეები. ირლანდიაში, სადაც დომინანტი რელიგია კათოლიციზმია, წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სქესობრივი განათლების დანერგვაზე. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში, სადაც კომუნისტური იდეოლოგიის რღვევამ ხელი შეუწყო რელიგიური გავლენების აღდგენასა და გაძლიერებას, რელიგიური ინსტიტუტები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ნაწილი ძლიერ წინააღმდეგობას უწევს სქესობრივი განათლების სრულყოფილი სახით დანერგვას; ზოგ ქვეყანაში კი მუსლიმი თემი ხდება წინააღმდეგობის ძირითადი წყარო. ავსტრიასა და საფრანგეთში სასკოლო სქესობრივი განათლება ხშირად ხდება დავისა და პროტესტის საგანი, რაც კათოლიკური ეკლესიის გავლენას უკავშირდება, თუმცა ბოლო პერიოდში ეკლესიის გავლენა საგრძნობლად შესუსტებულია; ბულგარეთსა და რუმინეთში სქესობრივი განათლება, ძირითადად, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და შიდსის თემატიკაზე ფოკუსირდება. ესტონეთი, ბულგარეთის მსგავსად, მხოლოდ ბოლო წლებში (საუბარია 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულზე) თანდათანობით არბილებს სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების ხისტ დამოკიდებულებას.

ქვეყნები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა რესურსს დებენ სქესობრივი განათლების დანერგვაში. მაგალითად, აშშ-ში გამოყოფილი იქნა საკმაოდ დიდი მოცულობის თანხა აბსტინენციური განათლების დანერგვის ხელშესაწყობად. ეს მიდგომა ქადაგებდა ქორწინებამდე სექსისგან თავშეკავებას, მონოგამიას, კონტრაცეპცია კი ფაქტობრივად არ შედიოდა სწავლებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ მიდგომას მხოლოდ „აბსოლუტისტები“ ემხრობიან და ისინი მოსახლეობის მხოლოდ 11%-ს შეადგენენ, უმრავლესობა კი ყოვლისმომცველ სქესობრივ განათლებას უჭერს მხარს (Dake & Price, 2014). „აბსოლუტისტები“ თავიანთი ურყევი მორალური პრინციპების ერთგულნი რჩებიან და თვლიან, რომ სქესობრივი განათლება ეწინააღმდეგება მათ **მორალურ ფილოსოფიას** და მაგნე გეგავლენას ახდენს ახალგაზრდებზე; ისინი ბიბლიური სწავლების იმგვარ ინტერპრეტაციას ახდენენ, თითქოს

თავშეკავება მორალური აბსოლუტია (Constantine, P, & Huang, 2007). ეს მიდგომა ეხმიანება ჩვენი კვლევის თვისებრივი ნაწილის ფარგლებში მიღებულ შედეგებს, რომელთა მიხედვით რელიგიური ინსტიტუციების (კერძოდ, მართლმადიდებლური ეკლესიის) წარმომადგენლები სქესობრივი განათლების დანერგვას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, თუმცა თვლიან, რომ მისი შინაარსები სინქრონიზებული უნდა იყოს რელიგიურ წარმოდგენებთან ოჯახის შექმნის, თავშეკავების, როგორც ღირებულების და ა.შ. შესახებ.

ის, რომ რელიგია სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ დამოკიდებულებებზე ძლიერ გავლენას ახდენს, რაოდენობრივი კვლევიდან დასტურდება. რესპონდენტთა 42%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ *„ჩვენს საზოგადოებაში სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებებს განსაზღვრავს რელიგიური შეხედულებები (სქესუალური ორიენტაციის, ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის და ა.შ. შესახებ)“*, დაახლოებით 40% კი ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას. საზოგადოებაში დამკვიდრებულ ცრურწმენებს, რომლებსაც უმეტესად სწორედ რელიგიური შეხედულებები უდევს საფუძვლად, სქესობრივი განათლების დანერგვის ხელშეშლელ ფაქტორებად განიხილავს რესპონდენტების დიდი ნაწილი. მაგალითად, დებულებას - *„სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვას ხელს უშლის საზოგადოებაში ადამიანის სქესუალობის შესახებ დამკვიდრებული დამოკიდებულებები და ცრურწმენები“* - ეთანხმება 63.8%, ხოლო არ ეთანხმება 20.8%. თუმცა, შედარებით ნაკლებია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა რელიგიურ, კულტურულ თუ ტრადიციულ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. მოსაზრებას, რომ *„სკოლაში ისეთ ინტიმურ თემაზე საუბარი, როგორიც სქესობრივი ურთიერთობებია, ეწინააღმდეგება ჩვენს კულტურას, ტრადიციებს“* - სრულიად ან ნაწილობრივ მაინც იზიარებს დაახლოებით 45%. შედარებით რადიკალურ განწყობას ამჟღავნებს რესპონდენტთა ბევრად უფრო მცირე რაოდენობა (23.3%) - ისინი ნაწილობრივ მაინც ეთანხმებიან ამრს, რომ *„სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხებზე საუბარი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა“*.

აღსანიშნავია, რომ ძალიან კარგი შედეგი მოუტანა ევროპის ქვეყნებს რელიგიური ჯგუფების ჩართვამ სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში - მაგალითად, პორტუგალიამ, ირლანდიამ და საბერძნეთმა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სქესობრივი განათლების დანერგვისა და კურიკულუმში საკითხების ინტეგრაციის პროცესში რელიგიური ორგანიზაციები ჩართო (IPPF, 2006). მსგავსი გამოცდილება არსებობს ჩვენს ქვეყანაშიც, თუმცა მისი ეფექტები აქამდე შეფასებული არ არის. რაოდენობრივმა კვლევამ ცხადყო, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილიც (49%) ნაწილობრივ მაინც ეთანხმება მოსაზრებას, რომ *„სკოლაში სქესობრივი განათლების თემატიკა რელიგიური ინსტიტუციების წარმომადგენლებთან უნდა შეთანხმდეს“*.

UNESCO მოუწოდებს სხვადასხვა ქვეყნის ინსტიტუციებს, სქესობრივი განათლების დანერგვისას გამოიყენონ კულტურულად რელევანტური მიდგომები (UNESCO 2016). კულტურული კონტექსტის გათვალისწინების მიზნით, კვლევის ფარგლებში შევავსოვეთ მონაცემები რესპონდენტთა

აღმსარებლობისა და რელიგიურ მსახურებებზე/ღონისძიებებზე დასწრების სიხშირის შესახებაც. ამ მიმართულებით საინტერესო მიგნებების მოლოდინი შეგვიქმნა თვისებრივი კვლევის შედეგებმა, რომლებიც სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებაზე „რელიგიურობის“ ფაქტორის გავლენას გამოკვეთდა.

კვლევის ფარგლებში შეგროვდა მონაცემები რესპონდენტთა აღმსარებლობის შესახებ. კვლევაში მონაწილეთაგან 78% (1403) მართლმადიდებელია, 2.6% (47) კათოლიკე, 0.7% (12) პროტესტანტი, 8.6% (155) მუსულმანი, 1.9% (34) სამოციქულო ეკლესიის აღმსარებელი, 0.4% (7) სხვა რელიგიის აღმსარებელი, ხოლო 7.6% (136) არ არის არც ერთი რელიგიის აღმსარებელი, 0.3% (5) კი თავს იკავებს შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან.


გარდა აღმსარებლობისა, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მონაცემთა გაანალიზება რესპონდენტთა „რელიგიურობის“ თვალსაზრისითაც. ამ ფენომენის საკვლევად კითხვარში მოცემული იყო შეკითხვა, თუ რამდენად ხშირად ესწრება რესპონდენტი რელიგიურ მსახურებას/ღონისძიებას. რესპონდენტთა 27.8% (501) თითქმის არასდროს ესწრება რელიგიურ მსახურებას, 52.5% (945) - იშვიათად, გამოკითხულთა 15.1% - ხშირად, ხოლო 3.9% – თითქმის ყოველთვის, დარჩენილმა 0.6%-მა (10) პასუხგაუცემელი დატოვა შეკითხვა.

საქართველოში, ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში სქესობრივი განათლების დანერგვის მიმართ განწყობების კვლევის კონტექსტში მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ საზოგადოების ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების გაანალიზება აღმსარებლობასა და რელიგიურობასთან მიმართებაში.

ზოგადი ინფორმირებულობა

რელიგიური აღმსარებლობების შესახებ მონაცემთა წარმოდგენისას მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ძირითადი ფოკუსი მიგვემართა მართლმადიდებლური, მუსულმანური და სამოციქულო ეკლესიის აღმსარებლებისკენ, ვინაიდან სამიზნე პოპულაციის შერჩევისას გათვალისწინებული იყო სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ეთნიკური უმცირესობების გამოკითხვაც. გრაფიკზე წარმოდგენილია იმ რესპონდენტთა მონაცემებიც, რომლებიც თავს ან სხვა რელიგიის წარმომადგენლად, ან არცერთი რელიგიის აღმსარებლად არ თვლიან.

სხვადასხვა აღმსარებლობის რესპონდენტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით და ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($F(6, 1767) = 26.88, p < 0.001$). სქესობრივი განათლების შესახებ ყველაზე უკეთ ის ადამიანები არიან ინფორმირებულები, რომლებიც არც ერთი რელიგიის აღმსარებლად არ მიიჩნევენ თავს. მართლმადიდებელთა ინფორმირებულობა უფრო მაღალია, ვიდრე მუსულმანი ან სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელი რესპონდენტებისა. ხოლო ამ უკანასკნელთა შორის ინფორმირებულობის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დასტურდება.




ის ფაქტი, რომ ყველაზე უკეთ ინფორმირებული ადამიანები არც ერთი რელიგიის აღმსარებლები არ არიან, ლოგიკურად ეხმიანება ზემოთ განხილულ ტენდენციას, რომელიც კვლევებით არის დადასტურებული ევროპის ქვეყნებში - ძლიერი რელიგიური ინსტიტუტები, რელიგიური შეხედულებების გავლენა მოსახლეობაზე გარკვეულ ბარიერებს ქმნის სქესობრივი განათლების დანერგვისა და, შესაბამისად, სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის.

რაც შეეხება მართლმადიდებლების მაღალ ინფორმირებულობას მუსულმანებთან და სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებთან შედარებით, ის ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს, ვინაიდან შესაძლოა განპირობებული იყოს კვლევის შერჩევის სპეციფიკით - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმეტესობა სოფლის მაცხოვრებლები იყვნენ, მაშინ, როდესაც მართლმადიდებელთა დიდი ნაწილი დედაქალაქში ცხოვრობს. ხოლო კვლევაში დასახლების ტიპის მიხედვით ინფორმირებულობაში მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა (იხ. [ინფორმირებულობა და დასახლების ტიპი](#)).

საინტერესოა მონაცემთა გაანალიზება რესპონდენტთა „რელიგიურობის“ თვალსაზრისითაც. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგად ამ პარამეტრის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა და აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებს, რომლებიც თითქმის არასდროს ან იშვიათად ესწრებიან რელიგიურ მსახურებას, უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ვიდრე მათ, ვინც ხშირად ან თითქმის ყოველთვის ესწრება რელიგიური მსახურების პროცესს ($F_{3, 1765} = 39.69, p < 0.001$).


ილუსტრაცია 50: რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე და ზოგადი ინფორმირებულობა



საშუალოთა შორის განსხვავება სტატისტიკურად არაარსებითია რესპონდენტთა იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც ხშირად და თითქმის ყოველთვის ესწრებიან რელიგიურ მსახურებას.

რელიგიურ მსახურებაზე დასწრების მიხედვით ინფორმირებულობის ინდექსების განაწილებებს შორის სხვაობა სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(6, 1769) = 81.88, p < 0.001$). რელიგიურ მსახურებაზე აქტიურად დამსწრე საზოგადოების 26% ნაკლებადაა ინფორმირებული თუ რა საკითხებს მოიცავს სქესობრივი განათლება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე ჯგუფის წარმომადგენელთა 18% ინფორმირებულობის მაღალი ინდექსის კატეგორიაში ხვდება. ხოლო, ამავე, მაღალი ინდექსის, კატეგორიაში ხვდება იმ ჯგუფის 37%, რომელიც რელიგიურ მსახურებას თითქმის არასდროს ესწრება.

ილუსტრაცია 51: რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე და ინფორმირებულობის ინდექსები




ულტრალიბერალური განწყობები

თვისებრივი კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, ვვარაუდობდით, რომ სქესობრივი განათლების შესახებ არასწორი წარმოდგენები უფრო მეტად ექნებოდათ იმ ადამიანებს, რომლებიც ხშირად ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს, რითიც აიხსნებოდა სქესობრივი განათლებისადმი მათი დამოკიდებულება. თუმცა აღმოჩნდა, რომ ულტრალიბერალური განწყობების შესაბამის საკითხებს სქესობრივი განათლების ნაწილად, ძირითადად, ის ადამიანები მიიჩნევენ, რომლებიც იშვიათად ან თითქმის არასდროს ესწრებიან რელიგიურ ღონისძიებებს. ამ თვალსაზრისით ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებაა ($F(3, 1765) = 2.80, p < 0.001$). უფრო კონკრეტულად, ადამიანები, რომლებიც თითქმის არასოდეს ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს, უფრო ხშირად მიაკუთვნებენ ულტრალიბერალური განწყობების ამსახველ საკითხებს (1. სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყების და თავისუფალი სქესობრივი ცხოვრების ხელშეწყობა, 2. სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციები, და 3. გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრების და ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) პროპაგანდა) სქესობრივი განათლებას, ვიდრე ეკლესიაში ხშირად მოსიარულე ადამიანები.

ქვემოთ მოცემული ილუსტრაცია გვიჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებსაც 0-სგან განსხვავებული ქულა აქვთ ულტრალიბერალური განწყობების სკალაზე, უფრო პოზიტიურად არიან განწყობილნი სქესობრივი განათლების მიმართ. ეს ტენდენცია გამოვლინდა როგორც ეკლესიურ, ასევე იმ ადამიანებში, რომლებიც იშვიათად ან საერთოდ არ ესწრებიან რელიგიურ მსახურებებს, თუმცა სხვაობა სტატისტიკურად არსებითი აღმოჩნდა მხოლოდ უკანასკნელის შემთხვევაში ($t(1431) = -5.48, p < 0.001$). ანუ ადამიანებისთვის, რომლებიც იშვიათად ან არასდროს ესწრებიან რელიგიურ ღონისძიებებს, იმის ფიქრი, რომ სქესობრივი განათლების ფარგლებში ხდება სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყების, თავისუფალი სქესობრივი ცხოვრებისა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა, ასევე სქესობრივი ცხოვრებით სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა, დაკავშირებულია სქესობრივი განათლების მიმართ უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებასთან. რაც შეეხება ე. წ. ეკლესიურ ადამიანებს, მათთვის არაარსებითია, გულისხმობს თუ არა ასეთი სახის პროპაგანდას სქესობრივი განათლება, მათი დამოკიდებულება სქესობრივი განათლების მიმართ მაინც უფრო კრიტიკულია, ვიდრე არაეკლესიური ადამიანებისა.


ილუსტრაცია 52: რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე და ულტრალიბერალური განწყობები



სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, რამდენად აცნობიერებენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები სქესობრივი განათლების მნიშვნელობას. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ამ ცვლადის მიხედვითაც იმ ადამიანთა ჯგუფში ფიქსირდება, რომლებიც არც ერთი რელიგიის აღმსარებლები არ არიან.

ილუსტრაცია 53: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება აღმსარებლობის მიხედვით




ტენდენცია სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების შემთხვევაშიც ისეთივეა, როგორიც ინფორმირებულობისას. მართლმადიდებელი ადამიანები, რომელთა დიდი ნაწილი დედაქალაქის მაცხოვრებელია, უკეთ აცნობიერებს სქესობრივი განათლების სიკეთებს, მის მნიშვნელობას ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის, ვიდრე სხვა რელიგიის წარმომადგენლები. თუმცა, ყველაზე მეტი რესპონდენტი მაღალი მაჩვენებელი აქვთ

ადამიანებს, რომლებიც არც ერთი რელიგიის წარმომადგენლები არ არიან. ერთი შეხედვით, ნებისმიერი რელიგია თითქმის გარკვეულ ბარიერს უქმნის სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას. თუმცა ამა თუ იმ მოვლენის მიმართ ინდივიდის დამოკიდებულებაზე რელიგიის გავლენის შესახებ მსჯელობა უფრო ღრმა და კომპლექსურ ანალიზს საჭიროებს.

განსხვავებები სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების თვალსაზრისით „რელიგიურობის“ მიხედვითაც ფიქსირდება. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებს, რომლებიც თითქმის არასდროს ან იშვიათად ესწრებიან რელიგიურ მსახურებას, უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებაში, ვიდრე მათ, ვინც ხშირად ან თითქმის ყოველთვის ესწრება რელიგიურ მსახურებებს ($F3, 1785 = 53.845, p < 0.001$).

ილუსტრაცია 54: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება რელიგიურ მსახურებებზე დასწრების სიხშირის მიხედვით



საშუალოთა შორის განსხვავება სტატისტიკურად არაარსებითია რესპონდენტთა იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც ხშირად და თითქმის ყოველთვის ესწრებიან რელიგიურ მსახურებას.


მონაცემთა ამგვარი განაწილება მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს. საინტერესოა იმ საგარაუდო მიზეზების იდენტიფიცირება, რომლებსაც გავლენა აქვს „რელიგიური“ მოსახლეობის ნეგატიურ დამოკიდებულებებზე. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ინფორმირებულობა სქესობრივი განათლების შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, რესპონდენტებს, რომლებიც თითქმის არასდროს ან იშვიათად ესწრებიან რელიგიურ მსახურებას, უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ინფორმირებულობის სკალაზე, ვიდრე მათ, ვინც ხშირად ან თითქმის ყოველთვის ესწრება რელიგიური მსახურების პროცესს.

ზოგადად, სქესობრივი განათლება მჭიდრო კავშირშია კულტურულ ღირებულებებთან, სოციალურ კონტექსტსა და ეთიკის საზოგადოებაში დამკვიდრებულ კოდექსთან, რომლის შემუშავებისას რელიგია დომინანტური ფაქტორია. ეკლესიის გავლენა სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულებების ფორმირებაზე დღესაც თვალსაჩინოა არაერთ ქვეყანაში და გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. რელიგიური ინსტიტუციების

წარმომადგენელთა ინტერესი სქესობრივი განათლების საკითხებისადმი, რომელიც თვისებრივ კვლევაში გამოიკვეთა, ბუნებრივია, რადგან სექსუალური ქცევა დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების არა მხოლოდ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ქცევით, არამედ რელიგიურ და მორალურ განზომილებებთან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წარმომადგენლების ნაწილი აცნობიერებს სქესობრივი განათლების საკითხებში მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდის აუცილებლობას, ე. წ. რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფების წარმომადგენლები უფრო რადიკალურ პოზიციას აფიქსირებენ და სქესობრივ განათლებაში რელიგიური თუ ეროვნული ღირებულებების გაუფასურების სერიოზულ საფრთხეს ხედავენ.

თვისებრივი კვლევის ეს მიგნებები საკმაოდ ზუსტად აისახა რაოდენობრივი კვლევის შედეგებში. რელიგიურ მსახურებაზე აქტიურად დამსწრე საზოგადოების 30% კრიტიკულადაა განწყობილი სქესობრივი განათლების მიმართ და არ თვლის მას მნიშვნელოვნად მოზარდების სრულფასოვანი განვითარებისთვის. თუმცა ხაზგასასმელია ისიც, რომ ამავე ჯგუფის გარკვეული ნაწილი (6%) არათუ კრიტიკულად, პირიქით, უკიდურესად დადებითად არის განწყობილი სქესობრივი განათლების მიმართ, აცნობიერებს იმ სიკეთეებს, რაც სქესობრივ განათლებას მოზარდების ჯანსაღი ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური განვითარების პროცესისთვის მოაქვს.

ილუსტრაცია 55: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ინდექსების განაწილება რელიგიური მსახურებაზე დასწრების სიხშირის მიხედვით



შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საზოგადოების „რელიგიური“ ნაწილის შედარებით სკეპტიკური განწყობებისა სქესობრივი განათლების მიმართ, მისი ხელშემწყობი აქტივობებისთვის რჩება სივრცე ამ ჯგუფშიც - აქ დიდია იმ ადამიანთა წილი, რომლებიც მეტ-ნაკლებად აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას მოზარდების უსაფრთხო და ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრებისთვის. მათთან სწორი საკომუნიკაციო სტრატეგიის შერჩევა დამოკიდებულების პოზიტიური მიმართულებით შეცვლის საწინდარია.


რელიგიურობის მიმართება ძირითად საკვლევ ცვლადებთან ირიბი კავშირების ანალიზი

კვლევის ფარგლებში ასევე შევაფასეთ სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ რესპონდენტების ინფორმირებულობის დონის, მისი მნიშვნელობის გაცნობიერების, კონტრარგუმენტებისა და სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობის მიმართება კონტექსტის ერთ-ერთ ფაქტორთან - „რელიგიურობასთან“, რომელიც ინსტრუმენტში წარმოდგენილი იყო შეკითხვით რელიგიურ მსახურებებზე დასწრების სიხშირის შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილია მოდერაციული⁴² ანალიზის რამდენიმე მოდელის მიმოხილვა, რომელთა ანალიზის საფუძველზეც საინტერესო დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი.

1. სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხსა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერებას შორის კავშირის ბუნება არ იცვლება რელიგიურ მსახურებებზე დასწრების სიხშირის მიხედვით. ამას ქვემოთ მოცემული გამოსახულებაც ადასტურებს. ყველა ჯგუფში, იმის მიუხედავად, თუ რამდენად ხშირად ესწრებიან რესპონდენტები რელიგიურ მსახურებებს, ინფორმირებულობის დონის ზრდას თან სდევს სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ამაღლება. რაც უფრო იზრდება ინფორმირება სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ, მით უფრო დადებითი დამოკიდებულება უჩნდებათ რესპონდენტებს მის მიმართ, იმის მიუხედავად, დადიან თუ არა ისინი ეკლესიაში.


ილუსტრაცია 56: მიმართება ეკლესიაში სიარულს, ინფორმირების ხარისხსა და სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებას შორის



⁴² მოდერაციულ ეფექტზე ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც მოდერატორის მოდელში ჩართვის შემდეგ იცვლება დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის კავშირის მიმართულება ან/და სიძლიერე (Baron & Kenny, 1986).

- სპეციფიკური მიმართება გამოიკვეთა რელიგიურ ღონისძიებებზე დასწრების სიხშირესა და კონტრარგუმენტების არსებობას შორის, როდესაც მოდერატორი ცვლადი ინფორმირებულობა იყო.

ილუსტრაცია 57: მიმართება ეკლესიაში სიარულის სიხშირეს, ინფორმირებულობის ხარისხსა და კონტრარგუმენტებს შორის




როგორც გამოსახულებაზე ჩანს, იმ პირების შემთხვევაში, რომლებიც რელიგიურ მსახურებებს თითქმის ყოველთვის ესწრებიან (მე-4 კატეგორია), კონტრარგუმენტების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელობა არ აქვს სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირების ხარისხს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ინფორმირებულობის მაღალი ხარისხის შემთხვევაშიც კი, მათ სქესობრივი განათლების ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში დაწერგვასთან დაკავშირებით კონტრარგუმენტები აქვთ და ეწინააღმდეგებიან მას. გამოსახულებაზე აშკარად ჩანს, რომ დანარჩენი სამი ჯგუფის შემთხვევაში ინფორმირებულობის ხარისხის მრდასთან ერთად მცირდება კონტრარგუმენტების მაჩვენებელი. ეს შედეგი შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას საკომუნიკაციო კამპანიის დაგეგმვის პროცესში პირველადი სამიზნე ჯგუფების დიფერენცირებისას.

- კონტრარგუმენტების ქულების ცვალებადობა ასევე შეფასდა სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასთან კავშირში. მიმართებების ბუნება შემდგომ გამოსახულებაზეა წარმოდგენილი. ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ კონტრარგუმენტების სკალაზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იმ ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ, რომლებიც ეკლესიაში ხშირად ან თითქმის ყოველთვის დადიან. ინფორმირებულობისგან განსხვავებით, სქესობრივი განათლების მნიშვნელობის


გაცნობიერების ზრდასთან ერთად, კონტრარგუმენტების მაჩვენებელი იკლებს. მიმართების ბუნება მსგავსია ეკლესიაში სიარულის ნებისმიერი სიხშირისთვის. საინტერესოა, რომ კონტრარგუმენტების მაჩვენებელი უფრო მკვეთრად მცირდება იმ რესპონდენტებში, რომლებიც რელიგიურ მსახურებებს ხშირად ან თითქმის ყოველთვის ესწრებიან, თუმცა მაინც მაღალი რჩება მათ მაჩვენებელთან შედარებით, ვინც ეკლესიაში იშვიათად ან თითქმის არასდროს დადის.

ილუსტრაცია 58: მიმართება ეკლესიაში სიარულს, სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებასა და კონტრარგუმენტებს შორის



- მოდერაციული ანალიზის გამოყენებით შეფასდა, რამდენად განსხვავდება მიმართებები სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობას შორის იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით ესწრება ადამიანი რელიგიურ მსახურებებს. ანალიზის შედეგები პოზიტიურ დინამიკაზე მიგვითითებს. სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერების ზრდასთან ერთად რესპონდენტებს მეტად აქვთ მზაობა, ჩაერთონ სქესობრივი განათლების აქტივობებში. ცვლილების დინამიკა მსგავსია ეკლესიაში სიარულის სიხშირის მიუხედავად, თუმცა ის პირები, რომლებიც უფრო ხშირად ან თითქმის ყოველთვის ესწრებიან მსახურებებს, მაინც შედარებით დაბალ მაჩვენებელს აფიქსირებენ სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართვის მზაობის მიმართულებით. ეს შედეგი სავსებით ლოგიკურია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი კონტრარგუმენტების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან.

ილუსტრაცია 59: მიმართება ეკლესიაში სიარულს, სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სქესობრივი განათლების აქტივობებში ჩართულობას შორის



კვლევის ეს შედეგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სქესობრივი განათლების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებაზე მიმართული ინტერვენციების დანერგვის პროცესში. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლებაზე მიმართული აქტივობები შესაძლოა შედეგის თვალსაზრისით არაარსებითი აღმოჩნდეს იმ პირთათვის, რომლებიც ძალზე „რელიგიურები არიან“ (თითქმის ყოველთვის ესწრებიან მსახურებებს). მაგრამ თუ ინტერვენციები დადებითი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე იქნება მიმართული, კონტრარგუმენტების მაჩვენებელიც შესაძლოა დადებითი მიმართულებით შეიცვალოს. დადებითი დამოკიდებულება ჩართულობის მზაობაზეც პოზიტიურად აისახება. ის პირები, რომლებიც აცნობიერებენ სქესობრივი განათლების მნიშვნელობას, ასევე გამოთქვამენ მზაობას ჩაერთონ სქესობრივი განათლების აქტივობებში, მიუხედავად იმისა, თუ რა სიხშირით დადიან ეკლესიაში. შესაბამისად, პოზიტიური ატიტუდების ჩამოყალიბებაზე მიმართული აქტივობების შემუშავება შესაძლოა ღირებული ინსტრუმენტი იყოს იმ პირების შემთხვევაშიც კი, ვინც ეკლესიაში ხშირად ან თითქმის ყოველთვის დადის.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგები ადასტურებს კულტურული კონტექსტის ფაქტორების არსებით მნიშვნელობას იმისათვის, თუ როგორ დაიგეგმება სქესობრივი განათლების შესახებ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირების

სტრატეგია, რა რესურსი არსებობს იმისათვის, რომ საზოგადოებაში გაიზარდოს სქესობრივი განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, რაც სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვის წინაპირობაა.

შეჯამება

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების დანერგვის ეტაპზე, რომელიც უწყვეტი წინააღმდეგობების ფონზე მიმდინარეობს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები საზოგადოებისთვის სქესობრივი განათლების შესახებ სწორი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება და მისი კულტურული, რელიგიური და ეთნიკური თავისებურებების კონტექსტში ინტეგრაციაა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებით დასანერგად:

- რამდენად მნიშვნელოვანია სქესობრივი განათლება იყოს ყოვლისმომცველი, რა შედეგები მოჰყვება ფსიქო-სოციალური საკითხების ინტეგრირებას საგანში? რამდენად მზად არის საზოგადოება გასცდეს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის საკითხებს?
- რამდენად ერთგვაროვანია საზოგადოების დამოკიდებულებები სქესობრივი განათლების მიმართ, რა გამოწვევებია სქესობრივი განათლების დანერგვის თვალსაზრისით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში?

კვლევით გამოვლენილი საჭიროებები და მასზე დაფუძნებული რეკომენდაციები, დაეხმარება შესაბამის ინსტიტუციებს სქესობრივი განათლების ხელშესაწყობად სინქრონიზებული, სისტემური ცვლილებების დანერგვაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

www.unhchr.ch/html/menu3/b/k2crc.htm. (n.d.).

Causarano, N., Pole, J., & Flicker, S. (2010). Exposure to and desire for sexual health education among urban youth: Associations with religion and other factors. *The Canadian Journal of Human Sexuality*, Vol. 19 (4).

Center For Reproductive Rights. (2010). *An International Human Right: Sexuality Education for Adolescents in Schools*. 9. https://www.reproductiverights.org/sites/crr.civicactions.net/files/documents/WEB_pub_fac_sexed_10.10.pdf

Constantine, P. J., & Huang. (2007). California parents' preferences and beliefs regarding school based sex education policy. *Perspect Sex Reprod Health*, 39(3):167-175.

Council of the European Union. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part. Official Journal of the European Union. Vol 57, 30 August 2014

Dake, J., & Price, J. (2014). Among Elementary Schoolchildren's Parents. *American Journal of Health Education*, 45:1, 29-36.

Fentahun, N., Assefa, T., Alemseged, F., & Ambaw, F. (2012). Parents' perception, students' and teachers' attitude towards school sex education. *Ethiopian Journal of Health Sciences*, 22(2), 99–106. <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/22876073%0Ahttp://www.pubmedcentral.nih.gov/articlerender.fcgi?artid=PMC3407832>

Francis, D. A., & Renée DePalma. (2015). 'You need to have some guts to teach': Teacher preparation and characteristics for the teaching of sexuality and HIV/AIDS education in South African schools. *SAHARA-J: Journal of Social Aspects of HIV/AIDS An Open Access Journal*. <https://doi.org/10.1080/17290376.2015.1085892>

Haberland, N., & Rogow, D. (2015). Sexuality education: Emerging trends in evidence and practice. In *Journal of Adolescent Health* (Vol. 56, Issue 1, pp. S15–S21). Elsevier USA. <https://doi.org/10.1016/j.jadohealth.2014.08.013>

Herat, J., Plesons, M., Castle, C., Babb, J., & Chandra-Mouli, V. (2018). The revised international technical guidance on sexuality education - A powerful tool at an important crossroads for sexuality education. In *Reproductive Health* (Vol. 15, Issue 1). BioMed Central Ltd. <https://doi.org/10.1186/s12978-018-0629-x>

Haile, S. A. (1995). International Conference on Population and Development, Cairo 5-13 September 1994--IAC presence. *Newsletter (Inter-African Committee on Traditional Practices Affecting the Health of Women and Children)*, (17), 19.

IPPF. (2006). *Sexuality education in Europe. A Reference guide to policies and practices*. Brussels: IPPF European Network.

IPPF. (2010). IPPF Framework for Comprehensive Sexuality Education (CSE). https://www.ippf.org/sites/default/files/ippf_framework_for_comprehensive_sexuality_education.pdf

Jin, X. (2021). The Characteristics and Relationship of Parental Sexual Knowledge and Sex Education Attitude to Young Children. *Creative Education*.

Jaccard, J., Dodge, T., & Dittus, P. (2003). Do adolescents want to avoid pregnancy? Attitudes toward pregnancy as predictors of pregnancy. *The Journal of Adolescent Health : Official Publication of the Society for Adolescent Medicine*, 33(2), 79–83. [https://doi.org/10.1016/S1054-139X\(03\)00134-4](https://doi.org/10.1016/S1054-139X(03)00134-4)

- Kee-Jiar, Y., & Shih-Hui, L. (2020). A systematic review of parental attitude and preferences towards implementation of sexuality education. *International Journal of Evaluation and Research in Education*, Vol. 9, No. 4, pp. 971-978.
- Keogh, S. C., Stillman, M., Leong, E., Awusabo-Asare, K., Sidze, E., Monzón, A. S., & Motta, A. (2020). Measuring the quality of sexuality education implementation at the school level in low-and middle-income countries. *Sex Education*, 20(2), 119-137.
- Ketting, E., Brockschmidt, L., Renner, I., Luyckfasseel, L., & Ivanova, O. (2018). Sexuality Education in Europe and Central Asia: Recent Developments and Current Status. *Sex Education: Global Perspectives, Effective Programs and Socio-Cultural Challenges*, 75-120.
- Kirby, D. B., Laris, B. A., & Rolleri, L. A. (2007). Sex and HIV education programs: their impact on sexual behaviors of young people throughout the world. *Journal of adolescent Health*, 40(3), 206-217.
- Kirby, D. B. (2008). The impact of abstinence and comprehensive sex and STD/HIV education programs on adolescent sexual behavior. *Sexuality Research & Social Policy*, 5(3), 18.
- Kirby, D. (2007). Abstinence, sex, and STD/HIV education programs for teens: Their impact on sexual behavior, pregnancy, and sexually transmitted disease. *Annual Review of Sex Research*, 18(1), 143-177.
- Mattson, G., & Breuner, C. C. (2016). Sexuality Education for Children and Adolescents. *Pediatrics*, 138(2).
- Meschke, L. L., & Peter, C. R. (2014). Hmong American Parents' Views on Promoting Adolescent Sexual Health. *American Journal of Sexuality Education*, 9(3), 308-328. <https://doi.org/10.1080/15546128.2014.936638>
- Meschke, L. L., Bartholomae, S., & Zentall, S. R. (2002). Adolescent sexuality and parent-adolescent processes: Promoting healthy teen choices. *Journal of Adolescent Health*, 31(6 SUPPL.), 264-279. [https://doi.org/10.1016/S1054-139X\(02\)00499-8](https://doi.org/10.1016/S1054-139X(02)00499-8)
- Molina, J. M., Charreau, I., Spire, B., Cotte, L., Chas, J., Capitant, C., Tremblay, C., Rojas-Castro, D., Cua, E., Pasquet, A., Bernaud, C., Pintado, C., Delaugerre, C., Sagaon-Teyssier, L., Mestre, S. Le, Chidiac, C., Pialoux, G., Ponscarne, D., Fonsart, J., ... Rabian, C. (2017). Efficacy, safety, and effect on sexual behaviour of on-demand pre-exposure prophylaxis for HIV in men who have sex with men: an observational cohort study. *The Lancet HIV*, 4(9), e402-e410. [https://doi.org/10.1016/S2352-3018\(17\)30089-9](https://doi.org/10.1016/S2352-3018(17)30089-9)
- Murray, L. K., Nguyen, A., & Cohen, J. A. (2014). Child Sexual Abuse. *Child and Adolescent Psychiatric Clinics of North America*, 23(2), 321-337. <https://doi.org/10.1016/j.chc.2014.01.003>
- National Guidelines Task Force. (2004). Guidelines for Comprehensive Sexuality Education: Kindergarten-12th Grade. *Education*, 112. http://siecus.org/_data/global/images/guidelines.pdf
- Parker, R., Wellings, K., & Lazarus, J. V. (2009). Sexuality education in Europe: An overview of current policies. *Sex Education*, 9(3), 227-242.
- Planned Parenthood Federation of America & Family Circle Magazine. (2014). Let's Talk, Parents and Teens Talk About Sexuality: A National Poll. In *Planned Parenthood Federation of America*.
- Pound, P., Denford, S., Shucksmith, J., Tanton, C., Johnson, A. M., Owen, J., Hutten, R., Mohan, L., Bonell, C., Abraham, C., & Campbell, R. (2017). What is best practice in sex and relationship education? A synthesis of evidence, including stakeholders' views. *BMJ Open*, 7, 14791. <https://doi.org/10.1136/bmjopen-2016-014791>
- Robinson, D. B., MacLaughlin, V., & Poole, J. (2019). Sexual health education outcomes within Canada's elementary health education curricula: A summary and analysis. *The Canadian Journal of Human Sexuality*, 28(3), 243-256.

- Shin, H., Lee, J. M., & Min, J. Y. (2019). Sexual Knowledge, Sexual Attitudes, and Perceptions and Actualities of Sex Education among Elementary School Parents. *Child Health and Nursing Research*, 312-322.
- Simon, L., & Daneback, K. (2013). Adolescents' Use of the Internet for Sex Education: A Thematic and Critical Review of the Literature. *International Journal of Sexual Health*, 25(4), 305–319. <https://doi.org/10.1080/19317611.2013.823899>
- Statcan. (2006). Retrieved from <https://www150.statcan.gc.ca/n1/pub/91-003-x/2007001/4129908-eng.htm>
- Tobby, J., Hillman, S., Anagurthi, C., & Somers, C. L. (2011). Demographic differences in adolescents' sexual attitudes and behaviors, parent communication about sex, and school sex education. *Electronic Journal of Human Sexuality*.
- UNFPA. (2014). *Operational Guidance for Comprehensive Sexuality Education: A Focus on Human Rights and Gender*. 1–76. http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/UNFPA_OperationalGuidance_WEB3.pdf
- United Nations Educational Scientific and Cultural Organization. (2018). International technical guidance on sexuality education. In *United Nations Educational Scientific and Cultural Organization SDGs*. <http://unesdoc.unesco.org/images/0026/002607/260770e.pdf>
- UNESCO. (2009). *International Technical Guidance on Sexuality Education – An Evidence-informed Approach for Schools, Teachers and Health Educators*. Paris: UNESCO.
- UNESCO. 2013. *Sexuality Education Review and Assessment Tool (SERAT)*. Paris: UNESCO. <https://hivhealthclearinghouse.unesco.org/library/documents/sexuality-education-review-and-assessment-tool-serat-0>
- UNESCO. (2015). *Emerging Evidence, Lessons and Practice in Comprehensive Sexuality Education 2015. A Global Review* Paris: UNESCO.
- UNESCO. (2016a). *Global Education Monitoring Report. Education for people and planet: Creating sustainable futures for all*. Paris: UNESCO. Retrieved from <http://unesdoc.unesco.org/>
- UNESCO. (2016b). *Out in the Open: Education Sector Responses to Violence based on Sexual Orientation and Gender Identity/Expression*. Paris: UNESCO. Retrieved from <https://unesdoc.unesco.org/>
- UNESCO . (2018). *International Technical Guide on Sexuality Education - An evidence-informed approach (Second, Revised ed.)*. Paris: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO).
- United Nations Population Fund. (2000). *Key Actions for the Further Implementation of the Programme of Action of the International Conference on Population and Development: Adopted by the Twenty-first Special Session of the General Assembly, New York, 30 June-2 July 1999*. United Nations Population Fund.
- WHO Regional Office for Europe and BzG (2010) *Standards for Sexuality Education in Europe A framework for policy makers, educational and health authorities and specialists*. https://www.bzga-whocc.de/fileadmin/user_upload/WHO_BZgA_Standards_English.pdf
- Widman, L., Choukas-Bradley, S., Noar, S. M., Nesi, J., & Garrett, K. (2016). Parent-Adolescent Sexual Communication and Adolescent Safer Sex Behavior: A Meta-Analysis. *JAMA Pediatrics*, 170(1), 52–61. <https://doi.org/10.1001/jamapediatrics.2015.2731>
- Wood, J., McKay, A., Byers, S., & Wentland, J. (2014). Attitudes towards sexual health education in schools: A national survey of parents in Canada. *The Canadian Journal of Human Sexuality*, Vol. 30, No. 1.
- საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია (EPRA). (2020). *სქესობრივი განათლება: მოსახლეობის ინფორმირებულობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების კვლევა*. თბილისი: ფონდი "თანადგომა".

დანართი

დანართი, ცხრილი 1: სქესობრივი განათლების ინდიკატორები ევროპის 26 ქვეყანაში

	სავალდებულო სქესობრივი განათლების შემოდების წელი	სავალდებულო სქესობრივი განათლების დანწყების ასაკი	სქესობრივი განათლების მინიმალური სტანდარტი
ავსტრია	1970	10	+
ბელგია	1995	6	+
ბულგარეთი		11	
კვიპროსი		14	
ჩეხეთი	1970	7	+
დანია	1970	12	+
ესტონეთი	1996	10	+
ფინეთი	1970	7	+
საფრანგეთი	1998	6	+
გერმანია	1968	9	+
საბერძნეთი	1995	6	
უნგრეთი	1975	10	
ისლანდია	1975	11	+
ირლანდია	2003	6	
იტალია		14	
ლატვია	1998	11	+
ლიტვა			
ლუქსემბურგი	1973	6	+
პოლანდია	1993	13	
ნორვეგია	1974	12	+
პოლონეთი		12	+
პორტუგალია	1999	5	+
სლოვაკია	1996	12	
ესპანეთი		14	
შვედეთი	1955	6	+
გაერთიანებული სამეფო		5 ან 7	+

წყარო: Parker et al. 2009; Ketting et al., 2018

დანართი, ცხრილი 2: შერჩევის აღწერა

	რაოდენობა	%	Valid %
რეგიონი (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 19-მა ადამიანმა)			
ქვემო ქართლი	136	7.6%	7.6%
შიდა ქართლი	114	6.3%	6.4%
კახეთი	105	5.8%	5.9%
მცხეთა-მთიანეთი	14	0.8%	0.8%
სამცხე-ჯავახეთი	66	3.7%	3.7%
აჭარა	130	7.2%	7.3%
იმერეთი	155	8.6%	8.7%
გურია	39	2.2%	2.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	97	5.4%	5.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	0.1%	0.1%
თბილისი	921	51.2%	51.8%
დასახლების ტიპი (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 4-მა ადამიანმა)			
დედაქალაქი	896	49.8%	49.9%
ქალაქი	584	32.5%	32.6%
დაბა	43	2.4%	2.4%
სოფელი	271	15.1%	15.1%
კითხვარის შევსების ენა			
ქართული	1599	88.9%	
ამერბაიჯანული	100	5.6%	
სომხური	99	5.5%	
სქესი (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 4-მა ადამიანმა)			
მდედრობითი	1121	62.3%	62.5%
მამრობითი	673	37.4%	37.5%
ასაკი (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 44-მა ადამიანმა)			
16-18 წელი	150	8.3%	8.6%
19-24 წელი	415	23.1%	23.7%
25-35 წელი	506	28.1%	28.8%
36-50 წელი	418	23.2%	23.8%
51 წელზე მეტი	265	14.7%	15.1%
განათლება - ამჟამად განათლების რომელიმე საფეხურზე სწავლობს 748 ადამიანი			
სკოლაში	88	4.9%	11.8%
პროფესიულ სასწავლებელში	86	4.8%	11.5%
ბაკალავრიატის საფეხურზე	388	21.6%	51.9%
მაგისტრატურის საფეხურზე	144	8.0%	19.3%
დოქტორანტურის საფეხურზე	42	2.3%	5.6%
განათლება - ადამიანები, რომლებიც ამჟამად აღარ სწავლობენ და მითითებული აქვთ განათლების უმაღლესი საფეხური, რომელიც დამთავრებული აქვთ (ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა 1039-მა ადამიანმა)			
საბაზო სკოლა	15	0.8%	1.4%
საშუალო სკოლა	109	6.1%	10.5%
პროფესიული სასწავლებელი	90	5.0%	8.7%
ბაკალავრიატი	380	21.1%	36.6%
მაგისტრატურა	392	21.8%	37.7%
დოქტორანტურა	53	2.9%	5.1%

დასაქმების სტატუსი (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 26-მა ადამიანმა)			
დასაქმებული, თვითდასაქმებული	1246	69.3%	70.3%
დაუსაქმებელი	526	29.3%	29.7%
მშობლობის სტატუსი (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 32-მა ადამიანმა)			
ვარ მშობელი	877	48.8%	49.7%
არ ვარ მშობელი	889	49.4%	50.3%
რელიგია (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 4-მა ადამიანმა)			
ვარ მართლმადიდებელი	1403	78.0%	78.2%
ვარ კათოლიკე	47	2.6%	2.6%
ვარ პროტესტანტი	12	0.7%	0.7%
ვარ მუსულმანი	155	8.6%	8.6%
ვარ სამოციქულო ეკლესიის აღმსარებელი	34	1.9%	1.9%
ვარ სხვა რელიგიის აღმსარებელი	7	0.4%	0.4%
არ ვარ არც ერთი რელიგიის აღმსარებელი	136	7.6%	7.6%
რელიგიურ მსახურებაზე/ღონისძიებაზე დასწრების სიხშირე (ამ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა 9-მა ადამიანმა)			
თითქმის არასოდეს	501	27.9%	28.0%
იშვიათად	945	52.6%	52.8%
ხშირად	272	15.1%	15.2%
თითქმის ყოველთვის	71	3.9%	4.0%
სკოლის ტიპი, სადაც სწავლობს კვლევაში მონაწილე მოსწავლე (ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა 88 ადამიანმა)			
საჯარო	80	4.4%	90.9%
კერძო	8	0.4%	9.1%
სკოლის ტიპი, სადაც კვლევაში მონაწილე მშობელს დაჰყავს შვილი (ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა 484 ადამიანმა)			
საჯარო	329	18.3%	68.0%
კერძო	155	8.6%	32.0%

შეფასდა მონაცემების ადეკვატურობა ფაქტორული ანალიზისთვის. კორელაციის მატრიცა გვიჩვენებს 0.3-ზე მაღალი კოეფიციენტის არსებობას არაერთი შეკითხვისთვის. KMO-ს (Kaiser-Meyer-Olkin) მნიშვნელობა .98-ის ტოლია და აჭარბებს საშომის ავტორების მიერ რეკომენდებულ მდგარს - 0.6-ს (Kaiser 1970, 1974). ბარტლეტის სფერულობის საშომის (Bartlett 1954) მნიშვნელობაც სტატისტიკურად არსებითია, რაც ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კორელაციის მატრიცა (მონაცემები) ექვემდებარება ფაქტორულ ანალიზს.

დებულებები	დისკრიმინაციის ინდექსი	ფაქტორი 1: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	ფაქტორი 2: კონტრარგუმენტები	ფაქტორი 3: რესურსების დეფიციტი	ფაქტორი 4: სქესობრივ განათლებაში ჩართულობა
18. საქართველოში დღეს საზოგადოება საკმარისად არის ინფორმირებული სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ	0.387				
19. ბოლო პერიოდში სკოლებში ინტენსიურად ინერგება სქესობრივი განათლება.	0.108				
20. მოზარდები ინფორმირებულები არიან სქესობრივი განვითარების ფიზიოლოგიური კანონზომიერებების შესახებ (როგორებიცაა სხეულისა თუ ჰორმონალური ცვლილებები, რეპროდუქციული სისტემის ფორმირება და ა.შ.).	0.253				
21. ახალგაზრდები სქესობრივი განვითარების საკითხებით დაინტერესების შემთხვევაში იშვიათად მიმართავენ მშობლებს ინფორმაციისათვის.	0.258				
22. სქესობრივი განათლების არქონის გამო საქართველოში მაღალია ისეთი შემთხვევების რაოდენობა, როგორებიცაა, მაგალითად, არასასურველი ორსულობა, სექსუალური ძალადობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სხვა.	0.625	0.40			
23. სქესობრივი განათლების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ბავშვისა და მოზარდის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.	0.697	0.60			
24. სქესობრივი განათლების საკითხები, რომლებსაც სკოლაში ასწავლიან, მწირი და არასაკმარისია.	0.681				
25. ვფიქრობ, მოზარდებისთვის სრულიად საკმარისია სქესობრივი განათლების საკითხებზე ის ცოდნა (რჩევები), რომლებსაც ისინი მეგობრებისგან იღებენ.	0.591	0.35			
26. ჩვენს საზოგადოებაში სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებებს განსაზღვრავს რელიგიური შეხედულებები (სექსუალური ორიენტაციის, ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის და ა.შ. შესახებ).	0.379				
27. დღეს ხელმისაწვდომია ინფორმაციის არაერთი სანდო წყარო (ინტერნეტ-რესურსები, ტელეგადაცემები, ჟურნალები და სხვა), რომლებიც სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.	0.098				
28. მშობლებმა არ იციან, როდის, როგორ და რა ინფორმაცია მიაწოდონ შვილს სქესობრივი განათლების საკითხებთან დაკავშირებით.	0.472				
29. მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ სქესობრივი განათლების დანერგვა აუცილებელია.	0.765	0.57			
30. სქესობრივი განათლების შინაარსები რელიგიურ შეხედულებებთან არათავსებადია.	-0.181				

დებულებები	დისკრიმინაციის ინდექსი	ფაქტორი 1: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	ფაქტორი 2: კონტრარგუმენტები	ფაქტორი 3: რესურსების დეფიციტი	ფაქტორი 4: სქესობრივი განათლებაში ჩართულობა
31. ვფიქრობ, ყველა მოზარდს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს კვალიფიციური ინფორმაცია სქესობრივი განათლების ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სქესობრივი განვითარება, სქესთაშორისი ურთიერთობები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, არასასურველი ორსულობა და სხვა.	0.714	0.70			
32. იმისათვის, რომ გაუადვილდეთ საკუთარი თავის შეცნობა/მიღება, მოზარდებს უნდა ჰქონდეთ ამომწურავი ცოდნა ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ცვლილებების შესახებ.	0.717	0.64			
33. მოზარდების უმრავლესობას აქვს საჭირო ინფორმაცია ადამიანის სქესობრივ განვითარებასთან დაკავშირებულ სოციალურ ასპექტებზე (მაგ., ურთიერთობების პრობლემებზე გარდატეხის ასაკში და ა.შ.).	0.39				
34. სქესობრივი განათლება მნიშვნელოვანია ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისთვის.	0.722	0.69			
35. სქესობრივი განათლების მიღებით ადამიანი უფრო შემწყნარებელი ხდება მათ მიმართ, ვისაც სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები და წესები აქვს.	0.637	0.54			
36. სკოლაში გაკვეთილები (შეხვედრები), რომლებზეც სქესობრივი განათლების საკითხები უნდა განიხილებოდეს, მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების მხრიდან უხერხულობის განცდის გამო ხშირად არ ტარდება.	0.4			0.33	
37. აუცილებელია ადამიანებმა გააცნობიერონ, რომ ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად, მნიშვნელოვანია სექსუალური ცხოვრებით კმაყოფილების განცდა.	0.584	0.58			
38. სქესობრივი განათლება ეხმარება ადამიანებს, გააცნობიერონ თავიანთი ფუნდამენტური უფლებები, მაგ., უფლება, დამოუკიდებლად მიიღონ ქორწინებასთან, შვილების ყოლა-არყოლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.	0.67	0.69			
39. სქესობრივი განათლების საკითხები ყველა სასწავლო საფეხურზე, ასაკისათვის შესაფერისი შინაარსით უნდა ისწავლებოდეს.	0.58	0.43			
40. სქესობრივი განათლება ხელს უწყობს მოზარდებში საკუთარი სექსუალურობის გამო სირცხვილის, დანაშაულისა და შიშის განცდის შემცირებას.	0.717	0.60			
41. ჩვენი საზოგადოებისთვის მისაღებია, რომ სქესობრივი განათლება სკოლებში დაინერგოს.	-0.119				
42. სქესობრივი განათლება აძლევს ადამიანს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელ ცოდნას.	0.741	0.68			
43. სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხების სწავლებამ შესაძლოა ნაადრევი სქესობრივი ურთიერთობები, „ექსპერიმენტები“ ან არასასურველი ქცევები წაახალისოს.	0.497				
44. სქესობრივი განათლების საკითხებზე სკოლაში საუბარი მხოლოდ უხერხული ან „საღლაბუცოა“.	0.261				

დებულებები	დისკრიმინაციის ინდექსი	ფაქტორი 1: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	ფაქტორი 2: კონტრარგუმენტები	ფაქტორი 3: რესურსების დეფიციტი	ფაქტორი 4: სქესობრივ განათლებაში ჩართულობა
45. სქესობრივი განათლება ეხმარება ადამიანს, არ გახდეს ძალადობის მსხვერპლი ან თავად არ განახორციელოს ძალადობრივი ქმედებები.	0.638	0.65			
46. სქესობრივი განათლების მიღებით მოზარდები მომზადდებიან ხვდებიან სქესობრივ განვითარებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ სირთულეებს (როგორებიცაა საკუთარი სხეულის აღქმა, თვითდამკვიდრება, ცვლილებებთან შეგუება და ა. შ.).	0.736	0.71			
47. სქესობრივ განათლებას ადამიანი თავისთავად მიიღებს, სქესობრივი ცხოვრების დაწყებასთან ერთად.	0.58				
48. ჩემი აზრით, სქესობრივი განათლების სკოლაში დანერგვა აუცილებელია.	0.816	0.56			
49. ადამიანები იმიტომ ეწინააღმდეგებიან სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვას, რომ არ აქვთ სწორი ინფორმაცია მის შესახებ.	0.697	0.44			
50. სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვას ხელს უშლის საზოგადოებაში ადამიანის სექსუალობის შესახებ დამკვიდრებული დამოკიდებულებები და ცრურწმენები.	0.706	0.46			
51. სქესობრივი განათლება ეხმარება ახალგაზრდებს, დაიცვან თავი ისეთი ფიზიკური საფრთხეებისგან, როგორებიცაა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, არასასურველი ორსულობა და სხვა.	0.745	0.78			
52. სქესობრივი განათლების თემების ტაბუირება (მასზე საუბრის აკრძალვა) დაუშვებელია.	0.635	0.36			
53. სკოლებში სქესობრივი განათლების დასაწერად საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუციების (განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების, სხვადასხვა სააგენტოს და ა.შ.) მეტი ჩართულობა.	0.698	0.54			
54. სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება მოსახერხებელია არაფორმალურ გარემოში - ტრენინგზე, ახალგაზრდულ ბანაკში და ა.შ.	-0.241				
55. სქესობრივი განათლება აუცილებლად სკოლაში უნდა დაინერგოს, რათა ყველას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, ცოდნა კვალიფიციური პირებისგან მიიღოს.	0.775	0.58			
56. როგორც წესი, მშობლები გაურბიან შვილებთან სქესობრივი განათლების საკითხებზე საუბარს.	0.434				
57. სქესობრივი განათლება ეხმარება ახალგაზრდებს, დაიცვან თავი სოციალური საფრთხეებისგან, როგორებიცაა არასასურველი ურთიერთობები, იძულებითი ქორწინება, სექსუალური შევიწროვება და სხვა.	0.725	0.69			
58. ვთვლი, რომ დღეს სკოლაში მიწოდებული ინფორმაცია სქესობრივი განათლების თემატიკაზე საკმარისია სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული უსაფრთხო და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მისაღებად.	0.494				
59. მშობელს უნდა ჰქონდეს უფლება, გადაწყვიტოს, დაესწროს თუ არა მისი შვილი გაკვეთილებს, რომლებზეც სქესობრივი განათლების საკითხები განიხილება.	0.442		0.62		

დებულებები	დისკრიმინაციის ინდექსი	ფაქტორი 1: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	ფაქტორი 2: კონტრარგუმენტები	ფაქტორი 3: რესურსების დეფიციტი	ფაქტორი 4: სქესობრივ განათლებაში ჩართულობა
60. გავვეთილები, რომლებმაც სქესობრივი განათლების საკითხები განიხილეს, ბიჭებს კაცმა შედაგოგმა უნდა ჩაუტაროს, ხოლო გოგონებს - ქალმა.	0.372		0.54		
61. სქესობრივი განათლების საკითხებზე მშობლისა და შვილის საუბარი ორივე მხარეს უხერხულობას უქმნის.	-0.019				
62. სქესობრივი განათლების საკითხებზე საუბარი მოსწავლეებთან მხოლოდ მაღალ კლასებშია მიზანშეწონილი.	0.384		0.50		
63. სქესობრივი განათლება ეხმარება ახალგაზრდებს, დაიცვან თავი ფსიქოლოგიური საფრთხეებისგან, როგორებიცაა არასწორი ღირებულებების და წარმოდგენების ჩამოყალიბება (საკუთარი თუ საპირისპირო სქესის შესახებ), თვითშეფასების დაქვეითება და სხვა.	0.69	0.66			
64. სკოლაში სქესობრივი განათლების დანერგვა უფრო მეტი შიანის მომტანი იქნება, ვიდრე სარგებლის.	0.726	0.49			
65. იმისათვის, რომ სწორად წარმართონ მოზარდებთან კომუნიკაცია სქესობრივი განათლების საკითხებზე, მშობლებს სჭირდებათ დამხმარე მასალები/აქტივობები (საინფორმაციო შეხვედრები, ბუკლეტები, ვიდეო რგოლები...).	0.584				0.39
66. სკოლებს არ ჰყავთ სქესობრივი განათლების სფეროში სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესიონალები.	0.437			0.69	
67. სქესობრივი განათლების არქონის გამო მოზარდებმა არ იციან, ვის მიმართონ დასახმარებლად სექსუალობასთან დაკავშირებული შეკითხვებისა თუ პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში.	0.71			0.31	
68. სქესობრივი განათლება უვითარებს ახალგაზრდებს უნარს, განასხვავონ ასაკისთვის შესაბამისი, სანდო წყაროები არასანდო, დამახინჯებული ინფორმაციისგან.	0.696	0.67			
69. სქესობრივი განათლების დანერგვის პროცესში აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს მოზარდების კულტურული და რელიგიური წარმოდგენები.	0.077				
70. სქესობრივი განათლება ეხმარება მოზარდებს, გააცნობიერონ, რომ სქესობრივი განვითარება და მოთხოვნილებები ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილია და მათზე ფიქრი, მსჯელობა მიუღებელი არ უნდა იყოს.	0.744	0.67			
71. ვისურვებდი, სკოლაში მქონოდა/მქონდეს სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.	0.812	0.55			
72. სკოლაში ისეთ ინტიმურ თემაზე საუბარი, როგორიც სქესობრივი ურთიერთობებია, ეწინააღმდეგება ჩვენს კულტურას, ტრადიციებს.	0.519		0.39		
73. დავსწრებივარ/დავესწრებოდი სქესობრივი განათლების შესახებ ტრენინგებს, შეხვედრებსა თუ ღონისძიებებს.	0.622				0.50
74. სქესობრივი განათლება ეხმარება მოზარდებს იმის გაცნობიერებაში, რომ სხვადასხვა კულტურაში/ეთნიკურ ჯგუფში სქესობრივი ცხოვრების შესახებ განსხვავებული შეხედულებები და წესები არსებობს.	0.501	0.38			
75. სქესობრივ განათლებას ბავშვი უპირატესად უნდა იღებდეს ოჯახში, მშობლებისგან.	0.087				

დებულებები	დისკრიმინაციის ინდექსი	ფაქტორი 1: სქესობრივი განათლების მნიშვნელობის გაცნობიერება	ფაქტორი 2: კონტრარგუმენტები	ფაქტორი 3: რესურსების დეფიციტი	ფაქტორი 4: სქესობრივ განათლებაში ჩართულობა
76. სქესობრივი განათლება აყალიბებს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა პასუხისმგებლობა, ერთგულება, სხვისი გრძნობების პატივისცემა.	0.572	0.46			
77. სკოლაში სქესობრივი განათლების თემატიკა უნდა შეთანხმდეს რელიგიური ინსტიტუციების წარმომადგენლებთან.	0.514		0.58		
78. ვკითხულობ/წავიკითხავდი სქესობრივი განათლების შესახებ კვალიფიციურ სტატიებს.	0.646				0.58
79. ვყოფილვარ ჩართული/ჩავერთვებოდი სქესობრივი განათლების მხარდაჭერის ღონისძიებებში.	0.619				0.54
80. სქესობრივი განათლება ეხმარება ახალგაზრდებს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაში, რათა მათ თავიდან აიცილონ რისკის შემცველი ქცევები.	0.714	0.57			
81. ინფორმაციას სქესობრივი განათლების საკითხებზე ჩუმად, სხვებისგან ფარულად ვიღებ.	-0.087				
82. სქესობრივი განათლების საკითხებზე ინფორმაციას ვუზიარებ გარშემომყოფებს (მაგ., მეგობრებს).	0.439				0.69
83. სქესობრივი განათლება მნიშვნელოვნად ამცირებს არასასურველი ქორწინებისა თუ არასასურველი ორსულობის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და სექსუალური დისფუნქციების სტატისტიკას.	0.742	0.67			
84. მომიძიებია ინფორმაცია და/ან მისარგებლია სქესობრივი ცხოვრების საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო და სამედიცინო სერვისებით (მაგ., რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის, ორსულებზე მეთვალყურეობის და სხვა სერვისებით).	0.424				0.74
85. სქესობრივი განათლების საკითხების ცოდნა მეხმარება სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით ინფორმირებული, გააზრებული, პასუხისმგებლიანი გადანაცვებების მიღებაში.	0.731	0.50			
86. სკოლებში სქესობრივი განათლებისთვის საჭირო კვალიფიციურად მომზადებული სასწავლო მასალის/რესურსების დეფიციტია.	0.667			0.55	
87. სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხების სწავლება დაიცავს მოზარდებს ინტერნეტით მიღებული არასწორი ინფორმაციისა და დამახინჯებული წარმოდგენების ჩამოყალიბებისგან.	0.732	0.58			
88. ვფიქრობ, ახალგაზრდები მშობლებისგან იღებენ საკმარის ინფორმაციას სქესობრივი განათლების საკითხების შესახებ.	0.503		0.31		
89. სკოლაში სქესობრივი განათლების საკითხებზე საუბარი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა.	0.625		0.37		
90. სქესობრივი განათლება ეხმარება მოზარდებს სქესობრივი მომწიფების პროცესში საკუთარი განცდებისა თუ გრძნობების გაცნობიერებაში.	0.75	0.60			